# ვანი

# VIII

## არქეოლოგიური გათხრები

«მეცნიერება»
თბილისი
1986

# ВАНИ VIII

АРХЕОЛОГИЧЕСКИЕ РАСКОПКИ

# VANI

ARCHAEOLOGICAL EXCAVATIONS

VIII

«МЕЦНИЕРЕБА» « METSNIEREBA »
ТБИЛИСИ TBILISI
1986

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

საქართველოს არქეოლოგიური კომისია

АРХЕОЛОГИЧЕСКАЯ КОМИССИЯ ГРУЗИИ

ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და
ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიური კვლევის ცენტრი

ЦЕНТР АРХЕОЛОГИЧЕСКИХ ИССЛЕДОВАНИЙ
ИНСТИТУТА ИСТОРИИ, АРХЕОЛОГИИ И ЭТНОГРАФИИ
им. И. А. ДЖАВАХИШВИЛИ

კრებული ეძღვნება გიორგი ლეჟავას
ნათელ ხსოვნას

*Сборник посвящается светлой памяти*
*Георгия Ильича Лежава*

63.4(2Г)
3186

კრებულში ქვეყნდება ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ უკანასკნელ წლებში ვანის ნაქალაქარის ზედა და ცენტრალური ტერასების რამდენიმე მონაკვეთზე ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგები. შესწავლილია საკულტო კომპლექსები და ძვ. წ. IV—III საუკუნეების სამარხები. მოთხრობილია გათხრის პროცესზე, აღწერილია კულტურული ფენები და მათში მოპოვებული არქეოლოგიური მასალა, ნაგებობათა ნანგრევები, არქიტექტურული დეტალები, ბრინჯაოს და თიხის სკულპტურა, კერამიკა, სამშენებლო მასალები, სამკაულები, მონეტები. სამარხების აღწერას ერთვის მათში მოპოვებული ინვენტარის სრული კატალოგი. დასაბუთებულია მათი თარიღი.

კრებულში გამოქვეყნებულ არქეოლოგიურ ძეგლებს დიდი მნიშვნელობა აქვს ვანის ნაქალაქარის შემდგომი შესწავლისათვის.

რედაქტორი პროფესორი ოთ. ლორთქიფანიძე
Редактор проф. О. Д. Лордкипанидзе
Editor O. D. Lordkipanidze

რეცენზენტები: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი თ. მიქელაძე
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი ვ. ჯაფარიძე

ვ $\frac{0507000000}{М\ 607(06)-86}$ 241—86 © გამომცემლობა „მეცნიერება", 1986

## წინასიტყვაობა

ვანი VIII — ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომების მორიგი ტომი ეძღვნება გამოჩენილი არქიტექტორის, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის გიორგი ლეჟავას ხსოვნას. გიორგი ლეჟავა, რომელიც ყოველთვის კარგად უთავსებდა არქიტექტორის პრაქტიკულ საქმიანობას მეცნიერულ ძიებას, ვანის არქეოლოგიურ ექსპედიციაში ნინო ხოშტარიას მოწვევით მოვიდა 1961 წელს და სიცოცხლის უკანასკნელ ხანამდე ემსახურა მას ჩვეული ჭაბუკური გატაცებით. ნაქალაქარის კარიბჭე და თავდაცვის სისტემა, ტაძრები და საკურთხევლები, მრავალრიცხოვანი არქიტექტურული დეტალები მის მიერაა აზომილი, გრაფიკულად აღდგენილი, არქიტექტურულად გააზრებული. ექსპედიციაში მისი დაუღალავი მუშაობა დიდად უწყობდა ხელს და აჩქარებდა ნაქალაქარის შესწავლას. განუწყვეტლივ საქმეში მყოფი იგი არასოდეს იშურებდა დროს სხვისთვისაც გაეზიარებინა თავისი დიდი გამოცდილება და ცოდნა. ამიტომაა, რომ მუდამ მადლიერების გრძნობით ვახსენებთ მის სახელს.

კრებულში აისახა ვანის ნაქალაქარის სხვადასხვა უბნებზე უკანასკნელ წლებში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგები.

ქვეყნდება ნაქალაქარის ზედა ტერასაზე 1980 წელს აღმოჩენილი ორი სამარხი (№№ 16 და 17), რომლებიც ძვ. წ. IV ს-ის დასასრულითა და III ს-ის დასაწყისით თარიღდება. მდიდრული და მრავალფეროვანი ინვენტარით განსაკუთრებით აღსანიშნავია № 16 სამარხი. სამკაულებს გარდა აქ ნაპოვნია 80 კოლხური თეთრი, ცხენის აღკაზმულობა, რკინის მახვილი, სინოპური ამფორა და სხვ.

ცენტრალური ტერასის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში 1966—67 წლებში აღმოჩენილი საკულტო კომპლექსის გათხრა-შესწავლა გაგრძელდა შემდგომ წლებიც, წინამდებარე ტომში მოცემულია ცდა მთელ ამ ფართობზე გამოვლენილი ნაგებობების ერთიანად განხილვისა. გამოყოფილია სამი სამშენებლო პერიოდი, შესწავლილია აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა.

ცენტრალური ტერასის დასავლეთ ნაწილში 1978—81 წლებში ჩატარებული მუშაობის შედეგად შესწავლილია ძვ. წ. II—I სს მონუმენტური საკურთხეველი და მის უშუალო სიახლოვეს გამოვლენილი „საგანძური", რომელიც შეიცავდა მდიდარ და მრავალფეროვან მასალას (სხვადასხვა დანიშნულების თიხის ჭურჭელი, 150-მდე თიხის პირამიდული საწაფი, რკინის იარაღი, ბრინჯაოს უმბონები, ვერცხლის მცირე ზომის ქანდაკებანი, მედალიონი, ოქროს ფირფიტები, მინის მძივები). უფრო ადრეულ ხანას (ძვ. წ. III—II სს.) განეკუთვნება აქვე კლდოვან დედაქანში ამოკვეთილი ორი სამსხვერპლო და მრგვალი ნაგებობის ნაშთები.

კრებულში ასახულია, აგრეთვე ცენტრალური ტერასის აღმოსავლეთ ნაწილის არქეოლოგიური შესწავლის შედეგები, სადაც გაითხარა ძვ. წ. IV—

III სს. მიჯნის სამარხები (№№ 10 და 15), ორი რიტუალური კომპლექსი — ქვით ნაგები საკურთხევლები მრავალრიცხოვანი შეწირულობებით, რომლებიც ძვ. წ. VI და IV საუკუნეებით თარიღდება.

შეჯამებულია ცენტრალური ტერასის კიდევ ერთი უბნის გათხრების შედეგები. შესწავლილია ძვ. წ. IV—III სს კომპლექსი, წარმოდგენილი რიყის ქვებით მოკირწყლული საკულტო მოედნით, კოლხური და შემოტანილი კერამიკით, ლითონის და ძვლის ნივთებით, გლიპტიკური და ნუმიზმატიკური ძეგლებით. ეს კომპლექსი, ისევე, როგორც წინამდებარე ტომში გამოქვეყნებული სხვა ძეგლებიც მნიშვნელოვანი წყაროა როგორც საკუთრივ ვანის ნაქალაქარის, ასევე საერთოდ კოლხეთის ძველი ისტორიისა და კულტურის შესწავლისათვის.

კრებულში გამოქვეყნებული გრაფიკული ილუსტრაციები შესრულებულია არქიტექტორ გ. ყიფიანის და მხატვრების — ჯ. ჭუმბურიძის, ლ. გოგიჩაშვილის და მ. ბოკერიას მიერ. ფოტოები ეკუთვნის ვ. სალნიკერს.

ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი
პროფ. ოთ. ლორთქიფანიძე

# ПРЕДИСЛОВИЕ

Вани VIII — очередной сборник трудов Ванской археологической экспедиции — посвящается памяти видного архитектора, заслуженного деятеля искусств Грузинской ССР Георгия Ильича Лежава. В 1961 году по приглашению Н. В. Хоштариа, начав работать в Ванской экспедиции, до конца жизни служил ей со свойственной ему увлеченностью. Неутомимым трудом — исследованием, обмерами и реконструкциями храмов и алтарей, оборонительной системы и городских ворот, многочисленных архитектурных деталей — он внес неоценимый вклад в изучение Ванского городища. Несмотря на перегруженность, Георгий Ильич всегда находил возможность поделиться своим богатым опытом и знаниями с сотрудниками экспедиции, которые с благодарностью чтят его имя.

В сборнике отражены итоги полевых исследований, проведенных за последние годы на разных участках городища.

Публикуется два погребения (№№ 16 и 17), выявленных на верхней террасе городища в 1980 году. Датируются они концом IV — началом III в. до н. э. Особый интерес вызывает погребение № 16, в котором найден разнообразный инвентарь: украшения, перстни-печати части конской сбруи, железный кинжал, фрагменты панцыря, синопская амфора и др.

За последние годы было продолжено изучение культового комплекса, открытого в 1966—67 гг. в юго-западной части центральной террасы. В данном сборнике дана попытка обобщения итогов проведенных исследований.

В западной части центральной террасы за 1978—81 гг. были обследованы памятники II—I вв. до н. э. — монументальный алтарь и «сокровищница», в которой засвидетельствован довольно богатый и разнообразный материал (керамические сосуды разных форм и размеров, около 150-ти глиняных пирамидальных подвесок для ткацкого станка, железное оружие, бронзовые умбоны, серебряные статуэтки и медальон, золотые пластинки, многочисленные стеклянные бусы). К более раннему времени (III—II вв. до н. э.) относятся высеченные в скалистом грунте два жертвенника и остатки круглого здания.

В сборнике освещены итоги раскопок восточной части центральной террасы городища за последние годы. Публикуются погребения рубежа IV—III вв. до н. э. (№№ 10 и 15), два ритуальных комплекса — жертвенники, возведенные из камня, с многочисленными жертвоприношениями. Датируются эти жертвенники VI и IV веками до н. э.

Исследоавния проводились еще на одном участке центральной террасы, где был изучен комплекс IV—III вв. до н. э., представленный мощенной культовой площадкой, колхидской и привозной керамикой, изделиями из металла, глиптическими и нумизматическими памятниками.

Публикуемые материалы представляют собой важный источник для изучения не только истории самого Ванского городища, но и всей Колхиды в целом.

Графический иллюстративный материал выполнен архитектором Г. Кипиани, художниками Дж. Чумбуридзе, Л. Гогичашвили, М. Бокериа; фотоиллюстрации В. Сальникера.

Руководитель Ванской археологической
экспедиции Отар Лордкипанидзе

დ. კაჭარავა, ზ. მჭავანაძე

# ნაქალაქარის ზედა ტერასაზე 1980 წელს ჩატარებული მუშაობის ანგარიში

1980 წლიდან ვანის არქეოლოგიური ექსპედიცია შეუდგა მუშაობას ნაქალაქარის ახალ უბანზე[1], რომელიც ზედა ტერასის აღმოსავლეთ კიდეში მდებარეობს და მოიცავს 195-ე ნაკვეთის $c_{1-10}$—$k_{1-10}$, 196-ე ნაკვეთის $a_{1-10}$—$c_{1-10}$, 213-ე ნაკვეთის $c_{1-3}$—$k_{1-3}$ და 214-ე ნაკვეთის $a_{1-3}$—$c_{1-3}$ კვადრატებს (იხ. ნაქალაქარის გენგეგმა—სურ. 1). ჩრდილოეთიდან მას თანამედროვე სამანქანო გზა ესაზღვრება, ხოლო დანარჩენი სამი მხრიდან—ადგილობრივ მოსახლეთა ვენახები.

საანგარიშო წელს გაჭრილი თხრილი მოიცავდა უბნის სამხრეთ კიდეს (ნაკვ. 213, კვ. $c_{1-3}$—$k_{1-3}$. ნაკვ. 214, კვ. $a_{1-3}$—$c_{1-3}$. ნაკვ. 196, კვ. $a_{10}$—$c_{10}$ და ნაკვ. 195, კვ. $c_{10}$—$k_{10}$). თხრილის უდიდეს ნაწილში (ნაკვ. 213, კვ. $i_{2-3}$—$k_{2-3}$ გარდა) გათხრა დაყვანილი იყო კლდოვან დედაქანამდე.

კორდოვანმა ფენამ (სიმძლავრე 0,05—0,10 მ) მცირე მასალა მოგვცა: ოქროს მძივ-საკიდი[2] (სურ. $4_9$), ელექტრუმის კილიტი[3] (სურ. $3_{14}$) და საშუალო საუკუნეების მოჭიქული ჭურჭლის ფრაგმენტი[4]. მათგან აღსანიშნავია მძივსაკიდი, რომელსაც ვიწრო ბოლოებით შეწყვილებული კონუსების ფორმა აქვს. მისი ზედაპირი შემკულია სადა და დაკეჭნილი მავთულებით.

კორდოვან ფენას მოსდევდა ნაცრისფერი ჰუმუსნარევი ფენა, რომელიც მთელ ფართობზე დადასტურდა. მისი სიმძლავრე დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ მატულობდა (0,21 მ-დან 0,40—0,52 მ-მდე). ფენამ მცირერიცხოვანი მასალა მოგვცა — ბრტყელი, ყავისფერკეციანი (29) და სინოპური კრამიტის (3) ფრაგმენტები, პირამიდული საწაფი[5] და ძვ. წ. III ს-ის შავლაკიანი ამფორისკის პირ-ყელის ფრაგმენტი[6].

თხრილის ერთ ნაწილში, კერძოდ, სამხრეთ კიდესა (ნაკვ. 213, კვ. $c_{2-3}$—$d_{1-3}$—$e_{1-3}$) და ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში (ნაკვ. 214, კვ. $a_{1-2}$—$c_{1-2}$, ნაკვ. 196, კვ. $a_{10}$—$c_{10}$) ნაცრისფერი ჰუმუსნარევი ფენა უშუალოდ დედაქანზე იდო. თირი, რომელიც დახრილია დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ, საგანგებოდ დამუშავებულის შთაბეჭდილებას ტოვებდა: დედაქანის პრეპარაციის შედეგად გამოვლინდა ერთგვარი „საფეხურები“, რომლებიც ჩრდილო-დასავ-

---

1 ნ. ახელედიანის საკარმიდამო ნაკვეთი.
2 საv. № 07:1—80/1454.
3 სავ. № 07:1—80/1453.
4 სავ. № 07:1—80/913.
5 სავ. № 07:1—80/236.
6 სავ. № 07:1—80/186— იხ. ვანი VII, თბ., 1983, გვ. 77, № 374.

ლეთ —სამხრეთ-აღმოსავლეთ ღერძზეა განლაგებული. „საფეხურების“ სიგანე 0,70—0,80 მ-ია, სიმაღლე — 0,10—0,15 მ; მაქსიმალური სიგრძე, რომელზედაც ისინი გამოვლენილია, 6 მ-ია. „საფეხურების“ კიდეები გაუთხრელ ფართობში შედის. 213-ე ნაკვეთის $d_{2-3}$—$e_{2-3}$ კვადრატებში საფეხურები ჩაჭრილი აქვს „მოედანს“ (0,30—0,40 მ სიღრმეზე — სურ. 2[1]). მოედნის ზედაპირი მეტნაკლებად მოსწორებულია. აქ თიხის პრეპარაციის დროს აღმოჩნდა ბრინჯაოს ცილინდრული, გვერდჩაჭრილი ზარაკი და მანჭვლის ფრაგმენტი[7].

ნაცრისფერი ჰუმუსნარევი ფენის ქვეშ, მიწის თანამედროვე ზედაპირიდან 0.40—0.50 მ სიღრმეზე 213-ე ნაკვეთის $g_{1-2}$—$h_{1-2}$ კვადრატებში დაფიქსირდა რიყის ქვებისაგან შემდგარი ყრილი, რომელშიც შერეული იყო კრამიტებისა და თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები (სურ. 2[2]); ბრტყელი კრამიტის 80 ფრაგმენტი; უმრავლესობა ყავისფერკეციანია, არის მოწითალოკეციანებიც (კეცის სისქე 3—3,5 სმ); ღარიანი ყავისფერკეციანი კრამიტის 6 ფრაგმენტი (კეცის სისქე 2 სმ); ქოთნის პირ-ყელის ფრაგმენტი[8]; წრიულქუსლიანი ჭურჭლის ძირი[9], რომელსაც ქუსლშიდა ზედაპირზე ჯვრისებრი ნიშანი აქვს ამოკაწრული; სხვადასხვა ჭურჭლის კედლების უსახო ფრაგმენტები (18); სინოპური ბრტყელი კრამიტის 4 ფრაგმენტი: ძვ. წ. III—II სს. როდოსული ამფორის ყური[10], რომელზედაც დამღის ნაჭდევია შემორჩენილი[11]; მოყვითალოკეციანი ჭურჭლების კედლების მცირე ზომის ფრაგმენტები (7). ყრილი არ იყო ინტენსიური. მისი სისქე 0,10—0,13 მ აღწევდა.

თხრილის დანარჩენ ფართობზე ნაცრისფერ ჰუმუსნარევ ფენას მოსდევდა ნაცრისფერი კულტურული ფენა, რომელიც მრავლად შეიცავდა კრამიტების წვრილ ფრაგმენტებს (391) და ამიტომ საველე დოკუმენტაციაში შევიდა ნაცრისფერი კრამიტნარევი ფენის სახელით. ფენის სიმძლავრე მატულობდა დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ 0,10 მ-დან 0,80 მ-მდე. მაქსიმალურ სიმძლავრეს ფენა 213-ე ნაკვეთის $g_{1-3}$—$h_{1-3}$ კვადრატებში აღწევდა. ფენა საკმაოდ დაყურსული იყო მასალით, განსაკუთრებით ქვედა ჰორიზონტებში. აღსანიშნავია, რომ სიღრმეში იზრდებოდა არა მარტო მასალის რაოდენობა, არამედ ფრაგმენტების ზომებიც. ფენამ უპირატესად კერამიკული მასალა მოგვცა, როგორც ადგილობრივი, ასევე იმპორტული. განსაკუთრებით მრავლად აღმოჩნდა, როგორც აღინიშნა, ადგილობრივი წარმოების კრამიტების ფრაგმენტები. მათგან სჭარბობდა ბრტყელი კრამიტი (328 ფრ.). მათი კეცის სისქე 2,7—3 სმ-ია. აკეცილი კიდის სიმაღლე — 4—5,5 სმ, ხოლო სიგანე — 2,5—3 სმ. კალიპტერების (63 ფრ.) კეცის სისქე 1,7—2 სმ-ია.

ადგილობრივი წარმოების თიხის ჭურჭლიდან ნაცრისფერ კრამიტნარევ ფენაში აღმოჩნდა:

ქვევრების კედლების 19 ფრაგმენტი, რომელთაგან ერთი ადრეანტიკური ხანის მოგვიანო ეტაპის კოლხური კერამიკისათვის დამახასიათებელი ნიმუშია (I, 5Д ტიპი)[12] — მოწითალო-ყავისფერკეციანი, შემკული ირგვლივი ქედებით, სავარცხლისებური იარაღით გამოყვანილი ირიბი ნაჭდევებით, რომლებიც

7 საე. № 07:1—80/202—203.

8 საე. № 07:1—80/911.

9 საე. № 07:1—80/10.

10 საე. № 07:1—80/249.

11 უბანზე აღმოჩენილი იმპორტული ამფორები განსაზღვრა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა რუსუდან ფუთურიძემ.

12 ვანი V, თბ., 1981, გვ. 23, №№ 33—37, სურ. 28.

წიწვისებურადაა განლაგებული, და ამოკაწრული სამკუთხედით, რომელიც რომბისებური ნაკაწრი ბადითაა შევსებული; 18 ფრაგმენტი კი — შავ-, დაღარულზედაპირიანი ნიმუშები — ტიპიურია ელინისტური ხანისათვის;

ყავისფერკეციანი ამფორების ოვალურგანივკვეთიანი ყურების 11, ყელის 1, პირ-ყელის 2, ძირის 8 ფრაგმენტი[13]. ძირებს შორის სჭარბობს ღილისებურქუსლიანები. ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან როგორც მოყვანილობის დეტალებით, ასევე ზომებით; კერძოდ, ქუსლის ძირი ზოგს მომრგვალებული აქვს, ზოგს — ბრტყელი, ერთს კი — კონუსურშვერილიანი. ქუსლის დიამეტრი მერყეობს 3,9 სმ-დან 5,5 სმ-მდე, ხოლო სიმაღლე — 2 სმ-დან 3 სმ-მდე (სურ. $3_{2, 4, 6, 7}$) როგორც ცნობილია, ღილისებურქუსლიანი ამფორები გვიანელინისტური ხანის (ძვ. წ. II ს-ის დასასრულისა და I ს-ის პირველი ნახევრის) კომპლექსებისათვის არის ტიპიური[14]. ნაკლები რაოდენობითაა ცილინდრულქუსლიანი ძირები (3 ც. — სურ. $3_{6, 8, 10}$)[15], დამახასიათებელი ძვ. წ. IV—III საუკუნეების კომპლექსებსა და კულტურულ ფენებში აღმოჩენილი ამფორებისათვის[16]. თუმცა ცილინდრულქუსლიანი ამფორები უფრო მოგვიანო ხანაშიც გვხვდება ღილისებურქუსლიან ნიმუშებთან ერთად[17].

სამზარეულო კერამიკის — ქოთნების, ქვაბების, ლუთერიის — 9 ფრაგმენტია დადასტურებული ფენაში. ქვაბის ფრაგმენტი (პირ-კალთისა) მიეკუთვნება ფართო, დაბალპირისკიდიან ვარიანტს, რომელსაც ძვ. წ. I ს-ით ათარიღებენ[18] (სურ. $4_2$). ლუთერია ახლოსა დგას ძვ. წ. IV—III საუკუნეებში კოლხეთში ფართოდ გავრცელებულ სინოპური წარმოების ამგვარ ჭურჭელთან[19] (სურ. $4_1$). ქოთნების პირ-ყელი წარმოდგენილია შეზნექილპროფილიანი და სწორხაზოვანპროფილიანი ყელის მქონე ნიმუშებით.

სუფრის ჭურჭელი მცირერიცხოვანია. ჯამის ერთი ფრაგმენტია[20] — ბრტყელძირა, ძირისკენ ტანდავიწროებული (სურ. $3_{11}$). თეფშების ფრაგმენტები მიეკუთვნება ბრტყელძირა წრიულქუსლიან ტიპს, რომელსაც სწორი კუთხით ზემოთ აკეცილი პირი აქვს და რომელიც ძვ. წ. I საუკუნით თარიღდება[21].

მრავლად იყო ფიქსირებული ფენაში ადგილობრივი თიხის ჭურჭლის, უპირატესად ყავისფერკეციანის, უსახო ფრაგმენტები (160 ერთ.). ყურადღებას იქცევს ადგილობრივი თიხისგან დამზადებული ცხოველის ქანდაკების ფრაგმენტი (სურ. $4_3$)[22].

იმპორტული კერამიკიდან ფენაში აღმოჩნდა სინოპური ბრტყელი (51) და ღარიანი (6) კრამიტებისა და ამფორების კედლების (9), ვარდისფერ- და ჩალისფერკეციანი თეთრანგობიანი ამფორების (26) კედლების ფრაგმენტები, ელინისტური ხანის უცნობი ცენტრის მოვარდისფროკეციანი ამფორის ძირის

---

13 საკ. №№ 07:1—80/237, 239, 244, 247, 252—259.

14 ვანი I, თბ., 1968, გვ. 157, სურ. $II_{5-9}$; ვანი II, თბ., 1979, გვ. 26, სურ. 35—36; ვანი IV, თბ., 1979, გვ. 17.

15 საკ. №№ 07:1—80/239—255.

16 ვანი II, გვ. 72.

17 ვანი IV, გვ. 17.

18 საკ. № 07:1—80/259. შდრ. ნ. მ ა თ ი ა შ ვ ი ლ ი, ელინისტური ხანის ადგილობრივი კერამიკა ვანიდან, მსკა, V, თბ., 1973, გვ. 61. ტაბ. II, 15.

19 საკ. № 07:1—80/240, 266, 267 — იხ. ვანი VII, გვ. 78—79.

20 საკ. № 07:1—80/238.

21 საკ. № 07:1—80/268, 894 — შდრ. ნ. მ ა თ ი ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 60—61, ტაბ. II, 5, 6.

22 საკ. № 07:1—80/265.

ფრაგმენტი[23], ძვ. წ. IV—III სს-ის კოსის ამფორის თავმომრგვალებული კონუსის ფორმის ძირი[24], ძვ. წ. III ს-ის დასასრულის — II ს-ის როდოსული მცირე ზომის ამფორის ქუსლი[25], აგრეთვე როდოსული ამფორების ყურები, რომლებზეც ბროწეულის ყვავილიანი მრგვალი დამღა არის შემორჩენილი.

გარდა ამისა, ფენაში დადასტურდა ატიკური შავლაკიანი ჯამის ძირის ფრაგმენტი, შემკული ირიბი ნაჭდევებისაგან შემდგარი წრეებით[26] (ფრაგმენტულობა აძნელებს მის დათარიღებას), წითელლაკიანი თეფშების სამი ფრაგმენტი[27]. სამივე ე. წ. ჩალისფერკეციანი ჭურჭლებისაა, რომელთაც უკავშირებენ ხმელთაშუაზღვისპირეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილს და ათარიღებენ ძვ. წ. II ს. დასასრულითა და ძვ. წ. I ს-ის დასაწყისით. ერთი მათგანი მიეკუთვნება ფართო, ჰორიზონტალურ პირისკიდიან ვარიანტს (სურ. $3_{12}$), მეორე — დაბალ შვეულპირისკიდიან ვარიანტს (სურ. $3_{12}$)[28]. მესამე წითელლაკიანი ფრაგმენტი თეთრკეციანი ლანგრის კალთისაა. ამავე ფენის კუთვნილია წითელკეციანი ტერაკოტული ნიღბის ფრაგმენტი[29] — თვალის გამოსახულებაა მხოლოდ შემორჩენილი.

ნაცრისფერ კრამიტნარევ ფენაში ლითონისა და მინის ნაწარმიც აღმოჩნდა. ოქროსი: ტახის გამოსახულებიანი, ტანსაცმელზე (?) დასაკერებელი ფირფიტა (სურ. $10_1$), მამაკაცის თავის გამოსახულებიანი საკიდი (სურ. $9_4$), ფირფიტების ფრაგმენტები[30]; ვერცხლის: საკიდი[31] (სურ. $4_4$); ბრინჯაოსი: ნაჭდევი ორნამენტით შემკული სამაჯურები (სურ. $4_{5-6}$), ნახევარსფერული მოყვანილობის ღილი — დმ=1,5 სმ (სურ. $4_7$), მრგვალგანივკვეთიანი მავთულისგან დამზადებული საყურე რგოლი, ჭურჭლის (?) კედლის ფრაგმენტები, მრგვალქუდიანი ოთხკუთხაღეროიანი ლურსმანი (შემორჩენილი სიგრძე 4,3 სმ-ია — სურ. $4_8$), მანჭელის მრგვალი თავი[32]; რკინისა: ოთხკუთხაღეროიანი, მართი კუთხით მოხრილი სამაგრი, ლურსმნის ოთხკუთხა ღერო (სიგრძე 12,3 სმ), ძლიერ დაჟანგული მახვილის მცირე ზომის ფრაგმენტი[33]; ტყვიის: გაურკვეველი ნივთის უსახო ფრაგმენტები[34]; მინისა: ყვითელი გაუმჭვირვალე მინის ცილინდრული ფორმის მძივი, უფერული მინის ჭურჭლისა და ე. წ. ფინიკური მინის სანელსაცხებლის კედლის ფრაგმენტი[35] — ცისფერ ფონზე მუქი ლურჯი ფერის ბუმბულისებრი ორნამენტით შემკული. ამგვარ მონოქრომულ მინის ჭურჭელს ჩვეულებრივ ძვ. წ. II—I სს. აკუთვნებენ[36]. ზემოთ ჩამოთვლილი ოქროს საკიდისა და ფირფიტების ანალოგიები in situ აღმოჩნდა № 16 სა-

---

23 საე. № 07:1—80/246.

24 საე. № 07:1—80/245—შდრ. И. Б. Зеест, Керамическая тара Боспора, МИА, 83, М, 1960, გვ. 106, ტ.ბ. XXIV, 53 в.

25 საე. № 07:1—80/270 — შდრ. И. Б. Зеест, დასახ. ნაშრ., გვ. 104, ტაბ. XXIV, 50 ა.

26 საე. № 07:1—80/248.

27 საე. №№ 07:1—80/298, 299, 895.

28 იხ. ნ. მათიაშვილი, წითელლაკიანი კერამიკა, ვანი II, თბ., 1976, გვ. 96, სურ. 125, $126_{1-3}$.

29 საე. № 07:1—80/346.

30 საე. №№ 07:1—80/295, 291, 928.

31 საე. № 07:1—80/344.

32 საე. №№ 07:1—80/314, 315, 315 ა, 189, 312, 187, 188, 303, 302.

33 საე. №№ 07:1—80/332, 300, 301.

34 საე. №№ 07:1—80/347.

35 საე. №№ 07:1—80/345, 333/313.

36 იხ. P. Fossing, Glass Vessels before Glass—blowing, Copenhagen, 1940, გვ. 9?, 106, 112, სურ. 84, 85.

მარხში, რომლის შესახებ ქვემოთ იქნება საუბარი. ამიტომ ეს ნივთებიც სამარხის კუთვნილად იქნა მიჩნეული და მის ინვენტართან ერთად იქნება განხილული. ფენაში ისინი სამარხის დაზიანების შედეგად უნდა მოხვედრილიყვნენ.

თხრილის მცირე მონაკვეთზე (ნაკ. 213. $h_{1-3}$—$i_{1-3}$) ნაცრისფერ კრამიტნარევ ფენას მოსდევდა შავი, ნახშირნარევი ფენა (სისქე — 0.15—0,45 მ), რომელიც ასევე მრავლად შეიცავდა მასალას, უპირატესად კერამიკულს როგორც ადგილობრივს, ისე შემოტანილს.

სამეურნეო კერამიკიდან შეგვხვდა ქვევრებისა (28) და ამფორების (69) ფრაგმენტები. ქვევრების ფრაგმენტებიდან ერთი — ოთხკუთხაგანივკვეთიანი პირის გვირგვინი, შემკული წიწვისებური ორნამენტით — ადრეანტიკურ ხანას მიეკუთვნება (I, IB ტიპი)[37], დანარჩენი ფრაგმენტები კი — მათ შორის ოთხკუთხაგანივკვეთიანი პირის გვირგვინი, დაღარულზედაპირიანი, ნაჭდევების რიგით შემკული კედლის ფრაგმენტი — ელინისტური ხანისა[38]. მრავლადაა წარმოდგენილი ყავისფერკეციანი ამფორების პირის, ყურების, ძირებისა და კედლების ფრაგმენტები. პირ-ყელის 4 ფრაგმენტიდან ერთს სამკუთხაგანივკვეთიანი პირის გვირგვინი აქვს[39] (სურ. $5_1$), დანარჩენებს — ოთხკუთხაგანივკვეთიანი[40] (სურ. $5_2$). ყველას შერჩენილი აქვს ოვალურგანივკვეთიანი ყურის ნაწილი მაინც. ერთ შემთხვევაში ყურს შუა ნაწილზე ქედი გასდევს (სურ. $5_1$). ყურების ფრაგმენტებზე ზოგჯერ ძირთან თითით ფოსოა გამოყვანილი[41]. ფენამ 16 ამფორის ძირი მოგვცა, რომელთა უმრავლესობა ღილისებურქუსლიანია, 5 ძირს კი ცილინდრული მოყვანილობა აქვს[42] (სურ. $5_{3-8}$).

შავ ნახშირნარევ ფენაში დადასტურდა სამზარეულო კერამიკის სხვადასხვა სახეობები: ე. წ. ცრუყურიანი ქვაბების გვიანდელი (ძვ. წ. I ს.) ვარიანტის (სურ. $5_9$) და მათთან დაკავშირებული ცილინდრულთავიანი, სადა დახრილკალთიანი ხუფის ფრაგმენტები (9)[43]; ბადიების ფრაგმენტები რომლებშიც პირის მოყვანილობის მიხედვით სამი ვარიანტი გამოირჩევა — სადა პირისკიდიანი, შიგნით პირგადახრილი, და ფართო, გარეთ გადაშლილი პირისკიდიანი[44] (სურ. $5_7$). ქოთნების ფრაგმენტები (42) — მათ, როგორც წესი, სადა, გარეთ გადახრილი პირი, დაბალი, შეზნექილპროფილიანი ყელი აქვთ (ქოთნის კედლის ერთ ფრაგმენტზე შემორჩენილია თხელი, ოვალურგანივკვეთიანი, თანაბრად მორკალული ყური[45]); საწურების კედლები[46], ე. წ. ტაფისებური ჭურჭლის პირკედლისა[47] და ლუთერიის[48] ფრაგმენტები (4).

სუფრის ჭურჭელი წარმოდგენილია ჯამებითა და თეფშებით (28 ფრ.). ჯამები რამდენიმე სახისაა: 1. შიგნით პირგადახრილი, გამობერილკალთიანი ჯა-

---

37 საე. №№ 07:1—80/1172—შდრ. ეანი V, გვ. 18, სურ. 20, 25, №№ 4—7.

38 საე. № 07:1—80/835, 1163.

39 საე. № 07:1—80/802.

40 საე. № 07:1—80/803, 1178, 1188.

41 საე. № 07:1—80/833, 834, 1166—1167, 1189.

42 საე. №№ 07:1—80/799—801, 826—828, 1164—1165, 1173—1177, 1182—1183, 1187.

43 საე. №№ 07:1—80/1193, 1199—1200. შდრ. ნ. მათიაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 61, ტაბ. $II_{3, 15}$, $V_9$.

44 საე. № 07:1—80/812, 1196—1197.

45 საე. №№ 07:1—80/836—840, 1184, 1201—1206; ყურიანი ქოთანი — № 07:1—80/804.

46 საე. № 07:1—80/1195.

47 საე. № 07:1—80/1169.

48 საე. № 07:1—80/1198.

მები[49], რომელთა შორის არის ბრტყელძირა, უქუსლო და ქუსლიანი ნიმუშები (სურ. $6_1$). უქუსლო ჯამი შავკეციანია, ქუსლიანი კი — ყავისფერკეციანი. როგორც ცნობილია, უქუსლო ბრტყელძირა ჯამები ფართოდაა გავრცელებული ადრეანტიკურ ხანაში, თუმცა განაგრძობენ არსებობას ძვ. წ. IV—III საუკუნეებშიც[50]. რაც შეეხება წრიულქუსლიან ჯამებს, ისინი ელინისტური ხანისთვისაა დამახასიათებელი[51]. 2. ნახევარსფერული მოყვანილობის ჯამის ფრაგმენტი[52] (სურ. $6_2$), რომელსაც წითლად გაპრიალებული ზედაპირი აქვს; 3. ვერტიკალურად აკეცილკალთიანი ჯამები, რომლისგან ერთს თხელი, ბოლოებმოხრილი ჰორიზონტალური ყური აქვს[53] (სურ. $6_3$).

თეფშები წარმოდგენილია ძვ. წ. I ს-სათვის ტიპიური ვერტიკალურად აკეცილკიდიანი, დახრილკალთიანი ნიმუშებით[54] (სურ. $6_{4-5}$). საკმაოდ მრავალადაა ნაპოვნი წრიულქუსლიანი ძირები, რომელთა ნაწილი მაინც თეფშებს უნდა ეკუთვნოდეს[55]. ქუსლი, როგორც წესი, ოთხკუთხაგანივკვეთიანია (დმ — 7,2—11 სმ). თეფშის (თუ ლანგრის) კუთვნილია აგრეთვე პირ-კალთის ერთი ფრაგმენტი[56], რომელსაც პირის კიდე გარეთ აქვს გადაკეცილი (სურ. $6_6$). პირის კიდეზე წითელი საღებავის ზოლია შემორჩენილი.

ფენაში აღმოჩენილი სხვა კერამიკული ფრაგმენტებიდან აღსანიშნავია თიხის ჭურჭლის შავპრიალაზედაპირიანი ნატეხი, რომელზეც შერჩენილია თხელი, მარყუჟისებური ყური. მოხრის ადგილზე ყურზე ცხვრის (?) თავია დაძერწილი[57].

ამავე ფენაში დადასტურდა სხვადასხვა ჭურჭლის კედლების უსახო, მცირე ზომის ფრაგმენტები (322).

სამშენებლო კერამიკა ფენაში წარმოდგენილი იყო ბრტყელი კრამიტების ფრაგმენტებით (234), რომელთაგან ყურადღებას იქცევს ორდამღიანი ნიმუში[58] (სურ. $5_9$). ანალოგიური კრამიტების ნატეხები აღმოჩენილია ნაქალაქარის სხვა უბნებზეც ძვ. წ. IV—III სს. კომპლექსებში[59].

შავმა ნახშირნარევმა ფენამ იმპორტული კერამიკის ფრაგმენტებიც მოგვცა. მათ შორისაა ადრეული როდოსული ამფორის პირის ფრაგმენტი[60] (სურ. $6_7$), სინოპური, თეთრანგობიანი ჩალისფერ- და ვარდისფერკეციანი და სხვა ამფორების[61] ფრაგმენტები (47), ძვ. წ. IV—III სს. სინოპური ლუთერიის[62],

---

49 საკ. №№ 07:1—80/805, 1168.

50 ვანი V, გვ. 42—43, კატ. №№ 173—178, სურ. 64.

51 ნ. ვაშაკიძე, გურიანთის ანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები, სდსძ, II, თბ., 1971, გვ. 22; ნ. მათიაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 61, ტაბ. II, V; ვანი I, გვ. 208, სურ. 178.

52 საკ. № 07:1—80/793.

53 საკ. № 07:1—80/811, 1194.

54 საკ. №№ 07:1—80/795—796, 806—810, 847—850. შდრ. ნ. მათიაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 60—61, ტაბ. II.

55 საკ. №№ 07:1—80/851—853, 1179, 1185—1186, 1190—1192.

56 საკ. № 07:1—80/794.

57 საკ. № 07:1—80/1171.

58 საკ. № 07:1—80/1250.

59 119-ე ნაკვეთის მოყვითალო-ნაცრისფერი კულტურული ფენა.

60 საკ. № 07:1—80/856 — შდრ. V. Grace, Notes on the Amphoras from the Koroni Peninsu'a, Hesperia. XXXII, 1963, № 3.

61 საკ. № 07:1—80/855, 869, 1208, 1210 ვერ განისაზღვრა ძლიერ ფრაგმენტულობის გამო.

62 საკ. № 07:1—80/1170 — იხ. ვანი VII, გვ. 79, № 388.

ძვ. წ. II—I სს. შავ- და წითელლაკიანი თეფშების[63] ფრაგმენტები (სურ. $6_{8-10}$). ვარდისფერკეციანი, წრიულქუსლიანი დოქის (?) ძირი[64] და სხვ.

არაკერამიკული მასალიდან ფენაში აღმოჩნდა ბრინჯაოს ჭურჭლის ყური (?), რომელიც შემკულია ლომის თავის გამოსახულებით (სურ. $5_{10}$)[65].

213-ე ნაკვეთის $f_{1-3}$—$h_{1-3}$ კვადრატებში შავი კრამიტნარევი ფენის ქვეშ თავი იჩინა მოყვითალო თირნარევმა ფენამ (სიმძლავრე 0,50—0,20 მ). თირნარევი ფენა უშუალოდ კლდოვან დედაქანზე იდო, რომელიც აქ მიწის თანამედროვე ზედაპირიდან 0,60—1,50 მ სიღრმეზე იყო ჩაჭრილი მოედანივით. ამ მოედანს სამხრეთი და დასავლეთი მხრიდან კლდოვანი დედაქანი ჰქონდა კედლად, რომლის ძირში არაღრმა ღარი დაფიქსირდა (სურ. $2_6$). აღმოსავლეთის მხრიდან „ღარიანი მოედანი“ ღიაა (მისი კიდე 110 მ სიღრმეზე ჩაჭრილია). მრგვალი ფოსო გაიწმინდა (დმ — 0,15 მ. სიმაღლე — 0,25 მ).

„ღარიან მოედანზე“ დადასტურებულმა მოყვითალო თირნარევმა ფენამ მხოლოდ ოქროს რამდენიმე ნივთი მოგვცა: გაურკვეველ გამოსახულებიანი ფირფიტა, ფირფიტის ფრაგმენტი — გრიფონის ნისკარტი (?), მამაკაცის სახის გამოსახულებიანი 5 საკიდი, 2 მილაკი[66]. ოქროს ერთი მძივი აღმოჩნდა ფოსოში[67]. ვფიქრობთ, რომ ოქროს ეს სამკაულებიც სამარხის დაზიანების შედეგად უნდა მოხვედრილიყო აღნიშნულ ფენაში და ფოსოში. ამიტომ მათ სამარხეულ ინვენტართან ერთად განვიხილავთ.

სამარხი (№ 16) აღმოჩნდა 213-ე ნაკვეთის $f_{3-4}$—$g_{3-4}$ კვადრატებში (იხ. ნაქალაქარის გეგმა — სურ. 1). ზემოთ განხილული ნაცრისფერი კრამიტნარევი ფენა მხოლოდ ნაწილობრივ ფარავდა სამარხს — მისი გავრცელების დასავლეთი კიდე გადადიოდა სამარხის სამხრეთ ნაწილზე. სამარხი გამართული იყო კლდოვან დედაქანში (თირში) საგანგებოდ ამოკვეთილ ოთხკუთხა ორმოში (2,5×1,80 მ). ორმოს დასავლეთი კედელი კარგადაა შემორჩენილი—კლდოვანი დედაქანი ვერტიკალურადაა ჩაჭრილი 0,95 მ სიღრმეზე. სამხრეთი კედელი, რომლის სიმაღლე დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ კლებულობს, ნაწილობრივ დაზიანებულია. ძნელი სათქმელია, იყო თუ არა ორმო აღმოსავლეთი და ჩრდილოეთი მხრიდანაც კედლებით შემოსაზღვრული, ვინაიდან სამარხის მთელი ჩრდილო-აღმოსავლეთი კიდე დაზიანებულია — როგორც ზემოთაც აღინიშნა, სამარხეული ინვენტარის ნაწილი (ოქროს მძივი, ფირფიტები, საკიდები, მილაკები), რომლის ანალოგიური ნივთები სამარხში in situ არის დადასტურებული, ფიქსირებულია მიმდებარე ფართობზე.

სამარხზე ზემოდან დაყრილი იყო საგანგებოდ გაფხვიერებული თირის ფენა (სისქე 0,20—0,40 მ. სურ. $8_2$). ნაშალ თირში შერეული იყო თიხის ჭურჭლის წვრილი ნატეხები. მათ შორისაა ზოომორფული ყურის ფრაგმენტი და ადრეანტიკური ხანის კოლხური ქვევრის ყელმხრის ფრაგმენტი[68]. როგორც ჩანს, სამარხი ორმოს ამოვსებისას დაუზიანებიათ ადრეანტიკური ხანის კულტურული ფენა. გაფხვიერებული თირის ფენის ზედა შრე ძლიერ დატკეპნილია. ნაშალი თირის ფენაზე ზემოდან დაფიქსირდა რიყისა და თირის ქვების-

---

63 საკ. №№ 07:1—80/813—815, 858, 1180, 1194, 1207, 1210—1212, 1242— შდრ. ნ. მ ა თ ი ა შ ვ ი ლ ი, წითელლაკიანი კერამიკა, გვ. 96—98.

64 საკ. № 07:1—80/1181.

65 საკ. № 07:1—80/10.

66 საკ. №№ 07:1—80/294, 297, 922, 931—934, 951—952.

67 საკ. № 07:1—80/942.

68 საკ. № 07:1—80/10, 11.

გან შემდგარი ყრილი (სურ. $2_3$). ამრიგად, კვლავ გვხვდება ნაქალაქარზე მრავალგზის დადასტურებული წესი სამარხზე ქვაყრილის დაყრისა[69]. ქვაყრილი განსაკუთრებით ინტენსიური იყო ორმოს დასავლეთ და სამხრეთ კედლებთან— დაუზიანებელ ნაწილში. ქვაყრილზე იდო კრამიტყრილი — უპირატესად კალიპტერებისგან შემდგარი[70]. ქვაყრილში თავი იჩინა ნახშირის მარცვლებმა, განსაკუთრებით დასავლეთ კედელთან, რომელიც, თავის მხრივ, ცეცხლის კვალს ატარებდა.

№ 16 სამარხის ინვენტარი საკმაოდ მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანია: წარმოდგენილია სამკაულით, ცხენის აკაზმულობით, იარაღით, ჭურჭლით, მონეტებით. ამ ჯგუფებიდან ყველაზე მრავალსახოვანი სამკაულია (საყურეები, ხატისუღლები, სამაჯურები, ბეჭდები, მძივები, ფირფიტები).

სამარხში ოქროს ხუთი საყურე აღმოჩნდა. მათგან სამი — ბურთულიანია, ხოლო ორი საყურე მარტივ რგოლს წარმოადგენს. ბურთულიანი საყურეები სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში კარგად ცნობილ ტიპებს ეკუთვნიან — ე. წ. ჭვირულ- და დაღარულბურთულიანს.

ჭვირულბურთულიანი საყურე ვანის № 16 სამარხში ერთი ცალია აღმოჩენილი[71]. იგი მიეკუთვნება ამ ტიპის საყურეების იმ ვარიანტს, რომლის ბურთულა ბიკონუსური მოყვანილობისაა[72] (კატ. № 1, სურ. $9_1$). ასეთი ჭვირულბურთულიანი საყურეები ცნობილია ვანის № 9 და ითხვისის სამარხებიდან[73]. ჩვენი ნიმუში მათ ზუსტ ასლს არ წარმოადგენს: საყურის რგოლის მთელი წინაპირი კი არ არის გრეხილი მავთულებით დაფარული, არამედ შუაშია მხოლოდ ორი გრეხილი მავთული დარჩილული; კიდეებზე ცვარასაგან შემდგარი სამკუთხედები გასდევს, ხოლო წინაპირის ქვედა კიდეზე ორმაგი მარყუჟისებრი ვიწრო ფირფიტაა დარჩილული. საყურე ძველად რესტავრირების კვალს ატარებს.

ოქროს წყვილი საყურე № 16 სამარხიდან (კატ. № 2, სურ. $9_2$) მიეკუთვნება საყურეების ასევე კარგად ცნობილ ტიპს — ე. წ. დაღარულბურთულიანებს. ვანის ნაქალაქარზე ამ ტიპის საყურეები № 8 და № 11 სამარხებშია აღმოჩენილი (ძვ. წ. V ს.)[74]. ჩვენი ნიმუში მათთან შედარებით გაცილებით უფრო სადაა; ცილინდრები, რომლითაც საყურის ბურთულა უკავშირდება საყურე რგოლსა და მცირე ზომის ბურთულებისგან შემდგარ მტევანს, სადაა; საყურე ბურთულას შუაწელზე დარჩილულ სარტყელზე ჭდეით გამოყვანილია ბურცობები — ცვარას იმიტაცია; საყურე ბოლოვდება ბურთულებისგან შემდგარი მტევნით, მაშინ როცა № 8 და № 11 სამარხების საყურეების სარტყელი შემკულია ცვარათი შედგენილი პირამიდებით, ცილინდრებს კიდეებზე დაკეჭნილი მავთული შემოუყვება (№ 11 სამარხის ცილინდრები დაღარულია კიდეც), ხოლო საყურის დამაბოლოვებელი მტევანი ცვარათი ან ბურთულებით გამოყვანილი პირამიდებისგანაა შემდგარი.

---

69 ვანი I, თბ., 1971, გვ. 10; ვანი IV, გვ. 27.

70 სავ. № 07:1—80/782—787.

71 ცალი საყურის ჩატანების ფაქტი ვანში ადრეც არის დადასტურებული — იხ. ვანი I, გვ. 120, 203, 215; ითვლება, რომ ცალ საყურეს მამაკაცებს ატანდნენ — იხ. ა. ჭ ყ ო ნ ი ა, ოქროს სამკაულები ვანის ნაქალაქარიდან, ვანი VI, თბ., 1981, გვ. 25.

72 ვანის № 11 სამარხის ჭვირულბურთულიანი საყურეების ბურთულა წაგრძელებული სფეროს ფორმისაა — იხ. ვანი I, გვ. 218—219, სურ. 191.

73 ვანი I, გვ. 206—207, სურ. 168. ითხვისის საყურე ინახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში.

74 ვანი I, გვ. 120, 124, სურ. 68; გვ. 233, სურ. 206.

ვანს გარდა დალარულბურთულიანი საყურეები აღმოჩენილია ფიჭენარში ძვ. წ. V ს-ის სამარხებში (ბერძენ მოახალშენეთა სამაროვნის № 3 და კოლხური სამაროვნის № 13 სამარხები)[75]. ამ საყურეებს, ვანში მოპოვებულთაგან განსხვავებით, ბიკონუსური მოყვანილობის ბურთულა აქვთ. ვანის № 16 სამარხის საყურესთან დიდ მსგავსებას ავლენს დაბლაგომის № 25 ქვევრსამარხში (ძვ. წ. IV ს. უკანასკნელი მეოთხედი — III ს. დასაწყისი)[76] აღმოჩენილი ბრინჯაოს დალარული ბურთულა, რომელსაც შუაწელზე ცვარას იმიტაციით შემკული სარტყელი აქვს, ხოლო ქვედა ცილინდრი ბურთულებისგან შემდგარი მტევნით ბოლოვდება[77].

ბურთულიან საყურეებს ა. ჭყონია ძირითადად ძვ. წ. V ს-ით ათარიღებს და თვლის, რომ ამ ტიპის საყურეები ძვ. წ. IV ს-შიც არ კარგავენ თავის ფუნქციას[78]. ჭვირულბურთულიანი საყურეების ის ვარიანტი, რომლისთვისაც ბიკონუსური მოყვანილობის ბურთულაა დამახასიათებელი, ჯერჯერობით, როგორც ვნახეთ, მხოლოდ ძვ. წ. IV ს-ის მეორე ნახევრის კომპლექსებშია დამოწმებული. ეს გარემოება შესაძლებელია იმის მანიშნებელი იყოს, რომ ჭვირულბურთულიანი საყურეების ეს ნაირსახეობა ადრეანტიკური ხანის გვიანდელი ეტაპისთვისაა დამახასიათებელი. რაც შეეხება დალარულბურთულიან საყურეებს № 16 სამარხიდან, ცვარას იმიტაცია, საყურის დამაბოლოებელი მტევნის გამარტივება მათ გვიანდელობაზე უნდა მიუთითებდეს.

ბურთულიანი საყურეები სამარხის სამხრეთ ნაწილში დაფიქსირდა, ერთიმეორის მახლობლად (სურ. $7_5$; $8_3$).

ელექტრუმის წყვილი საყურე (უფრო სასაფეთქლე) რგოლი გახსნილია, ბოლოებგაუხვრეტავი; დამზადებულია ოთხწახნაგა მავთულისაგან (კატ. № 3, სურ. $9_3$). ცნობილია, რომ გახსნილი, ბოლოებგაუხვრეტავი წრიული რგოლები ძვ. წ. IV ს-ის დასასრულიდან ვრცელდება საქართველოში. ისინი, როგორც წესი, მრგვალგანივკვეთიანი მავთულისგანაა დამზადებული. მათ ან დამოუკიდებელ სამკაულად (საყურე რგოლი, ბეჭედი) ან რთული შედგენილობის საყურის ნაწილად მიიჩნევენ[79]. ვანის № 16 სამარხის საყურე რგოლებს უშუალო ანალოგია არ ეძებნებათ. ექვსწახნაგა მავთულისგან დამზადებული რგოლები აღმოჩენილია მოდინახეს № 3 (ძვ. წ. V ს. მეორე ნახევარი) და № 6 (ძვ. წ. III ს.) სამარხებში (მაგრამ მათ დაბრტყელებული და გახვრეტილი ბოლოები აქვთ)[80]. ოთხწახნაგა ღერო აქვს შრომისუბნის სამაროვანზე აღმოჩენილ ოქროს მცირე ზომის სასაფეთქლე რგოლებს[81].

---

75 ა. კახიძე, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ანტიკური ძეგლები (ფიჭენარის ბერძნული სამაროვანი), ბათუმი, 1975, გვ. 60, ტაბ. XXI, I; ფიჭენარის კოლხურ სამაროვანზე ფართოდაა გავრცელებული ბრინჯაოსგან დამზადებული დალარულბურთულიანი საყურეები, რომელთა ბურთულას ბიკონუსური მოყვანილობა აქვს.

76 ე. თოლორდავა, დაკრძალვის წესები ელინისტური ხანის საქართველოში, თბ., 1980, გვ. 14.

77 Б. А. Куфтин, Материалы к археологии Колхиды, т. II. Тб., 1950, с. 50, табл. 14.

78 ა. ჭყონია, ოქროს სამკაულები ვანის ნაქალაქარიდან, გვ. 26.

79 დაწვრ. იხ. ა. ჭყონია, დასახ. ნაშრ., გვ. 69; ც. დავლიანიძე, ქვემო ქართლის (თრიალეთის) კულტურა ძვ. წ. I ათასწლეულის მეორე ნახევარში, თბ., 1983, გვ. 82;

80 ჯ. ნადირაძე, ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები, გვ. 29, 38, სურ. 2. დაბრტყელებულ- და გახვრეტილბოლოიანი რგოლები უფრო ძვ. წ. VI—IV სს-შია გავრცელებული, თუმცა გვხვდება ძვ. წ. IV—III სს. ქვევრსამარხებშიც (დაბლაგომი, დაფნარი, ფარცხანაყანევი).

81 ც. დავლიანიძე, ქვემო ქართლის (თრიალეთის) კულტურა ძვ. წ. I ათასწლეულის მეორე ნახევარში, გვ. 4.

რგოლებიდან ერთი სამარხის სამხრეთ კიდესთან აღმოჩნდა (სურ. $8_3$), მეორე — სამარხი ორმოს დასავლეთ კედელზე.

როგორც ჩანს, ყელსაბამს შეადგენდნენ ელექტრუმის საკიდები (19 ც.; კატ. № 9, სურ. $9_4$), რომლებიც ადამიანის სახის გამოსახულებებს წარმოადგენდნენ. ისინი ერთ ჯგუფადაა აღმოჩენილი (7 ცალს გარდა; 6 ცალი, როგორც აღინიშნა, სამარხი ორმოს გარეთ აღმოჩნდა, ხოლო 1 საკიდი სამარხის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში დაფიქსირდა (სურ. $8_3$, № 9). ადამიანის სახის გამოსახულებიანი საკიდებისგან შემდგარი ყელსაბამები ფართოდაა გავრცელებული ანტიკურ ოქრომჭედლობაში[82].

აქვე განვიხილავთ ოქროს მძივებსა (3 ც.) და მილაკებს (4 ც.), რადგან ისინი შესაძლოა, ყელსაბამის ნაწილებია. მძივებიდან ორი სადაა (კატ. № 10, სურ. $10_5$), ერთი — ღარული (კატ. № 11, სურ. $10_6$). სადა მძივები სამარხის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში აღმოჩნდა, საკიდებისა და ფირფიტების სიახლოვეს (სურ. $8_3$, № 10), ხოლო ღარული — სამარხი ორმოს გარეთ, ე. წ. ღარიან მოედანზე, დედაქანში ამოკვეთილ მრგვალ ფოსოში. ამ ტიპის მძივები ფართოდაა გავრცელებული კოლხეთში, მაგრამ მათი ტიპოლოგიური და ქრონოლოგიური კლასიფიკაციის შემუშავება ჯერჯერობით არ ხერხდება. მილაკები ღარულია, მიღებულია ფირფიტის წრიულად მოკეცვის შედეგად. ორი მათგანი აღმოჩნდა სამარხი ორმოს ცენტრალურ ნაწილში (სურ. $8_3$), ორი კი — ღარიან მოედანზე. მათი სიგრძე საშუალოდ 1,2 სმ-ა. ამგვარი ღარული მილაკები ვანში ძვ. წ. IV—I სს. კომპლექსებშია დადასტურებული[83].

ყელის სამკაული სამარხეულ ინვენტარში ხატისულღლებითაცაა წარმოდგენილი. ხატისულღელი ორი აღმოჩნდა. ერთი ვერცხლისაა, მეორე — ბრინჯაოსი. ხატისულღლები ერთად აღმოჩნდა სამარხის ცენტრალურ ნაწილში (სურ. $8_3$), თანაც ბრინჯაოს ხატისულღელი ზემოდან ედო ვერცხლისას (სურ. $7_1$).

ვერცხლის ხატისულღელი (კატ. № 15, სურ. $11_5$) წრიული ფორმისაა, თავგახსნილი; დამზადებულია ექვსკუთხაგანივკვეთიანი ღეროსგან, იკვრება კაუჭებით. კაუჭებთან ახლოს, ორივე მხარეს შემსხვილებაა, შემკული წიწვისებური ნაკვეთი ორნამენტით. მსგავსი ხატისულღლები დადასტურებულია ითხვისის № 2 (ძვ. წ. IV ს. მეორე ნახევარი)[84], შრომისუბნის № 2 (ძვ. წ. V ს. მიწურული) და მოდინახეს № 3 სამარხებში (ძვ. წ. V ს. მეორე ნახევარი)[85], აგრეთვე ვანის № 3 სამარხში (ძვ. წ. III ს.)[86].

ბრინჯაოს ხატისულღელი (კატ. № 30) მძივისებური შემსხვილებებით ბოლოვდება, მრგვალგანივკვეთიანი მავთულისაგანაა დამზადებული; ძლიერ დაზიანებულია. რკალის ბოლოების გაფორმებით ბრინჯაოს ეს ხატისულღელი ახლოს დგას ახალგორის განძის ერთ-ერთ ხატისულღელთან[87].

სამარხი საკმაო რაოდენობით მძივებს შეიცავდა, რომელთა დიდი ნაწილი უთუოდ ყელსაბამს (თუ ყელსაბამებს) ქმნიდა. ესენია: სერდოლიკის, გიშრის, გაუმჭვირვალე და გამჭვირვალე მინის მძივები და საკიდები (კატ. №№ 66—85, სურ. $14_{1-13}$). მინის მძივებს შორის გვხვდება როგორც ერთი ფერის, ასევე

---

82 R. A. Higgins, Greek and Roman Iewellery, London, 1962. p. 110.

83 იხ. ა. ჭყონია, ოქროს სამკაულები..., გვ. 50, 80, სურ. 54.

84 იხ. ი. გაგოშიძე, მასალები ქართული ოქრომჭედლობის ისტორიისათვის, სსმმ, ტ. XXXII—B, თბ., 1976, გვ. 8.

85 ი. გაგოშიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 10; ჯ. ნადირაძე, ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები, გვ. 29, 34, ტაბ. XII, 1.

86 ვანი I, გვ. 89; ვანი IV, გვ. 119, სურ. 193.

87 Я. И. Смирнов, Ахалгорийский клад, Тифлис, 1934, с. 3—6, табл. I—3.

პოლიქრომიული ნიმუშები. ისინი მრავალფეროვანია როგორც ფორმით (მრგვალი, ცილინდრული, ბიკონუსური, კვერცხისებური და სხვ.), ასევე ფერით (ყვითელი, ლურჯი, ფირუზისფერი, ცისფერი, შავი და სხვ.) და შემკულობით (სადა, დათვალული, ე. წ. მოზაიკური და სხვ.). ყურადღებას იქცევს პოლიქრომიული მინის მძივები (5 ც. — კატ. № 78), შემკული ე. წ. ფესტონისებური ანუ ბუმბულისებური ორნამენტით[88]. ამ სახის მძივები ფართოდაა გავრცელებული მთელს ანტიკურ სამყაროში მთელი ანტიკური ხანის მანძილზე. ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში ისინი მასიურად გვხვდება ძვ. წ. IV—II სს-ში[89]. ლურჯი მინის დათვალულ მძივებს ანალოგია ეძებნება ვანშივე (№ 9 სამარხი)[90], ითხვისში (№ 2 სამარხი)[91] და სხვ.

სამარხეულ ინვენტარში შედიოდა სხვადასხვა ლითონისგან დამზადებული 27 სამაჯური. მათგან 5 ვერცხლისაა, 11 — ბრინჯაოსი, დანარჩენი კი — რკინისა. რამდენიმე წყვილი და თანაც სხვადასხვა ლითონისაგან დამზადებული სამაჯურები ხშირად გვხვდება ერთად ვანის სამარხებში[92], ისევე როგორც ბევრგან სხვაგან (ქობულეთ-ფიჭვნარი, დაბლაგომი, ითხვისი, ყანჩაეთი, ალგეთი, სამთავრო, კავთისხევის ციხია-გორა და სხვ.)[93].

ვერცხლის სამაჯურები № 16 სამარხიდან ერთი ტიპისაა — რკალგახსნილი, ზურგშედრეკილი, დამზადებულია რვაკუთხაგანივკვეთიანი ღეროსგან. ბოლოები შემკულია ირგვლივ ღრმა ღარებით, ღარებს შუა ზედაპირი — ირიბი ნაჭდევებით (კატ. № 16, სურ. $11_5$). ამ სამაჯურების ანალოგიებია ვანის № 3, ითხვისის № 2 სამარხში აღმოჩენილი ვერცხლის სამაჯურები[94]. ტიპოლოგიურად ამავე რიგისაა, შემკულობის თვალსაზრისით, ვანის № 9 სამარხის ვერცხლის სამაჯური, № 12 სამარხის ბრინჯაოსა და ვერცხლის ხატისულღები და ახალგორის განძის ერთ-ერთი ოქროს ხატისულღელი[95]. ეს უკანასკნელი დიდ მსგავსებას ავლენს ვანის № 16 სამარხის ნიმუშთან როგორც შემკულობის პრინციპით (ღრმა ირგვლივი ღარები, ღარებს შორის შემსხვილებების სიგრძივ დაღარვა, წახნაგებზე ირიბი ნაჭდევების შევრონებისებური განლაგება), ასევე წახნაგოვანი რკალით.

---

88 ვანი , VII, გვ. 109, № 462.

89 Е. М. Алексеева, Античные бусы Северного Причерноморья, М., 1978, с. 35—36.

90 იხ. ვანი VII, გვ. 108, № 452.

91 ინახება საქ. სახ. მუზეუმში, ინვ. № $\frac{26-65}{1820-1825,\ 1836}$

92 ვანი 1, გვ. 89, სურ. 3; გვ. 207—208, სურ. 170; გვ. 211—212, 231—232; ვანი IV, გვ. 26, 76—77, კატ. №№ 451—454, სურ. 105; გვ. 119.

93 ა. კახიძე, ნ. ვაშაკიძე, ფიჭვნარის ელინისტური ხანის სამაროვანზე 1974 წელს წარმოებული გათხრების ძირითადი შედეგები, სდსძ, VI, თბ., 1977, გვ. 27—28, 30; მათივე, ფიჭვნარის ელინისტური ხანის სამაროვანზე 1975 წელს ჩატარებული საველე კვლევა-ძიების შედეგები, სდსძ, VII, თბ., 1978, გვ. 44—45; ე. თოლორდავა, დაკრძალვის წესები ელინისტური ხანის საქართველოში, გვ. 15; 45, 54—59; რ. აბრამიშვილი, ითხვისის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის ანგარიში, სამეცნიერო სესია, მოხსენებათა ანოტაციები, თბ., 1963, გვ. 7; ი. გაგოშიძე, ადრეანტიკური ხანის ძეგლები ქსნის ხეობიდან, თბ., 1964, გვ. 20, ტაბ. 1.

94 ვანი IV, გვ. 119, სურ. 192; ითხვისის სამაჯურები ინახება საქ. სახ. მუზეუმში, ინვ. № $\frac{26-65}{1803-1804}$

95 Я. И. Смирнов, Ахалгорийский клад, табл. 1,3.

ბრინჯაოს სამაჯურები დაზიანებულია, ნაკლულიც კი; პატინითაა დაფარული. ყველა რკალგახსნილია. რკალის მოყვანილობის, განივკვეთისა და შემკულობის მიხედვით რამდენიმე ტიპი გამოიყო:

I. შეზნექილზურგიანი სამაჯური, რომელსაც ბოლოები სტილიზებული გველების თავებით აქვს შემკული. რკალი ოთხკუთხაგანივკვეთიანი მავთულისაგანაა დამზადებული, დაკბილულია. ეს ტიპი ერთი სამაჯურითაა წარმოდგენილი (კატ. № 31, სურ. $16_1$).

II. მრგვალზურგიანი სამაჯური, დამზადებული რთულპროფილიანი მავთულისაგან — ზედაპირზე ქედი გასდევს, რომელიც ღარებითაა გამოყოფილი რკალის დანარჩენი ნაწილისაგან. რკალს სადა, ოდნავ დავიწროებული ბოლოები აქვს. ეს ტიპი ორი ნიმუშითაა წარმოდგენილი (კატ. № 32, სურ. $16_2$).

III. ზურგშეზნექილი სამაჯურები, რომლებიც მრგვალგანივკვეთიანი მავთულისგანაა დამზადებული; ბოლოები სადაა, დავიწროებული. ასეთი სამი სამაჯურია (კატ. № 34—35, სურ. $16_4$). ერთ მათგანს ბოლოებთან ახლოს რკალი წიწვისებურად განლაგებული ნაჭდევებით აქვს შემკული.

IV. ზურგშეზნექილი სამაჯურები, დამზადებული მრგვალგანივკვეთიანი მავთულისგან. ბოლოები შემკული აქვს მძივისებური შემსხვილებების რიგით. ასეთი ერთი სამაჯურია (კატ. № 33, სურ. $16_3$).

დანარჩენი ნიმუშები ფრაგმენტების სახითაა წარმოდგენილი (კატ. № 36—38).

რკინის სამაჯურები ძლიერ დაჟანგულია, ფრაგმენტირებული (კატ. № 46—51). ზოგჯერ ვერ ხერხდება განივკვეთის დადგენა. ორი სამაჯური ოვალურგანივკვეთიანია, ერთი — ოთხკუთხა-, ერთიც — მრგვალგანივკვეთიანია. უმრავლესობას რკალი შემსხვილებებით ჰქონია შემკული. რკინის ამგვარი სამაჯურები გავრცელებულია უპირატესად ელინისტური ხანის ძეგლებზე, როგორც დასავლეთ (ითხვისი, მოდინახე და სხვ.)[96], ასევე აღმოსავლეთ საქართველოში (გომარეთი, კუშჩი)[97].

სამარხში ვერცხლის 1, ბრინჯაოს 6 და რკინის 3 ბეჭედი აღმოჩნდა. ვერცხლის ბეჭდის ფარაკზე ფრინველის გამოსახულებაა ამოკვეთილი (კატ. № 17), სურ. $11_4$. გამოსახულებები არის ამოკვეთილი ბრინჯაოს ბეჭდების ფარაკებზეც (კატ. № 39)[98]. რკინის ბეჭდები ძლიერ დაჟანგული და დეფორმირებულია[99].

სამაჯურები და ბეჭდები გროვებად იყო განლაგებული. თითოეულ გროვაში (სულ 8 გროვა დადასტურდა) სამიევე ლითონის სამაჯური შედიოდა, როგორც წესი, და ხშირად მძივებიც ახლდა თან (ღვთაების გამოსახულებიანი საკიდები და მოზაიკური და დათვალული მძივები)[100].

---

96 ჯ. ნ ა დ ი რ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 30, 37—38, 41; ითხვისის სამაჯურები ინახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში ინვ. № $\frac{26-65}{1805,\ 1832-1835-1880}$

97 ც. დ ა ვ ლ ი ა ნ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 69, 146, 175.

98 ინტალიოებს საგანგებოდ სწავლობს ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი მარგ. ლორთქიფანიძე.

99 ერთი მათგანი ვერცხლის ბეჭედზე იყო მიჟანგული და ამ უკანასკნელის ქიმიურად გაწმენდის დროს დაიშალა.

100 № 1 გროვაში დაფიქსირდა ვერცხლის 1, ბრინჯაოს 2, რკინის 2 სამაჯური; ბრინჯაოს 3, რკინის 1 ბეჭედი; ღვთაების გამოსახულებანი 3 საკიდი და 2 მოზაიკური მძივი;

ლურჯი მინის დათვალული მძივები ანალოგიურია ზემოთ ნახსენებისა. რაც შეეხება ე. წ. ეგვიპტური ფაიანსის საკიდებს, ისინი წარმოადგენენ მაღალ სავარძელში მჯდარი ღვთაების გამოსახულებას[101]. საკიდს ორი პარალელური არხი აქვს, მოდელირებულია ყველა მხრიდან. ამგვარი საკიდები პანტიკაპეიონში ძვ. წ. IV ს. მეორე ნახევრის კომპლექსშია დადასტურებული (ე. ალექსეევას 28-ე ტიპი)[102].

გარდა აღნიშნული სამკაულებისა, სამარხში აღმოჩნდა აგრეთვე რაღაც სამკაულის ქარვის ჩასართავები — ნახევარსფერული და ოთხკუთხა ფორმის (კატ. № 69, სურ. $14_{10}$). სამკაულის ჩასართავი უნდა იყოს ლურჯი მინის „ცრემლისებრი“ მოყვანილობის სამკაულიც, ზედაპირმომრგვალებული, ძირბრტყელი (კატ. № 70).

სამკაულების ერთი ჯგუფი ტანსაცმელზე (ქსოვილზე) დასაკერებლად უნდა ყოფილიყო განკუთვნილი. მათგან პირველ რიგში აღსანიშნავია ოქროს ე. წ. გამოსახულებიანი ფირფიტები. საკუთრივ სამარხ ორმოში ოთხი ასეთი ფირფიტა აღმოჩნდა. ორ მათგანზე ტახია გამოსახული. ორივე ფირფიტა სამარხის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში აღმოჩნდა (სურ. $8_3$, № 4). ამავე სამარხის კუთვნილად უნდა მივიჩნიოთ ტახის გამოსახულებიანი მესამე ფირფიტა, რომელიც ორმოს გარეთ აღმოჩნდა. ორი ფირფიტა გრიფონის გამოსახულებიანია (კატ. № 5, სურ. $10_2$). ორივე ფირფიტა სამარხის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში აღმოჩნდა (სურ. $8_3$, № 5). ოქროს კიდევ ერთი ფირფიტა (კატ № 6, სურ. $10_4$) აღმოჩნდა სამარხი ორმოს გარეთ (ე. წ. ღარიან მოედანზე). გამოსახულება გაურკვეველია—ერთ კიდეზე ფირფიტას რქისებრი შვერილები აქვს. როგორც ჩანს, სამარხში სხვა ფირფიტებიც იყო. ამას მოწმობს სამარხ ორმოში თუ მის გარეთ აღმოჩენილი ოქროს და ელექტრუმის ფირფიტების მცირე ზომის ფრაგმენტები (კატ. № 7—8, სურ. $10_3$). ყველა ფირფიტას კიდეებზე ნახვრეტები აქვს, როგორც ჩანს, დასაკერებლად განკუთვნილი. გამოსახულებები გამოტვიფრულია. ასეთივე ტექნიკითაა დამზადებული ვანში გასულ წლებში აღმოჩენილი გამოსახულებიანი ფირფიტების გვიანდელი (ძვ. წ. III ს.) ჯგუფი (კერძოდ, № 1 სამარხის ფოთლების გამოსახულებიანი ფირფიტები)[103].

ქსოვილზე დასაკერებელ სამკაულთა შორისაა ოქროს ღილაკი (კატ. № 13, სურ. $11_3$). რომელიც სამარხის ცენტრალურ ნაწილში აღმოჩნდა (სურ. $8_3$, № 13). ის მიეკუთვნება ელინისტური ხანის ღილაკების განსაკუთრებით პოპულა-

---

№ 2 გროვაში — ვერცხლის 1 და ბრინჯაოს 1, რკინის 2 სამაჯური; ვერცხლის 1 და რკინის 1 ბეჭედი;

№ 3 გროვაში — ბრინჯაოს 1 სამაჯური და 8 ღვთაების გამოსახულებიანი საკიდი;

№ 4 გროვაში — ბრინჯაოს 1 და რკინის 2 სამაჯური, რკინის 1 ბეჭედი;

№ 5 გროვაში — რკინისა და ბრინჯაოს თითო სამაჯური;

№ 6 გროვაში — ვერცხლის 1, რკინის 1, ბრინჯაოს 2 სამაჯური, ლურჯი მინის დათვალული მძივები (3 ც.);

№ 7 გროვაში—ვერცხლის 1 და რკინის 1 სამაჯური, ბრინჯაოს 1 ბეჭედი;

№ 8 გროვაში — ვერცხლის 1, ბრინჯაოს 1 და რკინის 2 სამაჯური. ბრინჯაოს 1 სამაჯური ცალკე აღმოჩნდა სამარხი ორმოს იატაკზე, ხოლო ბრინჯაოს 2 ბეჭედი — მძივების გროვაში.

101 იხ. ვანი VII, გვ. 112, № 500.

102 Е. М. Алексеева, დასახ. ნაშრ., გვ. 36, ტაბ. 66.

103 გამოსახულებიანი ფირფიტების ადრეული ჯგუფი — №№ 6 და 11 სამარხებიდან — სხვა ტექნიკითაა დამზადებული: გამოსახულებანი გამოჭრილია, გამოტვიფრულია მხოლოდ ცალკეული დეტალები. იხ. ა. ჭყონია, დასახ. ნაშრ., გვ. 51—52, 83—85, კატ. №№ 67—68, 182—183, სურ. 35, 58—61.

რულ სახეობას — შუაგული ნახევარსფეროსებურად აქვს ამობურცული, კიდეზე კი ქედი შემოუყვება[104]. შესაძლოა, ღილაკებს წარმოადგენდა ბრინჯაოს ორი სამკაული (კატ. № 40—41, სურ. $14_{4-5}$). დაბოლოს, კიდევ ერთი სამკაულის შესახებ — ვერცხლის ფიბულა, რომლის მხოლოდ რკალის ნაწილია შემორჩენილი (კატ. № 18, სურ. $16_5$).

სამარხში 80 მონეტა[105] აღმოჩნდა — კოლხური თეთრის წვრილი ნომინალები, ტრიობოლები (ნახევარდრაქმები). ისინი ერთად იდო სამაჯურების ორ გროვას შორის და ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ მონეტები ქისაში იყო მოთავსებული ან რაიმე ქსოვილში გახვეული (თუმც მათი არავითარი კვალი არ შემორჩენილა) — სურ. $7_{2,4}$.

ოთხმოცივე მონეტა ერთი ტიპისაა: შუბლზე გამოსახულია ადამიანის თავი მარჯვენა პროფილში: გამოსახულება ჩასმულია ხაზოვან რკალში; ზურგზე — ხარის თავია მარჯვენა პროფილში. მონეტები სხვადასხვა სიქითაა მოჭრილი (კატ. № 27, სურ. 12). როგორც ცნობილია, ამ ტიპის ტრიობოლებს ძვ. წ. IV—III სს მიაკუთვნებენ[106].

ვანში უკვე არაერთგზისაა ფიქსირებული მიცვალებულთათვის მონეტის ჩატანების ფაქტი ძვ. წ. IV—III სს-ის სამარხებში[107]. სწორედ ამ დროს ვრცელდება კოლხეთში დაკრძალვის ეს, ბერძნული წარმოშობის, წესი[108]. ასე რომ, № 16 სამარხში მონეტების არსებობა ჩვეულებრივი ამბავია, უჩვეულოა მხოლოდ მათი რაოდენობა. როგორც წესი, სამარხებში თითო-ოროლა მონეტა გვხვდება, მხოლოდ ერთ შემთხვევაშია დადასტურებული 8 მონეტა (№ 3 სამარხი). ასევე თითო-ოროლა მონეტა არის ხოლმე ჩატანებული ქვევრსამარხებშიც კი, რომელთა ინვენტარის თითქმის აუცილებლი ელემენტია მონეტა[109]. თუ ქვევრსამარხებში ჩატანებული მონეტების რაოდენობა ჩვეულებრივ არ ასახავს დაკრძალულის ქონებრივ მდგომარეობას[110], ვანის № 16 სამარხი ამ წესს არ უნდა ექვემდებარებოდეს: მასში ასე დიდი რაოდენობით მონეტების ჩატანება დაკრძალულის დაწინაურებულობის ანარეკლი უნდა იყოს. აქვე უნდა აღინიშნოს სამარხში ოქროს ზოდის (კატ. № 14, სურ. $11_2$) აღმოჩენის ფაქტი, რაც ანალოგიას ვანშივე პოულობს (№ 6 და № 11 სამარხები)[111].

იარაღი წარმოდგენილია ვერცხლის ისრისპირით (კატ. № 29), რკინის შუბისპირის, სატევრის, ქარქაშის ფრაგმენტებით (კატ. №№ 53—55, სურ. $15_{1-3}$), დანებით (კატ. № 57—58). აქვე უნდა აღინიშნოს რკინის ბექთარის ფრაგმენტიც (კატ. № 56, სურ. $15_4$). ის ე. წ. ქერცლისებური[112] ტიპის ბექთარს

104 ა. ჭ ყ ო ნ ი ა, დასახ. ნაშრ., გვ. 86, კატ. №№ 200—241, სურ. 64.

105 ორი მონეტა დაიშალა ქიმიურ ლაბორატორიაში გაწმენდის დროს.

106 გ. დ უ ნ დ უ ა, გ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, მონეტები ვანიდან, ვანი III, გვ. 120, კატ. №№ 1—24.

107 სამარხები №№ 3, 9, 10, 15, 17 — იხ. ვანი I, გვ. 203, 212; ვანი IV, გვ. 119; აქვე, გვ. 89, 90.

108 ფიჭვნარში მონეტის ჩატანების წესი უფრო ადრეა (ძვ. წ. V ს.) დადასტურებული, მაგრამ ამას ბერძნული და ადგილობრივი სამოსახლოებისა და მათი სამაროვნების უშუალო მეზობლობით ხსნიან — დაწვრ. იხ. ე. თოლორდავა, დაკრძალვის წესები ელინისტური ხანის საქართველოში, თბ., 1980, გვ. 66, შენ. 46.

109 თუმცა ცნობილია ერთ ქვევრსამარხში (უპირატესად ძვ. წ. III—II სს.) 7, 8, და 10 მონეტის აღმოჩენის შემთხვევები.

110 ვ. თ ო ლ ო რ დ ა ვ ა, დასახ. ნაშრ., გვ. 66, შენ. 33.

111 ვანი I, გვ. 116, 226, სურ. 54.

112 ანუ კრამიტისებური, ანუ ბუმბულისებური. დაწვ. იხ. DAGR, III, სვ. 1034; A. Demmin, Die Kriegswaffen, Berlin, 1891, გვ. 584.

ეკუთვნის. შემორჩენილია საჯავშნე ფირფიტების სამი რიგი. ფირფიტები ერთმანეთზე მიჟანგულა და ძნელდება ნახვრეტების რაოდენობის დადგენა. სამარხში ბექთარის ჩატანების წესი ვანში ადრეელინისტური ხანის სამარხებშია დადასტურებული[113].

ისრისპირი, შუბისპირი, სატევარი და ქარქაში ძლიერ დაზიანებულია. დანებში ორი ტიპი გამოიყო: 1. ცალპირლესული, სწორპირა დანები, რომელთაც სხვა მასალის ტარი უნდა ჰქონოდათ დაგებული — შერჩენილია მანჭვლები (კატ. № 57); 2. ცალპირლესული, მოხრილპირიანი დანა (კატ. № 58).

ცხენის აკაზმულობა წარმოდგენილია ბრინჯაოს ლაგმით, საშუბლე ფირფიტით, ვერცხლის საკიდებითა და ბალთებით, რკინის რგოლებით და სხვ.

ლაგამი (კატ. № 42, სურ. $13_5$) მიეკუთვნება კარგად ცნობილ ტიპს შედგენილი ლაგმებისა, რომელთაც სამყუნწიანი საყბეურები აქვთ. ითვლება, რომ ისინი ჩნდებიან ძვ. წ. V ს-ის პირველ ნახევარში და განაგრძობენ არსებობას ძვ. წ. IV ს-შიც[114]. № 16 სამარხის ლაგმის უახლოეს ანალოგიებს ახალგორის ბრინჯაოს ორი ლაგამი და ითხვისის № 2 სამარხის რკინის ლაგამი წარმოადგენს[115].

სამარხში ვერცხლის 11 ბალთა დაფიქსირდა — მრგვალი, კონუსურად შემაღლებული (კატ. №№ 21—23, სურ. $14_{16}$). 7 მათგანზე ყუნწი ოთხკუთხა ფირფიტის სახითაა გაფორმებული, რომელიც ბალთას ოთხი შვერილით უკავშირდება (კატ. № 21). ამ ბალთების სიმაღლე 1,5 სმ-ია, დიამეტრის მიხედვით მათში ორი ჯგუფი გამოიყოფა: ოთხი ბალთის დმ 2,8 სმ-ია, ხოლო სამი ბალთა შედარებით უფრო დიდია — მათი დმ 3,3 სმ-ს აღწევს. 2 ბალთაზე ყუნწი წარმოადგენს მრგვალგანივკვეთიან გახსნილ რგოლს, რომლის ბოლოები ერთმანეთზე გადადის (კატ. № 22). ამ ბალთების სიმაღლე 1,3 სმ-ია, დმ — 2,9 სმ. დანარჩენ ორ ბალთას ორ-ორი ასეთი რგოლი აქვს ყუნწად (კატ. №23). მათი სიმაღლეც 1,3 სმ-ია, ხოლო დმ — 3,3 სმ. ვანის ბალთების უშუალო ანალოგიას წარმოადგენენ დაბლაგომის მდიდრულ სამარხსა (ძვ. წ. III ს. დასაწყისი) და ითხვისის № 2 სამარხში (ძვ. წ. IV ს. მეორე ნახევარი) აღმოჩენილი ბალთები[116]. მსგავსი ბალთები შედის ახალგორისა და ყანჩაეთის სამარხების ინვენტარის შემადგენლობაში[117]. ისინი მიჩნეულია ავშარის თასმების მოსართავებად გადაჯვარედინების ადგილებზე და ითვლება, რომ ერთ ავშარას დასჭირდებოდა ოთხი ასეთი ბალთა[118]. ამრიგად, ვანის № 16 სამარხში სამი (არასრული) კომპლექტი გვაქვს ავშარის მოსართავი ბალთებისა.

---

113 ვანი IV, გვ. 27, 79, კატ. № 501; გვ. 117, სურ. 186.

114 ამ ტიპის ლაგმების შესახებ დაწვრ. იხ. ი. გაგოშიძე, ადრეანტიკური ხანის ძეგლები ქსნის ხეობიდან, თბ., 1964, გვ. 55—59, სურ. 3, ტაბ. VIII, 45, 46; IX, 47.

115 Я. И. Смирнов, Ахалгорийский клад, Тифлис, 1934, გვ. 53—55, № 86, სურ. გვ. 53-ზე. ითხვისის ლაგამი ინახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში—ინვ. № $\frac{26-65}{1785}$

116 ვ. თოლორდავა, მდიდრული სამარხი დაბლაგომიდან, ვანი II, თბ., 1975, გვ. 70, სურ. 101 (ვანურის ანალოგიური 6 ბალთის გარდა დაბლაგომის ამ სამარხში კიდევ ორი ბალთა აღმოჩნდა — ბრტყელი, ნახვრეტიანი). ითხვისის სამარხის ბალთები ინახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში—ინვ. № $\frac{26-65}{1799-1801}$.

117 ი. გაგოშიძე, ადრეანტიკური ხანის ძეგლები ქსნის ხეობ-დან, გვ. 60—61, ტაბ. IX, №№ 56—58;

118 ი. გაგოშიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 60.

ცხენის აკაზმულობაში შედის აგრეთვე ვერცხლის 2 საკიდი. ერთი მათგანი მთელია, მხოლოდ ყუნწი აქვს მოტეხილი (კატ. № 19, სურ. $13_1$), მიეკუთვნება ე. წ. მთვარისებრი საკიდების რიგს. საკიდი ორნამენტირებულია: ცენტრალური წრიული შვერილი შემკულია პედვით და გრავირებით გამოყვანილი ვარდულით (მზე?), ხოლო საკუთრივ რკალი — გრავირებული ნახევარმთვარითა და ვარდულებით (მთვარე და ვარსკვლავები?). როგორც მთვარე, ასევე ვარდულები ელექტრუმის ფოლგითაა დაფარული; ნახევარმთვარე ზენური ხვიებითაა შემკული. მეორე საკიდი ძლიერ ფრაგმენტირებულია და ნაკლული (კატ. № 20, სურ. $13_2$). საყურადღებოა, რომ ეს საკიდი ძველადვე, სამარხში ჩატანებამდეა რესტავრირებული — ორი ნატეხი ვერცხლის პატარა ლურსმნებითაა ერთმანეთზე დაჭედებული. ამრიგად, ეს უკვე მეორე ნივთია (ოქროს ჭვირულბურთულიან საყურესთან ერთად), რომელიც უკვე შეკეთებული ჩაუტანებიათ სამარხში მიცვალებულისათვის. ეს საკიდიც მთვარისებური ფორმისა უნდა ყოფილიყო. ვანის საკიდებს ანალოგია ეძებნებათ ახალგორის განძში[119].

ლაგამი საკიდები და ბალთების ნაწილი (6 ც.) ერთ გროვად დაფიქსირდა სამარხში (სურ. $7_3$). ამავე გროვაში შედიოდა ვერცხლის გაურკვეველი ნივთი — ექვსწახნაგა ღერო (სიგრძე 4,6 სმ), რომელიც ბოლოებისკენ დავიწროებულია და შუაში ნახვრეტი აქვს (კატ. № 25, სურ. $13_3$), ვერცხლის რგოლები (კატ. № 24, სურ. $13_4$), აგრეთვე ბრინჯაოს რაღაც ნივთი, რომლისგან მხოლოდ ლაქალა შემორჩა.

ცხენის აკაზმულობას უნდა უკავშირდებოდეს ნივთების მეორე გროვაც (პირველისგან ჩრდილო-დასავლეთით 0,20 მ დაცილებით); ვერცხლის დანარჩენი ბალთები, ვერცხლის მცირე ზომის ლურსმანი, ბრინჯაოს ფირფიტები, რკინის რგოლები და გაურკვეველი ნივთები (სურ. $8_1$). ბრინჯაოს ფირფიტებიდან ერთი (კატ. № 44) წაგრძელებული სწორკუთხედის ფორმისაა, კიდეებზე ზენური ხვიების რიგი გასდევს, როგორც ჩანს, ფირფიტა რაღაც საფუძველზე (ქსოვილი? ტყავი?) იყო გადაკრული, რასაც მის კიდეებზე არსებული ნახვრეტები მოწმობენ. მეორე ფირფიტა (კატ. № 43) საშუბლე უნდა იყოს. სამწუხაროდ, ფირფიტები ძლიერ იყო დაზიანებული და სამარხიდან ამოღებისას ორივე დაიშალა. რკინის რგოლები (დმ — 5 სმ) მრგვალგანივკვეთიანი ღეროსგანაა დამზადებული. რკინისავე მსგავსი რგოლები აღმოჩენილია ითხვისის № 2 სამარხში[120], ხოლო ყანჩაეთის სამარხში ბრინჯაოს ორი რგოლია[121]. ორივე შემთხვევაში მათ ცხენის აკაზმულობას, კერძოდ აღვირს, უკავშირებენ.

ჭურჭელი სამარხეულ ინვენტარში წარმოდგენილი იყო ბრინჯაოს სიტულით, სინოპური ამფორითა და ადგილობრივი თიხის ჭურჭლით. ამ უკანასკნელიდან მხოლოდ ძირ-ტანია შემორჩენილი (კატ. № 64, სურ. $16_7$). სინო-

---

119 Я. И. Смирнов, დასახ. ნაშრ., გვ. 49—50, ტაბ. X. № 72. ვანისა და ახალგორის საკიდებისგან ტიპოლოგიურად განსხვავებულია ყანჩაეთის საკიდი ის ბრტყელი ფირფიტისგან კი არ არის დამზადებული, არამედ განივკვეთში ნახევარწრიულია — იხ. ი. გაგოშიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 62, № 73, ტაბ. IX. მთვარისებრი საკიდები დაბლაგომიდან, დაფნარიდან, ფიჭვნარიდან ადამიანის სამკაულს წარმოადგენენ, ისევე როგორც ნახევარმთვარისებრი საკიდები ვანიდან და ახალგორიდან.

120 ინახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში — ინვ. № $\frac{26-65}{1786-1788}$.

121 ი. გაგოშიძე, ადრეანტიკური ხანის ძეგლები ქსნის ხეობიდან, გვ. 62, № 68, ტაბ. IX.

ჭური ამფორა (კატ. № 65, სურ. $16_6$) განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს უჩვეულო ფორმით (თასოსური ამფორების მინაბაძი?). ამფორას ძვ. წ. III ს. მიაკუთვნებენ[122]. რაც შეეხება სიტულას, მისგან მხოლოდ წნული ორნამენტით შემკული, რქისებრ შვერილებიანი ყურის მცირე ნაწილი აღმოჩნდა (კატ. № 45) სამარხის ცენტრალურ ნაწილში. ამფორა სამარხის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში დაფიქსირდა, ხოლო ადგილობრივი თიხის ჭურჭელი — სამარხის დაუზიანებელი ნაწილის ჩრდილოეთ კიდესთან (სურ. $8_3$).

გარდა აღნიშნული ნივთებისა, სამარხში რკინის ლურსმნები და კავები აღმოჩნდა მიმოფანტული. ლურსმნებს (კატ. № 60, სურ. $15_{8-11}$). ოთხკუთხა ღერო და მრგვალი თავი აქვს, ერთმანეთისგან მხოლოდ ზომებით გამოირჩევიან. ლურსმნების ნაწილებად შეიძლება მივიჩნიოთ რკინის ოთხკუთხაგანივკვეთიანი ღეროების ფრაგმენტებიც (კატ. № 61). სამარხში რკინის ლურსმნების არსებობა ხის სარეცლის თუ კუბოს არსებობაზე უნდა მიუთითებდეს. რკინის კავებს (კატ. № 62, სურ. $15_{12}$) ანალოგიურ ნივთებს, აღმოჩენილს ითხვისის მდიდრულ და №№ 1—2 სამარხებში, აგრეთვე მოდინახეს № 3 სამარხში, სამარხ ნაგებობას უკავშირებენ[123].

. სამარხში ჩონჩხი არ შემორჩენილა, მხოლოდ კბილი დაფიქსირდა. ამიტომ ვერაფერს ვამბობთ დაკრძალულის (დაკრძალულების?) ორიენტაციის, პოზის შესახებ.

პარალელური მასალები საფუძველს გვაძლევს, რომ № 16 სამარხი მივაკუთვნოთ ვანის ნაქალაქარზე გამოვლენილი სამარხების იმ ჯგუფს, რომლებიც ძვ. წ. IV ს. მეორე ნახევრით — III ს. დასაწყისით თარიღდება. ჩვენს ხელთ არსებული მონაცემები ჯერჯერობით არ იძლევიან თარიღის უფრო მეტად დაზუსტების საშუალებას.

განხილული სამარხის სინქრონული უნდა იყოს მის ჩრდილო-დასავლეთით აღმოჩენილი მეორე სამარხი (№ 17) — ნაკვ. 213, კვ. $B_{1-2}$ (იხ. გეგმა, სურ. 1). ეს სამარხიც ძლიერ დაზიანებულია (სურ. 17). გამართულია ის № 16 სამარხის ანალოგიურად: კლდოვან ქანში ამოკვეთილ სწორკუთხა ორმოში (6 მ$\times$2 მ). ორმოს იატაკი დამუშავების კვალს ატარებს. ინვენტარიდან შემორჩა მხოლოდ ადგილობრივი წარმოების თიხის ორი ჭურჭელი (დოქი და ჯამი), სინოპური ამფორა, რკინის შუბისპირისა და ლურსმნის ფრაგმენტები, ორი კოლხური თეთრი, ბრინჯაოს ბეჭედი და ოთხი ცილინდრული ზარაკი, მინის შვიდი მძივი (კატ. №№ 86—94, სურ. $17_{3-15}$). ჭურჭელი სამარხის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში დაფიქსირდა in situ. დანარჩენი ნივთები კი გაფანტული იყო, როგორც ჩანს, ადგილიდან დაძრული, სამარხის დაზიანების დროს. დერგი თავისებური პირის მოყვანილობით ხასიათდება — პირი ჯამისებურად აქვს გაფორმებული (კატ. № 91, სურ. $17_4$), ჯამი ბრტყელძირაა, ირიბკალთიანი (კატ. № 92, სურ. $17_5$). სინოპური ამფორა (კატ. № 93, სურ. $17_3$) ძვ. წ. IV—III სს. მიეკუთვნება[124]. ბეჭედი სადა ფარაკიანია[125] (კატ. № 87, სურ. $17_{14}$). მონეტები ანალოგიურია № 16 სამარხში აღმოჩენილებისა (კატ. № 86). ინვენტარიდან აღსანიშნავია აგრეთვე ბრინჯაოს ცილინდრული გვერდჩაჭრილი ზარაკები (კატ. № 88, სურ. $17_{13}$). ანალოგიური ზარაკები აღმოჩენილია ფიჭვნარის

---

122 ვანი VII, გვ. 21, № 50.

123 ი. გაგოშიძე, ითხვისის სამარხი, სსმმ, ტ. XXV—B, თბ., 1968, გვ. 43, № 17, ტაბ. $I_{17}$; ჯ. ნადირაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 30, ტაბ. XII, 2.

124 ვანი VII, გვ. 21, № 51.

125 ბეჭედს სწავლობს მარგ. ლორთქიფანიძე.

ელინისტური ხანის სამაროვანზე, დაბლაგომის, დაფნარის (№ 31), ფარცხანაყანევის ქვევრსამარხებში, ითხვისის სამაროვანზე და სხვ.[126].

ცნობილია ისინი აღმოსავლეთ საქართველოშიც (ახალგორი, თრიალეთი, სამთავრო)[127]. საკუთრივ ვანის ნაქალაქარზე ასეთი ზარაკები დაფიქსირებულია № 3 (ქალის) სამარხში; აღმოჩენილია ისინი კულტურულ ფენებშიც[128].

როგორც აღინიშნა, № 17 სამარხიც ძვ. წ. IV ს. მეორე ნახევარს—III ს. დასაწყისს უნდა მიეკუთვნოს.

## კატალოგი

### № 10 სამარხი

1. საყურე ოქროსი (საე. № 07:1—80/923), ე. წ. ჰვირულბურთულიანი: საყურე რგოლი ოვალურია, გახსნილი, მრგვალგანივკვეთიანი. ბოლოები დაბრტყელებული აქვს და გახვრეტილი. რგოლის დაბრტყელებულ წინაპირს კიდეებზე ცვარასაგან შემდგარი სამკუთხედები გასდევს, შუაში ორი დაგრეხილი მავთული აქვს დარჩილული, ხოლო ზედა ნაწილში დამაგრებულია 16-ფურცლიანი ვარდულა. საყურე რგოლზე უძრავადაა დამაგრებული ბიკონუსური მოყვანილობის ჰვირული ბურთულა. ბურთულას შუაწელზე ჰორიზონტალური ვიწრო ფირფიტაა, რომელიც ცვარას პირამიდებით არის შემკული. ბურთულას მთელ სიგრძეზე გასდევს მრგვალგანივკვეთიანი ღერძი, რომელიც ცვარასაგან შემდგარი დაფანჯრული პირამიდით ბოლოვდება. ღერძის ზედა ბოლოზე მირჩილულია ვიწრო სარტყელი, რომელიც ორმაგი მარყუჟის სახით გადადის საყურე რგოლის წინაპირზე. საყურე რგოლის წინაპირი გაღუნულია, გატეხილია და მირჩილულია დაბალი სინჯის ოქროთი; ბურთულა გაღუნულია. სიმაღლე — 6,2 სმ. სურ. $9_1$[129].

2. საყურეები, ოქროსი (№ 07:1—80/924—925); ე. წ. დაღარულბურთულიანი, წყვილი. საყურე რგოლი ოვალურია, გახსნილი, მრგვალგანივკვეთიანი; ბოლოები დაბრტყელებული აქვს და გახვრეტილი. რგოლზე უძრავადაა დამაგრებული ოდნავ წაგრძელებული სფეროს მოყვანილობის, სიგრძივ დაღარული ბურთულა, მის შუაწელზე ვიწრო ჰორიზონტალური ფირფიტაა მირჩილული, რომელზეც ჰედვით გამოყვანილია ბურცობები. ბურთულაზე ორი მხრიდან სადა ცილინდრებია მირჩილული. ზედა ცილინდრით ბურთულა საყურე რგოლს უკავშირდება, ქვედა ცილინდრი 5 ბურთულით გამოყვანილი პირამიდით ბოლოვდება. საყურეები დაუდევრადაა ნაკეთები. ერთი საყურის რგოლი დეფორმირებულია. სიმაღლე — 4,8 სმ. სურ. $9_2$.

---

126 ნ. ვაშაკიძე, ი. კახიძე, ფიჭვნარის ელინისტური ხანის სამაროვანზე 1975 წელს განხორციელებული საველე კვლევა-ძიების შედეგები, გვ. 53, ტაბ. XVI, 4; ე. თოლორდავა, არქეოლოგიური გათხრები დაბლაგომში 1973—1974 წლებში, ვანი III, გვ. 53, 57; М. М. Иващенко, Кувшинный могильник в Западной Грузии, СА, XIII, 1950; Н. Ш. Кигурадзе, Дапнарский могильник, Тбилиси, 1979, с. 53—55.

127 Я. И. Смирнов, Ахалгорийский клад, с. 51—58, №№ 91—92; Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Триалети, Тб., 1941, с. 21, рис. 27, 8.

128 ვანი IV, გვ. 46, №№ 50—53, გვ. 118—122, სურ. 194.

129 ოქროსა და ვერცხლის ყველა ნივთი ინახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში. დანარჩენი ნივთები — ვანის არქეოლოგიურ მუზეუმში.

3. საყურე რგოლები, ელექტრუმის (№№ 07:1—80/945—946); წყვილი; წრიული მოყვანილობის, თავგახსნილი; დამზადებულია ოთხკუთხა განივკვეთიანი ღეროსგან. დმ — 2,4 სმ. სურ. $9_3$.

4. ფირფიტები, ოქროსი (№ 07:1—80/295, 920, 921); 3 ც.; ტახის გამოსახულებას წარმოადგენენ. ტახი გამოსახულია მწოლიარე, ფეხებმოკეცილი, მარჯვენა პროფილში; თვალი ბურცობითაა გამოყვანილი; ყურები ზურგზე აქვს გადაწყობილი. კიდურები ტანისგან ბურცობების რიგითაა გამოყოფილი. დინგი და კუდი გამოკვეთილია. ზურგს რელიეფური დაღარული რკალი გასდევს — ჯაგარი. კუდი აპრეხილია. გამოსახულება მოჩარჩოებულია ვიწრო სადა კიდით. ფირფიტებს დინგთან და კუდთან ნახვრეტები აქვთ. გამოსახულებანი სხვადასხვა ტვიფრითაა გამოყვანილი. სიგრძე — 3,8 სმ, სიმაღლე — 2,8 სმ, სურ. $10_1$.

5. ფირფიტები, ოქროსი (№ 07:1—80/290, 919); 2 ც.; გრიფონის გამოსახულებას წარმოადგენენ. ერთ ფირფიტაზე გრიფონი მარჯვენა პროფილშია, მეორეზე — მარცხენაში. თვალი ბურცობით და მის გარშემო რკალით არის გამოყვანილი; ნისკარტი ღარითაა გამოყოფილი. ტანის წინა ნაწილზე დატვიფრულია ფრინველის თავი, უკანა ნაწილზე — რგოლი. ბეწვი და ბუმბული ნაჭდევებითაა გამოყვანილი. კიდურებს შორის ფირფიტა სადაა. ფირფიტებს ექვსი ნახვრეტი აქვს (კიდურებთან, ფრთაზე, ყურთან, ტანის უკანა ნაწილზე). გამოსახულებანი სხვადასხვა ტვიფრითაა გამოყვანილი. სიგრძე — 3,8 სმ. სურ. $10_2$.

6. ფირფიტა, ოქროსი (№ 07:1—80/922); გამოსახულება გაურკვეველია. ერთ მხარეს ფირფიტას ორი რქისებური შვერილი აქვს, რომლებიც სიგრძივ დაღარულია. დანარჩენი ზედაპირი ტალღისებური ღარებითაა დაფარული. ფირფიტას ორი ნახვრეტი აქვს. სიმაღლე — 2 სმ. სურ. $10_4$.

7. ფირფიტების ფრაგმენტები, ოქროსი (№ 07:1—80/294, 926, 927); უსახო. ერთი მათგანი თითქოს გრიფონის ნისკარტს წარმოადგენს. სიგრძე — 0,4 სმ; 1 სმ; 1,1 სმ. სურ. $10_3$.

8. ფირფიტის (?) ფრაგმენტი, ელექტრუმის (№ 07:1—80/928); მცირე ზომის, უსახო.

9. საკიდები, ელექტრუმის (№№ 07:1—80/293, 296, 297, 929—944); 19 ც.; მამაკაცის სახის გამოსახულებას წარმოადგენენ. თითოეულ მათგანს სამი რგოლი აქვს. ერთი საკიდი დეფორმირებულია და დამსკდარი. გამოსახულებები ტვიფრითაა გამოყვანილი, სურ. $9_4$.

10. მძივები, ოქროსი (№№ 07:1—80/947—948); 2 ც.; ღერძზე წაგრძელებული. მიღებულია ორი ნახევარსფეროს ერთმანეთთან მირჩილვით. სიგრძე ღერძზე — 1—1,1 სმ. სურ. $10_5$.

11. მძივი, ოქროსი (№ 07:1—80/949); სიგრძივ დაღარული; მიღებული ორი ნახევარსფეროს მირჩილვით. სიგრძე ღერძზე — 0,7 სმ. სურ. $10_6$.

12. მილაკები, ოქროსი (№№ 07:1—80/950—953); 4 ც.; ცილინდრული, დაღარულზედაპირიანი. მიღებულია ფირფიტის მოღუნვით. სიგრძე — 1,2 სმ. სურ. $11_1$.

13. ღილაკი, ოქროსი (№ 07:1—80/292); შუაგული ნახევარსფეროსებურადაა ამობურცული, კიდეზე ქედი გასდევს. შიდა ზედაპირზე მრგვალი ყუნწია მირჩილული. დმ — 0,6 სმ. სურ. $II_3$.

14. ზოდი, ოქროსი (№ 07:1—80/954); პირამიდისებრი ფორმა აქვს. ზედაპირი უსწორმასწოროა. სურ. $11_2$.

15. ხატისუღელი, ვერცხლისა (№ 07:1—80/955); წრიული, თავგახსნილი, ექვსკუთხაგანივკვეთიანი; კაუჭებით შეკრული. კაუჭებთან ახლოს თითოთითო შემსხვილებაა, რომელიც შემკულია წიწვისებურად განლაგებული ნაჭდევებით. გატეხილია. დმ — 13,5 სმ. სურ. $11_5$.

16. სამაჯურები, ვერცხლისა (№№ 07:1—80/956—960); 5 ც.; თავგახსნილი, ზურგშედრეკილი. თავები ბრტყლადაა ჩამოჭრილი, შემკულია ღრმა ირგვლივი ჭდეებით და ირიბი და ჰორიზონტალური ნაკაწრებით. დამზადებულია რვაწახნაგა ღეროსაგან. დმ — 8,8 — 10,4 სმ. სურ. $11_5$.

17. საბეჭდავი-ბეჭედი, ვერცხლისა (№ 07:1—80/961); რგოლი მრგვალგანივკვეთიანია, ფარაკი ოვალურია, მასზე ამოკვეთილია ფრინველის გამოსახულება. რგოლის დმ — 1,5 სმ. სურ. $11_4$.

18. ფიბულის ფრაგმენტი, ვერცხლისა (№ 07:1—80/1043); მრგვალგანივკვეთიან ღეროზე დახვეულია მავთული; ღეროს რკალისებური ფორმა აქვს. სიგრძე — 3.1 სმ. სურ. $16_5$.

19. საკიდი, ვერცხლისა (№ 07:1—80/1044); ე. წ. მთვარისებრი; გამოჭრილია თხელი ფირფიტისგან. წარმოადგენს გახსნილ წრეს. რკალი ბოლოებისაკენ ვიწროვდება; ბოლოები ჩახვეულია და ერთმანეთთან მიერთებული. რკალს, მისი მაქსიმალური სიგანის ადგილზე, მოკლე ყელით უერთდება. ცენტრალური წრიული შვეული. საკიდის რკალის ცენტრში ამოკვეთილია ნახევარმთვარე, რომლის იქით-აქეთ ვარდულებია. წრიულ შვერილზე ჭდევით და გრავირებით ვარდულაა გამოყვანილი. ვარდულები და ნახევარმთვარე ელექტრუმის ფოლგითაა დაფარული. ნახევარმთვარეზე ზენური ხვიებია ამოკვეთილი, ყუნწი თხელ, მომრგვალებულ ფირფიტას წარმოადგენს, რომელსაც კიდეებზე ღარები გასდევს. ყუნწი მოტეხილია. დმ — 9,1 სმ×8,1 სმ. სურ. $13_1$.

20. საკიდის ფრაგმენტები, ვერცხლისა (№ 07:1—80/1045); ნახევარმთვარისებრი; ნაკლული; ძლიერ ფრაგმენტირებული. შერჩენილია ძველი რესტავრირების კვალი — ლურსმნებითაა ორივე მხრიდან დაჭედებული. სურ. $13_2$.

21. ბალთები, ვერცხლისა (№ 07:1—80/1046—1962); 7 ც.; მრგვალი; ზედაპირი კონუსურად შემაღლებული აქვთ. შიდა ზედაპირზე ყუნწია — ოთხკუთხა ფირფიტა, რომელიც ბალთას ოთხი შვერილით უკავშირდება. სიმაღლე — 1,5 სმ; დმ — 2,8 სმ; 3,3 სმ. სურ. $14_{16}$.

22. ბალთები, ვერცხლისა (№ 07:1—80/1053—1054); მოყვანილობით № 21-ის ანლოგიურებია. ყუნწი წარმოადგენს მრგვალგანივკვეთიან რგოლს, რომლის ბოლოები ერთმანეთზე გადადის. სიმაღლე — 1,3 სმ, დმ — 2,9 სმ. სურ. $14_{16}$.

23. ბალთები, ვერცხლისა (№ 07:1—80/1055—1056); მოყვანილობით №№ 21—22-ის ანალოგიურია; ყუნწი წარმოადგენს ორ-ორ მრგვალგანივკვეთიან რგოლს, რომელთა ბოლოები ერთმანეთზე გადადის. სიმაღლე — 1,3 სმ, დმ — 3,3 სმ. სურ. $14_{16}$.

24. რგოლები, ვერცხლისა (№ 07:1—80/1057—1058); 2 ც.; მრგვალგანივკვეთიანი ღეროსგან დამზადებული. დმ — 1 სმ. სურ. $13_4$.

25. გაურკვეველი ნივთი, ვერცხლისა (№ 07:1—80/1060); წარმოადგენს ექვსკუთხაგანივკვეთიან ღეროს, რომელიც შუა ნაწილში გაფართოებულია და მრგვალი ნახვრეტი აქვს. სიგრძე — 4,6 სმ. სურ. $13_3$.

26. ლურსმანი, ვერცხლისა (№ 07:1—80/1059); მრგვალქუდიანი , ოთხკუთხაღეროიანი; გატეხილი, გაღუნული. ქუდის დმ — 0,5 სმ.

27. მონეტები, ვერცხლისა (№ 07:1—80/962—1042); ე. წ. კოლხური თეთრი, ტრიობოლები — 80 ც. შუბლზე გამოსახულია ადამიანის თავი მარ-

ჯვენა პროფილში; გამოსახულება ჩასმულია ხაზოვან რკალში. ზურგზე გამოსახულია ხარის თავი მარჯვენა პროფილში. სხვადასხვა სიქაა გამოყენებული. სურ. 12.

28. ფირფიტის ფრაგმენტი, ვერცხლისა (№ 07:1—80/1061), მცირე ზომის, უსახო.

29. ისრისპირი, ვერცხლისა (№ 07:1—80/1086); სამფრთიანი. მასრა აკლია; მცირე ზომის.

30. ხატისუღელი, ბრინჯაოსი (№ 07:1—80/1062); წრიული, რკალგახსნილი, მრგვალგანივკვეთიანი. თავები შემკულია წიწვისებური ორნამენტით და მძივისებური შემსხვილებებით. ფრაგმენტირებული, ნაკლული. დაფარულია მწვანე პატინით.

31. სამაჯური, ბრინჯაოსი (№ 07:1—80/1063); რკალგახსნილი, ზურგშეზნექილი; რკალი დაფარულია ოთხკუთხედებით. ბოლოები შემკულია სტილიზებული გველის თავებით. ფრაგმენტირებულია, ნაკლულია. დაფარულია მწვანე პატინით. რკალის დმ — 0,4 სმ, სამაჯურის სიგანე — 7,5 სმ. სურ. $16_1$.

32. სამაჯურები, ბრინჯაოსი (№№ 07:1—80/1066, 1079); 2 ც.; რკალგახსნილი, ზურგმომრგვალებული; შემკულია ღარებით შემოსაზღვრული ქედით. რკალის ბოლოები სადაა, ოდნავ დავიწროებული. სამაჯურები ფრაგმენტირებულია, ნაკლული. დაფარულია მწვანე პატინით. რკინის ჟანგია ალაგ-ალაგ. რკალის დმ — 0,2 სმ, სამაჯურის სიგანე — 6,5 სმ. სურ. $16_2$.

33. სამაჯურები, ბრინჯაოსი (№№ 07:1—80/1064, 1068); 2 ც.; რკალგახსნილი, ზურგშედრეკილი. რკალი მრგვალგანივკვეთიანია. ბოლოები შემკულია ღარებით და მძივისებური შემსხვილებებით. სამაჯურები ფრაგმენტულია და ნაკლული (ერთს ნახევარი აკლია). რკალის დმ — 0,4 სმ, სამაჯურის სიგანე — 8 სმ. სურ. $16_3$.

34. სამაჯური, ბრინჯაოსი (№ 07:1—80/1070); რკალგახსნილი, ზურგშედრეკილი. რკალი მრგვალგანივკვეთიანია, ბოლოები ოდნავ დავიწროებულია. რკალი ბოლოებთან ახლოს ორნამენტირებულია წიწვისებურად განლაგებული ნაჭდევებით. სამაჯური ფრაგმენტირებულია და ნაკლული. დაფარულია მწვანე პატინით. რკალის დმ — 0,3 სმ, სამაჯურის სიგანე — 7,5 სმ. სურ. $16_4$.

35. სამაჯურები, ბრინჯაოსი (№ 07:1—80/1065, 1069); 2 ც.; რკალგახსნილი, ზურგშედრეკილი; რკალი მრგვალგანივკვეთიანია. ბოლოები დავიწროებულია. დაფარულია მწვანე პატინით. რკალის დმ — 0,4 სმ.

36. სამაჯურის ფრაგმენტი, ბრინჯაოსი (№ 07:1—80/1067); ოვალურგანივკვეთიანი ღეროსი; ბოლოსთან ღერო შემკულია ირიბი ნაჭდევებით. დმ — 0,4 სმ.

37. სამაჯურის ფრაგმენტი, ბრინჯაოსი (№ 07:1—80/1071); ოვალურგანივკვეთიანი ღერო აქვს, რომელზეც მიყანგულია რკინის სამაჯური. რკალის დმ— 0,4 სმ.

38. სამაჯურის ფრაგმენტი, ბრინჯაოსი (№ 07:1—80/1072); რკალგახსნილი; ბოლო შემკულია გველის თავის სტილიზებული გამოსახულებით. რკალის დმ — 0,4 სმ.

39. საბეჭდავი—ბეჭდები, ბრინჯაოსი (№№ 07:1—80/1073—1076, 1080—1981); 6 ც.; დაფარული მწვანე პატინით. ფარაკებზე გამოსახულებანია, ძლიერ დაზიანებული.

40. ღილაკი, ბრინჯაოსი (№ 07:1—80/1077); ნახევარსფერული მოყვანილობისაა; დმ — 2,2 სმ, სიმაღლე — 0,8 სმ. სურ. $14_{14}$.

41. ღილაკი, ბრინჯაოსი (№ 07:1—80/1078); წელშეზნექილი, მრგვალთავიანი, ბრტყელძირა. დმ — 1,3 სმ, სიმაღლე — 0,7 სმ. სურ. $14_{15}$.

42. ლაგამი, ბრინჯაოსი (№ 07:1—80/1083); საკუთრივ ლაგამი ორნაწილედია. თითოეული ნაწილი შედგება ორი რგოლისა და მათი დამაკავშირებელი მრგვალგანივკვეთიანი ღეროსგან; ღეროები რიგებად განლაგებული „მეჭეჭებითაა" შემკული. ერთ ღეროზე ორივე რგოლი ჰორიზონტალურია, გახსნილი; მეორეზე — ერთი რგოლი ჰორიზონტალურია, გახსნილი, მეორე — ვერტიკალურია, შეკრული. ლაგმის ღეროები ერთმანეთზე შიდა რგოლებითაა გადაბმული; გარეთა რგოლებზე კი წამოცმულია საყბეური და ავშარისათვის განკუთვნილი რგოლი. საყბეური ბრტყელ, ოთხკუთხაგანივკვეთიან ღეროს წარმოადგენს. შიდა კიდეზე მას სამი წრიული მოყვანილობის ყუნწი აქვს. შუა, დიდი ყუნწით საყბეური ლაგამს ებმის. დაფარულია მწვანე პატინით. ლაგმის სიგანე — 14,2 სმ, საყბეურის სიგრძე — 19,2 სმ, სიგანე — 1,8 სმ. სურ. $13_{5}$.

43. საშუბლე ფირფიტა, ბრინჯაოსი (№ 07:1—80/1084); ერთ კიდეზე სამი სამკუთხა შვერილი აქვს. ძლიერ დაზიანებულია, დაფარულია მწვანე პატინით[130]. მაქსიმალური სიგრძე — 18 სმ.

44. ფირფიტა, ბრინჯაოსი (№ 07:1—80/1085); სწორკუთხა, წაგრძელებული. კიდეებს გასდევს ზენური ხვიების რიგი. ძლიერ დაზიანებული, დაფარული მწვანე პატინით. სიგრძე — 17,8 სმ.

45. სიტულის ყურის ფრაგმენტი, ბრინჯაოსი (№ 07:1—80/1082); ბრტყელი, ოვალურგანივკვეთიანი; შერჩენილია რქისებრი შვერილები, ზედაპირზე წნული ორნამენტია. სიგანე — 2 სმ.

46. სამაჯურები, რკინისა (№№ 07:1—80/1087—1090); 4 ც., რკალი შემკულია შემსხვილებებით. ფრაგმენტირებულია, დაჟანგული.

47. სამაჯურები, რკინისა (№ 07:1—80/1096—1097); 2 ც.; რკალი შემკულია შემსხვილებებით. ფრაგმენტირებული, დაჟანგული.

48. სამაჯურები, რკინისა (№№ 07:1—80/1091—1092); 2 ც.; რკალი ოვალურგანივკვეთიანია. ფრაგმენტირებული, დაჟანგული.

49. სამაჯური (№ 07:1—80/1093); რკალი ოთხკუთხაგანივკვეთიანი; ფრაგმენტირებულია, დაჟანგული.

50. სამაჯური, რკინისა (№ 07:1—80/1094); რკალი მრგვალგანივკვეთიანია; ფრაგმენტირებულია, დაჟანგული.

51. სამაჯური, რკინისა (№ 07:1—80/1095); ძლიერ ფრაგმენტირებული, დაჟანგული.

52. ბეჭდები, რკინისა (№ 07:1—80/1098—1100); 3 ც.; ძლიერ დაჟანგული.

53. შუბისპირის ფრაგმენტი, რკინისა (№ 07:1—80/1102); შერჩენილია მასრისა და საბრძოლო პირის მცირე ნაწილები .დაჟანგულია. სიგრძე —10,5 სმ, მასრის დმ — 1,8 სმ. სურ. $15_{3}$.

54. სატევარი, რკინისა (№ 07:1—80/1123); ცალპირა. წვერი მოტეხილი აქვს. დაჟანგულია. შემორჩენილი სიგრძე — 11 სმ. სურ. $15_{1}$.

55. ქარქაშის ფრაგმენტები, რკინისა (№ 07:1—80/1103); 2 ფრ.; შერჩენილია მახვილის თუ დანის ფრაგმენტიც. დაჟანგულია. შემორჩენილი სიგრძე — 7,5 სმ. სურ. $15_{2}$.

---

[130] დაიმალა სამარხიდან ამოღების დროს.

56. ბექთარის ფრაგმენტი, რკინისა (№ 07:1—80/1101); ე. წ. ქერცლისებურ ბექთარს ეკუთვნის. შემორჩენილია ოთხკუთხა, წაგრძელებული ფირფიტების სამი რიგი, ერთმანეთზე მიჯაჭვული. ზედა კიდეზე ფირფიტებს ნახვრეტები აქვთ. ფირფიტების სიგრძე — 3,2 სმ, სიგანე — 0,8 სმ. სურ. $15_4$.

57. დანები, რკინისა (№№ 07:1—80/1124—1125); 2 ც.; ცალპირლესული, სწორპირა. ზედა ბოლოზე შერჩენილი აქვს 2—2 მანჭვალი. ნაკლულია. გატეხილი. სიგრძე — 16,5 სმ, სიგანე — 1,8 სმ.

58. დანის ფრაგმენტი, რკინისა (№ 07:1—80/1126); ცალპირლესული, მოხრილპირიანი; დაჟანგული.

59. რგოლები, რკინისა (№№ 07:1—80/1104—1106, 1127—1128); 5 ც.; მრგვალგანივკვეთიანი ღეროსგან დამზადებული. ნაკლულებია, დაჟანგული. დმ — 5 სმ. სურ. $15_5$.

60. ლურსმნები, რკინისა (№№ 07:1—80/1107—1113); 7 ც.: ოთხკუთხაღეროიანი, მრგვალქუდიანი. დაჟანგული, ნაკლული. თავის დმ — 2 სმ — 3,3 სმ; შემორჩენილი სიგრძე — 8 სმ — 28 სმ. სურ. $15_{8-11}$.

61. ლურსმნების (?) ფრაგმენტები, რკინისა (№№ 07:1—80/1114—1119), 6 ც.; ოთხკუთხაგანივკვეთიან ღეროებს წარმოადგენენ. შემორჩენილი სიგრძე — 4,5—8 სმ.

62. კავები (?), რკინისა (№№ 07:1—80/1119—1122), 4 ც.; ბრტყელი, ოთხკუთხაგანივკვეთიანი ღერო, მართი კუთხით მოხრით; ერთი ბოლო ზეაწეულია, თავჩახვეული. დაჟანგულია. სიგრძე — 8,8 სმ. 10 სმ. სურ. $15_{12}$.

63. გაურკვეველი ნივთი (ნივთები?), რკინისა (№ 07:1—80/1129), 2 ც. (?): ორი მრგვალგანივკვეთიანი, ნახევარწრიულად მომრგვალებული ღერო, რომელსაც ბოლოები დაბრტყელებული და კუთხით მოხრილი აქვს. ღეროები ერთი ბოლოთი ერთმანეთზეა მიმაგრებული (მიჯაჭვული?). თითოეული ნაწილის სიგრძე — 13,5 სმ. სურ. $15_{13}$.

64. ქურქლის ძირ-ტანი, თიხისა (№ 07:1—80/1161); წაგრძელებული ტანის ნაწილია შემორჩენილი; ძირი ბრტყელია. კეცი მოყვითალო-ყავისფერია, თიხა მინარევებიანია. შემორჩენილი სიმაღლე — სურ. $16_7$.

65. სინოპური ამფორა, თიხისა (№ 07:1—80/1162); პირის გვირგვინი სამკუთხაგანივკვეთიანია, ყელი ცილინდრული, ტანი კონუსური, მხრებთან გაფართოებული; ქუსლი დაბალია, ძირბრტყელი, ზევით შევიწროებული; ყურები თხელია, ოვალურგანივკვეთიანი. მიძერწილია პირს ქვემოთ და მხრებზე. ყურების ძირში თითით თითო-თითო ფოსოა გამოყვანილი. სიმაღლე — 63 სმ, პირის დმ — 11,7 სმ, ტანის მაქს. დმ — 40,5 სმ. სურ. $16_6$.

66. მძივები, სერდოლიკის (№ 07:1—80/1151); დოლისებური ფორმის. დმ — 1,1 სმ. სურ. $14_1$.

67. მძივი, აქატის (№ 07:1—80/$1151_1$); დოლისებური ფორმის. დმ — 1 სმ. სურ. $14_2$.

68. საკიდები, გიშრის (№№ 07:1—80/1131. 1132); 2 ც.; წაგრძელებული, სტილიზებული ცულის ფორმის. ყუნწები მოტეხილი აქვთ. სიგრძე — 1,5 სმ. სურ. $14_{11-12}$.

69. ქარვის სამკაულის ჩასართავები (№ 07:1—80/1130), 8 ც.; 3 ნახევარსფერული მოყვანილობისაა, ბრტყელ ძირზე ფოსო აქვს. დმ — 1,8 სმ. დანარჩენები ოთხკუთხა ფორმისაა, სიგრძე — 3 სმ. სურ. $14_{10}$.

70. სამკაულის ჩასართავი, ლურჯი მინისა (№ 07:1—80/1133); ძირბრტყელი, ზედაპირმომრგვალებული, „ცრემლის“ ფორმის. სიგრძე — 4,1 სმ.

71. მძივი, ყვითელი მინისა (№ 07:1—80/1151 ა); შეწყვილებული; შემკულია ბურთულებით. არხის სიგრძე 0,6 სმ. სურ. $14_6$.

72. მძივი, ლურჯი გაუმჭვირვალე მინისა (№ 07:1—80/1151 ბ); სფეროსებური ფორმის, ღერძზე დაბრტყელებული. დმ — 0,5 სმ. სურ. $19_7$.

73. მძივები, ყვითელი გაუმჭვირვალე მინისა (№ 07:1—80/1151 გ), 4 ც.; ბიკონუსური. არხის სიგრძე — 0,6 სმ. სურ. $14_7$.

74. მძივი (№ 07:1—80/1151 დ); მომწვანო-მოყვითალო გაუმჭვირვალე მინისა; სფერული, ღერძზე დაბრტყელებული, სურ. $14_3$.

75. მძივი, ფირუზისფერი გაუმჭვირვალე მინისა (№ 07:1—80/1151 ე); სფერული, ღერძზე დაბრტყელებული.

76. მძივები, მწვანე-ფირუზისფერი გაუმჭვირვალე მინისა (№ 07:1—80/1139); 8 ც.; კვერცხისებური მოყვანილობის.

77. მძივები (№ 07:1—80/1156, 1157), 2 ც.; ცისფერი გაუმჭვირვალე; მომრგვალებული ფორმის. სურ. $14_8$.

78. მძივები, შავი დახშული მინისა (№№ 07:1—80/1134—1138); 5 ც.; ცილინდრული ფორმის. თეთრი ძაფებით გამოყვანილია ბუმბულისებური ორნამენტი. სიგრძე — 2,5 სმ. 1 გატეხილია. სურ. $14_4$.

79. მძივები, ლურჯი მინისა (№№ 07:1—80/11513, 1158—1160), 7 ც.; შემკულია სამ-სამი თეთრ-ლურჯი თვალით.

80. მძივები, ლურჯი მინისა (№ 07:1—80/1139), 11 ც.; შემკულია ცხრა-ცხრა თეთრ-ლურჯი თვალით. სურ. $14_5$.

81. მძივები გაუმჭვირვალე ყვითელი მინისა (№№ 07:1—80/11518, 1154, 1155), ე. წ. მოზაიკური.

82. მძივი გაუმჭვირვალე ყვითელი მინისა (№ 07:1—80/1153); ცილინდრული ფორმის, ბოლოებდავიწროებული; წითელი საღებავი ალაგ-ალაგაა შემორჩენილი. შემკულია რვა თვალით, რომელიც ცისფერი, შავი, ყვითელი და მუქი იისფერი საღებავის კონცენტრული წრეებითაა შედგენილი. სიგრძე — 2,5 სმ.

83. საკიდები, ე. წ. ეგვიპტური ფაიანსის (№№ 07:1—80/1140—1149), 10 ც.; ღია ფირუზისფერი. წარმოადგენს მაღალ სავარძელში მჯდარ ღვთაებას. ორი პარალელური არხი აქვს. ორი ზომისაა (სიმაღლის მიხედვით) — 0,8 სმ და 1,1 სმ. სურ. $14_{13}$.

84. საკიდი, ფირუზისფერი გაუმჭვირვალე მინისა (№ 07:1—80/1152); ბრტყელი, ოთხკუთხა მოყვანილობის. ერთი არხი აქვს, რომელიც არ არის გამჭოლი. სიგრძე — 4,5 სმ, სიგანე — 0,6 სმ. სურ. $14_9$.

85. ილტები, მომწვანო-ცისფერი გაუმჭვირვალე მინისა (№№ 07:1—80/1139 ბ, 1150); 172 ც.

**№ 17 სამარხი**

86. მონეტები, ვერცხლისა (№ 07:1—80/1460—1461), 2 ც.; ე. წ. კოლხური თეთრი; ტრიობოლები ავერსზე — ადამიანის თავი მარცხენა პროფილში, რევერსზე— ხარის თავი მარჯვენა პროფილში.

87. ბეჭედი, ბრინჯაოსი (№ 07:1—80/1462), ფარაკიანი; დაფარულია მწვანე პატინით. სურ. $17_{14}$.

88. ზარაკები, ბრინჯაოსი (№ 07:1—80/1463—1466); 4 ც., ცილინდრული მოყვანილობის, გვერდჩაჭრილი, მრგვალგანივკვეთიანი ყუნწი აქვთ. ორ მათ-

განზე შერჩენილია ბოლომომრგვალებული ბრტყელი ენა. ენა ყუნწითაა ჩამოკიდებული. ზარაკები დაზიანებულია, დაფარულია პატინით. სიმაღლე ყუნწიანად — 2,5 სმ. სურ. $17_{13}$.

89. მახვილის ფრაგმენტი, რკინისა (№ 07:1—80/1467); წვერი და ტარი აკლია. ძლიერ დაჟანგულია. შემორჩენილი სიგრძე — 18,5 სმ. სურ. $17_{15}$.

90. ლურსმნის ფრაგმენტი, რკინისა (№ 07:1—80/1468); წვერი და ქუდი აკლია. ოთხკუთხა ღერო აქვს. დაჟანგულია. შემორჩენილი სიგრძე — 16,5 სმ.

91. დერგი, ყავისფერკეციანი (№ 07:1—80/1457); პირი ჯამისებური მოყვანილობისა აქვს; ყელი სწორხაზოვანპროფილიანია, ზემოთკენ გაფართოებული; ტანი მომრგვალებულია, ძირი ბრტყელი. ყურები მცირე ზომისაა, ზემოთ მორკალული. ზედა ნაწილი ოვალურგანივკვეთიანია, ქვედა — მრგვალგანივკვეთიანი. თიხა მინარევებიანია (კირქვა, პიროქსენი). ზედაპირზე ნაცრისფერი ლაქები აქვს. სიმაღლე — 32 სმ, პირის დმ — 15 სმ. სურ. $17_4$.

92. ჯამი, ყავისფერკეციანი (№ 07:1—80/1458); პირის კიდე შიგნით გადახრილია, შიდა ზედაპირისაგან ღარით არის გამოყოფილი. კალთა სწორხაზოვანპროფილიანია, ძირისკენ დახრილი. ძირი ბრტყელი. თიხა მინარევებიანია. სიმაღლე — 4 სმ, პირის დმ — 13,5 სმ, ძირის დმ — 7 სმ. სურ. $17_5$.

93. ამფორა, თიხისა (№ 07:1—80/1456); სინოპური. პირის გვირგვინი ლილვისებურად აქვს შესქელებული, ყელი ცილინდრულია; მხრები გამოკვეთილია, დახრილი. ტანი კონუსური მოყვანილობისაა. ქუსლი ცილინდრულია, ძირისკენ ოდნავ გაფართოებული. ყურები ოვალურგანივკვეთიანია. ქვედა ბოლოზე თითით ფოსოა გამოყვანილი. თიხას იასამნისფერი დაჰკრავს. ურევია პიროქსენის მსხვილი მარცვლები. სიმაღლე — 66 სმ, პირის დმ — 9,8 სმ, ყურის სიმაღლე — 21 სმ. სურ. $17_3$.

94. მძივები, მინისა (№ 07:1—80/1459); 8 ც.; ორი ღია ყავისფერია, დანარჩენი — ფირუზისფერი; ცილინდრული მოყვანილობა აქვთ. ერთი მძივი გატეხილია. დმ — 1 სმ. სურ. $17_{6-12}$.

რ. ფუთურიძე

# ვანის ნაქალაქარის ცენტრალური ტერასის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილის არქეოლოგიური გათხრები

ვანის ანტიკური ხანის ნაქალაქარის ცენტრალური ტერასის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილის შესწავლა 1966 წლის გაზაფხულზე დაიწყო, როცა სასოფლო გზის გაფართოების დროს გამოვლინდა თირის ქვათლილებით ნაგები კედელი (სურ. $19_1$). 1966 წელს ვანის ნაქალაქარზე არქეოლოგიური გათხრების განახლებისას საველე მუშაობის ერთ-ერთი ძირითადი უბანი ეს მონაკვეთი იყო. მისი გათხრები გაგრძელდა 1967 წელს, ითხრებოდა 1969—71 და 1976—79 წლებშიც[1]. 1966—67 და 1970—71 წლების მუშაობის შედეგები გამოქვეყნდა ხოლო შემდგომი წლების მუშაობის შედეგების შესახებ მოხსენებათა მოკლე შინაარსები იბეჭდებოდა[2]. ოთ. ლორთქიფანიძე თავის ნაშრომებში ნაქალაქარის ამ მონაკვეთის ძეგლებსაც ეხება და მათ შესახებ არაერთი მნიშვნელოვანი აზრი აქვს გამოთქმული[3]. გ. ყიფიანმა ამ მონაკვეთის არქიტექტურული ძეგლებიც შეისწავლა[4].

ჩვენთვის საინტერესო მონაკვეთზე აუარებელი არქეოლოგიური მასალაა აღმოჩენილი. ზოგიერთ მათგანს ცალკე გამოკვლევები უძღვნა გ. ლორთქიფანიძემ[5]. გამოქვეყნდა აქ აღმოჩენილი მონეტები[6], ოქროს ნივთები[7], ადრეანტი-

---

1 აღნიშნულ მონაკვეთზე გათხრებს სხვადასხვა დროს მეთვალყურეობდნენ არქეოლოგები: რ. ფუთურიძე (1966 წლის გაზაფხულზე, 1969—71 და 1976—79 წლებში); ა. კახიძე და გ. ლორთქიფანიძე (1966 წ.); ნ. ხოსიტაშვილი (1967 წ.); გ. კვირკველია (1976 წ.); გ. ყიფიანი (1977—78 წწ.). აზომვებზე მუშაობდნენ გ. ლეჟავა, ბ. მჭედლიშვილი, გ. ყიფიანი. ფოტოები ეკუთვნის ვ. სალნიკერს.

2 ნ. ხოშტარია, ოთ. ლორთქიფანიძე, რ. ფუთურიძე, გ. ლეჟავა არქეოლოგიური გათხრები ვანში 1966 წ., ვანი I, თბ., 1972, გვ. 171—174; ნ. ხოშტარია, ოთ. ლორთქიფანიძე, რ. ფუთურიძე, არქეოლოგიური გათხრები ვანში 1967 წელს, ვანი I, გვ. 176—179; ოთ. ლორთქიფანიძე, რ. ფუთურიძე, ე. თოლორდავა და სხვ. 1970—1971 წლებში ვანში ჩატარებული საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები. ვანი II, თბ. 1976, გვ. 20—23. ПАИ в 1976 году. Тбилиси, 1979, с. 142—145. ПАИ в 1977 году, Тбилиси. 1980 с. 148—150, ПАИ в 1978 году, Тбилиси. 1981 с. 112—114. ПАИ в 1979 году, Тбилиси, 1982 с. 80.

3 От. Лордкипанидзе, Древняя Колхида, Тбилиси, 1979 с. 202—206.

4 გ. ყიფიანი, ხუროთმოძღვრება და სამშენებლო საქმე ვანის ნაქალაქარზე ძვ. წ. III—II სს-ში, თბ., 1983, გვ. 36—56. ილ. XII—XXVII.

5 Г. Лордкипанидзе, Наконечник тарана из Вани. СА, 1969 № 4 Он же, Алтари Ванского городища. Сб. ИКАМ, М. 1977, с. 108, 110.

6 გ. დუნდუა, გ. ლორთქიფანიძე, მონეტები ვანიდან. ვანი III, თბ., 1977, გვ. 119—152.

7 ა. ჭყონია, ოქროს სამკაული ვანის ნაქალქარიდან. ვანი VI, თბ., 1981.

კური კოლხური კერამიკა[8], იმპორტული თიხის ჭურჭელი[9], ცალკეული არქიტექტურული დეტალები[10].

მიუხედავად ყოველივე ამისა, მონაკვეთის არქეოლოგიური ძეგლების ერთობლივად განხილვის საჭიროება მაინც იგრძნობა. საჭიროა გადაისინჯოს და ერთმანეთს შეუდარდეს გათხრის პროცესში სხვადასხვა მონაკვეთებზე გაშიშვლებული ფენების სტრატიგრაფია, დაზუსტდეს სამშენებლო პერიოდების რაოდენობა, ერთიანად იქნეს გათვალისწინებული სხვადასხვა ადგილას სინქრონულ ფენებში მოპოვებული არქეოლოგიური მასალა.

ცენტრალური ტერასის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი შედარებით სწორ ფართობს წარმოადგენს მცირედი დაქანებით აღმოსავლეთით. იგი ნაწილია ვანის მცხოვრების საკარმიდამო ნაკვეთისა. მასში იდგა პატარა ხის სახლი, გაშენებული იყო ვენახი და ბოსტანი, იდგა ხილისა და საჩრდილობელი ხეები. ნაკვეთი ყოველწლიურად იბარებოდა და მიწაც რამდენჯერმე იყო გადაბრუნებული ვაზის გამოცვლისას დაახლოებით 70 სმ სიღრმეზე. ნაკვეთს აღმოსავლეთით და სამხრეთით გარს უვლის სასოფლო გზა, რომელიც მის ზედაპირზე რამდენადმე დაბლა მდებარეობს, ამგვარად გზის პირას გაშიშვლებულია ნაკვეთის ვერტიკალური ჭრილი, მასში მოჩანს კულტურული ფენები, ყველგან თირამდე რომ გრძელდება და თირიც, რომელშიაც გაუჭრიათ სასოფლო გზა (სურ. $19_2$).

ნაქალაქარის გეგმაზე (სურ. 1) აღნიშნულ ფართობს უჭირავს 140—141, 161—162, 181—182, 199—200 ნაკვეთები. ამ ნაკვეთებში დღემდე სულ 1500 კვადრატულ მეტრამდე ფართობი გაითხარა და ყველგან თხრა მიყვანილ იქნა გრუნტამდე, რომელიც აქაც, ისევე როგორც ნაქალაქარის მთელ ფართობზე, ქვიშაქვის რბილ, ყვითელ კლდეს, თირს წარმოადგენს. მონაკვეთზე კულტურული ფენების სიღრმე მერყეობს 20 სმ-დან 3 მეტრამდე, ეს ფენები ყოველთვის თირამდე გრძელდება და თირსაც ყველგან ეტყობა ადამიანის მოქმედების კვალი. გამოვლენილ იქნა რამდენიმე პერიოდის არქეოლოგიური ძეგლები. მათ შორის ყველაზე მძლავრი ელინისტური ხანაა, რომელიც საკულტო კომპლექსითაა წარმოდგენილი.

ელინისტური ხანის ძეგლებს თავის დროზე ძლიერ დაუზიანებია ადრეანტიკური ხანის ფენები, თუმცა მათი აქ არსებობა დადასტურებულია. მონაკვეთის აღმოსავლეთ ნაწილში, სადაც ნაგებობათა ნაშთები არაა და ალბათ არც უძველეს ხანაში იყო, კულტურული ფენები ღრმად მიდის, თირამდე გრძელდება და სამ მეტრს აღწევს. ქვედა შრეებში გვხვდება ადრეანტიკური ხანის კოლხური კერამიკა — შავად გაპრიალებული ჭურჭლის ნატეხები, ქედებიანი ქვევრების კედლის ნატეხები და თითო-ოროლა იმპორტული თიხის ჭურჭლის ნატეხიც — შავლაკიანი ჭურჭლისა და ძვ. წ. V ს. ყელგამობერილი ქიოსური ამფორის ნატეხები. ეს ფენები ამ ადგილას არაა ინტენსიური და მონაკვეთის განაშენიანებაზე არ მიუთითებს. მისი ზედაპირი თავის დროზეც რომ თავისუფალი ყოფილა ნაგებობისაგან, იქიდანაც ჩანს, რომ ჭრილში მო-

8 ოთ. ლორთქიფანიძე, ელ. გიგოლაშვილი, დ. კაჭარავა, ვ. ლიჩელი, მ. ფირცხალავა, ა. ჭყონია, ძვ. წ. VI—IV საუკუნების კოლხური კერამიკა ვანიდან. ვანი V, თბ., 1981.

9 ოთ. ლორთქიფანიძე, რ. ფუთურიძე, დ. კაჭარავა, ნ. მათიაშვილი, ე. თოლორდავა და სხვ. ანტიკური (ბერძნული) იმპორტი ვანსა და მის მიდამოებში, ვანი VII, თბ., 1983.

10 გ. ლეჟავა, ანტიკური ხანის საქართველოს არქიტექტურული ძეგლები თბ., 1979, ტაბ. XVIII—XXII.

ჩანს ქვიშისა და თიხამიწის მონაცვლეობა, რაც წვიმების დროს ადგილის დასილვის შედეგი უნდა იყოს. ეს მონაკვეთი ასევე ნაგებობების გარეშე დარჩენილა ელინისტურ ხანაშიც.

181 ნაკვეთის $b_9$, $c_{10}$ კვადრატებში თირში ამოკვეთილია არხი, რომლის სიღრმე 1 მ-ს აღწევს, სიგანე ზედა ნაწილში 0,80 მ-ია, ფსკერზე 0,30 მ. გადარჩენილი სიგრძე 5 მ. თავიც და ბოლოც არხისა დაზიანებულია ელინისტურ ხანაში ნაგები შენობების საძირკვლით, რომელთაგანაც ჩვენამდე თირში ამოჭრილმა ბუდეებმა და ზოგან ჩარჩენილმა გათლილმა ქვის კვადრებმა მოაღწია. არხი ამოვსებული აღმოჩნდა ადრეანტიკური და ადრეელინისტური ხანის არქეოლოგიური მასალით, არის ცეცხლის კვალი და ცხოველთა ძვლები. ადრეანტიკური ხანისა აქ ნაპოვნია კოლხური სასმისის ძირი, კოლხური ქვევრების ქედებიანი კედლის ნატეხები, პაწია ნატეხები შავლაკიანი ჭურჭლისა, რომელთა შორის ერთი მოხატულია, ქიოსური ამფორის ძირი. ადრეელინისტური ხანის უნდა იყოს სინოპური კრამიტის რამდენიმე ნატეხი, სინოპური ამფორის ნატეხები, კოლხური ამფორის ნატეხები. არხი ამოვსებული ჩანს ადრეელინისტურ ხანაში. მის თავზე აღმოჩნდა ადგილზე ჩალეწილი შავ ზოლებად გაპრიალებული, ცალყურა ქოთნების გროვა (სურ. 20). 11 ჭურჭლიდან აღდგა ცხრა მთლიანად და ორი ნაწილობრივ, იმის გამო, რომ ჭურჭელი ერთ კომპაქტურ გროვად იყო მიყვლეული, ხოლო არხში დამწვარი ძვლები გვხვდებოდა, შესაძლოა არხი საკულტო ადგილად და ჭურჭლის გროვა შეწირულებად მივიჩნიოთ, მით უმეტეს, რომ აქვე ახლოს აღმოჩნდა მთელი სისტემა თირში ამოკვეთილი ორმოებისა (სურ. 21), რომელნიც მეორე არხთან არიან დაკავშირებული და მათი ზომებისა და მოყვანილობის მიხედვით საკულტო ორმოებად უნდა ჩაითვალოს[11].

თირში ამოკვეთილი ორმოები გაფანტულია დაახლოებით 60 კვადრატული მეტრის ფართობზე. სულ 52 ორმოა აქ გამოვლენილი. რაოდენობის მხრივ ჭარბობს მცირე ზომის ორმოები (დმ 20—30 სმ, სიღრმე 15—20 სმ) ყველაზე დიდი ორმოს დიამეტრი 2 მ-ია, მაგრამ მისი სიღრმე 20 სმ-ზე მეტი არ არის. ერთი ასეთივე დიამეტრის ორმო მეორე, უფრო მცირე დიამეტრის ორმოთია ჩაღრმავებული. მხოლოდ ერთ ადგილას, 162 ნაკვეთის $a_9$, $b_{7-8}$, $c_7$ კვადრატებში იგრძნობა ორმოთა დაჯგუფების გარკვეული სისტემა (სურ. 21). ერთ ხაზზე განლაგებულია ცილინდრული მოყვანილობის ორი ორმო, აქეთ-იქით ოვალური მოყვანილობის თითო ორმო. აღსანიშნავია, რომ ამ ოთხ ორმოს სიღრმე ერთნაირი აქვს — 40 სმ. შეიმჩნევა ორმოთა კონცენტრაცია ამ „სისტემის" ჩრდილო-აღმოსავლეთით (რვა ორმო ათიოდე კვადრატული მეტრის ფართობზე). ორმოთა დიდი ნაწილი ალბათ ერთი დანიშნულებისაა — საკულტო, პატარა ორმოები კი შეიძლება სხვა დანიშნულებისაც იყოს — მაგალითად, ბოძების ჩასამაგრებელი — ზოგიერთ მათგანში ქვების ნატეხებია, ალბათ ბოძის გასაჭედად. ამ ადგილას თირი ძალზე ახლოა ზედაპირთან და შესაძლოა ამითაც აიხსნას ის გარემოება, რომ მიწის გარდა ორმოებში არაფერი აღმოჩენილა, თუმცა იქნებ მათში ისეთ შესაწირავს მარხავდნენ, რომელიც კვალს არ ტოვებს — ღვინო, მცენარეული საკვები. ორმოთა დაჯგუფების კავშირი თირში ამოკვეთილ მეორე არხთან თითქოს საეჭვო არა ჩანს — ამ ადგილას იწყება ის არხი, რომელიც აქედან ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ მიემართება, 18 მეტრის სიგრძისაა და ელინისტური ხანის საზეიმო საკურთხევლის კედელზე გადადის (სურ. 18).

---

11 ПАИ в 1977 году, с. 150, таб. IXXII.

ელინისტურ ხანაში შესასწაველ ფართობზე დიდი მშენებლობა იშლება. აქ სულ ცოტა სამი სამშენებლო პერიოდია დადასტურებული. სამივე შემთხვევაში დაკავებულია დაახლოებით ერთი და იგივე ფართობი, ხოლო მიმდებარე მიდამოდ — ეზო თუ სხვ. გამოყენებულია ფართობი აღმოსავლეთით და დასავლეთით. უძველესი ნაგებობებიდან ჩვენამდე მოაღწია თირში ჩაჭრილმა თლილი ქვისათვის განკუთვნილმა ბუდეებმა, ზოგიერთი მათგანი ნაწილობრივ გვიჩვენებს შენობის გეგმას. ასე, მაგალითად, 182 და 200 ნაკვეთების მიჯნაზე გამოვლენილი ბუდეები სწორკუთხა ნაგებობას ეკუთვნის, რომელიც ძირითად კედელზე უფრო ვიწრო ტიხარით ორ ნაწილადაა გაყოფილი (სურ. $21_3$). სხვა ნაგებობათა ნაშთები მოქცეულია შემდგომი ხანის ნაგებობების ქვეშ და მისი თირში ჩაჭრილი საძირკვლებიდან ამოკრეფილია გათლილი კვადრები, მათი შემდგომი გამოყენების მიზნით. რომ ამ ნაგებობის ქვედა ნაწილი მაინც თლილი ქვით იყო ნაგები, ჩანს in situ აღმოჩენილი ორიოდე კვადრით. ისინი თირში ამოკვეთილ ბუდეებშია მჭიდროდ ჩადგმული (სურ. $21_3$). ერთ-ერთ ნაგებობას, როგორც ჩანს, შელესილი და სხვადასხვაფრად შეღებილი კედლები ჰქონია, ამაზე მიუთითებს ფერადი ბათქაშის პატარა ნატეხები (№ 07:1—69/253). მათ შორის გვხდება თეთრი, ყვითელი, წითელი და ლურჯი ფერისა. ბათქაშის ნატეხები აღმოჩნდა 182 და 200 ნაკვეთების მიჯნაზე თირზე მდებარე ყვითელ ფენაში.

ადრეელინისტური ხანისა უნდა იყოს იატაკის ფრაგმენტი, რომელიც შემორჩენილია 199-ე ნაკვეთის $h_4$ კვადრატში (სურ. $21_4$) იგი ყველაზე დაბლა მდებარეობს მონაკვეთის ძეგლებს შორის, თითქმის თანამედროვე გზის დონეზე (მასზე 20 სმ-ით მაღლა), ნაგებია შემდეგნაირად — მოსწორებულ თირზე ერთ ფენად დაწყობილ მცირე ზომის რიყის ქვებს გადასხმული აქვს დანაყილი კირქვისა და დაფშხვნილი კერამიკის ნარევის ხსნარი, ამიტომ მას მოწითალო შეფერილობა აქვს. ზედაპირი კარგადაა მოსწორებული. თუ რომელ ნაგებობას ეკუთვნოდა ეს იატაკი, ჩვენთვის ცნობილი არ არის, მისი კედლების ნაშთები ახლომახლო არ ჩანს. ის კი ცხადია, რომ იატაკი გაუქმებულია გვიანელინისტურ ხანაში, მასზე ერთბაშადაა დაყრილი 0.90 მ სიმძლავრის მოყვითალო შეფერილობის მიწის ფენა, რითაც გათანასწორებულია დონე ხსნარიანი იატაკის ჩრდილოეთით ამდენადვე მაღლა მდებარე თირის ზედაპირთან. როგორც ჩანს, სამუდამოდაა განადგურებული ის ფართობი, სადაც ამ იატაკის მქონე ნაგებობის კედლების კვალი უნდა ყოფილიყო. იგი დღევანდელი გზის თავზეა სავარაუდებელი. ჩვენამდე მოღწეულ იატაკის ფრაგმენტს უჭირავს 2,20×1,70 მ ფართობი (სურ. 18). მიწა, რომელიც იატაკზეა დაყრილი გვიანდელი ნაგებობის (ე. წ. „მოზაიკურიატაკიანი ტაძარი“) იატაკის დონემდე, თითქმის სტერილური იყო, იგი მცირე რაოდენობით შეიცავდა კირქვის ანატკეცებს და ქვების მცირე ზომის ნატეხებს, ხოლო ჩრდილოეთით, იქ, სადაც ხსნარიანი იატაკი აღარ გრძელდებოდა, თირის მოსუფთავების დროს ზედ თირზე ორგანული ნაშთებისაგან გაშავებულ მიწაში საქონლისა და ფრინველის ძვლები და ვერცხლის ერთი პატარა ხვია აღმოჩნდა. ე. ი. ნაგებობის აშენებამდე თირზე იყო ცხოვრება.

„მოზაიკურიატაკიანი ტაძრის“ ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, 199 ნაკვეთის $k_1$ კვადრატისა და 200 ნაკვეთის $a_1$ კვადრატების საზღვარზე (იხ. გეგმა, სურ. 18) ტაძრის იატაკის დონიდან 0,90 მ-ის სიღრმეზე აღმოჩნდა ქვიშაქვის ფილებისაგან შეკრული ყუთი (სურ. 22). მისი ჩრდილო კედელი და იატაკი თირის კლდეს წარმოადგენს. იგი მთლიანად და ერთბაშად იყო ამოვსებული ყვითელი ფხვიერი მიწით, რომელიც არავითარ კულტურულ ნაშთებს

არ შეიცავდა. ყუთის ზომებია 2,50×0,90×0,45 მ. ქრონოლოგიურად ყუთი შეიძლება უკავშირდებოდეს ძველ ხსნარიან იატაკს. ყუთის დანიშნულება მთლად ნათელი არაა. მოგვაგონებს ელინურ სამყაროში გავრცელებულ კერა სამსხვერპლოებს[12]. ყუთის ყვითელი მიწით ამოვსების შემდეგ მის თავზე შექმნილა კულტურული ფენა, რომელიც ტაძრის იატაკამდე გრძელდება. ეს კარგად ჩანს ჭრილში (სურ. 22). სამწუხაროდ, ამ ფენაში დამათარიღებელი არაფერი აღმოჩენილა, მხოლოდ კერამიკის რამდენიმე უსახო ნატეხია მოპოვებული.

ზემოთ ნახსენები 18 მეტრის სიგრძის არხი, რომელიც ნაცრისფერი ფხვიერი მიწით იყო ამოვსებული, გადადის თლილი ქვით ნაგებ კედელზე, მისთვის კედელში საგანგებოდაა დატანებული ღია ადგილი (სურ. 18,22), ხოლო ახლო-მახლო კედლის ქვები გაცვეთილია თითქოს მათზე არხიდან მოდენილ სითხეს უდენია. კედლის წინ დაახლოებით ასი კვადრატული მეტრი ფართობი მთლიანად იყო მოფენილი დიდი, კარგად გათლილი ქვიშაქვებით და კირქვისაგან გამოთლილი არქიტექტურული დეტალებით. ქვების ქვეშ ძლიერ ხანძარში გადამწვარი ალიზის კედლების ნანგრევებია, მის ქვეშ კი კრამიტების ნატეხები. ზოგან კრამიტების ნალეწზე უშუალოდაა დავარდნილი თლილი ქვები (სურ. $22_3$), ხოლო თლილი ქვების თავზედაც იყო ალიზის ნაშალი, ზოგან კი კრამიტყრილიც უშუალოდ თლილ ქვებზე იყო დავარდნილი. ცხადია, რომ რაღაც დიდი ნაგებობა ძლიერ ხანძარშია დამწვარი და საგანგებოდ დანგრეული, ხოლო ამ ნგრევის შემდეგ ეს ადგილი, დაახლოებით 1,5 მ სიღრმიდან, ხელუხლებლად არის მოღწეული ჩვენამდე.

კედლის წინ, მის გასწვრივ 182 ნაკვეთის $a_{5-8}$ და $b_{5-8}$ კვადრატებში ეყარა შედარებით ბრტყელი და წაგრძელებული ფილები (მათი ზომებია — 1,05×0,68×0,27). ამ ფილების დიდ ნაწილს ზედაპირის ნახევარი გაცვეთილი ჰქონდა, ალბათ მათზე სიარულის გამო, ამიტომ საფიქრებელია ისინი (სულ 14 ცალია ასეთი ფილა) შეადგენენ ორსაფეხურიან კიბეს, რომლის საერთო სიგანე 5 მეტრამდე იყო[13]. ამ ფილების აღმოსავლეთით მრავლად გამოჩნდა სხვადასხვა მოყვანილობისა და ზომის კარგად გათლილი ქვიშაქვები. ყველა ისინი გადამწვარი ალიზის ნაშალისა და კრამიტის ჩალეწილი სახურავის ნანგრევებზეა დაცვენილი (სურ. $22_3$, 23). გათლილ ქვებს შორის არის ქვიშაქვის ორლილვაკიანი ბაზა, თეთრი კირქვის სამი კაპიტელი, ასეთივე კირქვის ერთი ბაზა და მრავალი ნატეხი კირქვისა, რომლებსაც ეტყობათ, რომ აგრეთვე არქიტექტურულ დეტალთა ნაწილები არიან. ერთ-ერთ კაპიტელთან ახლოს აღმოჩნდა დამწვარი ხის ძელი (სურ. $22_3$). იგი შეისწავლა ბოტანიკის ინსტიტუტის მეცნიერმა თანამშრომელმა პროფ. თ. კეზელმა და დაადგინა, რომ იგი კოლხური მუხისაა. მაშასადამე, ნაგებობას მუხის სვეტები ჰქონია. ამ ნანგრევების აღმოსავლეთ ნაწილში თირში ამოკვეთილი რამდენიმე ორმო აღმოჩნდა, ერთ მათგანში ქვევრის ქვედა ნაწილი იყო ჩარჩენილი (სურ. $22_3$). ალბათ დანარჩენი ორმოებიც ქვევრების ჩასადგმელად იყო განკუთვნილი.

თლილი ქვით ნაგები კედელი გრძელდებოდა ჩრდილოეთითაც, მაგრამ ამ ნაწილში იგი უფრო მეტადაა დაზიანებული, მისი ქვები აქ ამოკრეფილია და მისგან მხოლოდ ბუდეებიღაა გადარჩენილი (სურ. $23_3$). სწორედ ამ ნაწილში დამწვარი ხის მრავალ ნაშთთან ერთად აღმოჩნდა კარის ანჯამები და რაზა.

---

[12] Y a v i s S. G., Greek altars (Origins and Typology), Saint Louis, Missouri, 1949, p. 62, fig. 22.

[13] გ. ყ ო ფ ი ა ნ ი, ხუროთმოძღვრება და საშენებლო საქმე..., გვ. 38.

შესაძლოა აქ თავის დროზე კარი არსებულიყო. კარის ნიშნები ჩანს აგრეთვე კედლის სამხრეთ ბოლოშიც. აქ მის პარალელურად მეორე კედელია თლილი ქვისა, რომელიც თირის მოპირკეთებასაც წარმოადგენს. ამ ორ კედელს შორის ყოფილა 2 მეტრი სიგანის ღიობი, რომელიც ახლა ალიზის კედლის ნანგრევებით იყო ამოვსებული (სურ. $24_1$ უკანა პლანზე მარცხნივ).

თლილი ქვით ნაგები კედლის ჩრდილო ნაწილში საფეხურების კიდევ სამი ქვა და 2,75 მ სიგრძის ქვის არქიტრავი აღმოჩნდა, ხოლო მის აღმოსავლეთით თირში გაიწმინდა ორმწკრივად გაჭრილი ორმოები, რომლებიც არქიტრავის ასაზიდ ხარაჩოებს უნდა ეკუთვნოდეს (სურ. $24_2$).

ალიზის ნაშალში ხშირად ჩნდებოდა რკინის ლურსმნები, სხვადასხვა სიგრძისა, ოთხკუთხა თავიანი, ზოგჯერ სწორ კუთხით მოღუნულიც: აქვე აღმოჩნდა რკინისავე საჭერი კრამიტისა, რომლის მსგავსი ნაქალაქარზე მხოლოდ კარიბჭის კომპლექსთან გვხვდებოდა დიდი რაოდენობით.

კრამიტი, რომლითაც გადახურული ყოფილა ნაგებობა, ბრტყელიც არის და ღარიანიც, თუმცა ამ უკანასკნელის რიცხვი ბევრად ნაკლებია. ყურადღებას იქცევს დამღიანი კრამიტების სიმრავლე. ისინი აქამდე უცნობი ცენტრისაა და ვანის ნაქალაქარის სხვა უბნებზე თითქმის არ გვხვდება (გამონაკლისს შეადგენს ცენტრალურ ტერასაზევე 118 ნაკვეთში ნაპოვნი ორიოდე ნატეხი). კრამიტებში გვხვდება ნიშნიანი ნიმუშებიც. ნიშნები გამოწვამდეა ამოღარული როგორც ბრტყელ, ისე ღარიან კრამიტზეც. ამ მონაკვეთზე სულ ოთხგვარი ნიშანი გვხვდება.

სამივე კაპიტელი კორინთულ ორდერს ეკუთვნის. ერთი ქალღმერთის ბიუსტის რელიეფური გამოსახულებებითაა ოთხივე მხრივ შემკული, ორი დანარჩენი კი ვარდულებით. სამივეს აკანთის ფოთლები ამკობს. გიორგი ლეჟავამ[14] და გურამ ყიფიანმა ისინი გრაფიკულად აღადგინეს. გ. ყიფიანმა ისინი უფრო დაწვრილებით შეისწავლა და ძვ. წ. II ს-ის მეორე ნახევრით დაათარიღა[15] (სურ. $24_3$).

იმის გამო, რომ კედელზე გადმოდის საკულტო ორმოებთან დაკავშირებული არხი, ზემოთ აღწერილი ნაგებობა გააზრებულ იქნა, როგორც საზეიმო საკურთხეველი, რომელთანაც ორსაფეხურიან ფართო კიბეებს მიეყავართ, ხოლო მისი აღმოსავლეთი ფასადი გაფორმებულია კორინთული კაპიტელებით შემკული სვეტებით[16], თუმცა ბევრი რამ ჩვენთვის არაა ცნობილი — ნაგებობის ზომები, მისი კედლების სიმაღლე, კიბეებისა და სვეტების ადგილი, კრამიტის სახურავის მოყვანილობა, ნაგებობის მიმართება ე. წ. მოზაიკურიატაკიან ტაძართან. ჯერ არავის უცდია ამ ნაგებობათა გრაფიკული რეკონსტრუქცია.

აშკარად არა in situ მდებარე გათლილი კვადრებისა, ალიზის ნაშალისა და კრამიტების ჩაქცეული სახურავის ალაგების შემდეგ 8 კვადრატულ მეტრ ფართობზე გამოჩნდა თირის ქვებისაგან შედგენილი იატაკის ფენილი. იგი დაზიანებულია აღმოსავლეთით და სამხრეთით. ფენილის ქვეშ კიდევ აღმოჩნდა წინა პერიოდის (ადრეელინისტური ხანის) კულტურული ფენის ნაშთი, რომელიც უფრო ადრეული ნაგებობის საძირკვლის ბუდეებს გარდა შეიცავდა ტანსაცმელთან დაკავშირებული საგნებისა და ბრინჯაოს სამკაულის ნატეხებს (ღილაკი, ძეწკვის ნაწყვეტები, სამაჯურებისა თუ საყურე რგოლების ნატეხე-

---

[14] გ. ლეჟავა, დასახ. ნაშრ., გვ. 23, ტაბ. XVIII, XXI.

[15] გ. ყიფიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 43 და შმდ. ტაბ. IX—XI.

[16] От. Лордкипанидзе, ук. соч. с. 205.

ბი, მძივები). ყველაფერი ეს თუმცა ძალზე მცირე რაოდენობითაა, მაინც გვავარაუდებინებს ამ მიდამოებში ცალკეული სამარხების არსებობას, რომლებიც ნაგებობის მშენებლობის დროს განადგურდა.

„საზეიმო საკურთხევლის" სამხრეთ-აღმოსავლეთით, მისგან ექვსიოდე მეტრის დაცილებით, გამოვლინდა ასევე თლილი ქვიშაქვის კვადრებისაგან ნაგები კედლის ფრაგმენტი, რომელიც ე. წ. მოზაიკურიატაკიანი ტაძრის აღმოსავლეთ კედლად იყო მიჩნეული. მასთან სულ ახლოს აღმოჩნდა გადაქცეული, ჰორიზონტალურად მდებარე სწორკუთხა სვეტის ნაწილი (სურ. 24$_1$ წინა პლანზე), რომელიც ერთმანეთზე რკინის პირონებით გადაბმული სწორკუთხა კვადრებით არის შედგენილი. ამჟამად სულ ხუთი კვადრია ასე გადაბმული (სურ. 22$_3$ წინა პლანზე მარცხნივ). მაგრამ სვეტის თავსა და ბოლოში მდებარე კვადრებს ორივეს აქვს შერჩენილი შემდეგ კვადრზე გადასაბმელი პირონისათვის კვადრის შუაგულში ამოკვეთილი ფოსო. რკინის პირონები მათთვის განკუთვნილ ბუდეში გამდნარი ტყვიის ჩასხმით მაგრდებოდა და ეს კარგად მოჩანს აქ ახლო-მახლო აღმოჩენილ რამდენიმე კვადრზე. კედლის ამ ფრაგმენტის სამხრეთი გაგრძელება თითქმის მთლიანად არის მონგრეული. აქ შესაძლოა შესასვლელიც ივარაუდებოდეს, მერე კი სრულიად სხვაგვარი წყობით გრძელდება ნაგებობა, რომლის სამხრეთ-აღმოსავლეთი კუთხე მთლიანად მონგრეულია, სამაგიეროდ საკმაოდ კარგადაა გადარჩენილი სამხრეთი კედელი, რომელიც ძირითადად თირის არაწესიერად გათლილი ქვებითაა ნაგები. წყობას აქა-იქ ურევია რუსტიანი, მაგარი ჯიშის ქვიშაქვის კვადრი, რომელთა მეორადი გამოყენება ამ კედელში აშკარაა (სურ. 25$_1$-$_2$).

ნაგებობის სამხრეთ-დასავლეთი კუთხეც მონგრეულია და გადარჩენილი ნაწილი დასავლეთი კედლისა აგრეთვე ისეთივე თირის ქვებითაა ნაგები, როგორც სამხრეთი კედელი. ამ კედლებს შორის მოქცეული ფართობის პრეპარაციის დროს აღმოჩნდა რიყის ქვებით მოფენილი შრე და ცალკეული ფრაგმენტები მოზაიკური იატაკისა. მოზაიკური იატაკი შედგენილია თავწაკვეთილი რიყის სხვადასხვაფერის ქვებისაგან (ნაცრისფერი, თეთრი, მოვარდისფრო), რომლებიც ჰორიზონტულად წაკვეთილი ნაწილით ზედაპირზე ჩამჯდარია დანაყილი კირქვის ხსნარში. იატაკის ზედაპირი კარგადაა მოსწორებული. მოზაიკური იატაკის ფრაგმენტების უმრავლესობა აღმოჩენილია თირის ქვებისაგან ნაგები კედლებით სამ მხრივ შემოზღუდულ ფართობზე, მას მეოთხე (ჩრდილოეთ) კედლად გათლილი ქვიშაქვებით აქა-იქ მოპირკეთებული თირი აქვს. ყველაზე დიდი ფრაგმენტი მოზაიკური იატაკისა (მისი სიგრძე 70 სმ-ია, სიგანე კი 50 სმ-მდე) მიყუდებული იყო ოვალურგანივკვეთიან საკურთხეველზე[17]. არსად მთელ სათავსოში ეს იატაკი in situ არ შეგვხვედრია. ვფიქრობთ, იმ ნაგებობას, რომელსაც ჩვენ აქამდე „მოზაიკურიატაკიან ტაძარს" ვეძახდით, თიხატკეპნილი იატაკი ჰქონდა. ეს იქიდან ჩანს, რომ სწორედ ამგვარ იატაკზე აღმოჩნდა ყველა ის საგანი, რომლებიც განიხილება როგორც საკურთხეველთან მიტანილი შეწირულება და ტაძრის ინვენტარი: მონეტების მთელი გროვა, ღვთაებათა სკულპტურული გამოსახულებებით შემკული ბრინჯაოს გრანდიოზული ჰურჭელი, ბრინჯაოსავე არწივების მხრებზე დაყრდნობილი რკინის თასი, ბრინჯაოთი გარშემოკრული რკინის კონუსური სასაკმეველე, აუარებელი (ორმოცამდე) კოლხური ამფორა, რომელთაგანც ორი სასაკმევლესთან ახლოს იყო, შვიდი ერთ გროვად ეწყო საკურთხევლის აღმოსავლეთით, ხოლო დანარჩენით მოფენილი იყო ტაძრის მთელი სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი. ასევე

---

17 ვანი I, სურ. 123.

თიხატკეპნილ იატაკზე, მის დამწვარ შრეში აღმოჩნდა კისტოფორი და კოლხური ქვევრის ნატეხები უშუალოდ საკურთხეველთან მის ჩრდილო-აღმოსავლეთით. ამ ტაძრის საკურთხეველი მოთავსებულია მის დასავლეთ ნაწილში, წარმოადგენს ორი თლილი ქვისაგან შედგენილ პოსტამენტზე დადგმულ 0.70 მ სიმაღლისა და 0,50 მ სიგანის მქონე ოვალურგანივკვეთიან გათლილ სვეტს. ისიც მკვიდრადაა ჩადგმული თიხატკეპნილ იატაკში[18]. ვფიქრობ, მოზაიკური იატაკის ფრაგმენტები უნდა ეკუთვნოდეს აქვე ახლოს მდებარე და ადრე დანგრეულ ნაგებობას, რომელსაც სხვადასხვა ფერად შეღებილი ბათქაშიანი კედლები ჰქონდა და რომლის მხოლოდ თირში ჩაჭრილი საძირკვლის ნაშთებია ჩვენამდე მოღწეული. იატაკის მოზაიკის ფრაგმენტები ამ ადგილას მოხვდა გვიან, როცა ყველაფერი დანგრეული იყო და ხელახლა გადაითხარა ამ ფართობის გარკვეული მონაკვეთი.

თირის ქვებით შედგენილი კედლები წყობით ძალიან ჰგავს იმ კედლებს, რომლებიც ცენტრალური ტერასაზე მრგვალი ტაძრის ნანგრევებზე გადადის და საჩქაროდ აგებულ სასიმაგრო კედლად არის მიჩნეული, აგრეთვე აქვე ახლოს ქალაქის ცხოვრების ბოლო ხანებში აგებულ ე. წ. 17-მეტრიან კედელს[19]. ყოველივე ეს გვაფიქრებინებს, რომ ოვალურგანივკვეთიანი საკურთხეველი მისი თირის ქვისაგან ნაგები კედლებით აგებულია ძვ. წ. I საუკუნეში ქალაქის პირველი ნგრევის შემდეგ და მისი ცხოვრების უკანასკნელ ხანას ეკუთვნის. მისივე სინქრონული უნდა იყოს ნაგებობათა ის ნაშთები, რომლებიც გამოვლენილია ტაძრის იატაკის დონიდან 2 მ-ით უფრო მაღლა. მის ჩრდილო-დასავლეთით. ეს ფართობი ისევეა მოფენილი რიყის წვრილი ქვებით (სურ. $25_{3-4}$. შემორჩენილი კედლის ერთ ფრაგმენტში გამოყენებულია რუსტულად დამუშავებული ქვიშაქვები, მათი აქ მეორადი გამოყენება აშკარაა. ერთ შემთხვევაში კედელში კვადრი დევს რუსტით მაღლა, რომელზედაც ზედა ქვა უნდა დაფარებოდა და ამგვარად გაუქმებულია რუსტის დანიშნულება. გამოიკვეთა სულ ცოტა სამი სათავსო, აქედან ერთი საკურთხევლიანი სათავსოს დასავლეთი გაგრძელებაა, მისგანაც თირის ქვებისაგან ნაგები კედლის ფრაგმენტებია გადარჩენილი, ორი დანარჩენი კი მისგან ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობს და აგრეთვე თირში ჩაჭრილი ბუდეებით და ზოგან შერჩენილი კედლის ფრაგმენტებითაა წარმოდგენილი (სურ. 18). საშენ მასალად აქაც ყოფილა გამოყენებული ალიზი, ხოლო სახურავი ამ ნაგებობებსაც კრამიტის ჰქონიათ, ღარიანი და ბრტყელი კრამიტების მრავალრიცხოვანი ნატეხებითაა მოფენილი მთელი ეს ფართობი.

შესასწავლი მონაკვეთის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში ხის ნაგებობები უნდა ყოფილიყო. ამაზე მიუთითებს იქ კრამიტის ჩაქცეული სახურავის გროვები, რომლის აღების შემდეგ ქვისა და ალიზის კედლის ნაშთები არ აღმოჩენილა. ნაკვეთის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი დაფარულია ყვითელი თიხნარის საკმაოდ სქელი ფენით, რომლის ძირშიც გვხვდება კულტურული ფენა, თუმცა არა ინტენსიური, მაგრამ აშკარად მოწმობა იმისა, რომ ამ ადგილასაც თირამდე არის ადამიანის საქმიანობის კვალი.

მონაკვეთი დასახლებული ყოფილა შუაფეოდალურ ხანაშიც. ამ პერიოდის რამდენიმე მოჭიქული ჭურჭლის ნატეხია აქ ნაპოვნი.

---

18 ამ აღმოჩენების შესახებ დაწვრილებით იხ. ვანი I, გვ. 171—174, 176—179, სურ. 121—143.

19 ვანი I, გვ. 188, 189.

შესაწავლ მონაკვეთზე კორდოვან ფენას უმრავლეს შემთხვევაში მოსდევდა მძლავრი ჰუმუსური ფენა, რაც ნაკვეთის ნარგავებისათვის დამუშავებული მიწის შედეგად იყო მიღებული, განსაკუთრებით ვენახის გაშენების დროს. ჰუმუსური ფენის ქვეშ იწყება სამშენებლო ნაგავისა და ნანგრევების შემცველი ფენა. აქ ხშირად გვხვდება რიყის დიდი და მცირე ზომის ქვები, ალიზის ნამალი, კირქვის ნატეხები, კრამიტების ნატეხები, რკინის ლურსმნები. ამ ფენის ქვეშ კი იდო ნანგრევები თლილი ქვითა და ალიზის კედლებით ნაგები, კაპიტელებით დამშვენებული სვეტებიანი შენობისა, რომელიც დანგრევის შემდეგ ხელუხლებლად იყო მოღწეული ჩვენამდე. ამ ნანგრევების უფრო ძველი ნაგებობის ნაშთები იყო თირში ამოჭრილი ქვის ჩასადგმელი ბუდეებისა და საფეხურებად ჩაჭრილი ფართობის სახით გადარჩენილი (სურ. $25_{6-6}$), აქედან საგანგებოდ ამოუკრეფიათ თლილი ქვები ახალი შენობების ასაგებად. აქა-იქ, ჩვეულებრივ დიდ სიღრმეზე, შემორჩენილია ბათქაშის თითო-ოროლა ნატეხიც ზედ შემორჩენილი ხის ანაბეჭდებით, რაც იმაზე მეტყველებს, რომ მონაკვეთზე ადრეანტიკურ ხანაში ხით ნაგები და თიხით შელესილი ნაგებობა იყო. ეს ორი უძველესი ნაგებობა დანგრეული უნდა იყოს ადგილის ხელახლად გაშენების გამო, ხოლო ორი უკანასკნელი სამშენებლო პერიოდი აშკარად მომხდური მტრის მიერაა დანგრეული და ხანძარში დამწვარი. მომხდურ მტერს უნდა ეკუთვნოდეს, ჩემის აზრით, რკინის ურნალიც. მისი რკინის დაბოლოება აღმოჩნდა სულ ბოლო ხანებში აგებული ნაგებობის დასავლეთ კედელთან, იატაკის ქვეშ[20]. იგი ამ კედლის დანგრევის დროს უნდა იყოს აქ ჩარჩენილი.

ამგვარად, ვანის ანტიკური ხანის ნაქალაქარის ცენტრალური ტერასის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილიც საბოლოოდ დამწვარი და განადგურებულია მომხდური მტრისაგან ძვ. წ. I ს. შუა ხანებში, როდესაც ივარაუდება ქალაქზე პერგამონის მმართველის მითრიდატე VII-ის თავდასხმა (ძვ. წ. 47 წელს)[21].

როგორც ზემოთაც ითქვა, ცენტრალური ტერასის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მრავლადაა მოპოვებული არქეოლოგიური მასალა ადრეანტიკური ხანიდან მოყოლებული ვიდრე გვიანელინისტურ ხანამდე, თუმცა აქ გათხრილი კულტურული ფენები ისეთი დაყურსული არაა, როგორც ნაქალაქარის ზოგიერთ სხვა ადგილას. უძველესი ნივთი, რომელიც ამ ტერიტორიაზეა აღმოჩენილი, ქუსლამოღარული კაჟის ისრისპირია (№ 07:1—69/215), ენეოლითის ხანიდან რომ გვხვდება, მაგარმ მისი შესატყვისი კულტურული ფენა აქ არ არის და ამიტომ ის აქ შემთხვევით მოხვედრილად უნდა ჩაითვალოს. ადრეანტიკურ ხანას ეკუთვნის თირში ჩაჭრილ არხში აღმოჩენილი თიხის ჭურჭლის ზოომორფული ყური (№07:1—76/30). იგი ძვ. წ. VI საუკუნით თარიღდება[22].

აღნიშნულ მონაკვეთზე ადრეანტიკური ხანის კერამიკის 384 ნიმუშია აღმოჩენილი (სხვა სახის მასალა ამ დროისა აქ არაა მოპოვებული). ესენია კოლხური ქვევრების, დერგების, დოქების, სასმისების, ჯამების, ქოთნების, შავპრიალა და სხვადასხვაგვარი ორნამენტით შემკული ჭურჭლის (სურ. 26), მოხატული ჭურჭლის ნატეხები, იმპორტული ამფორებისა და შავლაკიანი ჭურჭლის ნატეხები. ზოგიერთი მათგანი უკვე კარგად ცნობილ ტიპს ეკუთვნის და თავის თავს თვითონ ათარიღებს, უმრავლესობა კი აღმოჩენის ადგილის მიხედვით თარიღდება ასე.

---

[20] ვანი I, სურ. 123 და 127.

[21] От. **Лордкипанидзе**, Древняя Колхида с. 214.

[22] ვანი V, გვ. 49, სურ. 71.

მასალის ნაწილი ჰუმუსური და არეული ფენებიდან მომდინარეობს, ნაწილი კი ქვედა კულტურული ფენებიდან და საკმაოდ ღრმადაც არის აღმოჩენილი. როგორც ზევითაც იყო ნათქვამი, ნაკვეთის აღმოსავლეთ ნაწილში გვხვდება ასეთი ფენები. ისინი სილისა და თიხნარის ერთმანეთის მონაცვლე შრეებისაგან შედგება და იმაზე მიუთითებს, რომ ეს მონაკვეთი არ იყო ნაგებობებით დაფარული და წვიმისა და ნიაღვრის შედეგად აქვს ასეთი სტრუქტურა მიღებული. აქ სამ მეტრამდე სიღრმეზეა თირი და თირის ზედაპირზედაც გვხვდება ადრეანტიკური ხანის კერამიკა. აქ აღმოჩენილ მასალას არც უფრო ძველი და არც უფრო ახალი არაფერი ურევია. ყველაფერი ძვ. წ. V—IV საუკუნეებს ეკუთვნის.

ამ მონაკვეთზე აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალის ზოგი ეგზემპლარი მოხვდა კრებულებში „ვანი V" და „ვანი VII" გამოქვეყნებულ კატალოგებში. ასეთი შემთხვევები ქვემოთ ყოველთვის აღნიშნულია.

გარდა ზემოთ ნახსენები ქვიშისა და თიხის მონაცვლეობით შედგენილი კულტურული ფენებისა, ადრეანტიკური ხანის კერამიკა აღმოჩენილია დაშლილი ალიზის ქვეშ მდებარე ნაცრისფერ ფენაში (ნაკვ. 181). ამ ფენის ქვეშ მდებარე მოყვითალო, თირნარევ, ნახანძრალ ფენაში (ნაკვ. 199, 181), მიწის დღევანდელი ზედაპირიდან 80—90 სმ-ის სიღრმეზე მდებარე მოყვითალო-მორუხო თიხნარ ფენაში (ნაკვ. 162), შავ ფხვიერ ფენაში, 2 მეტრამდე და უფრო ღრმად მიწის ზედაპირიდან (ნაკვ. 183), ფხვიერ თირსა და შავ ფხვიერ ფენაში ზედაპირიდან 70 სმ-ის სიღრმეზე (ნაკვ. 141), თირნარევ, მოშავო ფენაში ზედაპირიდან 2 მ სიღრმეზე (ნაკვ. 183), თირში ჩაჭრილ ფოსოებში (ნაკვ. 182) და ნაცრისფერ ფენაში, რომელსაც ნახშირიც ურევია (ნაკვ. 181, კვ. C9).

შესასწავლ მონაკვეთზე აღმოჩენილი ადრეანტიკური ხანის კოლხური კერამიკის თიხა დაახლოებით ერთგვაროვანია, მსხვილმარცვლოვანი, მინარევებიანი (ქარსი, კირქვა, კვარცი, პიროქსენი, ქვიშა). იმპორტული ჭურჭელი კი სხვადასხვაგვარი.

ზოგჯერ მასალა ძალზე წვრილი ნატეხებითაა წარმოდგენილი. ეს განსაკუთრებით ითქმის შავლაკიან ჭურჭელზე, მაგრამ თითოეული მათგანი სათვალავშია. ვფიქრობთ, ეს საჭიროა ფენათა დაყურსულობის წარმოსადგენადაც და ამ დროისათვის იმპორტის რაოდენობის განსაზღვრისათვისაც.

შესასწავლ მონაკვეთზე აღმოჩენილი ადრეანტიკური ხანის ქვევრის 64 ნატეხიდან 10 პირისაა, 52 კედლის და ორიც ძირ-კედლისა. ისინი ჩვეულებრივ შემკულია სხვადასხვაგვარი ამოღარული და რელიეფური ორნამენტით. პირის გვერგვინებზე გვხვდება ირიბი ნაჭდევები (№ 07:1—78/91), ჯვარედინი ხაზები (№ 07:1—78/90). ბადისებრი ორნამენტი, რომელიც დაკბილული სამარჯვით არის შესრულებული (№07:1—66/10; 07:1—77/142). ასეთივე იარაღით გამოყვანილია ტალღური ორნამენტი (№ 07:1—77/157), წიწვისებური ორნამენტი (№07:1—66/39) და სხვ. კედლის ნატეხებზე გვხვდება სიგრძივი რელიეფური ქედები, რომელთა შორის ჰორიზონტული, დახრილი და ვერტიკალური ღარებია სხვადასხვა სიმჭიდროვით ერთმანეთზე მიჯრით გამოყვანილი (№07:1—78/156, 07:1—78/99). გვხვდება რელიეფური, ღილაკებისებური ორნამენტი (№ 07:1—67/66). ზოგი ნატეხის ზედაპირი რელიეფურ ქედებს შორის გლუვია (№07:1—78/75; 07:1—77/112, 113, 144). ქვევრების ძირები ბრტყელია, სქელკედლიანი (№ 07:1—76/386; № 07:1—77/143).

„ვანი V“-ის კატალოგში აქ აღმოჩენილი ქვევრების სამი პირისა და სამი კედლის ნატეხია ასახული[23].

დერგების პირის გვირგვინები შესასწავლ მონაკვეთზე აღმოჩენილ მასალაში ბევრად სჭარბობს მის სხვა ნაწილებს. სულ მოპოვებული 36 დერგის ნატეხ-დან 30 პირ-ყელისაა, ხუთი კედლისა და ერთიც ძირის. ეს შეიძლება ნაწილობრივ იმითაც აიხსნებოდეს, რომ დერგის კედლის ნატეხებს ხშირად ვერ ვცნობთ და ისინი შეიძლება ქილას ან სხვა ჭურჭელს მივაკუთვნოთ.

დერგის პირების ზოგი ნატეხი ორნამენტიანია და ქვევრისას ჰგავს (№ 07:1—66/20, 559; 07:1—79/5, 245; 07:1—78/92), მხოლოდ ზომით გამოირჩევა მისგან. თიხაც დაახლოებით ისეთია, როგორიც ქვევრისა, მხოლოდ უფრო წვრილმარცვლოვანი და თხელკეციანი. მინარევებიც ისეთივე აქვს (ქარსი, კირქვა, კვარცი). ნაწილი დერგის პირებისა კი სადაა, უორნამენტო (№ 07:1—77/132; 07:1—79/246, 254), ზედაპირი ზოგჯერ გაპრიალებულია.

დერგების ნატეხების უმრავლესობა 183 ნაკვეთშია აღმოჩენილი მიწის თანამედროვე ზედაპირიდან 2 მ-სა და მეტ სიღრმეზე ადრეანტიკური ხანის სხვა ჭურჭელთან ერთად. ამ ფენებში, როგორც ზემოთ ითქვა, უფრო გვიანდელი არაფერი ურევია. ასე რომ, მათი ადრეანტიკური ხანით დათარიღება ეჭვს არ იწვევს.

„ვანი V“-ის კატალოგში ამ მონაკვეთის არც ერთი დერგის ნატეხი არ მოხვედრილა.

ადრეანტიკური ხანის ქოთნის ოცი პირ-ყელის ნატეხია ნაპოვნი, სამი ყურისა, ექვსი კედლისა და ოცდაექვსი ძირ-კედლისა. აქედან „ვანი V“-ის კატალოგში ასახა სამი ნატეხი[24]. ქოთნები ძირითადად უორნამენტოა (№ 07:1—76/454, 466, 467, 480, 481; 07:1—78/35, 425), გვხვდება ყურიანიც (№ 07:1—78/26, 108) და უყუროც. ყველა ბრტყელძირაა, ფართომუცლიანი, დაბალყელიანი, შავად გამომწვარი, თხელკედლიანი, პირგადაწეული. ყურზე ზოგჯერ ამოღარულია ურთიერთგადამკვეთი ორი მოკლე ხაზი. ყური მრგვალგანივკვეთიანია, ხშირად ზეაწეული (№07:1—78/108). ზოგი ქოთნის კედელი შემკულია წნეხვით გამოყვანილი პრიალა ზოლების ბადით (№ 07:1—77/146, 147).

დოქები ჩვენს მასალაში წარმოდგენილია ძირითადად ყურებით, პირ-ყელისა და მხრების ნატეხებით[25]. მათ ძირებს ჩვეულებრივ ვერ ვარჩევთ ქოთნის ძირებისაგან. მხოლოდ რამდენიმე მათგანის გამორჩევა შეიძლება. ოთხი პირ-ყელის ფრაგმენტია (№ 07:1—78/202; 07:1—77/178), შვიდი ყელისა და კედლის ნატეხი (№ 07:1—77/175, 177; 07:1—78/367), ერთი ძირისა (№ 07:1—78/429) და ოცდახუთი ყურის, რომელთაგანაც 3 წურწუმიანია (№ 0,7:1—66/11, 24; 07:1—78/56). ორი ზოომორფული და დანარჩენი კი სადა. ზოგ მათგანს აქვს ნაჭდევები ან ფოსოები, ერთი გრეხილია (№07:1—78/181), აღმოჩენილია ზედაპირიდან 2,2 მ სიღრმეზე სხვა ადრეანტიკურ მასალასთან ერთად. ვანი V-ის კატალოგში ამ მასალიდან სამი ნატეხი აისახა — ორი წურწუმიანი ანუ ყურმილიანი და ერთიც ზოომორფული ყური (№ 07:1—76/30). ზოგიერთი ყურის დოქისადმი მიკუთვნება შეიძლება პირობითი იყოს, არაა გამორიცხული, რომ ზოგი მათგანი ქოთნის ყური აღმოჩნდეს.

---

23 ვანი V, კატ. №№ 4, 6, 10, 39, 61, 70.

24 ვანი V, კატ. №№ 101, 111.

25 ვანი V, კატ. №№ 126, 132, 211.

კოლხური სასმისების სულ 12 ნატეხია ნაპოვნი შესასწავლ მონაკვეთზე, აქედან „ვანი V"-ის კატალოგში ოთხი ცალი მოხვდა[26].

ისინი აღმოჩენილია უმთავრესად თირზე მდებარე ფენაში, ნაცრისფერი ფენის ქვეშ, ან შავ ფხვიერ ფენაში, რომელიც ზედაპირიდან 2 და უფრო მეტი სიღრმისაა და რომელშიც ადრეანტიკურ ხანაზე უფრო გვიანდელი არაფერი გვხვდება. სასმისები ეკუთვნის ვანის კოლხურ კერამიკაში გამოყოფილ სასმისების პირველ, მეორე და მეხუთე ტიპებს[27]. შესაბამისად მათი ერთი ნაწილი ჭიქისებურია (№ 07:1—66/16, 17; 07:1—77/165), მეორე კონუსურტანიანი (№ 07:1—69/248; 07:1—77/104; 07:1—78/124), ხოლო მესამე დიდი ზომის კათხებია (№ 07:1—77/189; 07:1—78/168).

ადრეანტიკური ხანის ჯამების პირკალთისა და ძირის 20 ნატეხია. მათი ძირები ბრტყელია, კალთა დახრილი, პირის კიდე შიგნითაა გადახრილი. ყველა ნატეხი შავად ან რუხადაა გამომწვარი, არც ერთს არა აქვს ქუსლი, არც რაიმე ორნამენტი. ასეთი ჯამები გამოყოფილია IX ტიპად[28], თუმცა ჩვენი მასალიდან კატალოგში არც ერთი არ შესულა.

ბადიის პირგვერდის ერთი ნატეხია აღმოჩენილი (№ 07:1—78/284), შავკეციანი, პირგადაშლილი, კალთამომრგვალებული, პირის კიდე შემკულია ამოღარული კონცენტრული წრეებით (სურ. 26₅). ამ ტიპის ჭურჭელი ვანში სხვა არ შეგვხვედრია.

ე. წ. საწურავის ერთი ნატეხია (№ 07:1—66/532), რუხკეციანი, ნახვრეტებიანი, გამობერილპროფილიანი. ვანი V-ის ავტორები მას V ტიპად გამოჰყოფენ და თვლიან, რომ ამგვარი ტიპის ჭურჭელი პირველ რიგში საწურად უნდა ყოფილიყო გამოყენებული, თუმცა არ გამორიცხავენ მსგავსი ჭურჭლის საკულტო დანიშნულებასაც[29]. მიუთითებენ ნაშრომს[30], სადაც იგი სასაკმევლედაა განსაზღვრული. ვფიქრობ, ეს უკანასკნელი დანიშნულება უფრო შეეფერება ამ ნატეხს; ამას მისი აღმოჩენის ადგილიც ადასტურებს და პარალელური მასალაც[31].

ადრეანტიკური ხანის თასების ექვსი ნატეხია. ყველა მათგანი კარგადაა შავად გაპრიალებული, პირგადაშლილია (№ 07:1—66/550; № 07:1—67/262; 363); ერთს ტანისაგან ოდნავ გამოყოფილი ძირი აქვს, ქუსლის მსგავსი, მაგრამ არამკვეთრი (№ 07:1—66/27), ერთი შემკულია მოკლე სპირალებისაგან შემდგარი, რადიალურად განლაგებული გაპრიალებული ორნამენტით (№ 07:1—69/236). დაბალი, ოდნავ გამოყვანილი მრგვალი ქუსლი აქვს.

მრავლად გვხვდება თიხის ჭურჭლის ისეთი ნატეხები, რომელთა უსახურობის გამო ჭირს მათი რომელიმე ჭურჭლის სახეობისათვის მიკუთვნება. ისინი ზედაპირდამუშავებულია, თხელკედლიანი, შავპრიალა და ზოლებად გაპრიალებული. ალბათ სუფრის ჭურჭელს ეკუთვნის. ზოგი ჭდეებითაა შემკული, ტალღური ორნამენტით, კოპებით, ირგვლივი ღარებით და სხვ. აღმოჩენის ადგილის მიხედვით ყველა ძვ. წ. V—IV საუკუნეებით თარიღდება.

---

26 ვანი V, კატ. №№ 148, 157, 171, 172.

27 ვანი V, გვ. 38, 39, 41.

28 ვანი V, გვ. 42—43.

29 ვანი V, გვ. 32, 73, კატ. № 115.

30 გ. გრიგოლია, გ. ფხაკაძე, მ. ბარამიძე, გ. ლორთქიფანიძე, დასავლეთ საქართველოს საძიებო-არქეოლოგიური ექსპედიციის 1966 წლის მუშაობის შედეგები, მსკა V, თბ., 1973, გვ. 35.

31 შდრ. О. Д. Дашевская, О скифских курильницах. СА, 1960, № 1, с. 18—29, рис. 6.

ღია ფონზე წითელი საღებავით მოხატული ჭურჭლის სულ ექვსი მცირე ზომის ნატეხია ნაპოვნი საკვლევ მონაკვეთზე. ყველა ისინი ჩალისფერკეციანია, კარგად განლექილი თიხისა, თხელკედლიანი. ღია ფერის ანგობაგადავლებული, ზედაპირზე წითელი, ურთიერთგადამკვეთი ზოლებით მოხატული. აქედან ორი პირ-ყელის ნატეხია (№ 07:1—78/43, 210), ერთი ყელისა (№ 07:1—79/132), სამი დანარჩენი კი კედლისა (№ 07:1—66/562; 07:1—69/226, 241). ყველა ისინი დოქებს უნდა ეკუთვნოდნენ, ისეთებს, როგორიც წარჩინებული კოლხი მეომრის სამარხში აღმოჩნდა და ძვ. წ. IV ს-ის მესამე მეოთხედით თარიღდება[32]. ჩვენი მასალაც ამ დროისა უნდა იყოს.

შავლაკიანი ჭურჭლის სულ 38 ნატეხია აღმოჩენილი. აქედან „ვანი VII"-ის კატალოგში 10 ნატეხი აისახა[33]. დანარჩენი 28 ნატეხი მცირე ზომისაა და ვერ ირკვევა რა ჭურჭელს ეკუთვნიან ისინი. ამ ჭურჭლის აბსოლუტური უმრავლესობა კარგად განლექილი, მოვარდისფრო თიხისაა, ორივე მხრიდან კარგი ხარისხის შავი ლაკით დაფარული. ატიკური წითელფიგურული ნატეხებიცაა მათ შორის (№ 07:1—76/286; 07:1—77/214; 07:1—79/43). შავლაკიანი სკიფოსის ნატეხები (№ 07:1—78/144), კანთაროსის (№ 07:1—76,504; 07:1—78/25), კილიკის (№ 07:1—66/563), იხთიის ძირის (№07:1—76/157), ლანგრის (№ 07: 1—78/282), პიქსიდის (№07:1—69/230) ნატეხები ძვ. წ. V—IV საუკუნეებით თარიღდება.

ადრეანტიკური ხანის კერამიკული ტარა შესასწავლ მონაკვეთზე მხოლოდ იმპორტული ამფორებითაა წარმოდგენილი. აქედან ორი ქიოსური ამფორის ყელგამობერილი პირ-ყელის ნატეხია (№07:1—66/10; 07:1—79/24)[34], ერთი უცნობი ცენტრის ამფორის პირ-ყელისა (№ 07:1—77/151); ძვ. წ. IV საუკუნისაა ამფორის ქუსლი (07:1—77/162), რომელიც უნდა ეკუთვნოდეს ვირჯინია გრეისის მიერ ატიკურად მიჩნეულ ამფორას[35]. დანარჩენი ამფორების ნატეხები (სულ 50 ნატეხია 11 საველე ნომრის ქვეშ გატარებული) აღმოჩენის ადგილის მიხედვით თარიღდება ადრეანტიკური ხანით. მათი დამზადების ცენტრები ვერ განისაზღვრა.

ბევრად უფრო მრავალფეროვანია შესასწავლ მონაკვეთზე ელინისტური ხანის არქეოლოგიური მასალა. აქ მრავლად აღმოჩენილი კრამიტების დიდი უმრავლესობა ბრტყელია, მათ შორის გვხვდება დამღიანიც. ძალზე საინტერესოა დამღიანი კრამიტების ერთი ჯგუფი, რომელიც პირველად ამ მონაკვეთზე გამოვლინდა (სურ. 27). თითოეულ ბრტყელ კრამიტზე ორი სწორკუთხა დამღაა ერთმანეთისადმი სწორი კუთხით მიმართული. ერთ, უფრო მოზრდილ ნაჭდევში მოთავსებული სიტყვა — ბასილიკე იმაზე მიუთითებს, რომ ამ კრამიტების დამამზადებელი სახელოსნო სამეფოა. მეორე სახელი — მელაბეს მეფის მოხელისა უნდა იყოს, ხოლო უფრო მცირე ზომის ნაჭდევში მოქცეული ორამო ხელოსანს უნდა ეკუთვნოდეს[36]. რადგან ასეთი საკუთარი სახელები ჯერჯერობით არსადაა ცნობილი, კრამიტების სადაურობაც უცნობია. არაა გამორიცხული, რომ ისინი ადგილობრივი იყოს. ამ სახის კრამიტების ძირითადი ნაწილი აღმოჩენილია „საზეიმო საკურთხევლის" ნანგრევებში (№ 07:1—76/147, 226, 229—234, 389; 07:1—78/2—4, 292, 293, 300—318, 388—390, 411, 412, 432, 433).

32 ვანი I, გვ. 208, სურ. 176.
33 ვანი VII, კატ. №№ 136—137; 141—146; 152, 179.
34 ვანი VII, კატ. № 4, 5, გვ. 16.
35 ვანი VII, კატ. № 27, გვ. 18.
36 კრამიტებსა და მის დამღებს სწავლობს დიმიტრი ახვლედიანი.

შესასწავლ მონაკვეთზე გვხვდება ნიშნიანი კრამიტების ნატეხებიც. ბევრ მათგანზე მხოლოდ ნიშნის ნაწილია შემორჩენილი, ზოგზე კი მთელი ნიშანი. სულ ოთხნაირი ნიშანია ბოლომდე შემორჩენილი:O (№ 07:1—78/319—327); **P** (№ 07:1—78/330—332, 328, 329); **X** (№ 07:1—66/549; 07:1—78/335, 409, 410) და W (07:1—78/333, 334). იშვიათად გვხვდება სინოპური კრამიტების ნატეხები (№ 07:1—66/21; 07:1—70/6; 07:1—77/158, 163; 07:1—79/31).

ზოგიერთ ღარიან კრამიტზედაცაა ნიშანი შემორჩენილი: O (№ 07:1—78/344, 345) და **P** (№ 07:1—79/30). ნაპოვნია ერთი ანტეფიქსის ნატეხი (№ 07:1—77/537, სურ. $29_4$).

ალიზის კედლების ნანგრევებში და კრამიტყრილში მთელს ფართობზე აუარებელი რკინის ლურსმანია მოპოვებული. მათ მრგვალი, დაბრტყელებული თავი და ოთხკუთხაგანივკვეთიანი ღერო აქვთ. სხვადასხვა ზომისაა — 6 სმ-დან დაწყებული 25 სმ-მდე სიგრძისა. ზოგი მათგანი სწორი კუთხითაა გაღუნული (07:1—66/32; 07:1—76/146, 148, 288, 289, 390—393, 401; 07:1—78/198). სულ შესასწავლ ფართობზე 108 სხვადასხვა ზომის რკინის ლურსმანია ნაპოვნი. მათი დიდი უმრავლესობა ნაგებობათა გადახურვას უნდა უკავშირდებოდეს.

კრამიტების ნატეხებთან ერთადაა ნაპოვნი რკინის 7 კრამიტის საჭერი (№ 07:1—76/68; 07:1—78/196, 197, 199, 200, 396; 07:1—79/258). ისინი ბრტყელებია, ერთ მხარეს სწორი კუთხით მოღუნული. 15 სმ სიგრძისა. აქვს თითო ნახვრეტი ლურსმნით ფიცარზე მისაჭედებლად.

„მოზაიკურიატაკიანი ტაძრის“ ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში საკურთხეველთან ახლოს ნაპოვნია რკინის ოთხი ერთნაირი მოყვანილობის საგანი (№ 07:1—67/254—257), რომლებიც ალბათ ხის სკივრის შესაკრავად იყო გამოყენებული.

რკინის რამდენიმე იარაღია ნაპოვნი: ისრისპირი (№ 07:1—69/218); წვეტიანი იარაღი ტარის დასაგები ლულით (№ 07:1—67/75), ბოძალი (№07:1—74) და ურნალი[37].

ტყვია ფართოდაა გამოყენებული ქვათლილების ერთმანეთზე გადაბმის დროს, აგრეთვე ბრინჯაოს ჭურჭელზე ღვთაებათა გამოსახულებების მისამაგრებლად. გამდნარი ტყვიის ნატეხები ბევრი აღმოჩნდა ამ ჭურჭლის ქვეშ (№ 07:1—67/173). რამდენიმე ტყვიის ღერო შუაზეა გაღუნული, ისინი ბადის საძირავები უნდა იყოს (№ 07:1—76/297, 298; 07:1—78/24).

ბრინჯაოს ნივთების ფრაგმენტები დიდი რაოდენობითაა მოპოვებული შესასწავლ მონაკვეთზე: გრანდიოზული ჭურჭელი და მისი შემამკობელი გამოსახულებანი[38], ბრინჯაოს ორნამენტიანი გარსაკრავით შემოჭედილი რკინის სასაკმეველე[39], გედის თავის გამოსახულებით შემკული ჭურჭლის ყურის ნატეხი (07:1—76/25), სადგარები და მისი ნატეხები (სურ. $29_{1-3}$), (№ 07:1—76/23, 29, 150, 156, 168; 07:1—77/95), კარის (?) ანჯამები № 07:1—78/13, 67), ლილაკები (№ 07:1—67/278; 07:1—78/21; 07:1—79/10), ფიბულის ნატეხი (№ 07:1—78/193), სხვადასხვა სამკაულის ნატეხები: სამაჯურის (№ 07:1—70/441), სასაფეთქლე რგოლის (№ 07:1—76/427), საყურე რგოლი (№ 07:1—76/227), ძეწკვის ნაწყვეტი (№ 07:1—67/224 და 07:1—78/19), ნემსის ნატეხი

37 ვანში აღმოჩენილი რკინის საბრძოლო იარაღის შესახებ იხ. გ. ლორთქიფანიძე, საბრძოლო და სამეურნეო იარაღი, ვანი II, გვ. 167—190.

38 ვანი I, გვ. 177—178, სურ. 130—143.

39 ვანი I, გვ. 177, სურ. 129, 131, 132.

(№ 07:1—78/188), ილარი (№ 07:1—78/19). გვხვდება ბრინჯაოს პატარა ლურსმნებიც, რომლებიც ალბათ ხის ნივთის მოსაჭედად იყო გამოყენებული (№ 07:1—76/149, 318, 423, 567; 07:1—78/54, 465).

სამკაულებიდან ოქროს 12 პაწია ნივთია ნაპოვნი. მათ შორისაა სამი მილაკი (№ 07:1—76/432, 530, 569), სამი ღილაკი (№ 07:1—76/514, 527, 528), ფირფიტის ნატეხი (№ 07:1—76/329), ოქრომკედის ფრაგმენტები (№ 07:1—76/529, 570). ყველა ესენი ნაპოვნია 182 ნაკვეთის $a_{6-7}$ $b_{6-7}$ კვადრატებში, საზეიმო საკურთხევლის ნანგრევების ალაგების შემდეგ, ყვითელ თიხნარ ფენაში, თირის ქვების ფენილის ქვეშ და უნდა ეკუთვნოდეს მშენებლობის დროს დაზიანებული სამარხების ნაშთებს. „მოზაიკურიატაკიანი ტაძრის“ ფართობზე და მის მახლობლად აღმოჩნდა კიდევ სამი ოქროს ნივთი: კილიტი (№ 07:1—66/584), ფირფიტა, რომელიც ზეთისხილის ფოთლის გამოსახულებაა (№ 07:1—69/232) და საკიდი (№ 07:1—74/378). ყველა ეს ნივთი დაწვრილებითაა აღწერილი ა. ჭყონიას მიერ და ზოგადად ძვ. წ. III—I საუკუნეებით დათარიღებული[40].

აღმოჩენილია როგორც მინის, ისე სხვადასხვა ქვისაგან დამზადებული მძივები[41].

მინა შესასწავლ მონაკვეთზე ძალიან მცირე ზომის ნატეხებითაა წარმოდგენილი. მათი დიდი ნაწილი ჭურჭლისა უნდა იყოს (№ 07:1—67/227, 249; 07:1—76/300 303, 316, 426, 522, 534; 07:1—78/18, 281, 424; 07:1—79/241). მიუხედავად წვრილი ფრაგმენტებისა, მათი არსებობა ადასტურებს მინის ჭურჭლის ხმარებაში ყოფნას და გვავარაუდებინებს სასარკმლე მინის არსებობასაც (№ 07:1—76/583).

ელინისტური ხანის ადგილობრივი თიხის ჭურჭელი მოყავისფროდ გამომწვარი, ქვიშანარევი თიხისაა. იგი წარმოდგენილია როგორც სამეურნეო დანიშნულების (ქვევრები, დერგები), ისე სამზარეულო (ქოთნები) და სუფრის ჭურჭლის ნატეხებით (დოქები, ლანგრები, ჯამები, თეფშები). მრავლადაა მოპოვებული კოლხური ამფორებიც. ერთ ადგილზე ჩალეწილი ქვევრი „მოზაიკურიატაკიანი ტაძრის“ საკურთხევლის მახლობლად აღმოჩნდა და ამიტომ იგი შეწირულებად იქნა მიჩნეული[42]. მას ბრტყელი ძირი, შავზედაპირიანი, წვრილად დაღარული კედლები და შესქელებული, სამკუთხაგანივკვეთიანი პირი აქვს; მსგავსი ქვევრის ქვედა ნაწილია აღმოჩენილი „საზეიმო საკურთხევლის“ ნანგრევების წინ თირში საგანგებოდ მისთვის ამოკვეთილ ორმოში (სურ. 22ვ). ამათ გარდა ქვევრები პატარა ნატეხებითაა წარმოდგენილი და სხვა ელინისტური ხანის კერამიკასთან ერთად აღმოჩენილი (№ 07:1—66/13, 525, 538, 539, 555; 07:1—78/268, 358—360, 378, 393, 401). ქოთნების ზედაპირი ჩვეულებრივ შავადაა შებოლილი, ძირი ბრტყელი, მუცელი გამობერილი, ყელი დაბალი, პირი გარეთ გადმოშლილი. ისინი მხოლოდ ცალკეული ნაწილების ნატეხებითაა წარმოდგენილი (№ 07:1—77/217; 07:1—78/298, 361—363, 374, 375, 404). დოქებისაც მხოლოდ ცალკეული ნაწილების ნატეხებია. ისინი წითელი ზოლებითაა მოხატული (№ 07:1—66/36, 531; 07:1—67/231, 274: 07:1—76/166, 299, 304, 305, 309, 475, 510, 579; 07:1—77/96: 07:1—78/285). ლანგრები წრიულქუსლიანებია, კალთაგაშლილი (№ 07:1—76/320, 445—448, 503, 520, 531; 07:1—78/371, 418). ზოგ მათგანს ფსკერზე მრგვალი ჩაღრმავება აქვს და

---

40 ვანი VI, კატ. №№ 74, 100, 132, 210, 236, 252, 273, 286, 287.

41 ვანი VII, კატ. № 467, 472, 477.

42 ვანი I, გვ. 177.

ამიტომ სათევზე ლანგრად ითვლება (№ 07:1—67/321, 353 07:1—76/319, 596; 07:1—78/287). ზოგი ლანგრის ზედაპირი წითლადაა გაპრიალებული (№ 07:1—69/225; 07:1—70/10; 07:1—76/307, 327, 449, 518).

ჯამები ყველა წრიულქუსლიანია. ზოგს ზედაპირი შავი აქვს, გაპრიალებული (№ 07:1—76/325, 535, 588, 589, 594, 595), ზოგი წითლადაა გაპრიალებული (№ 07:1—67/351, 367; 07:1—76/328, 387). ზოგის შიდა ზედაპირი წითელი საღებავის ზოლებითაა შემკული (№ 07:1—76/322; 07:1—78/402), ზოგისა კი სადაა, გაპრიალების გარეშე (№ 07:1—67/190, 230; 07:1—76/574, 576; 07:1—78/48, 365, 421; 07:1—79/41, 131). გვხედება ძირზე გამოწვამდე ამოკაწრული ნიშანი X (№ 07:1—76/ 532; 07:1—78/419).

თეფშები პირის ნახეტებითაა წარმოდგენილი. ისინი ყავისფერკეციანია, შავზედაპირიანი, გაპრიალებული. პირის კიდე სადაა, მომრგვალებულად გადადის კალთაში (№ 07:1—76/469, 455—457, 598; 07:1—78/297, 405). ერთი თეფშის ფორმა მთლიანადაა შემორჩენილი, იგი წითლადაა გაპრიალებული, ქუსლიანია, კალთადახრილი, ნაპირგადაშლილი. შიდა ზედაპირზე ორი ირგვლივი ღარი შემოუყვება (№ 07:1—78/419, სურ. 28₁). ორი მცირე ზომის ჰურჭელი აშკარად იმპორტულის მიბაძვითაა დამზადებული. ორივე შავად გაპრიალებულია, ქუსლიანი, შერჩენილი აქვთ თითო ყური, ერთს ზეაწეული (№ 07:1—76/308, სურ. 28₃), მეორეს ორივე მხრივ მოკეცილი და პირთან ახლოს მიძერწილი (№ 07:1—76/324, სურ. 28₂).

კოლხური ამფორების ნატეხები მრავლადაა აღმოჩენილი შესასწავლი მონაკვეთის მთელ ფართობზე. მარტო „მოზაიკურიატაკიანი ტაძრის" შიდა ფართობში იატაკის დონეზე ორმოცამდე ამფორის ნატეხი აღმოჩნდა (სათვალავი ამფორათა ძირების მიხედვითაა). მათგან შვიდი ამფორა ერთ გროვად იყო (№ 07:1—67/322—328), ორი ბრინჯაოს დიდ ჰურჭელთან ერთად, დანარჩენი კი ტაძრის აღმოსავლეთ ნაწილში. მთელი ამ მასალიდან ხუთი ამფორა თითქმის მთლიანად აღდგა. ერთ მათგანს ყელზე გამოწვამდე ნიშანი B აქვს ამოკაწრული (№ 07:1—67/155). ყველა ამფორა ღიაყავისფრადაა გამომწვარი, ღილისებურქუსლიანია, სპირალური ხვიით ფსკერზე, წაგრძელებული კორპუსი და წელში ოდნავ შეზნექილობა აქვს. პირი ლილვაკიანია, ბრტყელგანივკვეთიანი ყურები პირს ქვემოთ და მხრებზეა დაძერწილი (№ 07:1—67/330—347). კოლხური ამფორების ნატეხები ყველგან ჩნდებოდა ელინისტურ ფენებში. ზოგი მათგანი ცილინდრულქუსლიანია (№ 07:1—76/433, 434, 572; 07:1—78/209; № 07:1—79/256). ზოგი ღილისებური (№ 07:1—76/435, 436, 575, 586; №07:1—77/14, 100; 07:1—78/225, 238, 397, 398). ფსკერზე სპირალური ხვია ყველა მათგანს აქვს.

გაცილებით უფრო მცირე რაოდენობითაა მოპოვებული იმპორტული ამფორების ნატეხები, მათი უმრავლესობა კედლისაა და მხოლოდ ზოგადად თარიღდება აღმოჩენის გარემოს მიხედვით ელინისტური ხანით. როდოსული ამფორები კედლების, პირისა და ყურის ნატეხებითაა წარმოდგენილი. სამი დამღიანი ყურის ნატეხიდან (№ 07:1—76/444; № 07:1—78/187, 289) მხოლოდ ერთი იკითხება. მასში დასახელებულია ეპონიმი სუმმახოსი და თარიღდება ძვ. წ. 210—175 წლებით[43].

---

43 ვანი VII, გვ. 24, კატ. № 75, სურ. 7,

თასოსის ერთი ამფორის დამღიანი ყურია (№ 07:1—67/464), მოწითალოდ გამომწვარი, ქარსნარევი თიხისა, წარწერა გადაშლილია, ემბლემა ცენტრში — კაპარჭი. ძვ. წ. III საუკუნე[44].

რამდენიმე ამფორის კედლის ნატეხი კოსისა უნდა იყოს (№ 07:1—66/18; 07:1—69/237; 07:1—76/321, 462, 485; 07:1—78/290, 294, 408, 478), ძვ. წ. II საუკუნისა.

ლუთერიის სულ რამდენიმე ნატეხია მოპოვებული (№ 07:1—66/29—33, 534; 07:1—67/40; 07:1—79/28). ყველა უხეში თიხისაა, რუხად გამომწვარი, სქელკედლიანი, ზედაპირი ზოგჯერ წითელი საღებავითაა დაფარული.

იმპორტული სუფრის ჭურჭლიდან აღსანიშნავია ყავისფერლაკიანი (№ 07:1—76/155) და წითლად შეღებილი (№ 07:1—76/313) კანთაროსისა და ე. წ. მეგარული თასების (№ 07:1—76/428, 429; 07:1—78/423) აღმოჩენები[45]. ყველაზე მრავალრიცხოვანი კი წითელლაკიანი ჭურჭელია, რომელიც ქუსლიანი ლანგრების (№ 07:1—69/252; 07:1—71/428; № 07:1—76/28, 165, 311, 314, 323, 326, 487, 517; 07:1—78/211, 212), თეფშების (№ 07:1—69/222; 07:1—76/310, 312, 457—461, 471, 519, 533; 07:1—78/400), თასების (07:1—67/27; 07:1—78/283, 296, 380) და დოქების (№ 07:1—66/537; 07:1—76/580; 07:1—78/189) ნატეხებითაა წარმოდგენილი[46].

წითელი ზოლებით მოხატული თიხის ნივთის ფრაგმენტი (№ 07:1—78/295, სურ. $29_5$), რომელსაც პროფილირებული სადგარი აქვს, საკულტო დანიშნულების უნდა იყოს (სამსხვერპლო?), თიხისაგან დამზადებული ყვავილი (№ 07:1—77/103), რომელსაც მრგვალგანივკვეთიანი და ღრმულიანი ღერო აქვს (სურ. $29_6$) ალბათ კედლის შესამკობად იყო განკუთვნილი.

181 ნაკვეთის $e_9$—$f_8$ და 182 ნაკვეთის $a_7$ კვადრატებში ნაშალი ალიზის მასაში და კრამიტყრილის ქვეშ ნაპოვნია ტერაკოტული ნიღბის ნატეხები, მათგან რამდენიმე ნატეხზე (№ 07:1—76/161) შემორჩენილია თვალი, ყური, წვერის ხვეულები, რამდენიმე ნატეხი კი მხოლოდ წვერის ხვეულებს გამოსახავს (№ 07:1—76/515, 424), იგი დიონისეს წრის ღვთაებას უნდა ეკუთვნოდეს (სილენი?) (სურ. $28_5$).

შესწავლილი მონაკვეთის კულტურულ ფენებში თხუთმეტი მონეტა და ერთი მონეტების განძია აღმოჩენილი. მათი დიდი უმრავლესობა გამოქვეყნებულია.

უძველესი მონეტები კოლხური თეთრია. სულ სამი (№ 07:1—69/234; 07:1—78/23 და 07:1—79/1) ნახევარდრაქმაა, ძვ. წ. IV—III სს. მიეკუთვნება[47].

ერთი რომაული-რესპუბლიკური დენარია (№ 07:1—67/6) ძვ. წ. 64 წელს მოჭრილი[48]. ერთიც კისტოფორი (№ 07:1—66/587) ძვ. წ. 50/49 წლებში მოჭრილი[49]. იგი „მოზაიკურიატაკიანი“ ტაძრის იატაკის დონეზე აღმოჩნდა, დამწვარ ფენაში.

---

44 ვანი VII, გვ. 19, კატ. № 34.

45 ვანი VII, კატ. № 233, 239 და 240.

46 ნ. მათიაშვილი, ძვ. წ. III—I სს. კოლხეთის ქალაქების ეკონომიური ისტორიიდან, თბ., 1977, გვ. 41—50.

47 Г. Дундуа, Г. Лордкипанидзе, Денежное обращение Центральной Колхиды, кат. № 20, с. 44.

აღმოჩენის ადგილი აქ შეცდომითაა მითითებული, უნდა იყოს 199 ნაკვეთი.

48 იქვე, კატ. № 63, გვ. 60.

49 იქვე, კატ. № 70, გვ. 62. აქ საველე ნომერი შეცდომითაა მოცემული, უნდა იყოს 587. აგრეთვე შეცდომითაა აღმოჩენის ადგილი, უნდა იყოს 199 ნაკვეთი.

დანარჩენი მონეტები სპილენძისაა. ყველა მითრიდატე VI-ის დროინდელი პონტოს საქალაქო მონეტაა. ძვ. წ. 111—105 ან 105—99 წლებში მოჭრილი[50]. (№ 07:1—66/87; 07:1—67/223, 410; 07:1—69/229, 231, 243; 07:1—76/169, 284, 330; 07:1—79/39). რაც შეეხება მონეტების განძს, იგი 120 სპილენძის ანონიმურ მონეტას შეიცავს და აღმოჩენილია საკურთხეველთან ახლოს ერთ გროვად, ამიტომ შეწირულებად არის მიჩნეული. გ. დუნდუასა და გ. ლორთქიფანიძის აზრით, ისინი შესაძლოა ვანში იყო მოჭრილი[51].

შესასწავლი მონაკვეთის ზედა, ჰუმუსურ ფენებში გვხვდება შუაფეოდალური ხანის თიხის ჭურჭლის ნატეხები, იასამნისფრად მოჭიქული (№ 07:1—67/361; 07:1—69/221, 240) ჯამების ნატეხები, მწვანედ მოჭიქული (№ 07:1—69/219; 07:1—78/12, 14, 44, 21) ჭურჭლის ნატეხები, ცისფრად მოჭიქული (№ 07:1—69/220) დოქის ნატეხი. გვიანფეოდალური ხანის ერთი თურქული ჩიბუხის თავიც აღმოჩნდა (№ 07:1—77/11) ზედა ფენაში.

როგორც დავინახეთ, შესასწავლი მონაკვეთი დასახლებულია ადრეანტიკური ხანიდან და ყველაზე ინტენსიური ცხოვრება ელინისტურ ხანაშია. ოთ. ლორთქიფანიძის აზრით, აქ მეღვინეობის ღვთაებისათვის აგებული საკულტო კომპლექსი იყო, განკუთვნილი რთული და მრავალფეროვანი რიტუალისათვის, რომელიც ეძღვნება მიწის ნაყოფიერებისა და ყოველგვარი სიუხვის თაყვანისცემას[52]. როგორც გათხრებმა გვიჩვენა, ძეგლი რამდენჯერმე დანგრეული და გადაკეთებული. ვფიქრობთ ქალაქის ცხოვრების უკანასკნელ ხანებს ეკუთვნის სასწრაფოდ აგებული თიხის ქვის კედლებით შემოზღუდული თიხატკეპნილიატაკიანი ნაგებობა, რომელშიც ოვალურგანივკვეთიანი საკურთხეველია აღმართული. იგი დაიღუპა ძვ. წ. I საუკუნის შუა ხანებში, როცა „საზეიმო საკურთხეველი“ უკვე ნანგრევებად იყო ქცეული.

---

[50] იქვე, კატ. №№ 74, 81, 82, 100, 106, 110, 122, 123.

[51] იქვე, კატ. №№ 125—249.

[52] От. Лордкипанидзе, Древняя Колхида, с. 206.

მ. ფირცხალავა, ზ. ყიფიანი

# ცენტრალური ტერასის დასავლეთ ნაწილში 1978—1981 წწ. ჩატარებული საველე მუშაობის შედეგები

(თორმეტსაფეხურიანი საკურთხევლის არე)

ვანის ნაქალაქარის ცენტრალურ ტერასაზე, მის დასავლეთ ნაწილში, 1978—1981 წწ. ითხრებოდა მანამდე შეუსწავლელი მონაკვეთი, რომელიც ნაქალაქარის გენგეგმაზე მოიცავს 81-ე და 82-ე ნაკვეთებს[1]. გათხრებამდე ეს უბანი წარმოადგენდა დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ დაქანებულ ფერდობს, რომელზეც ადგილობრივი მოსახლის ვ. ახვლედიანის ბაღი იყო გაშენებული. ოთხი სეზონის მანძილზე მოხერხდა ამ უბნის შესწავლა დედაქანამდე, რის შედეგადაც შემდეგი სტრატიგრაფიული სურათი გამოიკვეთა: კორდოვან (0,05 მ სისქის) და ჰუმუსუირებულ (0,20 მ სისქის) ფენებს მოსდევდა ქვაყრილის შემცველი მოყვითალო ფენა (დაახლ. 0,80 მ სიმძლავრისა), შემდეგ იყო სრულიად სტერილური მოყვითალო თიხნარი (0,60—0,70 მ სისქისა); სწორედ ამ სტერილური ფენის ქვეშ გამოვლინდა ელინისტური ხანის კულტურული ფენები და ნაგებობანი. აღსანიშნავია კიდევ ერთი შრე თიხნარისა (0,15—0,20 მ სისქის), რომლითაც დაფარულია თირის ზედაპირი—ადრეელინისტური ხანის სამშენებლო მოედანი (სურ. 30).

ძირითადი მონაპოვარი ამ უბნისა ელინისტურ ეპოქას განეკუთვნება, გარდა ამისა, ფიქსირებულია მონაცემები, რომლებიც მოწმობენ აქ წინარეელინისტური ხანის ფენების არსებობასაც. მაგალითად, გვიანელინისტური ხანის კერამიკის შემცველ კრამიტყრილებსა და ქვაყრილში, რომელიც ელინისტური ხანის ნაგებობების ირგვლივ გამოვლინდა (ნაკვ. 81, კვ. ჟ$_{4-5}$; ნაკვ. 82, კვ. ხ$_{9}$) გამოიყო ერთი არქაული ჯგუფი კერამიკისა, რომელიც წინარეანტიკურ ხანას განეკუთვნება. ესაა:

1. დიდი ზომის სქელკედლიანი ქვევრის ფრაგმენტები, მოწითალო-ყავისფერი თიხისა. ჩვენს ხელთაა პირგადაშლილი ქვევრის პირის მასიური ფრაგმენტები, რომელთაც ან გარეთა მხარე აქვთ ირიბი ღარებით შემკული (სავ. № 07:1—79/2276, 2426, 2411, სურ. 31,1—3), ან ლილვაკისებური პირის კიდე მთლიანადაა დაფარული ერთმანეთის საწინააღმდეგოდ განლაგებული ირიბი ნაჭდევებით (სავ. № 07:1—79/2425, სურ. 31,4). განიერი ღრმა ღარები გარსშემოევლება ყელს. კედლების ფრაგმენტები დაფარულია ურთიერთსაწინააღ-

---

[1] ამ უბნის მოკლე ანგარიშები იხ.: ПАИ в 1979 г. Тбилиси, 1982; с. 82—85, табл. LП—LVП., ПАИ в 1980 г., Тбилиси, 1982, табл. LXУ.

მდეგოდ მიმართული ღრმა ღარებით (საჳ. № 07:1—79/2273, 2274, სურ. 32,1) და რელიეფური კოპებითა და მათ ირგვლივ სხივისებურად განლაგებული ჭდეებით (საჳ. № 07:1—79/2296, სურ. 32,2). ანალოგიური ჭურჭელი ცნობილია კოლხეთის წინარეანტიკური ხანის ძეგლებიდან[2].

2. ე. წ. ზოომორფული ყურები (საჳ. № 07:1—79/2275, 2431, სურ. 32,3), რომელთა რქისებური შვერილები ბოლოებწაკვეთილია და შუაში ჩაღრმავებული. კედლის ნაწილი, ყურიცა და შვერილიც ღარებითაა შემკული. მათაც, ზემომოტანილ ფრაგმენტთა მსგავსად, ანალოგები კოლხეთის წინარეანტიკური ეპოქის მასალებში ეძებნებათ[3].

3. მცირე ზომის ჭურჭლის ყურის ფრაგმენტი (საჳ. № 07:1—79/2439, სურ. 32,4), რომელზეც ცხოველის (ცხვრის) თავის სტილიზებული გამოსახულებაა დაძერწილი. იკითხება მოხრილი რქები და დრუნჩი, რომელიც ირიბი ღარებითაა დაფარული ორივე მხარეს.

ანალოგიური მასალის საფუძველზე ეს ჯგუფი კერამიკისა ზოგადად ძვ. წ. VIII—VI სს. თარიღდება[4]. როგორც ჩანს, ეს მასალა იმ წინარეანტიკური ეპოქის ფენებიდან მომდინარეობს, რომელიც დაზიანებულია ელინისტური ხანის მშენებლობის დროს.

საკუთრივ ელინისტურ ეპოქაში ამ უბანზე ორი სამშენებლო პერიოდი დასტურდება.

პირველი (უფრო ადრეული) წარმოდგენილია: ა. მრგვალი ნაგებობით, რომლის არსებობას ადასტურებს კლდოვან დედაქანზე შემორჩენილი გეგმის კვალი (სურ. 33,1). მთელი სამშენებლო მოედანი აქ მკაცრადაა ნიველირებული, დედაქანზე შეინიშნება საპრეთლის კვალი, ირიბი, გრძელი შტრიხების სახით. ნაგებობის გარე დიამეტრი 17,5 მ-ის ტოლია, ხოლო შიდა — 16 მ-ია. საძირკველი გამართულია ელინისტური სამშენებლო ტრადიციების მიხედვით: დედაქანში ამოკვეთილია 75—80 სმ სიგანისა და 5—15 სმ სიღრმის რკალი — კედლის საყრდენი სუბსტრუქცია, სადაც იკითხება ბუდეები ცალკეული ტრაპეციული ფორმის კვადრებისთვისაც (სურ. 34). მრგვალი ნაგებობის გეგმის კვალმა ჩვენამდე არასრულად მოაღწია, იკითხება მხოლოდ საძირკვლის 1/4 ნაწილი. კედლის მცირე სიგანე — 75—80 სმ (ნაქალაქარის გვიანელინისტური ხანის ნაგებობებისაგან განსხვავებით, სადაც ქვის ცოკოლზე ალიზის კედლებია ამოყვანილი და სადაც კედლების სიგანე 1,50 მ-დან 2 მეტრამდე აღწევს) გვაფიქრებინებს იმას, რომ ამ ნაგებობაში ალიზი არ უნდა ყოფილიყო გამოყენებული და მისი მთელი სიმაღლე კვადრებით უნდა ყოფილიყო გასრულებული. ეს ფართობი მთლიანად დაფარულია დედაქანში ამოკვეთილი სხვადასხვა ზომის (15 სმ-დან 50 სმ-მდე დიამეტრის და 10—40 სმ სიღრმის) წრიული ღრმულებით, ზოგიერთი მათგანი რიყის ქვებით იყო ამოვსებული, ხოლო ერთი მათგანი ნაგებობის გარე კონტურსაა დამთხვეული. ამ ღრმულების არასისტემურობის გამო შეუძლებელია მათი მრგვალი ნაგებობისათვის მიკუთვნება, ჭირს მათი ფუნქციის განსაზღვრაც. ბ. მრგვალი ნაგებობიდან ჩრდილოეთით, მისგან ორიოდე მეტრის დაშორებით, ორი ერთმანეთის მსგავსი სამსხვერპლო იქნა მიკვლეული (სურ. 35, 36,3). ტიპოლოგიურად ისინი ერთიმეორისაგან არ

---

[2] Б. А. Куфтин, Материалы к археологии Колхиды, II, Тбилиси, 1950, (рис. 49-а, I). Табл. 56—I, 34—14; ე. თოლორდავა, არქეოლოგიური გათხრები დაბლაგომში 1973—1974 წლებში, ეანი III, სურ. 59; 60, 1.

[3] Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრ., ტაბ. 35; 579—11; ვ. თოლორდავა, დასახ. ნაშრ., გვ. 73, სურ. 51—53.

[4] ვ. თოლორდავა, დასახ. ნაშრ., გვ. 78.

განირჩევა. პირველი სამსხვერპლო გამართულია დედაქანში ამოკვეთილ, გეგმაში სწორკუთხა მოყვანილობის (1,60×1,50 მ) 0,75 მ სიღრმის ბუდეში. ბუდის ძირზე ცენტრალურ სამხრეთ-ჩრდილოეთის ღერძზე ძევს მოგრძო ოვალური ფორმის მონოლითური გრანიტის ქვა, რომლის ზედაპირზე 20 სმ დიამეტრისა და 15 სმ სიღრმის ღრმულია ამოკვეთილი. ამ მონოლითს ეყრდნობოდა კირქვის ორი გრძივი ბლოკი. მათი სიგრძე თითქმის მთლიანად მოიცავს ბუდის სიგანეს. ბლოკები ცენტრალურ არეებში ვერტიკალურად, ნახევარწრიულადაა ამოკვეთილი და ერთმანეთზე მიდგმულნი აჩარჩოებენ მონოლითში ამოკვეთილ ღრმულს. ერთ-ერთი ბლოკი საგანგებო იარაღითაა ამოყირავებული. მონოლითში ამოკვეთილი ღრმულის ფსკერი მთლიანადაა გაწითლებული და აშკარად შეიმჩნევა ცეცხლის კვალი. რაც შეეხება კირქვის ბლოკებს, მათი ზედაპირები აღჭურვილია ბუდეებით, რომლებიც ჩვეულებრივ ლითონის П-ს მაგვარი სამაგრებისთვის იკეთებოდა კვადრების ზედაპირზე. შესაძლებელია ეს კირქვის ბლოკები მეორადი გამოყენების შედეგადაა მოხვედრილი აქ. თუ მონოლითში ამოღებულ ღრმულში მართლაც ცეცხლი ენთო, მაშინ თითქმის გამორიცხულია მის სიახლოვეს П-ს მაგვარი სამაგრების გამოყენება, რადგან ეს სამაგრები ბუდეებში ტყვიის საშუალებით მაგრდებოდა. ტყვია კი ადვილად ლღვება მცირე ტემპერატურაზეც. კირქვის ბლოკებსა და ბუდის კედლებს შორის მანძილი შევსებული იყო თირისა და ქვიშაქვის ანატკეცებით.

მეორე სამსხვერპლო შედარებით მცირე ზომისაა. იგი პირველისაგან სამხრეთით, მისგან 50 სმ დაშორებითაა გამართული და თითქმის ზუსტადაა ორიენტირებული მხარეთა მიხედვით. ამ სამსხვერპლოს გასამართავად ამოკვეთილი ბუდე თითქმის კვადრატულია (1,10×1,5 მ), ხოლო სიღრმე 60 სმ აღწევს. ბუდეს მთლიანად ავსებს თირის ქვის ფილების ოთხი რიგი. ზედაპირი საკურთხევლისა თირის ორი ფილისაგან შედგება, რომელთა ურთიერთმიჯრილი კიდეები ვერტიკალურად და ერთმანეთის შესაბამისად გეგმაში ნახევარწრიულადაა ამოკვეთილი და 25 სმ დიამეტრის ღრმულს ქმნის. ასევე ჩანს ამოკვეთილი სიღრმეში მყოფი ფილებიც, რომელთა საშუალებით ამ სამსხვერპლოს ცენტრში ცილინდრული ღრმული წარმოიშვება. ფილებსა და ბუდის კიდეებს შორის მანძილი აქაც ნაგლეჯი ქვებითაა შევსებული.

ამ სამსხვერპლოში აღმოჩნდა ოცდაშვიდი მცირე ზომის რიყის ქვა, მრგვალი და ოვალური ფორმისა (სურ. 36,4). ქვებს ეტყობოდა ცეცხლის კვალი. ოთხი ასეთი ქვა პირველ სამსხვერპლოშიც იყო ნაპოვნი.

მომრგვალებული ქვების შეწირვის წესი შედარებით ადრეული ხანის ძეგლებიდანაა ცნობილი. ოვალური ქვები, ხშირად ძლიერი ცეცხლის კვალით, ცნობილია დნეპრისპირეთის ძვ. წ. VI—IV სს. წარჩინებულ ქალთა სამარხებიდან და მათ ცეცხლის რიტუალის შემსრულებელი ქურუმი ქალის ატრიბუტებად მიიჩნევენ[5]. სხვადასხვა ზომის ოვალური ქვები ნაპოვნია ნიმფეონშიც, აფროდიტეს სამლოცველოში, ძვ. წ. V—IV სს. სათავსოებში[6]. ისინი, ათენის აკროპოლისის ჩრდილოეთ ფერდობის სამლოცველოებში ფიქსირებული ოვალური ქვების ანალოგიურად, გააზრებულია, როგორც ნაყოფიერების კულტთან დაკავშირებული ფალიური სიმბოლოები[7].

---

[5] В. Г. Петренко, Правобережье Среднего Приднепровья в V—III вв. до н. э., САИ, вып. Д 1—4, М., 1967 г., с. 36.

[6] М. М. Худяк, Из истории Нимфея VI—III веков до н. э., Л., 1962, с. 26, табл. 20, 4.

[7] O. Broneer, Excavations on the North Slope of the Acropolis in Athens. Hesperia, II, 1933, p. 342, fig. 14; М. М. Худяк, указ. соч., с. 28.

მიუხედავად იმისა, რომ ვანის სამსხვერპლოებს ზუსტი ანალოგები არ ეძებნებათ, ორივე საკურთხეველი აშკარად ატარებს ნიშნებს, რომლებიც ქტონიკურ ღვთაებათათვის განკუთვნილი სამსხვერპლოებისათვის არის დამახასიათებელი. ესენია: სამსხვერპლოების გამართვა დედაქანში, ღრმულების არსებობა, ცეცხლის მონაწილეობა რიტუალში[8] და მათში მომრგვალებული ქვების ფიქსირების ფაქტი.

ელინისტურ ხანაში, როგორც ჩანს, ორივე სამსხვერპლომ შეწყვიტა ფუნქციონირება. ძვ. წ. II ს. მეორე ნახევრისათვის, მეორე სამშენებლო პერიოდის (ძვ. წ. II—I სს.) ნაგებობათა გამართვასთან დაკავშირებით, ისინი გაუქმებულნი ჩანან. იგივე ითქმის მრგვალი ნაგებობის შესახებაც. ასე რომ, გამართლებული ჩანს პირველი სამშენებლო პერიოდის მოქცევა ძვ. წ. III ს. მეორე ნახევარსა და ძვ. წ. II ს. პირველ ნახევარს შორის.

გაუქმებისას საჭიროდ დაუნახავთ სამსხვერპლო ორმოების მთლიანად დაფარვა. ამ მიზნით პირველი სამსხვერპლო შეუვსიათ თირის ქვების უწესრიგო გროვით, რომელსაც ადგილობრივი კრამიტისა და კოლხური ამფორის კედლის რამდენიმე ფრაგმენტიც ჰქონდა შერეული; ხოლო მეორე — თირის ფილებით იყო გათანაბრებული დედაქანის დონეს (სურ. 36,1—2). შემდეგ ორივე სამსხვერპლო, ისევე როგორც მრგვალი ნაგებობის ნაშთები, მოექცა იმ თირნარევი თიხნარი ფენის (0,15—0,20 მ სისქის) ქვეშ, რომლითაც დაფარული იყო თირის ზედაპირი მეორე სამშენებლო პერიოდის ნაგებობათა ირგვლივ.

ამ პერიოდის ნაგებობებს განეკუთვნება თორმეტსაფეხურიანი მონუმენტური საკურთხეველი და ხის თიხით შელესილი ნაგებობის კვალი, ჩვენამდე ბათქაშების გროვითა და დანახშირებული ძელებით მოღწეული.

მონუმენტური საკურთხეველი 5 ძირითადი კომპონენტისაგან შედგება (სურ. 37—39,1):

1. დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ მიმართული თირისა და რიყის ქვებით ნაგები კედლისაგან, რომელიც მკვეთრად დაფერდებულ რელიეფზეა ამოყვანილი და ჩრდილოეთიდან საზღვრავს საკურთხეველს.

2. გეგმაში თითქმის კვადრატული (4,35×3,90 მ) ბაქნისაგან, რომლის ჩრდილოეთი პირი ედგმის თირისა და რიყის ქვებით ნაგებ კედელს (1).

3. საკურთხევლის საფეხურებისაგან.

4. საფეხურების ბაქნისაგან.

5. ჩრდილოეთიდან სამხრეთ-დასავლეთისაკენ მიმართული დაბალი კედლისაგან, რომლის ჩრდილოეთის საწყისი კვადრატული ბაქნისა და საფეხურების საზღვარს ებჯინება (სურ. 37).

მთელი ეს ნაგებობა გამართულია დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ მკვეთრად დაქანებულ კლდოვან რელიეფზე, სადაც ორი რამდენიმე ნიველირებული დონე გამოიყოფა. შედარებით მაღალ რელიეფზეა ამოყვანილი კვადრატული ბაქანი (2), რომლის ქვედა რიგის კვადრები დედაქანში საგანგებოდ ნაკვეთ ბუდეებშია ჩასმული, ხოლო საფეხურების პირველი რიგები 1,70 მ-ით დაბლა მდებარეობს ბაქნის ცოკოლთან შედარებით. საფეხურები სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენაა მიმართული. გეგმაში სწორკუთხა მოყვანილობის შვიდ საფეხურთაგან პირველი, როგორც ჩანს, რელიეფის ნიველირებისთვისაა შექმნილი; იგი თავისი სიმაღლითაც განსხვავდება დანარჩენი საფეხურებისაგან. ამ საფეხურის შემადგენელი კვადრებიც შედარებით უხეშადაა დამუშავებული და,

[8] C. G. Yavis, Greek Altars (Origins and typology.) Saint Louis, 1949, p. 92—94.

გარდა ამისა, მას მთლიანად ფარავდა იმ თირნარევი თიხნარის მოზეინული ფენა, რომელიც მთელი ნაგებობის ირგვლივაა დადასტურებული. ასე რომ, რჩება ექვსი სწორკუთხა საფეხური, მეექვსე საფეხურზე კი გეგმაში მომრგვალებული ფორმის საფეხურებია დაშენებული. ჩვენამდე ექვსი ასეთი საფეხურია შემორჩენილი. საფეხურები ჩრდილოეთით უშუალოდ ედგმიან საფეხურების ბაქანს (4). ბაქანი ჩვენამდე უაღრესად ფრაგმენტულადაა მოღწეული, მაგრამ მისი გეგმა იკითხება, იგი თითქმის კვადრატული მოყვანილობისაა (3,50×3,30 მ). მისი გარე პირი ნაგებია თირისა და ქვიშაქვის ოდნავ დამუშავებული ფილებით, ხოლო შიდა სივრცე შევსებული ჩანს თიხა-მიწით.

საფეხურები ქვიშაქვის ფილებითაა შედგენილი. მათში შეინიშნება ისეთი ფილებიც, რომლებიც მეორადი გამოყენების შედეგადაა მოხვედრილი საფეხურების წყობაში. ზოგიერთი მათგანი აღჭურვილია სწორკუთხა ღრმულებით, რომლებიც თავის დროზე ლითონის სამაგრთათვის უნდა ყოფილიყო გამიზნული. საფეხურებში რამდენიმე ასეთი ქვა ღრმულებით საფასადო მხარესაა მოხვედრილი. სწორკუთხა საფეხურები თითქმის სრულადაა ჩვენამდე მოღწეული, ხოლო გეგმაში წრიული საფეხურების აღმოსავლეთი მხარე მთლიანადაა გასადგურებული.

საფეხურებს დასავლეთიდან ედგმის კვადრატული ბაქანი (2). მისი აღმოსავლეთი კიდე ნაწილობრივ საფეხურებზეა დაშენებული. შუალედი ბაქანსა და მეცხრე საფეხურს შორის ტრაპეციული ფორმის ქვითაა შევსებული. ჩვენამდე თითქმის სრულადაა შემორჩენილი ბაქნის წყობის ორი რიგი. ქვედა რიგის წყობა დასავლეთით რამდენადმე სცილდება ბაქნის საზღვრებს. იგი დედაქანში ნაკვეთ ბუდეებშია ჩასმული და საძირკვლის წყობას წარმოადგენს ბაქნისათვის. ეს წყობა, ისევე როგორც საფეხურების გასამართავად რელიეფის ნიველირებისათვის შექმნილი ფილების რიგი, თიხანარევი თირით იყო დაფარული. ბაქნის საპირე ქვიშაქვის კვადრები თითქმის კუბებს წარმოადგენენ (60×55×50 სმ) და მათი ყოველი წახნაგი ერთგვაროვნად და თანაბრადაა გათლილი — მიღწეულია ყოველი გვერდის სწორხაზოვანი სიბრტყე. ეჭვს არ იწვევს საპირე კვადრების მესამე რიგის არსებობაც (იხ. რეკონსტრუქცია. სურ. 38). ამ რიგის ორი კვადრი ბაქნის ჩრდილოეთ პირზე შემორჩენილია in situ, ხოლო დასავლეთისა და აღმოსავლეთის კიდეებზე საპირე წყობათა მესამე რიგის კვადრები საგანგებოდ ამოყირავებული ჩანან. ბაქნის შიდა სივრცე შევსებულია თირის სხვადასხვა ზომის ფილებითა და თიხით. თირის ფილების წყობას აქ რამდენადმე რეგულარული ხასიათი აქვს. ბაქნის საპირე კვადრები ერთმანეთთან მთელს პერიმეტრზე დაკავშირებული ყოფილან რკინის Π-ს მაგვარი სამაგრებით. თითოეული კვადრი შეიცავს ბუდეებს ამდაგვარი სამაგრებისათვის, მაგრამ თვით სამაგრები საგანგებოდ ჩანს ამოგლეჯილი კვადრებიდან — საპირე წყობის ზედა რიგის თითქმის მთლიანად მორღვევა ბაქნიდან შესაძლოა ლითონის ძიებით იყოს გამოწვეული. კვადრატული ბაქანი ჩრდილოეთის პირით, როგორც ზემოთაც იყო აღნიშნული, ედგმის თირისა და რიყის ქვებით ნაგებ კედელს (1. სურ. 39,3). ეს კედელი დასავლეთით 3 მ-ზე სცილდება ბაქნის დასავლეთ საზღვარს, ხოლო აღმოსავლეთით წყდება საფეხურების ბაქანთან (4), მის დასავლეთ კიდესთან. ამ კედლის ფუნქცია, როგორც ჩანს, სამშენებლო მოედნის მოწესრიგებით გამოიხატება. დედაქანი, გარდა იმისა, რომ დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენაა დაფერდებული, მკვეთრად დაბლდება ჩრდილოეთითაც და ამ კედლით შექმნილია ერთგვარი ტერასა, რომელიც გათანაბრებული უნდა ყოფილიყო ბაქნის ზედაპირს.

კედელი ამოყვანილია დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ მკვეთრად დაქანებულ დედაქანზე. კედლის ძირში (ნაკვ. 81, კვ. $i_1$—$k_1$) თირის ზედაპირი გლუვია და დაფარულია ღარების ბადით, რომლებიც ხან სწორკუთხა და ხან ტრაპეციისებურ ნახაზს ქმნიან (სურ. 39,5). რამდენიმე ადგილას კი თირი ნახაზის მიხედვით ჩაჭრილია ისე, თითქოს ამოკვეთილია თანაბარი სისქის სასურველი ფორმის ქვა (სურ. 39, 4, 6). არ არის გამორიცხული აქ თირის ქვის კარიერის არსებობა.

კედელი ჩრდილოეთის მხრიდან გარკვეულ სიმაღლემდე დაფარული იყო მკვრივი თირნარევი, თიხნარი ფენით, რომელიც არავითარ მასალას არ შეიცავდა (თუ არ ჩავთვლით ადრეანტიკური ხანის ქვევრის პირის ერთ ფრაგმენტს[9]).

როგორც ითქვა, საფეხურები და ბაქანი დედაქანის სხვადასხვა დონეზეა ამოყვანილი. ეს დედაქანის რთული რელიეფითაა გაპირობებული. საგანგებოდაა ჩატარებული სამუშაო, რათა მკვეთრად განსაზღვრულიყო მისასვლელთა დონეები საფეხურებთან და კვადრატულ ბაქანთან. ამ მიზნით ჩანს შექმნილი ირიბად მიდგმული კედელი (5), რომელიც, ერთი მხრივ, აწესრიგებდა და ანიველირებდა კვადრატული ბაქნის წინა მოედანს, ხოლო მეორე მხრივ, საზღვრავდა საფეხურებთან მისასვლელ არეს.

საფეხურებს აღმოსავლეთით, როგორც ჩანს, ედგმოდა გეგმაში ტრაპეციული მოყვანილობის მცირე სათავსო (1,50×2 მ). მისი კვალი შემორჩენილია ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთის კედლების ნაშთით — თირის ფილების თითო რიგით. მისი შიდა სივრცე დაფარული იყო ინტენსიური კრამიტყრილით, რაც მოწმობს იმას, რომ იგი კრამიტით იყო გადახურული. კრამიტის რამდენიმე ნატეხი დადასტურდა აგრეთვე საფეხურების აღმოსავლეთ ნაწილშიც. საფეხურებზე დაცვენილ კრამიტებსა და ნახანძრალ მონაცრისფერო შრეზეა დავარდნილი საკურთხევლის (?) ფრაგმენტიც — ქვიშაქვის მაღალი ფილა, რომელიც რვეის ნატეხის შთაბეჭდილებას ტოვებს — მისი ჩვენამდე მოღწეული ზომებია 110×85×33 სმ. (სურ. 39,1). ორ მხარეს შემორჩენილი აქვს 20 სმ სიმაღლის ბორტები — გრძელი მხრის ბორტის სიგანეა 35 სმ, ხოლო ვიწრო მხრისა — 9 სმ. რჩება შთაბეჭდილება, თითქოს ეს დეტალი საფეხურების ბაქნიდანაა დაცურებული, თუმც შესაძლებელია იგი საფეხურების წინაც მდგარიყო და ნგრევისას ადგილმონაცვლებული საფეხურების ქვედა რიგებზე დაცემულიყო. სოლენის ათამდე ნატეხი დადასტურდა კვადრატულ ბაქანსა და საფეხურებს შორის ვიწრო სივრცეში, აგრეთვე იმ მცირე შუალედში, რომელიც საფეხურების ბაქანსა და თირის კედელს შორისაა წარმოქმნილი. ამ შუალედებში კრამიტყრილის არსებობა ძნელი ასახსნელია.

ნგრევის პროცესთა რამდენადმე მაინც სრულად წარმოდგენას ართულებს ის ფაქტი, რომ ნაგებობა მიწის თხელი ფენით იყო დაფარული და მთელი ეს ტერიტორია ათეული წლების მანძილზე ინტენსიურად მუშავდებოდა მრავალწლიანი ნარგავებისათვის, მიმდინარეობდა მიწის ფენის ქვებისაგან განთავისუფლების პროცესი, რამაც თვალსაჩინო ზიანი მიაყენა მთელს ხუროთმოძღვრულ კომპლექსს.

საფეხურებითა და საფეხურების ბაქნით მთავრდება ერთი არქიტექტურული თემა, აღმართულია მონუმენტური საფეხურებიანი საკურთხეველი. იგი ერთგვარ მსგავსებას ამჟღავნებს ანტიკურ ხანაში გავრცელებულ მონუმენტურ საკურთხეველთა იმ ჯგუფთან, რომლებიც ხასიათდებიან იმით, რომ საფეხურები მთლიანად ფარავენ ბაქნის იმ გვერდს, რომელსაც ისინი ედგმიან. მაგრამ,

9 ვანი V, გვ. 60, კატ. № 1.

ჯერ ერთი, ასეთ საკურთხევლებში საფეხურთა მაქსიმალურ რაოდენობად შვიდია მიღებული[10], და ამასთანავე მომრგვალებული, სიმაღლეში ხარისხებად შემცირებული და კონუსურად მიმართული საფეხურები ზედა ნაწილში ვეღარ ფარავენ ბაქნის იმ გვერდს, რომელსაც ედგმიან. ის ვერ განეკუთვნება საკურთხევლთა ვერც იმ ტიპოლოგიურ ჯგუფს, რომელთა მახასიათებელი ბაქნის ერთ-ერთი გვერდის ცენტრალურ არეში ამოყვანილი ვიწრო საფეხურებია[11].

თუ საფეხურები და მისი ბაქანი ზოგადი ნიშნებით მაინც ამჟღავნებს მსგავსებას ბერძნულ სამყაროში გავრცელებულ ანალოგიური დანიშნულების ნაგებობებთან, დასავლეთიდან მიდგმული კვადრატული ბაქნის მეშვეობით მთელი კომპლექსი სრულიად განსხვავებულ სახეს იძენს. კონკრეტულად არაფრის თქმა არ შეიძლება, თუ რა ფუნქციის მატარებელი უნდა ყოფილიყო კვადრატული ბაქანი. შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ იგი წარმოადგენდა პედესტალს ბრინჯაოს ქანდაკებათა იმ ჯგუფისათვის, რომელთა ასეულობით ნატეხი მიკვლეულ იქნა ამ საკულტო კომპლექსის გარშემო (იხ. ქვემოთ). ასევე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს საკულტო კომპლექსი ერთდროულად ორ ღვთაებას ემსახურებოდა, ანტიკური ხანის ზოგიერთი მონუმენტური საკურთხევლის მსგავსად[12], და შესაძლოა ვანში ამ მიზნით საკურთხევლის ორი დამოუკიდებელი ფორმა ერთ ნაგებობად წარმოადგინეს.

ამ არქიტექტურული კომპლექსის განსხვავებულმა გეგმარებითმა კომპოზიციამ შეიძლება თავისთავად წარმოშვას აზრი ორი სამშენებლო პერიოდის შესახებ. კვადრატული ბაქნისა და საფეხურების არათანადროულობის შესახებ. აქ საქმე გვაქვს ერთმანეთის გვერდით აგებულ ორ დამოუკიდებელ ხუროთმოძღვრულ ფორმასთან და თუ ერთი ნაგებობა შენდება ადრე აგებული ნაგებობის კედელზე, ან უშუალოდ მის გვერდით, მას აუცილებლად ან ადრეული ნაგებობის სრული გაუქმება უნდა გამოეწვია, ანდა მისი რომელიმე სტრუქტურა კონსტრუქციული თვალსაზრისით გამოეყენებინა. ვანის ნაქალაქარზე ხშირად შეიმჩნევა იმ ნაგებობათა კვალი, რომელიც წინ უსწრებდა გვიანელინისტური ხანის რომელიმე ნაგებობას, მაგრამ ამ დროს ყველა შემთხვევაში ძველი ნაგებობა ან საფუძვლიანადაა დაშლილი და მისი ქვები გამოყენებულია ახალი ნაგებობის ასაშენებლად, ანდა ძველი ნაგებობის ნაშთები ფუნქციონალურადაა გამოყენებული ახალ ნაგებობაში.

დასასრულ უნდა აღინიშნოს, რომ მთელი საკულტო კომპლექსი თითქმის ზუსტადაა მიმართული სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ და სრულებით არ შეესაბამება ბერძნულ-ელინისტურ სამყაროში მონუმენტურ საკურთხეველთათვის მიღებულ კანონიკურ ნორმას, რომელიც საკურთხეველთა დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ მიმართებას გულისხმობს[13].

უშუალოდ საკულტო კომპლექსის ირგვლივ კულტურული ფენების შესწავლამ ასეთი სურათი მოგვცა:

1. სწორკუთხა ბაქნის დასავლეთ კიდესთან (ნაკვ. 81, კვ. $h_3$) ფიქსირებული იყო ძლიერი ნგრევის შედეგი — კრამიტებზე დავარდნილი ქვაყრილი, რომელიც დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ იყო დაქანებული და უშუალოდ ბაქნის კიდესთან წყდებოდა (სურ. 39,2). კრამიტყრილი შეიცავდა ასამდე სო-

[10] C. G. Yavis, დასახ. ნაშრ., გვ. 115.

[11] H. Hoffmann, Foreign influence and native invention in archaic Greek altars. AJA, v. 57, № 3, 1953. pl. 55. p. 189—195.

[12] Wernike, Olympische Beiträge I. Die Altäre von Olympia, JDJ. B. IX. 1895. S. 89—101.

[13] C. G. Yavis, დასახ. ნაშრ., გვ. 115—167.

ლენის მოზრდილ ფრაგმენტს და ორმოც კალიპტერისას. ერთ, თითქმის სრულად მოღწეულ, სოლენზე (50 სმ სიგანის) თითით გამოყვანილია ჯვარედინი ხაზები, ხოლო კალიპტერის ერთ ფრაგმენტზე დატანილია ნიშანი ტ. ქვაყრილი შედგებოდა ქვიშაქვის რუსტირებული მოგრძო კვადრებისაგან, რომელთაც კირქვა და თირის ქვებიც ჰქონდა შერეული. ნაგებობა, რომელსაც ეს ყრილი ეკუთვნოდა, არ არის მიკვლეული.

2. საკულტო კომპლექსის სამხრეთ-დასავლეთით (ნაკვ. 81, კვ. ჲ3-6, ჳ3-8) გამოვლენილია კრამიტებისა და ქვების ყრილი, რომელიც უშუალოდ იმ თირნარევ თიხნარზე იყო დაფენილი, რომლითაც დაფარული იყო სამსხვერპლოები, მრგვალი ნაგებობის ნაშთები და სწორკუთხა ბაქნის ცოკოლის ქვედა რიგი.

ამ ყრილში აღმოჩენილი მასალა უპირატესად გვიანელინისტური ხანისაა (მასში ნაპოვნი წინარეანტიკური ხანის ნაწარმზე ზემოთ უკვე ითქვა, გვ. 53). ესაა:

ა. ქვევრის ფრაგმენტები, ყავისფერკეციანები, შავ და ყავისფერზედაპირიანები, აქვთ ელინისტური ხანისთვის დამახასიათებელი პროფილი და ორნამენტი: შესქელებული, ირგვლივი ღარებით დაფარული პირის კიდე, დაკბილული იარაღით დატანილი ირიბი ჭდეების სარტყლები მხარეზე და ამ სარტყლებში ჩასმული ნიშნები — ერთზე გამოწვამდე ამოკაწრულია Ψ (სავ. № 07:1—79/2416), ხოლო მეორეზე — Ψ (სავ. № 07:1—79/2417). ეს უკანასკნელი ნიშანი დამოწმებულია კრამიტის ერთ ნატეხზეც ამავე ყრილიდან. ანალოგიური ნიშანი დაბლაგომის ქვევრსამარხებზეა დადასტურებული[14]. წითელი და რუხკეციანი თეფშების პირ-კალთის ფრაგმენტები (სავ. № 07:1—79/2278, 2433, 34, 35, 2436, 2430) — იმპორტული შვეულკიდიანი ჯამების ადგილობრივი მინაბაძები; რელიეფურდანაძერწიანი შეწყვილებული და გრეხილი ჭურჭლის ყურები (სავ. № 07:1—78/231, 800); იმპორტული ნაცრისფერკეციანი ლანგრების ფრაგმენტები (სავ. № 07:1—79/67, 68). ეს მასალა კარგად არის ცნობილი ვანის ნაქალაქარის იმ კულტურული ფენებიდან, რომლებიც ნაქალაქარის არსებობის უკანასკნელ ეტაპს ასახავენ და ძვ. წ. II ს. მეორე ნახევრითა და I ს. პირველი ნახევრით თარიღდებიან[15].

ბ. ფიგურული საკიდი, მოცისფრო მინისა, მინიატურული, ჭურჭლის სტილიზებული გამოსახულება (სავ. № 07:1—79/2244). ძვ. წ. II—I სს.[16].

გ. ტყვიის სწორკუთხა ფილა-საწონი; მისი წონაა 51,2 გ. ზომები — 27,5×23,1×8 მმ. ამ ტიპის საწონები, სხვადასხვა ზომისა და წონისა, ვანის ნაქალაქარზე აღმოჩენილია ძვ. წ. II—I სს. კულტურულ ფენებში[17].

დ. თიხის ანტეფიქსის ფრაგმენტი, გორგონას გამოსახულებიანი (სიმაღლე 10,5 სმ). მისი ზედა ნაწილი ოვალური მოყვანილობისა ჩანს; თვით გამოსახულება საკმაოდ რელიეფურია, პირის ღრუ, ყურის ნიჟარა, წარბი და თმები

[14] Б. А. Куфтин, Материалы, II, с. 78—80, табл. 26—3, 33—1, рис. 19—4.

[15] ნ. მათიაშვილი, ელინისტური ხანის ადგილობრივი კერამიკა ვანიდან, მსკა, V, 1973, გვ. 55, 60—61, ტაბ. III—3,9, II — 6,6.

[16] Е. М. Алексеева, Античные бусы Северного Причерноморья. САИ Г 1—12, М., 1978, с. 74. тип 193 г. табл. 34:39.

[17] Г. А. Лордкипанидзе, О колхидской весовой системе, в кн.! „Культура античного мира", М., 1966, с. 131—134, рис. 2.

სხვადასხვა სიგანის რელიეფური ლილვაკებით არის გამოყვანილი თუ მოჩარჩოებული. მაღალი რელიეფითაა შესრულებული ცხვირი. სახის ძირითად სწორ ანატომიურ აგებულებას არღვევს სარკისებურად შებრუნებული ყურის ნიჟარა. ღია პირის ღრუში შეინიშნება გადმოგდებული ენაც. შეჰმუხნული შუბლის მიუხედავად მთლიანად გამოსახულება ადამიანური იერით ხასიათდება, რაც სრულიად უცხოა გორგონათა არქაული გამოსახულებებისათვის, რომელიც ასე ხშირად გვხვდება არქიტექტურულ პლასტიკაში, მათ შორის ანტეფიქსებზეც[18]. მაგრამ დროთა განმავლობაში გორგონას სახე თანდათანობით იცვლის საზარელ იერს, დამახასიათებელს არქაული ხანისათვის და ელინისტურ ხანაში იგი უკვე შედარებით მშვიდი სახით გამოისახება[19] (სურ. 40,1).

ე. რელიეფით შემკული მარმარილოს ფილის ფრაგმენტი (სიგანე 56 მმ, შემორჩენილი სიგრძე 120 მმ, სიმაღლე 90 მმ); რელიეფისათვის განკუთვნილი სიბრტყე შემოსაზღვრულია 13 მმ სიგანისა და 6 მმ სიმაღლის ჩარჩოთი. ამ ფრაგმენტზე ჩანს მხოლოდ ფეხების გამოსახულება მუხლსქვემოთ, დაბალი რელიეფით შესრულებული. სიბრტყეს (ამ შემთხვევაში ჩარჩოს) ფიგურა მხოლოდ მარჯვენა ფეხით ეყრდნობა, მარცხენა ფეხი სიბრტყეს ოდნავ ეხება თითებით. ფრაგმენტულობის გამო შეუძლებელია რელიეფის დანიშნულებაზე საუბარი (სურ. 40,2).

ვ. კირქვის სწორკუთხა ფილა (80×49,5×25 სმ.). მისი ერთერთი ვიწრო გვერდი პროფილირებულია თაროთი და მრუდით. გრძელ გვერდზე, ცალ მხარეს, ცენტრალურ არეში გეგმაში ნახევარწრიული ვერტიკალური ღრმულია ამოკვეთილი. თაროსებური პროფილი ნაწილობრივ ორივე გრძივ გვერდზეც ვრცელდება გვერდის დაახლოებით ერთ მესამედზე. ქვედა სიბრტყეზე ვიწრო, პროფილირებული გვერდის სიახლოვეს სწორკუთხა (6×5×5 სმ) ღრმულია ამოკვეთილი ლითონის ვერტიკალური სამაგრისათვის (სურ. 41).

ამ ყრილში ფიქსირებულ არქიტექტურულ დეტალებს ვერ მივაკუთვნებთ ვერცერთ აქამდე გამოვლენილ ნაგებობას და უნდა ვიფიქროთ, რომ მათი თავდაპირველი ადგილი დასავლეთით, გაუთხრელ ნაკვეთშია საძიებნი.

ზ. ასევე ზედა ფენებიდან დაცურებული ჩანს ქვიშაქვის პილასტრის კორინთული კაპიტელი (სურ. 42), რომელიც საკულტო კომპლექსის დანგრევის შემდეგ წარმოქმნილ ფენაში აღმოჩნდა. მისი ცენტრალური გამოსახულება ოთხფურცლა ვარდულია; კუთხის სავოლუტე ბაფთებსა და ვარდულს შორის სივრცე ღეროვანი ხვიებითაა შევსებული; ქვედა იარუსი აკანთის გვირგვინია, რომლის ფუძე გლუვი ლილვითაა შემოსაზღვრული.

საკულტო კომპლექსის ირგვლივ, მის ნანგრევებში ნაპოვნია ბრინჯაოს ქანდაკების ათამდე ფრაგმენტი. ისინი ფიქსირებულია სწორკუთხა ბაქნის დასავლეთ კიდესთან (ნაკვ. 81, კვ. $h_2$), მის წინ დავარდნილ ქვიშაქვის ბლოკებს შორის და მათ ქვეშ (ნაკვ. 81, კვ. $k_{4-5}$), საკურთხევლის საფეხურების ქვედა რიგებთან (ნაკვ. 82, კვ. $a_5$—$b_5$) მის აღმოსავლეთ კიდესთან გამოვლენილ კრამიტყრილში (ნაკვ. 82, კვ. $c_5$).

მათში გაირჩევა: ადამიანის სხეულის (შესაძლოა მხრისა და მკლავის) ნაწილები (საv. № 07:1—78/1137—38, 43—44, 1199, 2824, 1165, 2878, 1169, 2874, 235, 1166, 1140, 2890, 80/84, 79/2946. სურ. 46,1); ადამიანის მარცხენა ყური, რომელიც ოდნავ აღემატება ნატურალურ ზომას. ორი სხვადასხვა ზო-

[18] Gisela M. A. Richter, Handbook of the Greek collection (the Metropolitan Museum of art), Cambridge, 1953, p. 30. p. 179.

[19] Е. А. Савостина. Об архитектурных фрагментах из Горгиппии, в кн. Горгиппия I, Краснодар, 1980, с. 65—66.

მის ბრინჯაოს ფიგურის ფრაგმენტი: ერთია ცხოველის ფაფარში ჩაჭიდებული მარცხენა ხელის მტევანი (სურ. 43,2), ნატურალური ზომის დაახლოებით 1:2; მთლიანადაა გამოსახული ცერი; საჩვენებელი და შუა თითები სანახევროდ ფაფარშია ჩაფლული, ხოლო ორი დანარჩენი თითი მთლიანად დაფარულია; სახსრები ღრმა ნაჭდევებითაა გადმოცემული; ფაფარი გამოსახულია არათანაბარი სიღრმის მორკალული ნაკაწრებით. მეორე, ასევე მარცხენა ხელის მტევანის ფრაგმენტი ნატურალურ ზომას რამდენადმე აღემატება (სურ. 43,1). მასზე სამი თითია მხოლოდ შერჩენილი — შუა, უსახელო თითი და ნეკი; თითები რბილადაა მოდელირებული, ნატურალისტურადაა გადმოცემული ფრჩხილები და ნუნები, ხოლო სახსრები მათთან შედარებით სქემატურადაა ნაჩვენები — ორი ან სამი არაღრმა ჰორიზონტალური შტრიხით.

ტანსაცმლის დრაპირების ამსახველ ასამდე ნატეხს შორის გამოირჩევა ჭამოსის ნაწილი (სურ. 44,1), ღრმადაა დანაოჭებული; ცენტრალურ არეში ნაოჭი სპირალისებურადაა ჩახვეული. ასევე, ვერტიკალურნაკეცებიანი ფრაგმენტი, რომელიც ფოჩებით ბოლოვდება (სურ. 44,2). ფოჩის ზედა საზღვარი ნაკეცებისაგან ორმაგი ჰორიზონტალური ნაჭდევებითაა გამოყოფილი.

ცხოველის ყურები (სურ. 45,4), სიმაღლეში საგრძნობლად წაწვეტებული, სამკუთხა ფორმისა, წინა მხრიდან შეზნექილი, დაფარულია ღრმა ნაჭდევებით.

ცხენის ჩლიქის ფრაგმენტები (სურ. 46,2); თვით ჩლიქის ზედაპირი გლუვია, ხოლო სახსრის არეს ირგვლივ ბეწვი შემოუყვება, რომელიც გადმოცემულია ღრმა, მორკალული ნაჭდევებით; სახსრის არე ამოზიდული ირგვლივი ქედითაა გამოსახული. ჩლიქის ამდაგვარი სკულპტურული წარმოსახვა ცნობილია გვიანელინისტური ხანის ძეგლებზე[20]. აქვე უნდა ვახსენოთ სამი ერთგვაროვანი ფრაგმენტი (სურ. 44,3), რომელთაც ორ იარუსად განლაგებული დაღარული სარტყლები აქვთ. მოდელირება ძლიერ მოგვაგონებს ზოგიერთ ბარელიეფზე გადმოცემულ ცხენის ფაფარს[21].

გველის სკულპტურული გამოსახულებანი, წარმოდგენილი ორი თავით (სავ. № 07:1—79/223, 2289) და დახვეული ტანის ოთხი ფრაგმენტით (სავ. № 07:1—79/26—27,87, 2281, სურ. 43,3). თავი რომბის ფორმისა აქვთ, შუბლზე ამოკვეთილია ლანცეტური ტიპის ფოთლის მსგავსი გამოსახულება, შუაში ღრმა ღარითაა გაყოფილი; კისრიდან მორკალული ღარები საზღვრავენ კეფის კუნთებს. თვალები გადმოცემულია მრგვალი ბურცობებით; ტანზე ქერცლი გადმოცემულია მორკალული ღარებით, რომელთაგან ზოგი შუაზეა კიდევ დამატებითი ღარით გაყოფილი. პირი მოდელირებულია თითო ღრმა ღარით მთელი თავის გასწვრივ. დაუმუშავებელია ფიგურების ერთი ან ორი მხარე — როგორც ჩანს, გველის გამოსახულებანი წარმოადგენდა რაღაც საგნის, ვთქვათ, ქანდაკების პედესტალის მორთულობის ნაწილს. ამას გვადასტურებს ორი ფრაგმენტი ტანისა, რომელთაც არა აქვთ დასრულებული სახე და რაღაც საფუძვლიდან არიან წამოშვერილი. ამასთან, ორი გველის შეწყვილებულ ფიგურაზე ერთ მხარეს ჩამოსხმისას მიღებული ღარი და ბურცობია, რაც იმის მაუწყებელია, რომ ეს მხარე არის ბრინჯაოს სხმული საგნის შიდაპირი, ხოლო გველის ტანის ორი განშტოება — მისი სკულპტურული მორთულობა.

---

20 უნდა დავასახელოთ ცხენის ბრინჯაოს ქანდაკება არტემისიონთან ჩაძირული გემიდან, რომელიც ძვ. წ. II—I სს. თარიღდება და რომლის ჩლიქის ზუსტ ასლს წარმოადგენს ვანის ნიმუში. B a s i l Petrakos, National Museum, Athens, 1981, p. 88. fig. 68.

21 G. R i c h t e r, The Sculpture and Sculptors of the Greeks, New Haven, 1957, fig. 480.

ასეთივე საგნის შემკულობა უნდა ყოფილიყო პილასტრის ფრაგმენტი (სავ. № 07:1—79/1179, სურ. 44,6), იონიური ბაზისითა და კანელირებული სვეტით.

ტალღისებური ღრმა ღარებით დაფარული ქანდაკების ფრაგმენტების ერთი ჯგუფი (სურ. 46,3) თმის, ბეწვის ან ფრთის ამსახველი შეიძლება იყოს.

სამკუთხა მოყვანილობის ორი ერთნაირი ფირფიტა (სურ. 45,3), რომლის წვერი ფორმირებულია სფერული, მასიური ბურთულით.

გაურკვეველი საგნის ფრაგმენტი (სავ. № 07:1—78/254, სურ. 45,2) კუთხის დეტალი; წახნაგები ბლაგვი კუთხითაა შეერთებული: კუთხიდან თითოეული წახნაგი დაკეპნილი ღარითაა გამოყოფილი. ერთ მხარეს შერჩენილია რელიეფური, ბრტყელგანივკვეთიანი მორკალული ღეროს ფრაგმენტი. ამავე ნივთისაა ოთხი ფრაგმენტი (სავ. № 07:1—78/253, 79/2672, სურ. 44,5), რომლებიც შეადგენს ფირფიტას ექვსფურცლიანი ვარდულითა და მსხვილი, განივკვეთში ნახევარწრიული ღეროთი. ვარდულის ცენტრი ნახევარსფეროსებური რელიეფითაა გამოსახული, ფურცლები არათანაბარი ზომისაა და თითოეული მათგანი სიგრძეზე ღრმა ნაჭდევით ორადაა გაყოფილი.

ბრინჯაოს ორი ურთიერთგადაჯვარედინებული სალტის ფრაგმენტი (სავ. № 07:1—78/251, სურ. 45,2), შერჩენილი აქვს მოოქვრის კვალი.

ბრინჯაოს მოოქრული ფირფიტები, შემკული გრავირებული მცენარეული ორნამენტით: ფირფიტა პალმეტის გრავირებული გამოსახულებით (სურ. 46,5), განიერი ცენტრალური ღეროს ორივე მხარეს ოთხ-ოთხი ფურცელია სიმეტრიულად განლაგებული. ფურცლების წვეროები ღეროსკენაა დახრილი. პალმეტის ეს სახე ძვ. წ. II საუკუნიდან ჩნდება არქიტექტურულ დეკორსა და ტორევტიკულ ძეგლებზე[22].

მეორე ფირფიტაზე გამოსახულია აკანთის ღერო (სურ. 44,4), დამახასიათებელი განტოტებითა და ბაფთით. ქვედა განტოტება სრულდება აკანთის ქვედამხრობილი ყვავილის გამოსახულებით. სალტის თავისუფალი არეები შევსებულია არაცეას ყვავილის სტილიზებული გამოსახულებით, რომელიც ერთი შეხედვით პალმეტს მოგვაგონებს.

მესამე ფირფიტაზე (სურ. 44,4) ასევე აკანთის ღეროა გამოხატული, რომლის ერთ-ერთი შტო აკანთის ორნამენტისთვის დამახასიათებელ ხვიას ქმნის.

მსგავსი ორნამენტი, რომელსაც ქმნის აკანთის მოტივის უსასრულო რიგი, ღეროთა ანალოგიური მოდელირებით, კარგადაა ცნობილი გვიანელინისტური ხანის სხვადასხვა სახის ნაწარმზე, განსაკუთრებით პოპულარულია ეს მოტივი ვერცხლისა და ოქროს ნაკეთობებზე. ის შეადგენს ორნამენტის ცალკე ჯგუფს, რომელიც „აკანთის არშიის“ სახელითაა ცნობილი და გვხვდება ოქროს დიადემებზე, ვერცხლის ჭურჭელზე, ოქროს ფირფიტებსა[23] და არქიტექტურულ დეტალებზე[24].

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს სიუხვე (252 ერთეული) მცირე ზომის[25] სწორკუთხა, ზოგჯერ პოლიგონალური თხელი ფირფიტებისა (სურ.

---

[22] И. Д. Марченко, О терракотовых антефиксах Пантикапея, в кн.: Археология и история Боспора, т. I. Симферополь, 1962 г. с. 181.

[23] Alois Riegl, Stilfragen. Grundlegungen zu einer Geschichte der Ornamentik. Berlin, 1893, Abb. 122, 129. S. 248—258.

[24] M. Meurer, Das Griechische Akanthusornament und seine Natürlichen Vorbilder, JDJ, B. XI, 1896, Abb. 39—40, S. 145—146.

[25] ფირფიტების სისქეა 1 მმ — 3,2 მმ, უდიდესი პერიმეტრი — 32×10 მმ; 22×22 მმ; უმცირესი — 5×5 მმ.

46,4), ე. წ. ჩასართებისა, რომლებიც განკუთვნილი იყო ბრინჯაოს სხმული ქანდაკების ზედაპირზე არსებული დეფექტების დასაფარავად[26]. მათი აღმოჩენა უეჭველად მიუთითებს დიდი მასშტაბის სკულპტურული ნაწარმის არსებობაზე. პარალელურად ნაპოვნია ქანდაკების ფრაგმენტები, რომელთაც ზედაპირზე აქვთ ფოსოები (სურ. 45,1). ესაა გლუვფსკერიანი ოთხკუთხა, ზოგჯერ მრავალკუთხა ბუდეები, რომლებიც ამოკვეთილია ქანდაკების ზედაპირზე იმ ადგილებში, სადაც ჰაერის ბუშტულებმა ჩამოსხმისას წარმოქმნეს ნახვრეტები, ანუ ე. წ. ნიჟარები. მათი დაფარვის მიზნით ხდებოდა ნიჟარების ნაპირების სწორად შემოჭრა და ფსკერის გაგლუვება, რათა გამდნარი ლითონი კარგად ჩამჯდარიყო მათში. შემდეგ, ზედაპირის დამუშავების შედეგად, ეს ნაკერი შეუმჩნეველი ხდებოდა[27]. თუ არა საგანგებო ძალით, ძნელია ამ ჩასართების ამოყრა ბუდეებიდან. ცხადია, რომ ქანდაკება ადგილზევე დაიმტვრა. ამით აიხსნება მისი ძლიერი ფრაგმენტულობა და ჩასართების თავმოყრა ერთ ადგილას (საფეხურების ქვედა რიგებთან და მათს აღმოსავლეთით ფიქსირებულ კრამიტყრილში). გავიხსენოთ თუნდაც სარგონის სასახლის რელიეფზე გამოსახული მუსასირის ტაძრის გაძარცვის სცენა, სადაც ასურელები ბრინჯაოს დიდ ქანდაკებას ადგილზევე ამსხვრევენ ცულებით[28]. ლითონის ძიების მიზნითვეა ამოყირავებული სწორკუთხა ბაქნის ქვიშაქვის კვადრები, რომლებიდანაც ამოგლეჯილია რკინის სამაგრები.

საფეხურებიანი საკურთხევლის სამხრეთ-დასავლეთით, მისგან 6 მ დაშორებით მიკვლეულ იქნა თიხით შელესილი ხის ნაგებობის ნანგრევები, რომელიც შეწირულობათა საცავს წარმოადგენდა. ის ხანძარშია დაღუპული. გამოვლენილია ბათქაშების ინტენსიური ყრილი (ნაკვ. 81, კვ. $f_{6-8}$, $g_{6-8}$, $h_{6-8}$): იგი დაახლოებით 25 $მ^2$ მოიცავდა და მთლიანად წარმოადგენდა ხის, თიხით შებათქაშებული ნაგებობის ნაშთებს. შელესილობის ფრაგმენტები ძლიერაა ხანძრისგან დეფორმირებული, მაგრამ ზოგიერთზე კარგად იკითხება გაუკუთხავი ძელების კვალი (სურ. 47), იმდენად, რომ შესაძლებელი ხდება საკედლე ძელების დიამეტრების განსაზღვრა (15—30 სმ). ბათქაშებზე ჩანს, რომ საკედლე მორებს შორის არავითარი ჰორიზონტალური შუალედი არაა წარმოშობილი, მორები მჭიდროდ ეკვრის ერთმანეთს. ასეთი რამ შესაძლებელი ხდება მხოლოდ მორების ურთიერთჭდობის იმ მეთოდის გამოყენებით, როცა თითოეული მათგანი მომიჯნავე მორების შესაბამისად ორივე მხრიდან იკვეთება დიამეტრის მეოთხედი ნაწილით. ურთიერთჭდობის ეს წესი კედლის მთელ სიმაღლეზე გამორიცხავს ღრიჭოებს მის სტრუქტურაში.

ბათქაშები ფარავდა მდიდრულ შეწირულობას (იხ. ქვემოთ). შელესილობის ფრაგმენტებისა და მასალის აღების და მთელი ფართობის გასუფთავების შემდეგ გამოიკვეთა ნაგებობის კონტურები — იგი გეგმაში თითქმის კვადრატული (5×5 $მ^2$) მოყვანილობისაა; მისი იატაკი ნიველირებული ყოფილა სტერილური თიხის ფენილით. თვით სასიარულო დონე შიდა სივრცისა ნახანძრალია და დეფორმირებული. ნაგებობის სამხრეთ კიდეზე საკედლე ძელიც იქნა ფიქსირებული (სურ. 48,2). თავიდანვე ყურადღება მიიქცია იმან, რომ ბათქა-

---

26 C. C. Mattusch, Corinthian metalworking: the Forum area, Hesperia, v. 46, № 4, 1977, p. 386, pl. 99.

27 იქვე, გვ. 285—386, ტაბ. 100—102.

28 Б. Б. Пиотровский, Искусство Урарту, VIII—VI вв. до н. э. Л., 1962, с. 37—38, 43, рис. 10.

შებიან ყრილში არ იყო არც ერთი მთელი კრამიტი, ხოლო აქ მოპოვებული ნატეხებიდან არ აღდგა არც ერთი ცალი. ამასთან, მიკვლეულია მხოლოდ ბრტყელი კრამიტის ფრაგმენტები, ისიც მეჩხერად, გაფანტულად, მათი თავმოყრა კი ყრილის კიდეებზე შეინიშნებოდა: რიყის მცირე ზომის ქვებთან, რომლებიც ბათქაშებიან ყრილს შემოფარგლავდა ჩრდილოეთის მხრიდან (სურ. 48,1) და სამხრეთის კიდეზე ფიქსირებულ ხის ძელთან, სადაც ბრტყელი კრამიტის ერთი ფრაგმენტი ვერტიკალურად იყო აღმართული. აქვე დადასტურდა ქვევრის კედლებიც, ასევე ვერტიკალური დგომით და შიდაპირით ჩრდილოეთისაკენ მიმართული (სურ. 48,2). ყრილის შუა ნაწილში კრამიტი არ შეგვხვდა. ფიქსირებული სიტუაცია არ შეესატყვისება იმ სურათს, რომელიც კრამიტით გადახურული ნაგებობის კარგად კონსერვირებულ ნანგრევებშია მოსალოდნელი. უნდა ვიფიქროთ, რომ ბრტყელი კრამიტის ფრაგმენტები, ქვევრის კედლები და რიყის ქვის გროვებიც ნაგებობის ჩრდილოეთ და სამხრეთ კედლების მთელ სიგრძეზე ფარავდა იმ ჰორიზონტალურ ღიობებს, რომლებიც ნაგებობის ორ მოპირდაპირე მხარეს წარმოიშვებოდა რელიეფსა და ძელს შორის.

სტრატიგრაფიული მონაცემები მოწმობენ, რომ მონუმენტური საკურთხეველი და მისი განძსაცავი ერთდროულად დაინგრა ნაქალაქარის სხვა ძირითად უბნებთან ერთად: საკულტო კომპლექსის ირგვლივ ფიქსირებული მასალა, როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები, გვიანელინისტური ხანით თარიღდება, ხოლო საგანძურში მოპოვებული მასალის ძირითადი კომპლექსი (როგორც ამას ქვემოთ დავინახავთ) ძვ. წ. II—I სს. განეკუთვნება და უშუალო ანალოგებს პოულობს ნაქალაქარის არსებობის ბოლო ეტაპის ამსახველი კულტურული ფენებისა და კომპლექსების მასალებს შორის. ამასთან, შეწირულობათა საცავში ნაპოვნი იყო ბრინჯაოს ქანდაკების დრაპირების ფრაგმენტი, სავსებით ანალოგიური საკურთხევლის წინ გაბნეული ქანდაკების ნატეხებისა.

## განძსაცავში აღმოჩენილი მასალა

## თიხის ნაწარმი

### ადგილობრივი ჭურჭელი

ქ ვ ე ვ რ ე ბ ი. ხის ნაგებობის ნანგრევებში აღმოჩენილ სხვადასხვა სახეობის მრავალრიცხოვან კერამიკულ ნაწარმში მხოლოდ ორი ქვევრი გამოირჩა— ორი სხვადასხვა ქვევრის პირის გვირგვინი და კორპუსის ერთგვაროვანი ფრაგმენტები (სავ. №№ 07:1——79/2738, 2739, 2475). ამათგან ერთი ყავისფერკეციანია, პირის გვირგვინი შესქელებულია (სურ. 49, 10). ზედა გვერდის პროფილი სწორხაზოვანია, მასზე დატანილია ღრმა ფოსოები. გარეთ გვერდი შემკულია ირგვლივი ღარებითა და დაკბილული შტამპით გამოყვანილი წიწვისებური ორნამენტით. კორპუსი ვიწრო შტრიხებითაა დაფარული; მხარზე ურთიერთსაწინააღმდეგოდ მიმართული მოკლე ირიბი ჭდეები შემოუყვება. მეორე რუხკეციანია, პირი ანალოგიურია აღწერილისა, პირველისგან განსხვავებით გარეთა გვერდი ჯვარედინი ხაზებითაა შემკული (სავ. № 07:1—79/2475). კორპუსის ფრაგმენტები (სავ. № 07:1—79/2739) დაფარულია დაბალი ქედებით და ღრმა ხშირი ღარებით. ამდაგვარი პირის პროფილი და შემკულობა ელინისტური კოლხური ქვევრებისთვისაა დამახასიათებელი. ანალოგები ზემოაღწერილ ნიმუშებს ვანის ნაქალაქარის ელინისტური ხანის ნაწარმს შორის ეძებნება[20].

[20] ნ. მ ა თ ი ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 63.

დ ე რ გ ე ბ ი და ქ ო თ ნ ე ბ ი. დერგის ქოთნისგან უყოყმანოდ გარჩევა, რამდენიმე შემთხვევის გარდა, მასალის ფრაგმენტულობის გამო არ ხერხდება. პირ-ყელის პროფილის მიხედვით კლასიფიცირებული პირველი ორი ტიპოლოგიური ჯგუფი მოიცავს დერგებსაც და ქოთნებსაც (ზომების განსხვავებაზე დაფუძნებული გამიჯვნა სახეობებისა პირობითია).

1. ამ ჯგუფის ჭურჭელს შემდეგი ნიშნები აერთიანებს: სადა, გადაშლილი, სწორხაზოვანპროფილიანი პირი, რომელიც მკვეთრად გადადის ტანზე; ყელი არა აქვს გამოყოფილი; პირიდან კორპუსზე გადასვლა ხშირად სუსტი ღარითაა ხაზგასმული, ზოგჯერ ამ ადგილას არაღრმა ირიბი ჭდეები შემოუყვება (საგ. № 07:1—79/2549—56, 2579—81, 2584, 2598, 2599, 2605—07. სურ. 49,3—5). მეტწილად რუხკეციანებია, არის ყავისფერ და მოაგურისფროკეციანებიც. ამავე ჯგუფს ვაკუთვნებთ იმ ნიმუშებს, რომელნიც შეზნექილპროფილიანი პირით, ან დაბალი ყელით ხასიათდებიან (საგ. № 07:1—79/2575—76, 2578, 2583, 2585—86, 2595—96). ამ უკანასკნელთ ანალოგები კარიბჭის კერამიკული კომპლექსის ქოთნებს შორის ეძებნებათ[30].

2. მეორე ჯგუფის ჭურჭლისთვის დამახასიათებელია გადაშლილი პროფილირებული პირი და შეზნექილპროფილიანი ყელი. პირის მოყვანილობის მიხედვით მეორე ჯგუფის ჭურჭლებში ორი ვარიანტი გაირჩევა: ა) მომრგვალებულპროფილიანი, ე. წ. ლილვაკისებურპირიანი ნიმუშები (საგ. № 07:1—79/2479, 2204, 2573—74, 2508, 2587, 2589, 2593, 2597, 2603, 2614, 2618, 2622, 2628—29, 2636—37. სურ. 49, 2,7) და ბ) წახნაგიანპირიანი ნიმუშები, რომელთა პირის კიდე ყელს კუთხით უერთდება (საგ. №№ 07:1—79/2478, 2521, 2590—91, 2593, 2613, 2615, 2619—20, 2626—27, 2630—31, 2635, სურ. 49, 1 8, 9). ყავისფერ და რუხკეციანებია; ერთი დერგის ყელი ირგვლივ წითელი ზოლებითაა მოხატული (სურ 49, 1), მეორეს ყელზე სუსტად გამოყვანილი ფართო ღარები შემოუყვება, ქოთნის ერთი ფრაგმენტის ყელზე ირგვლივი ღარები და მოკლე შვეული შტრიხები იკითხება (სურ. 49,8).

3. ორყურა დერგები პირ-ყელის ფრაგმენტების სახითაა ჩვენამდე მოღწეული. აქვთ გადაშლილი ლილვაკისებური პირი და შეზნექილპროფილიანი ყელი; პირს ქვემოთ ყელზე მიძერწილია ბრტყელგანივკვეთიანი ყურები (საგ. № 07:1—79/2612, 2623, 2625, 2633); ყველა ფრაგმენტი ხანძრისგან დეფორმირებულია. არ არის გამორიცხული, რომ ეს ჭურჭლები ანალოგიური ყოფილიყო კარიბჭის შიგნით ფიქსირებული ორყურა, „პელიკასმაგვარი" ჭურჭლისა[31].

4. ცალყურა ქოთნები ერთი ტიპისაა, აქვთ გადაშლილი პირი, მომრგვალებული კორპუსი და ბრტყელი ძირი; ოვალურგანივკვეთიანი ყური მიმაგრებულია მხარსა და ტანის შუა ნაწილზე (საგ. №№ 07:1—79/2299, 2298, 2670—72, სურ. 50,2), ყავისფერკეციანებია, შავ და ყავისფერზედაპირიანები. სხვადასხვა ზომისაა. ამ ტიპის ქოთნები მრავლადაა აღმოჩენილი ვანში, ისინი კარგადაა ცნობილი კოლხეთისა და იბერიის ელინისტური ხანის ქვევრსამარხებიდან[32].

---

30 ვანი I, სურ. 110, 1, 2, 7.

31 ვანი I, სურ. 110, 8. გვ. 156. ნ. მ ა თ ი ა შ ვ ი ლ ი, ელინისტური ხანის..., გვ. 62—63, ტაბ. $I_9$, $III_5$, $V_1$.

32 ვანი I, სურ. 110, 3—5, 9. ნ. მ ა თ ი ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 61. სდსძ, VIII, გვ. 86, ტაბ. XXXIX—3; XLI—3; ე. თ ო ლ ო რ დ ა ვ ა, დასახ. ნაშრ., ტაბ. XXV, 2, XLI—4, 6; XLV—3,4; XLVI—2.

5. მინიატურული ქოთანი ერთადერთი ნიმუშითაა წარმოდგენილი (სავ. № 07:1—74/2234, სურ. 50,3). სფერულტანიანია, პირგადაშლილი, ბრტყელძირა; ყავისფერკეციანი. ის სავსებით ანალოგიურია იმ ქოთნებისა, რომლებიც კარიბჭის გარეთ იყო ნაპოვნი ძვ. წ. II—I სს. კულტურულ ფენაში და რომლებიც რიტუალურ ჭურჭლებადაა მიჩნეული[33].

დ ო ქ ე ბ ი. ხის ნაგებობის ნანგრევებში მოპოვებული დოქების თითქმის ყველა სახეობა ტიპიურია ვანის ნაქალაქარის ძვ. წ. II—I სს. კომპლექსებისა და კულტურული ფენებისათვის. მათი ფრაგმენტულობის გამო ტანის მოყვანილობის განსაზღვრა, ერთი შემთხვევის გარდა, არ ხერხდება. ესენია:

1. მოყვითალო-ჩალისფერკეციანი დოქის ფრაგმენტი (სავ. № 07:1—79/2291, სურ. 50,1; 53,5), რომელიც შემდეგი ტიპოლოგიური ნიშნებით ხასიათდება: გადაშლილი სადა პირი, დაბალი ყელი და უშუალოდ პირზე მიერთებული ოვალურგანივკვეთიანი ყური. ამ ზოგადი ნიშნებით ეს დოქი იმ სახეობას უახლოვდება, რომელიც ძვ. წ. III საუკუნიდან ჩნდება კოლხეთში (დაბლაგომი, დაფნარი, ზემოფარცხმა, ქობულეთ-ფიჭვნარი, ფარცხანაყანევი, ვანი)[34] და რომელიც წარმომავლობით აღმოსავლურ-ქართულ სამყაროს უკავშირდება[35]. განსაკუთრებით დამახასიათებელია ეს ფორმა ძვ. წ. III—II საუკუნეებისათვის. ვანში ამ ტიპის დოქები ძვ. წ. II—I სს. კულტურულ ფენებშიც არის დამოწმებული[36]. ზემოხსენებული სახეობის დოქის აღმოჩენა „საგანძურის“ კომპლექსში კიდევ ერთი საბუთია იმისა, რომ ამ ტიპის დოქები ვანის ნაქალაქარზე ძვ. წ. II—I საუკუნეებშიც განაგრძობს არსებობას.

2. მეორე სახეობა დოქებისა წარმოდგენილია სამტუჩაპირიანი დოქის ერთი ძლიერ დეფორმირებული ფრაგმენტით (საე. № 07:1—79/500); ვარდისფერკეციანია, ყური უშუალოდ პირთანაა მიერთებული. ამ ტიპის დოქები კოლხეთში, ზემოგანხილულის მსგავსად, ძვ. წ. III საუკუნიდან ჩნდება[37] და არსებობს ძვ. წ. II—I სს[38]. სამტუჩაპირიანი დოქები კარგადაა ცნობილი იბერიის თანადროულ ძეგლებზე[39]. ვანის ნაქალაქარზე ანლოგიური დოქები აღმოჩენილია კარიბჭის შიგნით[40], საკულტო ნაგებობის იატაკზე ფიქსირებულ კერამიკულ კომპლექსში, რომელიც ნაქალაქარის არსებობის უკანასკნელ ეტაპს — ძვ. წ. I ს. მიეკუთვნება.

3. შემდეგი ნაირსახეობა დოქებისა წარმოდგენილია ნიმუშებით, რომელთაც აქვთ სადა შეწყვილებული (სავ. № 07:1—79/2255, 2696), რელიეფურდანაძერწიანი შეწყვილებული (სავ. № 07:1—79/2256, 2217) და ბრტყელი რელიეფურდანაძერწიანი ყურები (სავ. №№ 07:1—79/2261, 2261 2263, 2289. სურ. 50,8). რელიეფურდანაძერწიანი ყურები დოქებს გარდა დამოწმე-

---

33 ქ. რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, ტერაკოტები ვანიდან, ვანი I, გვ. 202.

34 Б. А. К у ф т и н. Материалы к археологии Колхиды, II, Тбилиси, 1950, табл. 20; ნ. მ ა თ ი ა შ ვ ი ლ ი, ელინისტური ხანის ადგილობრივი კერამიკა ვანიდან, მსკა, V, 1973, გვ. 53—53, ტაბ. 1—I; ვ. თ ო ლ ო რ დ ა ვ ა, დაკრძალვის წესები ელინისტური ხანის საქართველოში, თბ., 1980, ტაბ. XII, 1, XX, 1—3; ა. კ ა ხ ი ძ ე, ნ. ვ ა შ ა კ ი ძ ე, ფიჭვნარის..., სდსძ, VI, გვ. 34, ტაბ. XIX—1, XIX—3, 4.

35 ნ. მ ა თ ი ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 54; ვ. თ ო ლ ო რ დ ა ვ ა, დასახ. ნაშრ., გვ. 27.

36 ნ. მ ა თ ი ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 55.

37 ვ. თ ო ლ ო რ დ ა ვ ა, დასახ. ნაშრ., გვ. 27.

38 შ. მ ა მ უ ლ ა ძ ე, ფარცხანაყანევში შემთხვევით აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალები, სდსძ, VIII, გვ. 67, ტაბ. XXXIX—2, XLI—2.

39 ვ. თ ო ლ ო რ დ ა ვ ა, დასახ. ნაშრ., გვ. 48—49, 55. ტაბ. XLV, 2.

40 ნ. მ ა თ ი ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 55. ვანი I, ტაბ. 11, 1—3.

ბულია ე. წ. პელიკასმაგვარ ჭურჭელზეც[41], ასე რომ, იმ შემთხვევაში, როცა მხოლოდ ყურის ფრაგმენტია მოღწეული ჩვენამდე, მისი დოქისთვის მიკუთვნება პირობითია.

შეწყვილებული ყურები ბერძნული კერამიკის გავლენას უკავშირდება და კოლხეთში მხოლოდ ელინისტურ ხანაში ჩნდება[42]. ამდაგვარი ყურები აქვთ დოქებს დაბლაგომის, დაფნარის, ზემო ფარცხმის, ქობულეთ-ფიჭვნარის ძვ. წ. III—II სს. სამარხებიდან[43]. ვანში წყვილღეროვანი ყურები დამახასიათებელია ძვ. წ. II—I სს. დოქებისათვის[44]. ამ ქრონოლოგიური ჯგუფის დოქები ხშირად წითელი ზოლებითაა მოხატული. ამდენად, აქვე უნდა ვახსენოთ წითლად მოხატული დოქების ხუთი ფრაგმენტი ამავე კომპლექსიდან (სავ. №№ 07:1—79/2563, 2564, 2565), თუმც მათი სახეობა ფრაგმენტულობის გამო არ ისაზღვრება. ისინი ყავისფერ და მოყვითალო-ჩალისფერკეციანებია, ზოლები (საშუალოდ 0,5—0,8 სმ სიგანისა) გარსეელება კორპუსსა და ყელს, ერთგან კი შერჩეულია ირგვლივი წითელი ზოლებისა და სამკუთხედისაგან შედგენილი ორნამენტის ნაწილი.

4. მინიატურული დოქები, რომელთაც თანადროულ ძეგლებზე ანალოგები ვერ მოეძებნათ, რამდენიმე სახისაა: ერთია მსხლისებრტანიანი, ბრტყელძირა დოქი (სავ. № 07:1—79/2235, სურ. 50,4; 53,4); აკლია პირი და ყური; ყავისფერკეციანია, გაპრიალებულზედაპირიანი. მეორეა დოქის პირ-ყელისა და ყურის ფრაგმენტი (სავ. № 07:1—79/2562), რომელიც შემდეგი ნიშნებით ხასიათდება: გარეთ გადაშლილი პირი, მაღალი ვიწრო ყელი, რომელიც მკვეთრად გადადის მხარზე და ოვალურგანივკვეთიანი ყური, რომელიც მიმაგრებულია პირს ქვემოთ და მხარზე (სურ. 50,7). ყავისფერკეციანია, გაპრიალებულზედაპირიანი. ასევე მინიატურული დოქების ფრაგმენტებად მივიჩნევთ ძირისა და კორპუსის მცირე ზომის რამდენიმე ნატეხს (სავ. № 07:1—79/64, 2264, 2288), ბრტყელძირიანებია, ყავისფერ და რუხკეციანები, მოღწეული ძირის დმ — 4 სმ. ამ დოქების მცირე მოცულობა თითქოს გამორიცხავს მათი პრაქტიკული გამოყენების შესაძლებლობას და მათს რიტუალურ დანიშნულებაზე მიგვანიშნებს.

მაღალფეხიანი თასები, ე. წ. თიმიატერიონები. საგანძურის კომპლექსში სამი ამ ტიპის თასი აღმოჩნდა (სავ. № 07:1—79/2208—09, 2290). მათთვის დამახასიათებელია: მაღალი კონუსური ღრუ ფეხი; დაბალი, არაღრმა თასი-რეზერვუარი, რომელსაც აქვს ბრტყელი, განიერი, თითქმის ჰორიზონტალური პირის კიდე (სურ. 53, 1). სამივე თასი წითელი ზოლებით შედგენილი ორნამენტითაა მოხატული.

ანალოგიური თასები ვანის ძვ. წ. II—I სს. საკულტო ნაგებობების ნანგრევებშია ნაპოვნი[45].

ეს თასები ძველ სამყაროში საყოველთაოდ გავრცელებული საცეცხლე რიტუალური ჭურჭლების, ე. წ. თიმიატერიონების იმ სახეობასთან ავლენენ

---

41 ვანი I, ტაბ. 110, 8.

42 ე. თოლორდავა, დასახ. ნაშრ., გვ. 27. ორსეეტა, ზედა ნაწილში რელიეფურდანაძერწიანი ყურები პერგამონური ნაწარმისათვის არის დამახასიათებელი (Е. И. Леви, Керамический комплекс III—II вв. до н. э. из раскопок Ольвийской агоры. Ольвия, М.-Л. 1964, с. 255, рис. 18—1).

43 ე. თოლორდავა. დასახ. ნაშრ., ტაბ. XX—7, 8; სდსძ, VI, ტაბ. XIV—3, XVIII—4, XIX—1, 2; სდსძ, VIII, ტაბ. XXIII—1, XXV—1.

44 ნ. მათიაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 55, ტაბ. III—3, 9.

45 ვანი I, 1972, გვ. 96—104, სურ. 31. გვ. 156, სურ. 112.

ტიპოლოგიურ სიახლოვეს, რომლებიც წარმომავლობით დასავლეთ-ირანულ სამყაროს უკავშირდებიან. სავსებით ანალოგიური თასები ნაპოვნია ალექსანდრიაში, ე. წ. კომ ეშ შუკაფას კატაკომბებში, რომელთა ძირითადი კომპლექსი ძვ. წ. II—I სს. თარიღდება[46]. მსგავსი კონსტრუქციის თიმიატერიონები ცნობილია ტაქსილადან, სადაც ისინი ძვ. წ. I ს: ფენებში გვხვდება[47]. ვანის თასების ზუსტ მოდელს ვხვდებით კუშანის ზოგიერთ მონეტასა და ბიანაიმანის ოსუარიუმებზე, სადაც გამოსახულია ფიგურები ხელში ანთებული ფეხიანი თასებით[48]. სრულიად განსაკუთრებულ ინფორმაციას გვაწვდის ჩვენთვის საინტერესო ტიპის თიმიატერიონის გამოსახულება აი-ხანუმის ვერცხლის მოოქრულ დისკოზე, სადაც ნათლად ისაზღვრება ამ თასების ადგილი საკურთხევლის საერთო სისტემაში: ის მოთავსებულია საფეხურებიანი საკურთხევლის პოდიუმზე, მის წინ კი, ბაქანზე, დგას ქურუმი და ღვთისმსახურებას ეწევა[49].

თიმიატერიონების აღნიშნული ტიპის გავრცელებას პართულ გავლენას მიაწერენ[50]. ასევე მიაჩნიათ, რომ დასავლურ-ირანული კულტურული წრიდან საზრდოობს აი-ხანუმის დისკოს რეპერტუარი[51]. უნდა ვიფიქროთ, რომ ვანშიც ეს თასები პართული სამყაროდან, ან ამ სამყაროს გავლენის ქვეშ მყოფი კულტურული წრიდან ვრცელდება, როგორც სატაძრო სისტემის განვითარებით შექმნილი, ღვთისმსახურებასთან დაკავშირებული აუცილებლობა.

ჯ ა მ ე ბ ი. ჯამების მრავალრიცხოვან ფრაგმენტებში შედარებით უკეთ დაცული ნიმუშების მიხედვით ხუთი სახეობა გამოიყოფა:

1. კალთადახრილი ჯამები, რეა სხვადასხვა ჯამისა (საკ. № 07:1—79/2641, 2643, 2644, 2645, 2650, 2676. სურ. 51, 1, 3). პირი არაფრით არაა კალთისგან გამოყოფილი, თუ არ ჩავთვლით რამდენიმე ფრაგმენტზე გარეთა მხრიდან პირს ქვემოთ სუსტად გამოყვანილ ირგვლივ ღარს (საკ. № 07:1—79/2649, 2650, 2676); პირის კიდე ზემოდან დაბრტყელებულია, ერთგან ის წახნაგოვანია (საკ. № 07:1—79/2643). კალთა მეტწილად სწორხაზოვანპროფილიანია (საკ. № 07:1—79/2641, 2643, 2646, 2649, 2650), ზოგჯერ — გამობერილი (საკ. № 07:1—79/2644, 2645). ყავისფერკეციანებია .ამ ჯგუფის უკლებლივ ყველა ჯამს აქვს ბრტყელი ძირი.

2. შვეულკიდიანი ჯამები (მათ ზოგჯერ თეფშებსაც უწოდებენ) შვიდი ფრაგმენტითაა წარმოდგენილი (საკ. № 07:1—79/2251, 2250, 2258, 2642, 2647, 2253, 2728. სურ. 51,2, 4); მოწითალო-ყავისფერკეციანებია, ერთი წითლადაა შეღებილი (საკ. № 07:1—79/2253). ვანის ნაქალაქარზე ამ ტიპის ჯამები გვიანელინისტური ხანის კულტურულ ფენებშია აღმოჩენილი[52]. ისინი შემოტანილი

---

46 Expedition Ernst von Sieglin, Ausgrabungen in Alexandria. B. I. Die Necropole von Kom esch-Schukafa (T, Schreiber), Leipzig, 1908, S. 90. Abb. 68. S. 119. Abb. 175.

47 J. Marshall, Taxila, I, 1951, p. 118. II. p. 421 III. pl. 125, №№ 130—132.

48 О. А. Вишневская, Ю. А. Раппопорт, Следы почитания огня в Средневековом Хорезмском городе, „Этнография и Археология Средней Азии“, М., 1979, с. 109, рис. 4 б, в.

49 H.—P. Francfort, Le sanctuaire du temple à niches indentées. 2. Les trouvailles. Fouiles. d'Ai khanoum, III, Mémoirs de la DAFA. t. XXXII, Paris, 1984. p. 93—95, pl. XLI.

50 J. Marshall, Taxila, II p 421.

51 H.—P. Francfort, დასახ. ნაშრ., გვ. 98.

52 ნ. მათიაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 60—61, ტაბ. II—5,6. ვანი IV, გვ. 52, სურ. 29, № 140.

შავ და წითელლაკიანი ჭურჭლის იმ სახეობის ადგილობრივ მინაბაძადაა მიჩნეული, რომელიც მცირეაზიულ სახელოსნოებში იწარმოებოდა ძვ. წ. II ს. დასასრულსა და ძვ. წ. I ს. დასაწყისში[53].

3. პირგადაშლილი ჯამის ერთი ფრაგმენტია მხოლოდ (სავ. № 07:1—79/2639, სურ. 51, 5), ყავისფერკეციანია, გაპრიალებულზედაპირიანი. პირი ჰორიზონტალურად აქვს გადაშლილი, დახრილი კალთა ძირისკენ მკვეთრად ვიწროვდება. ამდაგვარი ჯამები ვანის ნაქალაქარის ძვ. წ.I ს. კულტურული ფენებიდან მომდინარეობს და შეეულკიდიანი ჯამების მსგავსად, მცირეაზიული კერამიკის იმ ფორმის გავლენითაა დამზადებული, რომელიც კოლხეთში შემოჰქონდათ[54].

4. პირმოყრილი, კალთამომრგვალებული ჯამების ორი ვარიანტია წარმოდგენილი: ერთია წრიულქუსლიანი, რუხკეციანი და შავზედაპირიანი ჯამის ფრაგმენტი (სავ. № 07:1—79/2661) და მეორე — გამოყვანილძირიანი ჯამი (სავ. № 07:1—79/2559, სურ. 51,8); პირ-კალთის მოყვანილობით ამავე ჯგუფს ეკუთვნის ერთი ყავისფერკეციანი ჯამის ფრაგმენტიც (სავ. № 07:1—79/2648). ჯამების ეს სახეობა ვანის ნაქალაქარზე კარგადაა ცნობილი და ზოგადად ძვ. წ. III—I სს. განეკუთვნება, თუმცა მისი განსაკუთრებით ფართო გავრცელება გვიანელინისტურ ხანაში შეინიშნება[55].

5. ორყურა ჯამები ანუ თასები (სავ. № 07:1—79/2248, 2258, სურ. 51,9) შემდეგი ტიპოლოგიური ნიშნებით ხასიათდება: მაღალი შეეული კიდე, ძირისკენ მკვეთრად დავიწროებული კალთა, გამოყვანილი ძირი; პირს ქვემოთ მიმაგრებული მრგვალგანივკვეთიანი ე. წ. ჩახვეული ყური. ყავისფერკეციანებია, ერთი (სავ. № 07:1—79/2558) მოყავისფრო საღებავითაა ნაწილობრივ დაფარული. ანალოგიური ჯამები ვანში გვიანელინისტური ხანის კულტურული ფენებიდან მომდინარეობს[56]. და ფორმით ზუსტი გამეორებაა ვანში გავრცელებული ძვ. წ. I ს. წითელლაკიანი ორყურა ჯამებისა[57], რომლებიც პერგამონულ ნაწარმადაა აღიარებული[58]. საინტერესოა, რომ ამავე სათავსოში აღმოჩენილია ასეთი წითელლაკიანი ორყურა თასი[59], ასე რომ, მოდელი და მისი მინაბაძები ერთ კომპლექსშია ფიქსირებული. აშკარა იდენტურობის მიუხედავად, მათ შორის განსხვავებანი შეინიშნება: ნაცვლად იმპორტულ ცალზე დამოწმებული ოვალურგანივკვეთიანი ყურისა, ადგილობრივ ნიმუშებს მრგვალგანივკვეთიანი ყურები აქვთ, ხოლო შემოტანილი თასისაგან განსხვავებით, რომელსაც აქვს მაღალი წრიული ქუსლი, ადგილზე დამზადებული თასები მკვეთრად გამოყვანილი ბრტყელი ძირით ხასიათდება.

ლანგრები და თეფშები. ამ ჯგუფში პირობით ვაერთიანებთ სხვადასხვა ჭურჭლის წრიულქუსლიან ფრაგმენტებს, რომელთაც არა აქვთ შერჩენილი პირი და ამდენად სახეობის განსაზღვრა ჭირს. ისინი მოწითალო-

---

53 ოთ. ლორთქიფანიძე, ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი, თბ., 1966, გვ. 132—133, 140. ტაბ. XXXII.

54 ნ. მათიაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 60, ტაბ. 11—7, 8; ოთ. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 133, ტაბ. XXXII.

55 ნ. მათიაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 59, ტაბ. 11—12, V—2.

56 ნ. მათიაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 60, ტაბ. V—3.

57 ნ. მათიაშვილი, წითელლაკიანი კერამიკა, ვანი II, გვ. 100, სურ. 124—1, 128—1, 2; ვანი IV, გვ. 74, კატ. № 426.

58 Е. И. Леви, Керамический комплекс III-II вв. до н. э. из раскопок Ольвийской агоры, с. 256, рис. 18—2, 3.

59 იხ. ამავე კრებულში, გვ. 72. სურ. 51, 10; 53, 6.

ყავისფერ და მოყვითალო-ყავისფერკეციანებია, ქუსლში ზედაპირი ბრტყელი აქვთ, ნაპრიალებია (სავ. № 07:1—79/2252, 2254, 2260, 2262, 2563, 2654, 2659—60). ზოგს წითელი ზედაპირი აქვს (სავ. № 07:1—79/2252). ერთია შავად გაპრიალებული (სავ.№ 07:1—79/2652). საფიქრებელია, რომ ისინი წითელ- და შავლაკიანი ჭურჭლის იმ ადგილობრივი მინაბაძების კუთვნილია, რომლებიც ვანში ძვ. წ. II—I სს. კულტურულ ფენებშია დადასტურებული[60].

ო რ ყ უ რ ა  თ ა ს ე ბ ი ს, ე. წ. კანთაროსისებური ჭურჭლის ორი ვარიანტია წარმოდგენილი: ერთია მოწითალო-ყავისფერკეციანი თასის ფრაგმენტი (სავ. № 07:1—79/2246—2247, სურ. 50,5), რომელსაც აქვს გარეთ გადაშლილი, შესქელებული პირის კიდე, ქვემოთკენ თანდათან დავიწროებული ტანი და გამოყვანილი ძირი. ბრტყელგანივკვეთიანი ყური ზემოთაა მორკალული, რელიეფური დანაძერწი მოტეხილი აქვს. ამდაგვარი ჭურჭელი აღმოჩენილია ვანის კარიბჭის სამლოცველოში[61] და ფარცხანაყანევის გვიანელინისტური ხანის ქვევრსამარხში[62]. მეორეა რუხკეციანი, პრიალა შავზედაპირიანი თასი, წარმოდგენილი პირ-კედლის, ყურის და ძირის რამდენიმე ცალკე ფრაგმენტით (სავ. № 07:1—79/2249); პირის კიდე სადაა, მის ქვემოთ ყურის მიერთების ადგილია შერჩენილი, ყურის ფრაგმენტი რქისებრია; ფსკერზე სხივისებურად გაშლილი პრიალა ხაზებია დატანილი. ეს ჭურჭელი ანალოგიური უნდა ყოფილიყო იმ თასისა, რომელიც ვანში კარიბჭის გარეთ ფიქსირებულ კომპლექსში იყო აღმოჩენილი[63].

ზემოგანხილული თასების ორივე ვარიანტი შედარებით იშვიათად გავრცელებული ფორმაა გვიანელინისტური ხანის კოლხეთში. მათი აქ გაჩენა ბერძნული სამეურნეო ნაწარმის გავლენით არის ახსნილი[64].

სრულიად უჩვეულო ფორმა აქვს რუხკეციანი ჭურჭლის, შესაძლოა სასმისის, ფრაგმენტს, რომელიც ძირისა და ტანის ქვედა ნაწილის სახითაა შემორჩენილი (სავ. № 07:1—79/2561, სურ. 50, 9). ის ცილინდრის ფორმისაა. შუა ნაწილში შეზნექილპროფილიანი, აქვს ბრტყელი ძირი. გაპრიალებულია. თანადროულ ძეგლებზე ანალოგი არ ეძებნება.

ცალკე უნდა აღინიშნოს ჭურჭლის ძირები, რომელთაც გამოყვანილი ქუსლი აქვთ (სავ. № 07:1—79/2655—57); ისინი სხვადასხვა ჭურჭლისაა, ერთს ქუსლთან მოკლე ჰორიზონტალური ჭდეები შემოუყვება (სავ. № 07:1—79/2657). გარდა ამისა, უამრავი ფრაგმენტია სხვადასხვა ჭურჭლის ბრტყელი ძირისა, რომელთაც მეტწილად ქოთნებსა და დერგებს ეუკავშირებთ (სავ. №№ 07:1—79/2701, 2706—23, 2725—27, 2729—30, 2732—35).

ხ უ ფ ე ბ ი. ჩვენამდე მოღწეული სამი სხვადასხვა ხუფის ფრაგმენტებიდან არც ერთის დიამეტრი არ ისაზღვრება, ამდენად რა ტიპის ჭურჭელს ჰქონდა ისინი სარქველად, უცნობია. ყველა კალთადახრილია, მომრგვალებულ ღილისებრ (სავ. № 07:1—79/2487, სურ. 51,6) და ცილინდრულ სახელურიანი (სავ. № 07:1—79/2260, სურ. 51,7); ყავისფერ (სავ. № 07:1—79/2663, 2663 ა, 2260) და მოაგურისფროკეციანებია (სავ. № 07:1—79/2487). ამდაგვარი ხუფები ვანში ელინისტური ხანის კულტურულ ფენებშია დამოწმებული[65].

---

60 ნ. მ ა თ ი ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 60—61.

61 ვანი, I, გვ. 156, სურ. 113.

62 სდსძ, გვ. 85, ტაბ. X 11.1.

63 ვანი I, გვ. 159, სურ. 116.

64 ნ. მ ა თ ი ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 58.

65 ნ. მ ა თ ი ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 61, ტაბ. II—13, V—9, ვანი IV, გვ. 51, № 116, 117, სურ. 28—29.

ა მ ფ ო რ ე ბ ი. შეწირულ ნივთებს შორის თვრამეტი ადგილობრივი ამფორის არსებობა დასტურდება: ჩვენს ხელთაა ორი აღდგენილი ამფორა და თექვსმეტი ძირი (პირის ფრაგმენტებში მხოლოდ ცამეტი განსხვავებული ერთეული გამოირჩა).

1. ყავისფერკეციანი ამფორა (სავ. № 07:1—79/2571, სურ. 52,1), ფართოპირიანია; პირი გადაშლილი აქვს, პირის კიდე ზემოდან დაბრტყელებულია, გარედან გამობერილია, ლილვაკისებური, შუა ნაწილში ირგვლივ ღარით გაყოფილი; ყელი ცილინდრულია, მხრებისკენ ფართოვდება, ზედა ნაწილში აქვს ირგვლივი წიბო. ყელსა და მხრის დასაწყისზე მიმაგრებულია ორი ბრტყელგანივკვეთიანი, ზემოთ მოხრილი ყური. მხრები დაქანებულია, ტანი — წაგრძელებულ კვერცხისებური, ძირისკენ დავიწროებული; ცილინდრულქუსლიანია, ძირდაბრტყელებული. ქუსლშიდა ზედაპირზე სპირალური ხვია აქვს. დეფორმირებულია.

2. ამფორა გრაფიკულად არის აღდგენილი (სავ. № 07:1—79/2469, სურ. 52,3), ყავისფერკეციანია, პირი პროფილირებულია, ყელი ქვემოთ გაფართოებული; მრგვალი ოვალურგანივკვეთიანი ყური მიძერწილია ყელს ქვემოთ და მხარზე; ტანი — წაგრძელებული კვერცხისებური; ქუსლი კონუსური აქვს, მომრგვალებულძირიანი, ფსკერი სადაა.

პირის ფრაგმენტებში რამდენიმე ტიპი გაირჩევა: 1. მარტივ ლილვაკისებური (სავ. № 07:1—79/2532 სურ. 52,7); 2. პროფილირებული ლილვაკისებური (სავ. № 07:1—79/2535—36, 38—39; სურ. 52,6); 3. გადმოკეცილკიდიანი (სავ. № 07:1—79/2528, 30; სურ. 52,4); 4. სამკუთხაგანივკვეთიანი, პროფილირებულკიდიანი (სავ. № 07:1—79/2527, 2529; სურ. 52,5); 5. პროფილირებული, ორფერდა, შუაში მკვეთრწიბოიანი, რომელიც გვირგვინს ორ თანაბარ ნაწილად ჰყოფს (სავ. № 07:1—79/2541, 70, სურ. 52,2).

კომპლექსში გვხვდება სამივე ძირითადი ტიპი ამფორის ქუსლისა: 1. ღილისებრი: ძირდაბრტყელებული (სავ. № 07:1—79/2432, 602) და ძირმომრგვალებული (სავ. № 07:1—79/2485—86, 603, 81/492); 2. ცილინდრული: ძირდაბრტყელებული (სავ. № 07:1—79/2481, 84, 604) და ძირმომრგვალებული (სავ. № 07:1—79/2480, 2488, 605, 81/493); 3. კონუსური, შიგნიდან ღრუ (სავ. № 07:1—79/2482—83, 606, 2469). ყველა ქუსლს შიგნიდან აქვს მკვეთრი ან სუსტად გამოხატული სპირალური ხვია, ორ ნიმუშს აქვს სადა ფსკერი (სურ. 52,8—10).

ხის ნაგებობის ნანგრევებში მოპოვებული ამფორების ტრადიციულად „ყავისფერკეციანებად“ განსაზღვრისდა მიუხედავად, მათი კეცი განსხვავებული ელფერის მატარებელია: ყავისფერის, მოწითალო-ყავისფერისა და აგურისფერის. ეს და ზემოგანხილული ტიპოლოგიური სხვაობანი ძვ. წ. II—I სს. კოლხური ამფორებისა ნათელი ილუსტრაციაა დაკვირვებისა იმის შესახებ, რომ ვანის ნაქალაქარზე განსხვავებული მორფოლოგიური ნიშნების მქონე ამფორები სინქრონულად გვხვდება[66]. ამავე დროს, საგანძურის ამფორათა მაგალითზე ჩანს, რომ ხვიის გაქრობა, რაც გვიანანტიკური ხანის ადგილობრივი ამფორების ნიშნად გვევლინება[67], ძვ. წ. I საუკუნეში უკვე დაწყებულია.

---

[66] Р. В. Путуридзе, Колхидские амфоры из Вани, КСИА, 151, м., 1977, с. 71.

[67] ქ. ბერძენიშვილი, რ. ფუთურიძე, ბიჭვინთაში მოპოვებული ამფორები. დიდი პიტიუნტი, I, თბ., 1975, გვ. 252—279.

იმპორტი. ხის ნაგებობის ნანგრევებიდან მომდინარე კერამიკაში იმპორტულ ნაწარმს უმნიშვნელო ადგილი უჭირავს. გამოირჩა ხუთი სხვადასხვა ამფორის ფრაგმენტები, ერთი წითელლაკიანი ორყურა ჯამი, ორ-ორი ფრაგმენტი ლანგრებისა, ერთი სანელსაცხებლე და ერთი დოქისა თუ პატარა ამფორის ფრაგმენტი.

1. ა მ ფ ო რ ე ბ ი. წარმოდგენილია ხუთი განსხვავებული ყური და ერთი პირის ფრაგმენტი. ვარდისფერკეციანი, თეთრანგობიანი ორსვეტა ყურის სწორი ნაწილის ფრაგმენტი (სავ. № 07:1—79/2301); სვეტები მრგვალგანივკვეთიანებია. კოსი[68]. მოვარდისფროკეციანი, ანგობიანი. ორსვეტა პატარა ყურის სწორი ნაწილის ფრაგმენტი, სვეტები შეტყუპებულია (სავ. № 07:1—79/2262). როდოსი. მოყვითალო-ყავისფერკეციანი, ოვალურგანივკვეთიანი ორი ყურის სწორი ნაწილის ფრაგმენტები (სავ. № 07:1—79/2541—2542), თეთრანგობიანი, ვარდისფერკეციანი, ბრტყელგანივკვეთიანი ყურის ფრაგმენტი (სავ. № 07:1—79/2297). ამფორის პირის ფრაგმენტი (სავ. № 07:1—79/2545), ვარდისფერკეციანი, გადანატეხში რუხი. პირი სწორია, შესქელებული. ამფორების კედლების ფრაგმენტულობის გამო კორპუსის მოყვანილობის განსაზღვრა შეუძლებელია. ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ ვერცერთი ძირი იმპორტული ამფორებისა ვერ იქნა მიკვლეული.

2. წ ი თ ე ლ ლ ა კ ი ა ნ ი ო რ ყ უ რ ა თ ა ს ი (სავ. № 07:1—79/2557, სურ. 51,10; 53,6) სწორპირიანია, პირის კიდეს ირგვლივ ვიწრო ღარი შემოუყვება, მაღალკიდიანია, კალთა ძირისკენ მკვეთრად ვიწროვდება, წრიულქუსლიანია. პირთან ახლოს ჰორიზონტალურად მიმაგრებული აქვს ბრტყელგანივკვეთიანი ჩახვეული ყურები. ლაკი წითლიდან ყავისფერში გარდამავალი ტონისაა, დაფარულია შიდაპირი და გარეთა კალთის ნაწილი. მოყავისფრო წითელი ლაკით დაფარული ამ ტიპის თხელკედლიანი თასები პერგამონულ საწარმოს პროდუქციადაა მიჩნეული[69]. ვანში ისინი ძვ. წ. I ს. ფენებში გვხვდება[70]. ეს თასები ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთშიცაა დამოწმებული[71]. განსხვავებით ამ თასების ფართოდ გავრცელებულ იმ ტიპისაგან, რომლის ყურები შუა ნაწილით კედელზეა მიკრული, ვანის თასებს (როგორც შემოტანილს, ასევე მისი მიბაძვით დამზადებულთ) აქეთ გამოზიდული ყურები, რომლებიც კედელთან მიერთების ადგილებთან მარყუჟისებურადაა ჩახვეული (სურ. 51,9).

3. ორი სხვადასხვა შვეულკიდიანი ლანგრისა თუ ჯამის პირ-კალთის და წრიულქუსლიანი ძირის ფრაგმენტები; ერთი წითელლაკიანი, ე. წ. ჩალისფერკეციანი ჰურჰლისაა (სავ. № 07:1—79/2265), მეორე რუხკეციანია, გაპრიალებული (სავ. № 07:1—79/2266), ორივეს ფსკერზე ირიბი მოკლე ჭდეებით შედგენილი კონცენტრული ხაზებია დატანილი. ძვ. წ. II—I სს.[72].

4. ამფორისკი. ჩალისფერკეციანია (სავ. № 07:1—79/2857), აქვს მაღალი ცილინდრული ყელი, გაფართოებული პირი, კვერცხისებური ტანი და ბრტყელი ძირი. ანალოგი ვერ მოეძებნა (სურ. 50,6; 53,2).

5. რუხკეციანი ჰურჰლის ყელისა და კორპუსის ფრაგმენტები (სავ. № 07:7—79/2568). რა ტიპის ჰურჰლისა, არ არის ნათელი: ტანის ზედა, გამობერილ-

---

[68] განსაზღვრა რ. ფუთურიძემ.

[69] Е. И. Леви, დასახ. ნაშრ., გვ. 256.

[70] ნ. მ ა თ ი ა შ ვ ი ლ ი, წითელლაკიანი კერამიკა, გვ. 100, სურ. 124—1, 128—1, 2. ვანი IV, გვ. 74, № 426.

[71] Е. И Леви, დასახ. ნაშრ., გვ. 256, სურ. 18—2, 3.

[72] შდრ. ნ. მ ა თ ი ა შ ვ ი ლ ი, წითელლაკიანი კერამიკა ვანიდან, გვ. 96, 98.

პროფილიანი ნაწილი მკვეთრად გადადის ქვედა სწორხაზოვანპროფილიან ნაწილზე, რომელიც ძირისკენ ვიწროვდება; ყელის შიგნიდან ირგვლივ ღრმა ღარები აქვს. თიხა სუფთადაა განლექილი, ზედაპირი შავი სალებავის კვალს ატარებს. კორპუსის მოყვანილობით ის ემსგავსება ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში ცნობილ ლაგინოსის ტიპს, რომელიც ოლბიის კერამიკულ საწარმოს უკავშირებდა და ძვ. წ. III—II სს. განეკუთვნება[73].

საწაფები. ხის ნაგებობის გათხრებისას თავიდანვე მიიქცია ყურადღება თიხის პირამიდული საწაფების სიმრავლემ. ამ შედარებით მცირე ზომის სათავსოში აღმოჩენილ საწაფთა რიცხვი 150-ს აღწევს (სავ. № 07:1—79/72—92, 2305—2404). ვერტიკალური საქსოვი დაზგის ქსელის ძაფების დასაჭიმად განკუთვნილი საწაფების ეს ტიპი კარგადაა ცნობილი ანტიკურ სამყაროში და მრავლად გვხვდება ვანის ნაქალაქარის ძვ. წ. III—I სს. კულტურულ ფენებში[74].

საწაფები ნაგებობის მთელ ფართობზე ვრცელდებოდა, როგორც ბათქაშის ფრაგმენტებს შორის, ასევე ღრმად, ნივთებთან და მათ ქვეშ. ზოგან ისინი ჯგუფებად იყო განლაგებული — 5—6 ცალი ერთად. საწაფები ერთი ტიპისაა, ზომების მიხედვით ხერხდება ოთხი ჯგუფის გამოყოფა, ამასთან, ზევრ მათგანზე დასტურდება გამოწვამდე ამოკაწრული ნიშნები (იხ. სურ. 54). საწაფებს შორის გვხვდება როგორც უხმარი, ასევე წიბოებგაცვეთილი ცალები.

საწაფების ასეთი რაოდენობით შეწირვის ფაქტი საგანძურის კომპლექსს უნიკალურ ძეგლთა რიგს მიაკუთვნებს. მართალია, საწაფების აღმოჩენა სამლოცველოებთან ცნობილი მოვლენაა, მაგრამ იქ ისინი ძირითადად გვხვდება სათავსოებში, რომლებიც საცხოვრებელ უჯრედებს წარმოადგენენ[75]. ნიმფეონში, მაგალითად, აფროდიტეს ტაძარში შეწირულობისთვის განკუთვნილ სათავსოში — ფავისაში — ძვ. წ. IV ს. შემოწირულ ნივთებს შორის მხოლოდ ორი პირამიდული საწაფი აღმოჩნდა[76]. საწაფების ასეთი რაოდენობით შეწირვის ფაქტი ჩვენთვის ცნობილი არ არის და, როგორც ჩანს, ეს რიტუალი კულტის საჭიროებით იყო გაპირობებული.

კვირისტავები. ერთი ტიპის ორი კვირისტავია (სავ. № 07:1—79/487, 2412), წაკვეთილი კონუსის ფორმის, ბრტყელძირა, გრძივი ნახვრეტით (8,3 სმ სიმაღლისა და 3,5 სმ დიამეტრისა). მსგავსი კვირისტავები ვანში ელინისტური ხანის კულტურული ფენებიდანაა ცნობილი და უცვლელად იმეორებს ადრეანტიკური ხანის ძეგლებზე დამოწმებულ კვირისტავთა ფორმას[77].

კრამიტი. როგორც ითქვა, ბათქაშების ყრილში არც ერთი მთელი კრამიტი არ იყო ნაპოვნი.

აქ მოპოვებულ ბრტყელი კრამიტის ფრაგმენტებს შორის ცამეტს აქვს ნიშანი: 1—5). ხუთი ნიშანი არასრულადაა წარმოდგენილი, მხოლოდ ხაზების სახით, რომლებიც გამოწვამდეა დატანილი. 6—9) ოთხს ბორტზე აქვს თითით გამოყვანილი თითო ფოსო. 10). სამი ასეთი ფოსოა ერთ ფრაგმენტზე. 11) ერთზეა „ტაუსმაგვარი" ნიშანი — T; 12) სხვაგან — ϱ და 13) C.

---

[73] Н. А. Онайко, Античный импорт в Приднепровье и Побужье в IV—II вв., до н. э. САИ Д 1—87, 1970, табл. XII, № 743, с 115.

[74] Г. А. Лордкипанидзе, К истории Древней Колхиды, Тбилиси, 1970, с. 84—90, табл. XV—XVIII.

[75] H.—P. Francfort, დასახ. ნაშრ. გვ. 47.

[76] М. М Худяк, Из истории Нимфея, с 26

[77] ვანი V, გვ. 51, სურ. 75.

სანელსაცხებლის კედლის ფრაგმენტი (საჯ. № 07:1—79/2279) ნახევრად-გამჭვირვალე ლურჯი მინისა. შემკულია ცისფერი და ყვითელი გაუმჭვირვალე ძაფებით. შიდა პირზე აქვს ქვიშის მოყვითალო-ყავისფერი ფენა. კედლის სისქე — 5 მმ.

ფრაგმენტულობის გამო ვერ აღდგება ჭურჭლის ფორმა და ორნამენტის სახე. შესაბამისად, ჭირს დათარიღება.

მძივები. მძივები ნაგებობის მთელ ფართობზე ჩნდებოდა, მაგრამ მათი განსაკუთრებული თავმოყრა ორ არეში შეინიშნებოდა — ვერცხლის მედალიონთან და ოქროს ოთხკუთხა ფირფიტის ირგვლივ. ვერცხლის მედალიონის გარშემო (ნაკვ. 81, კვ. გ$_8$) და უშუალოდ მასზე, გაფანტული იყო გაუმჭვირვალე ლურჯი მინის, ოქროფენილი და სარდიონის მძივები. უკლებრივ ყველა დაღარულზედაპირიანი ოქროფენილი მძივი ნაპოვნია ოქროს სწორკუთხა ფირფიტის ქვეშ და მის ირგვლივ. აქვე, ოქროს რგოლთან აღმოჩენილია დიდი სფერული ოქროფენილი მძივები, გაუმჭვირვალე ლურჯი მინის სფერული მძივები (ნაკვ. 81, კვ. f$_9$). პოლიქრომიული მინის მძივი რამდენიმე გაუმჭვრიეალე ლურჯი მინის მძივთან ერთად აღმოჩნდა მასალის ალაგების შემდეგ ბათქაშნარევ წითელ ფენაში (ნაკვ. 81, კვ. f$_9$). მძივები ბათქაშების ყრილის ზედა დონეზეც იყო ნაპოვნი ოქროს ვარდულასთან ერთად (ქალცედონის, ოქროფენილი, გაუმჭვირვალე მინის და ვარდულიანი მძივები).

ოქროფენილი მძივები. ტექნოლოგიური თვალსაზრისით მინის მძივების განსაკუთრებულ ჯგუფს მიეკუთვნებიან ხის ნაგებობის ნანგრევებში აღმოჩენილი ე. წ. ოქროფენილი მძივები. მათ აქვთ მთლიანი, სამფენიანი განივკვეთი: გამჭვირვალე, უფერული მინის ორ შრეს შორის მოქცეულია ოქროს თხელი ფურცლის ფენილი. გაირჩევა რამდენიმე სახეობა: 1. სფერული, დიდი ზომის; 2. მომრგვალებული, სიგანეში დავიწროვებული მძივები. ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის მასალების მიხედვით ამ ტიპის მძივები ელინისტური ხანისთვისაა დამახასიათებელი[78]. 3. წაგრძელებული კასრისებური ფორმის მძივები. ისინი ფართოდ ვრცელდებიან ელინისტურ და რომაულ ხანაში[79]. პირველი სამი სახეობის ოქროფენილი მძივები შეადგენს 49 ერთეულს. 4. ცილინდრული, დაღარულზედაპირიანი მძივები, რომელთა ტანი განკვეთილობის ღარებით საშუალოდ რვა ან ექვს ნაწილად არის დაყოფილი. ამ ტიპის მძივები ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში ძვ. წ. III—II სს. კომპლექსებში ჩნდება და არსებობს ახ. წ. II—III სს-მდე. მათი განსაკუთრებით ფართო გავრცელების ხანაა ძვ. წ. I — ახ. წ. I სს.[80] ბათქაშებით შელესილი ნაგებობის ნანგრევებში აღმოჩენილია 12 ხსენებული ტიპის მძივი. ოქროფენილი მძივების წარმოების ცენტრებისა და მათი გავრცელების გზების საკითხი ჯერჯერობით გაურკვეველია[81]. (სურ. 48,5).

გარდა ამისა, ნაპოვნია: სხვადასხვა ზომის გაუმჭვირვალე ლურჯი და ცისფერი მინის მრგვალი მძივები (160 ერთეული); მოზაიკური მძივები, ყვავილის

---

[78] Е. М. Алексеева, Античные бусы Северного Причерноморья, САИ, в Г 1—12, М., 1978, с. 29, табл. 26: 2,3.

[79] იქვე, გვ. 30, ტაბ. 26:12.

[80] Е. М. Алексеева, დასახ. ნაშრ., გვ. 31, ტაბ. 26:49, 50.

[81] იქვე, გვ. 27.

გამჭოლ-გამოსახულებიანი, რომლებიც ძვ. წ. I ს. — ახ. წ. I სს. თარიღდება[82] (2 ც. სურ. 48,4); ე. წ. თვალებიანი მძივები (2 ც.) წითელი ფერის, სამი ლურჯი თვალით, გვიანელინისტური ხანისა[83]; გაუმჭვირვალე ცისფერი მინის ერთი მძივი, მომრგვალებული, სიგანეში ოდნავ შევიწროებული ფორმისა, შემკულია განივი გაუმჭვირვალე თეთრი ზოლით, ძვ. წ. II საუკუნისაა[84]; სპირალურორნამენტიანი, მწვანე მინისა; ქალცედონის შვიდი მრგვალი მძივი (სურ. 48,6).

შეწირულ ნივთებს შორის ნაპოვნია კაჟის ლამელა (საჯ. № 07:1—79/2258, სურ. 56,2); გვერდებზე აქვს უტილიზაციის კვალი. ნეოლით-ენეოლითის ხანისაა (ძვ. წ. VI—V ათასწლეულები). საინტერესოა, რა ფასეულობას წარმოადგენდა ეს ნივთი ელინისტური ეპოქის ადამიანისათვის.

## ლითონის ნაწარმი

რკინის იარაღი და ბრინჯაოს უმბონები. იარაღი და ფარის უმბონები სათავსოში გამოჩნდა შელესილობის ფრაგმენტებისა და კერამიკის ამოლაგების შემდეგ; ისინი აქ ერთ ადგილას ეწყო იმ ნიველირებულ მოედანზე, რომელიც მასალის მოცილების შემდეგ გამოიკვეთა. ეს არე შავ ლაქად მოჩანდა დამწვარი თიხის ფხვიერი ზედაპირის გაწითლებულ ფონზე. ნაპოვნია რკინის სამი შუბისპირი, სამი სატევარი, გაურკვეველი ორი ნივთი და ბრინჯაოს ხუთი უმბონი. ა. რკინის სამივე შუბისპირი ერთი ტიპისაა (საჯ. № 07:1—79/2224—25 ა, სურ. 55, 1—3): ღრუ მასრიანებია, ფოთლისებური მოყვანილობის, ქედიანები. საკსებით ანალოგიური რკინის შუბისპირები აღმოჩნდა ვანის ნაქალაქარის გალავნის კედელთან ძვ. წ. I ს. ფენაში[85]. ბ. სატევრები (საჯ. № 07:1—79/2226—28, სურ. 55, 4, 5, 9) შემდეგი ტიპოლოგიური ნიშნებით ხასიათდება: მომრგვალებული სოკოსებური ტარისთავი, მრგვალგანივკვეთიანი ტარი, დაშვებული მხრები და ბოლოსკენ თანდათან დავიწროებული პირი. უქედოებია. სამივე სატევარს პირზე ხის ქარქაშის ნაშთები აქვს შერჩენილი. გ. რკინის ბრტყელი ნივთი, რომლის ერთი მხარე შუიდან გაფართოებულია, მეორე კი სწორია (სურ. 55,7). მის შუა ნაწილზე ორი შვერილი შეინიშნება; ამ ადგილას მას მიკრული ჰქონდა რკინის მაშისებური მოყვანილობის ნივთი (საჯ. № 07:1—79/2229—29 ა. სურ. 55,10). დ. ბრინჯაოს სხმული უმბონები ერთი სახისაა (საჯ. № 07:1—79/2210—14, სურ. 55, 6, 8): ნახევარსფერული მოყვანილობის შუა ნაწილის ირგვლივ ბრტყელი კიდე შემოუყვება, რომელსაც ცენტრში ნახვრეტი აქვს, ალბათ, ფარზე ლურსმნით მისამაგრებლად. საინტერესოა, რომ ერთ-ერთ მათგანს გამოზიდულ ნაწილზე ბრინჯაოს ლურსმანი აქვს მიკრული. ფარები, საფიქრებელია, ხისა იქნებოდა: უმბონებს შიდა მხარეს დანახშირებული ხის ნამცეცები ჰქონდათ მიკრული, ხოლო მათი აღმოჩენის ადგილას უხვად ჩნდებოდა დამწვარი ხის ფრაგმენტები.

ბრინჯაოს სარკე (საჯ. № 07:1—79/2232). ხის სათავსოში აღმოჩენილმა ბრინჯაოს სარკემ ჩვენამდე მოაღწია ძლიერ დაშლილი მრგვალი ფირფიტის

---

82 Е. М. Алексеева, Миниатюрная мозаика в стеклянных украшениях I в. до н. э.—II в. н. э., СА, 1971, № 4, с. 180—183.

83 Е. М. Алексеева, Античные бусы..., 1975, с. 60, тип 27.

84 Е. М. Алексеева, Античные бусы..., 1978, с. 40, табл. 27:6.

85 გ. ლორთქიფანიძე, საბრძოლო და სამეურნეო იარაღი, ვანი II, გვ. 182, სურ. 138—1).

სახით, რომელიც ხეზე ყოფილა გადაკრული — ბრინჯაოს ფურცლის ფრაგმენტებს ქვემოდან ეკროდა ხის დამწვარი და დაუმწვარი ნაშთები. ამ სარკეს ვუკავშირებთ რკინის ნივთის ფრაგმენტს, რომელსაც ბრინჯაოს ორი მრგვალთავიანი და მრგვალგანივკვეთიანი მანჭვალი აქვს გაყრილი (სავ. № 07:1—79/2446). ეს უნდა იყოს ბრინჯაოს სარკის რკინის ტარის სწორკუთხა ფუძე. რომლითაც ტანი დისკოზე მაგრდებოდა. აქედან გამომდინარე, ვანის სარკე უნდა განეკუთვნებოდეს ბრინჯაოს სარკეთა იმ ტიპს, რომელიც ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში ძვ. წ. V—III საუკუნეებშია ფართოდ გავრცელებული და რომლისთვისაც დამახასიათებელია ბრტყელი სადა დისკო და მასზე მანჭვლებით მიმაგრებული განსხვავებული მასალის (რკინის, ძვლის ან ხის) ტარი[86]. ის გარემოება, რომ ძვ. წ. V—III სს. ტიპოლოგიური ნიშნების მატარებელი სარკე ფიქსირებულია სათავსოში, რომლის ძირითადი კომპლექსი ძვ. წ. II—I სს. განეკუთვნება, შემდეგნაირ ახსნას პოულობს: სარკეს, როგორც ძვირფას ნივთს, ძლიერ უფრთხილდებოდნენ და ცნობილია მრავალგზის შეკეთებული ნიმუშები; ამასთან მიჩნეულია, რომ ზოგადი სახე სარკისა, რომელიც ორნაწილიანობით (დისკო და ტარი) ხასიათდება, ანტიკურ სამყაროში ხმარებაში იყო ელინისტური ხანის დასასრულამდე[87].

ბრინჯაოს ფართოპირიანი ჭურჭლის ფრაგმენტები (სავ. № 07:1—79/2233) მთლიანად დაშლილი თხელი ფურცლის სახითაა მოღწეული და ფორმის აღდგენა შეუძლებელია.

ბრინჯაოს ღეროსგან დამზადებული ნივთები: ა. ხატისულლის ფრაგმენტი (სავ. № 07:1—79/2450) — მრგვალგანივკვეთიანი ღერო, რომელსაც თავი აქვს გამსხვილებული და დაბრტყელებული (სურ. 56,3); მისი ზედა მხარე განივი ღარებითაა დაფარული, რომელთაც ჰკვეთს ერთი გრძივი ღარი. ბ. მოხრილი ნემსი (სავ. № 07:1—79/2447), დამზადებულია ოთხკუთხაგანივკვეთიანი ღეროსაგან (სურ. 56,8), თავი გამსხვილებულია და წაწვეტებული, ბოლო — დაბრტყელებული და გახვრეტილი; თავსა და ბოლოში ირგვლივ ოთხ-ოთხი ღარი შემოუყვება. ალბათ, უხეში ქსოვილის დასამუშავებლად გამოიყენებოდა[88]. გ. მრგვალგანივკვეთიანი ღეროს ფრაგმენტი (სურ. 56,3). დ. მართი კუთხით მოღუნული ბრტყელგანივკვეთიანი ღერო (სავ. № 07:1—79/2303, სურ. 56,1). ე. რგოლის ფრაგმენტი (სავ. № 07:1—79/2302, სურ. 56,5). ვ. მრგვალგანივკვთიანი ღეროსაგან დამზადებული ინსტრუმენტი (სავ. № 07:1—79/2451). ბოლოები დაბრტყელებული აქვს. ზ. ბრინჯაოს პატარა ლურსმნები: მრგვალთავიანი, მრგვალგანივკვეთიანღეროიანი (სავ. № 07:1—79/ 281—283, 488, 2285, სურ. 56, 6—7, 9). კონუსურ, — დაკეჭნილთავიანი, წაწვეტებულღეროიანი პაწია მანჭვალი (სავ. № 07:1—79/2248 სურ. 56, 10). ტყვიის მოხრილი ნემსი სავ. № 07:1—79/2417, სურ. 56,4), მრგვალგანივკვეთიანი, თავი გაფართოებული აქვს, დაბრტყელებული და გახვრეტილი. ანალოგიური ბრინჯაოს ნემსი ნაპოვნია ამავე ნაგებობაში[89].

---

[86] В. Г. Петренко, Правобережье Среднего Приднепровья в V—III вв. до н. э. САИ Д 1—4, 1967. с. 35, табл. 24, 2—4, 8.

[87] З. А. Билимович, Греческие бронзовые зеркала Эрмитажного собрания, Труды Гос. Эрмитажа, XVII, Л., 1976, с 33, 54.

[88] ანალოგიური ტყვიის ნემსი ნაპოვნია ამავე კომპლექსში. იხ. აქვე სურ. 56,4.

[89] იხ. ამავე კრებულში, სურ. 56,8.

ვერცხლის მონეტა (სურ. 48,3); პართული დრაქმა ოროდ II-სა (ძვ. წ. 57—38/7 წწ.)[90]. ნაპოვნია ბათქაშებიანი ყრილის ზედა საზღვარზე, თირის ქვებს შორის, რომლებიც ბათქაშების ყრილზე იყო დავარდნილი.

ვერცხლის ქანდაკებანი. ა. ჭაბუკის ფიგურა (სიმაღლე 7 სმ), დგას ოვალურნაშვერებიან ვიწრო ფირფიტაზე, სხეული ეყრდნობა მარჯვენა ფეხს, ხოლო მარცხენა თავისუფლადაა მოხრილი. ტორსი საგრძნობლადაა მარცხნივ გადახრილი. მარჯვენა ხელი წინ აქვს გაშვერილი (მარცხენა ხელი ქანდაკებას მოტეხილი აქვს). მკერდზე, მარჯვენიდან მარცხნივ, სამხარიღლივე სარტყელი შემოუყვება. მხრებზე დაფენილი აქვს ნაწნავები, ნაწნავი ეშვება ზურგზეც. სახე ოვალური მოყვანილობისაა, მასიური ცხვირითა და თვალის მსხვილი ჭუთუთოებით. მაღალი ვარცხნილობა ჰორიზონტალური ბაფთით ორადაა გაყოფილი. თმის ხვეულები ღრმა, მორკალული ნაჭდევებითაა გადმოცემული (სურ. 57,2). ბ. მეორე ქანდაკების (სიმაღლე 8,5 სმ) სხეული მარცხენა ფეხს ეყრდნობა, მარჯვენა მუხლში საგრძნობლადაა მოხრილი, ტორსი ოდნავ გადახრილია მარცხნივ. სხეული გლუვია და მასიური, ოდნავაა ხაზგასმული მკერდისა და მუცლის სტრუქტურა. მარჯვენა წინ გაშვერილ ხელში თასი უპყრია, მარცხენა მოხრილი აქვს და რამდენადმე უკან გაზიდული. პირველ ქანდაკებასთან შედარებით რელიეფურია ყელიცა და სახის ნაკვთებიც, ნაკლებსქემატიზირებულია ტუჩები და თვალები. თმის ვარცხნილობა აქაც ორადაა გაყოფილი ჰორიზონტალური ბაფთით, თმები დაფენილი აქვს კისრის უკანა მხარესა და ნაწილობრივ მხრებზეც. თვით თმის ხვეულები ამ ქანდაკებაზე შედარებით უფრო რბილად და თანაბრადაა მოდელირებული. ორივე ფეხის ტერფი ქვემოდან აღჭურვილია სწორკუთხა განივკვეთიანი მოკლე შვერილებით, რომელთა საშუალებითაც ქანდაკება პედესტალს ან სადგარს უნდა დაკავშირებოდა (სურ. 57,2).

ელინისტურ ხანაში საკმაოდ ხშირად გვხვდება ბრინჯაოს მცირე ზომის ისეთი ფიგურები, რომელთაც თასი უპყრიათ ხელში[91]. ასეთი თასები აკონკრეტებენ ქანდაკებათა პოზას და იმაზე მიანიშნებენ, რომ ფიგურა მონაწილეობს ღვთისმსახურებასთან დაკავშირებულ რიტუალში. ამის თვალსაჩინო ნიმუშია ბრინჯაოს მცირე კომპოზიცია, სადაც თასით აღჭურვილი ღვთისმსახური გამოსახულია საკურთხეველთან და შეწირულ ფრინველთან ერთად[92].

ვერცხლის ფიგურები ხის ნაგებობაში გვერდიგვერდ აღმოჩნდა, მათთან ერთად იყო მინიატურული რიტუალური ჭურჭელი — ქოთანი და დოქი. ამ ეტაპზე ჩვენ თავს ვიკავებთ ამ სკულპტურათა განსაზღვრისაგან, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ბერძნულ სამყაროში მინიატურული ვოტივური ჭურჭელი ხშირად ფიგურირებს მცირე ქანდაკებებთან ერთად იმ სამლოცველოების შეწირულობას შორის, რომლებიც ნაყოფიერების კულტთან დაკავშირებული ღვთაებების სახელზეა აგებული[93].

ვერცხლის მოოქრული ემბლემა (78 მმ დიამეტრის), ქალღმერთის რელიეფურ გამოსახულებიანი (სურ. 57,1). ქალღმერთი დისკოზე გამოსახულია

[90] Г. Ф. Дундуа, Г. А. Лордкипанидзе, Денежное обращение Центральной Колхиды. Тбилиси, 1983, с. 10, 20.

[91] S. Reinach, Statuettes de bronze du Musée de Sofia, RA, t. XXXI, III Série. Paris. 1897. p. 226—227. fig. № 6, 11.

[92] S. Reinach, დასახ. ნაშრ., გვ. 235, ფიგ. № 39,

[93] D. B. Thompson, Three centuries of hellenistic terracottas, Hesperia, v. XXI, № 2. 1952. p. 153.

მკერდს ზემოთ, უსახელო კვარაში. სამოსის ნაოჭები ვერტიკალურად და დიაგონალურადაა თავისუფლად დაშვებული. მთლიანად ფიგურა წინ გამოზიდულია, თავი მარცხნივ აქვს გადახრილი, ყელი შემკული აქვს მარტივი, ცილინდრული მძივების სხმულით. ვარცხნილობის ცენტრალური არე ამოტეხილია, თავი შემკულია დიადემით, რომელზეც გამოსახულია პალმეტის ორი განსხვავებული სახის ურთიერთმონაცვლეობა: ცენტრალური ღეროსაკენ ჩახვეული ფურცლები ენაცვლება გარეთ გადმოშვებულ ფურცლებიან პალმეტს. მარჯვენა მხარეს გამოსახულია ირიბი ღარებით დაფარული ღერო — ნაწილი რომელიღაც ნივთისა (ჩირაღდნისა ან კვერთხისა). მოოქვრის კვალი ფრაგმენტულადაა შერჩენილი სამოსსა და თვით დისკოზე. კიდეებზე არათანაბარი შუალედებით ნახვრეტები შემოუყვება. არავითარი არშიის ნაშთი არ ყოფილა მიკვლეული. იქვე ნაპოვნი ვერცხლის პატარა მანჭვლები (5 ერთეული) გვაფიქრებინებს, რომ ემბლემა პირდაპირ ხის დისკოზე იყო დაკრული. მ-ს ქვეშ ფიქსირებული იყო დანახშირებული ხის ნამცეცები.

საერთო იერით გამოსახულება მსგავსებას ავლენს იმ ოქროს მედალიონების ემბლემებთან, რომლებიც პირადი კოლექციებიდანაა ცნობილი და რომელთაც ძვ. წ. IV—III სს. მიაკუთვნებენ[94].

ოქროს ყველა ნივთი სათავსოს ერთ ადგილას იყო ნაპოვნი (ნაკვ. 81, კვ. Iფ): ოქროს ოთხკუთხა ფირფიტის ქვეშ აღმოჩნდა ორი საყურე რგოლი[95], ორი მძლაკი[96], პატარა ფირფიტის ნაწილი, მათ გვერდით — მრგვალი ფირფიტა და მხოლოდ ერთი ვარდულა[97] იყო ნაპოვნი შედარებით ზედა დონეზე, ბათქაშებიანი ყრილის თავზე, ვერცხლის მონეტასთან ერთად.

ფირფიტები დაზიანებულია. ოქროს ორივე ფირფიტაზე დაბალ რელიეფში შესრულებული ქალღმერთის გამოსახულებაა[98]. სწორკუთხა ფირფიტაზე შემორჩენილია არამეული დამწერლობით შესრულებული წარწერა[99]; მრგვალ ფირფიტაზე ქალღმერთის გამოსახულებას თან ახლავს ხარის თავები და „ვარდულები". გამოსახულებანი წნევითაა გამოყვანილი და პრიმიტიულობით ხასიათდება. ორივე ფირფიტაზე შეიგრძნობა ერთი ხელწერა (სურ. 58).

ფირფიტები რაღაც ვოტივური ნივთის ნაწილები უნდა იყოს. ოთხკუთხა ფირფიტა აშკარად ხის საფუძველზე იყო დაკრული — მას ირგვლივ კიდეებზე ნახვრეტები აქვს, მის ახლოს ოქროს პატარა მანჭვლები[100] იყო ნაპოვნი (5 ერთეული), ხოლო უშუალოდ ფირფიტის ქვეშ დამწვარი ხის ნამცეცები დაფიქსირდა.

---

94 D. M. Robinson, Unpublished Greek Gold Jewelry and Gems. AJA. v. 57. № 1. 1953. p. 5—12, pl. 3—10. P. Amandry. Médaillon en or du Musée de Providence, AJA. v. 59, № 3. 1955. p. 219—222. pl. 64—65.

95 ა. ჭყონია, ოქროს სამკაულები ვანის ნაქალაქარიდან, ვანი VI, 1981, გვ. 69, სურ. 42, 83—84.

96 იქვე, გვ. 80, სურ. 55, 164.

97 იქვე, გვ. 87, სურ. 66, 257.

98 დაწვრ. იხ. ა. ჭყონია, დასახ. ნაშრ., გვ. 84.

99 წარწერა არ არის ამოკითხული.

100 ა. ჭყონია, დასახ. ნაშრ., გვ. 88, სურ. 68, 282.

ვ. თოლორდავა

# ცენტრალური ტერასის ჩრდილო-აღმოსავლეთი ფერდი

## (1975—1979 წწ. გათხრების შედეგები)

საანგარიშო პერიოდში ექსპედიცია საველე კვლევა-ძიებას აგრძელებდა ნაქალაქარის ცენტრალური ტერასის ჩრდილო-აღმოსავლეთ ფერდობზე. გათხრები მოიცავდა 49 და 67 ნაკვეთებს (იხ. ნაქალაქარის გეგმა).

ეს ის უბანია, სადაც წინარე არქეოლოგიური კამპანიების დროს გამოვლინდა ე. წ. 17 მ-იანი კედელი, წარჩინებული კოლხი მეომრისა და ბავშვის სამარხები[1]. როგორც წინა წლების ანგარიშებიდან ჩანს, ამ 17 მ-იან კედელს ზევიდან ფარავდა საკმაოდ მძლავრი თიხნარი ფენა, რომელზეც ძვ. წ. I საუკუნის კედლები იყო ამოყვანილი. 17 მ-იანი კედელი მთელ სიგრძეზე 1,6 მ სიმაღლეზეა შემორჩენილი. ნაპოვნი იყო ამ კედლის კუთხეებიც, მაგრამ ჩრდილოეთის და სამხრეთის კედლების გამოვლენა ვერ მოესწრო. ამიტომ გაურკვეველი იყო ცალკე ნაგებობის საძირკველია იგი თუ ტერასის გასამაგრებელი კედელი. სტრატიგრაფიული მონაცემებით ეს კედელი ძვ. წ. III—II სს. უნდა ეკუთვნოდეს. ამოყვანილია იგი ნაქალქარის ამ ფართობზე ფიქსირებულ ადრეანტიკური ხანის ფენაზე[2] (სურ. 59).

შემდგომი გათხრების მიზანი იყო, ერთი მხრივ, 17 მ-იანი ნაგებობის გეგმის დადგენა, ხოლო მეორე მხრივ, ნაგებობის შიდა ფართობის შესწავლა[3].

პირველ რიგში გაიწმინდა ნაგებობის სამხრეთი კედელი. გაირკვა, რომ კედელი დასავლეთის მიმართულებით რელიეფს მიყვება, თანდათან დაბლდება და ბოლოს სრულიად ქრება, (სურ. $60_1$). ამდენად თითქოს გამართლდა ადრე გამოთქმული ვარაუდი, რომ 17 მ-იანი კედელი რაიმე შენობის ნაწილი კი არ არის, არამედ ტერასის გასამაგრებელი ნაგებობაა, მით უმეტეს, რომ დასავლეთის მხრიდან ნაგებობა არ იკვრება, ყოველ შემთხვევაში, ამ მხარეს კედლის ნაშთები ჯერჯერობით ფიქსირებული არაა, თუმცა ბევრგან უკვე თირზე ვართ დასული.

ნაგებობის შიდა ფართობის შესწავლის მიზნით გადავზომეთ თხრილი კედლის მთელი სიგრძის გაყოლებით. თხრილის სიგრძე 16 მ-ია. თხრილი დავყავით სამ მონაკვეთად უღლების და ჭრილების შენარჩუნების მიზნით (სურ. $60_2$).

თხრილის პირველ მონაკვეთში კორდოვან ფენას მოყვებოდა 15—20 სმ სისქის ნაშალი თირის ფენა, შემდეგ ყვითელი თიხნარი. ეს ფენა არეული ჩანს. მიწას მოყვებოდა სხვადასხვა დროის კერამიკული ფრაგმენტები: სინოპური ამ-

---

1 ვანი I, თბ., 1972, გვ. 189, 202—213.

2 ვანი I, გვ. 189.

3 იხ. ПАИ в 1975, 1976, 1977, 1978, 1979 гг.

ფორის ყურები, ადგილობრივი და სინოპური კრამიტის ფრაგმენტები, წითელლაკიანი კერამიკა და სხვა.

თხრილის მეორე მონაკვეთმა ფენათა მონაცვლეობის ანალოგიური სურათი მოგვცა, მხოლოდ აქ კულტურული ფენა სიღრმეში გრძელდება. თხრილის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში საკმაოდ მძლავრი ბათქაშიანი ფენა გასუფთავდა. ბათქაშები დიდი ზომისაა, ეტყობათ ხის ძელებისა და ფიცრის ანაბეჭდები. ეს ფენა 17 მ-იანი კედლის ქვეშ შედის (სურ. $60_3$).

ასეთივე სიტუაცია დადასტურდა თხრილის მესამე მონაკვეთში. მხოლოდ აქ 17 მ-იანი კედლის თავიდან 0,7—0,8 მ-ის სიღრმეზე გამოჩნდა თეთრი ფლეთილი ქვის წყობა. პრეპარაციის შემდეგ გაირკვა, რომ ეს თეთრი ქვით ნაშენი ნაგებობა სწორკუთხა მოყვანილობისაა. მისი სიგრძე 2 მ-ია ,სიგანე — 1,3 მ, ხოლო სიმაღლე — 0,5 —0,6 მ. გათხრებმა დაადასტურა, რომ ეს სრულიად დამოუკიდებელი ნაგებობაა, რომელსაც კავშირი არა აქვს 17 მ-იან კედელთან და არც რაიმე გაგრძელება უჩანს ახლომახლო. მას პირობითად „თეთრი საკურთხეველი" ვუწოდეთ[4]. აღსანიშნავია, რომ ეს ე. წ. საკურთხეველი კოლხი მეომრის სამარხის დონეზეა აღმართული, მათ 17 მ-იანი კედელი ყოფთ.

„საკურთხეველს" ჩრდილოეთის მხრიდან 1 მ-ის სიგრძის თეთრი ქვით მოკირწყლული მოედანი ახლავს, რომელიც საფეხურის შთაბეჭდილებას ტოვებს (სურ. 61). „თეთრი საკურთხევლის" პრეპარაციისას ნაგებობის ცენტრალურ ნაწილში ქვები ჩაქცეულის შთაბეჭდილებას ტოვებდა. ნაყარი ქვების ამოსუფთავების შემდეგ ნაგებობის შიგნით ოვალური სივრცე წარმოიშვა. ე. ი. „საკურთხეველი" სწორკუთხა მოყვანილობისაა, რომლის შიდა სივრცე ოვალურია და ჩრდილოეთის მხრიდან გახსნილი (სურ. $60_{4, 5}$).

„საკურთხევლის" შიგნიდან ამოღებულ ქვებს კრამიტის ნატეხები ამოჰყვა, რომლებიც აქ მომდევნო ხანის მშენებლობისას უნდა იყოს ჩაცვენილი.

„საკურთხეველი" მთლიანად ნაცრისფერ ფენაში თავსდება. „საკურთხევლის" სამხრეთით თხრილი ჩავაღრმავეთ იმის გასარკვევად, თუ რაზე დგას ეს ნაგებობა. 0,2—0,4 მ სიღრმეზე გამოჩნდა კერამიკის მძლავრი ფენა. კერამიკა ადგილზე ჩანს ჩალეწილი. კერამიკის ეს ფენა შედის 17 მ-იანი კედლის ქვეშ და, როგორც ჩანს, თხრილის მეორე მონაკვეთში ფიქსირებულ ბათქაშიან ფენას უკავშირდება.

გამოვლენილი სიტუაციის ფიქსაციის შემდეგ დავიწყეთ დაღრმავება მთელ ფართობზე. „თეთრი საკურთხეველი" მთლიანად ავიღეთ. მის ქვეშ შავი ფენა გამოჩნდა, რომელიც კედლის ქვეშ შედის და უამრავ კერამიკულ ფრაგმენტს შეიცავს.

„საკურთხევლის" ქვედა დონიდან დაახლოებით 0,4—0,4 მ სიღრმეზე თირის ბრტყელი ქვები გამოჩნდა, რომლებიც, მართალია, წყობის შთაბეჭდილებას არ სტოვებდნენ, მაგრამ გარკვეული კანონზომიერებით იყვნენ განლაგებული: ორი დიდი ბრტყელი ქვა ვერტიკალურად იდგა, დანარჩენი ასეთივე ქვები კი წაქცეული იყო. სამწუხაროდ, წყობა აღმოსავლეთისკენ გაუთხრელ ფართობში შედიოდა და საერთო სურათის აღდგენა ვერ მოხერხდა. იგი წაგრძელებული მოყვანილობის ნაგებობაა. ამ ნაგებობას ეკუთვნის, ყოველ შემთხვევაში, მისი თანადროულია კერამიკის მძლავრი ფენა, რომელიც თხრილის სამხრეთ ნაწილშია პრეპარირებული. შესაძლოა ეს ბრტყელი ქვები უფრო ადრეული საკურთხევლის ნაშთები იყოს. თირის ქვებს ეტყობათ ცეცხლის კვალი (სურ. $60_6$).

---

4 ПАИ в 1975 году, с. 67, табл. XLIV.

თხრილის მთელ ფართობზე თირამდე დავედით. თხრილიდან ამოსული კერამიკა ყურადღებას იპყრობს რაოდენობით, აშკარად საგანგებოდ მოტანილის შთაბეჭდილებას ტოვებს და, შესაძლოა, გარკვეულ შესაწირს წარმოადგენდეს.

ამ პატარა ტერიტორიაზე ორი საკურთხევლის ტიპის ნაგებობაა აღმოჩენილი — თეთრი ქვით ნაგები და ზუსტად მის ქვეშ 0,3—0,4 მ სიღრმეზე თირის ქვით ნაგები, რომელსაც ახლავს უამრავი თიხის ჭურჭელი. პირველი მთლიანად ნაცრისფერ ფენაში თავსდება. თუმცა ფენა დარღვეული ჩანს და კერამიკული ნაშთები, რომლებიც საკურთხევლის მიდამოებშია აღმოჩენილი, ხშირად მისი სინქრონული არაა. ხოლო ფენა, რომელშიც თირის ქვით ნაგები საკურთხეველია აღმოჩენილი, უძრავი ჩანს. აქ აღმოჩენილი კერამიკაც in situ მდგომარეობაში უნდა იყოს.

კერამიკა ადრეანტიკური და წინარეანტიკური პერიოდისაა. გვხვდება დერგების, ქვევრების, სასმისების, დოქების პროფილირებული ფრაგმენტები. ჭურჭელი ხშირად შემკულია ღაროვანი ორნამენტით, გაპრიალებული ზოლებით, რომლითაც ხან რომბული ბადეა გამოყვანილი, ხან კი პარალელურად არიან განლაგებულნი[5].

№ 1 თხრილში დავედით თირზე და დავიწყეთ მისი გაფართოება დასავლეთისკენ. თხრილის საერთო სიგრძე 12—13 მ-ია. იგი მოიცავს 67 ნაკვეთის $g_{1-2}$, $h_{1-2}$ და 49 ნაკვეთის $g_{9-10}$, $h_{9-10}$ კვადრატებს. გათხრა დავიწყეთ მთელ ფართობზე ერთდროულად.

ჰუმუსურ ფენას მოყვება მოყვითალო-მონაცრისფრო თიხნარი ფენა, რომელიც მცირეოდენ კერამიკულ ფრაგმენტებს შეიცავდა: როდოსული ამფორის ყელ-პირის ფრაგმენტი, რუხკეციანი ჯამის კედელი, იმპორტული ამფორის ყური, ქვევრის ძირის ნატეხი, შავლაკიანი ჭურჭლის ძირი და სხვ. 49 ნაკვეთის $h_9$ კვადრატში აღმოჩნდა მთელი სინოპური კრამიტი. იგი დამღიანი ყოფილა, მაგრამ დამღა გადაშლილია და სრულებით არ იკითხება. კრამიტის ზომებია— 65 სმ×50 სმ.

შემდეგ მოდის ჟანგისფერი თიხნარი ფენა, რომელიც მთელ გათხრილ ფართობს გასდევს, მაგრამ, როგორც ჭრილიდანაც კარგად ჩანს, ყველგან ერთნაირი ინტენსივობის არ არის. ეს ფენა სრულიად სტერილურია და საგანგებოდ მოზელილის შთაბეჭდილებას ტოვებს. თიხნარი ფენის ქვეშ ნიველირებული თიხატკეპნილი გასუფთავდა. ამ დონეზე ნიველირებული ზოლი თხრილის ყველა ჭრილში იყო ფიქსირებული. ამ თიხატკეპნილს, რომელიც მთელ გათხრილ ფართობზე იქნა დადასტურებული, პირობითად იატაკი ვუწოდეთ (სურ. $62_1$). თიხა, რომლითაც იატაკია მოლესილი, როგორც ჩანს, დიდი რაოდენობით შეიცავს რკინას. იატაკი დაჟანგული რკინის ფერია.

თხრილის კიდესთან იატაკში ორი სწორკუთხა ჩაღრმავება გასუფთავდა. ორმოები იატაკის მოსწორებამდე ყოფილა ამოღებული და შემდეგ იატაკთან ერთადაა მოლესილი. ერთი ორმო მომცროა: სიგრძე — 0,4 მ, სიგანე — 0,3 მ, სიღრმე—0,04 მ. მეორე ორმო იგივე სიღრმისაა, მხოლოდ უფრო მოზრდილი, მაგრამ ზუსტად ვერ იზომება, რადგან გვერდები დაზიანებული აქვს. ორმოები ერთმანეთს კუთხეებით ეხება (სურ. 63). ასეთივე ორმო უნდა ყოფილიყო $g_3$ კვადრატში, მაგრამ იატაკი აქ დაზიანებულია და ორმოს კონტურები არ იკითხება.

---

5 ეს ფენა, როგორც ჩანს, შემდგომ წლებში გამოვლინდა, წინარეანტიკური ხანის ფენების გაგრძელებას წარმოადგენს და აქედან მომდინარე მასალა ერთად იქნება განხილული მომავალ ანგარიშებში.

იატაკზე მთელი თხრილის ფართობზე მობნეული იყო კრამიტის და გვიანელინისტური ხანის კერამიკის ფრაგმენტები. ასეთივე ფრაგმენტებით იყო ამოვსებული იატაკში დატანებული ორმოებიც. აქვე აღმოჩნდა 3 პირამიდული საწაფი.

თიხატკეპნილი იატაკი თხრილის უმეტეს ფართობზე კარგად იყო დაცული. იატაკამდე ფენების განლაგება ასეთია: 1. კორდოვანი ფენა — 0,3—0,4 მ-ის სისქისა; 2. მოყვითალო-მონაცრისფრო თიხნარი — დაახლოებით 1 მ-ის სიმძლავრის; 3. სტერილური, ქანგნარევი თიხნარი ფენა, რომელიც უშუალოდ იატაკზე დევს, არ არის თანაბარი სიმძლავრის, მისი სისქე მერყეობს 0,2-დან 1 მ-მდე.

თხრილის აღმოსავლეთ ნაწილში, 67 ნაკვ. ჯ$_{1,}$ $_{2}$ კვადრატებში, იქ, სადაც იატაკი დაზიანებული იყო, დავიწყეთ იატაკის აღება. გამოვლინდა კედლის წყობა. იგი თხრილის აღმოსავლეთ კიდეს მთელ სიგრძეზე გასდევს. წყობაში კრამიტის ნატეხები და თირის ქვები ურევია. კედლის შიდა მხარეს თირის ფოთლები გასდევს. ეს კედელი სამხრეთისკენ წყდება (იატაკი გრძელდება), ხოლო ჩრდილოეთით გაუთხრელ ფართობში შედის. კედელს, რომელსაც პირობითად № 1 ვუწოდეთ, დასავლეთიდან ებჯინება მეორე კედელი მასთან პერპენდიკულარულ მიმართებაში (კედელი № 2). წყობა № 1 კედლის ანალოგიურია (სურ. $62_2$). ეს კედელი გათხრილ ფართობს თითქმის ორ თანაბარ ნაწილად ყოფს. იგი 49 და 67 ნაკვეთების სასაზღვრო ხაზს გასდევს. კედლები სახელდახელოდ აშენებულის შთაბეჭდილებას ტოვებს. თიხატკეპნილი იატაკი მასზე გადადის (სურ. $62_2$). გავაგრძელეთ იატაკის აღება მთელ ფართობზე. თიხატკეპნილს მოსდევს 0,15—0,2 მ-ის სისქის ნაშალი თირის ფენა. ეს ფენა იატაკის მომზადებაა. № 2 კედლიდან ჩრდილოეთით (ე. ი. თხრილის ჩრდილოეთით) ნაშალი თირის ფენას მოსდევდა ნახანძრალი, საკმაოდ ინტენსიური შავი ფენა. შავ ფენას მოყვება თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები. მთელ ფართობზე დავედით თირზე.

გათხრილი ფართობიდან მომდინარე არქეოლოგიური მასალა ფენების მიხედვით ასე ნაწილდება:

ნაცრისფერი ფენა. იმპორტული ამფორის ყური (სავ. № 07:1—76/708), კოლხური ამფორის ყური (სავ. № 07:1—76/709), როდოსული ამფორის პირ-ყელის ფრაგმენტი (სავ. № 07:1—76/710), რუხკეციანი ჯამის ფრაგმენტი (სავ. № 07:1—76/711), წრიულქუსლიანი, ყავისფრად გამომწვარი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტი (სავ. № 07:1—76/712), რუხკეციანი ქოთნის ფრაგმენტები (სავ. № 07:1—76/713, 714), წითელკეციანი ქვევრის ძირის ფრაგმენტი (სავ. № 07:1—76/715), შავლაკიანი ჭურჭლის ძირი ნატვიფრორნამენტიანი (სავ. № 07:1—76/717), კოლხური ამფორის პირ-ყელის ფრაგმენტი (სავ. № 07:1—76/718).

იატაკის დონე. პირამიდული საწაფები (სავ. № 07:1—76/719, 720, 721), წითელლაკიანი ჭურჭლის ყური (სავ. № 07:1—76/722).

იატაკის ქვეშ (შავი ფენა). რუხკეციანი კოლხური სასმისის ძირი (სავ. № 07:1—76/723), ცრუყურიანი ჭურჭლის პირ-კედლის ფრაგმენტი (სავ. № 07:1—76/725), ცრუყურიანი ქოთნის კედლის ფრაგმენტი (სავ. № 07:1—76/726), ცილინდრულტანიანი კოლხური სასმისის ფრაგმენტი, შემკული ჭდეებით და ტალღოვანი ორნამენტით (სავ. № 07:1—76/727), რუხად გამომწვარი ყურიანი ჯამის ფრაგმენტი (სავ. № 07:1—76/728), რუხად გამომწვარი ცრუყურიანი ჯამის ფრაგმენტი (სავ. № 07:1—76/729), რუხად გამომწვარი ჯამის პირ-კალთის ფრაგმენტი (სავ. № 07:1—76/731, 732, 733), ჭურჭლის ყურის ფრაგმენტი, შემკული ურთიერთგადამკვეთი ჭდეებით (სავ. № 07:1—76/734).

იატაკის აღების შემდეგ 67 ნაკვეთის $f_{1-2}$—$g_{1-2}$ კვადრატებში, თხრილის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში აღმოჩნდა საკმაოდ მდიდრული ინვენტარის შემცველი მეტად თავისებური სამარხი. ეს სამარხი რიგით მეთხუთმეტეა. სამარხი უშუალოდ იატაკის ქვეშ იყო განლაგებული, მასზე გადადიოდა ფხვიერი თიხის ფენა, რომელიც თხრილის მთელ ფართობზე იყო ფიქსირებული და იატაკის მომზადებას წარმოადგენდა. ასე რომ, იატაკის გამართვისას სამარხის გადახურვა უნდა იყოს დაზიანებული.

სამარხის ორმო თიხშია ამოკვეთილი, დამხრობილია აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ. სამარხის საერთო სიგრძე 3 მ-მდეა, სიგანე — 2,6 მ. სამარხის თავზე გადადიოდა შავი მიწის თხელი ფენა, რომელშიც პრეპარაციის შემდეგ პატარ-პატარა კონუსური ღრმულები დარჩა. ეს ღრმულები ნაშალი თიხით იყო ამოვსებული. მათი წარმოშობა გაურკვეველია (სურ. $64_1$).

სამარხი თიხში ამოჭრილი ორმოს შიგნით შემორაგული ყოფილა ხის წნულით, რომელიც შელესილი იყო ნაშალი თიხის და თიხის ნაერთით. სამარხი ორმოს კიდესა და ტიხარს შორის მანძილი 10—12 სმ-ია (სურ. $64_2$). ანალოგიური ვითარება ჯერჯერობით სხვაგან დადასტურებული არაა. ასეთი წნულის ნაშთები ამ ფართობზე ადრეც იყო ფიქსირებული, მაგრამ მათი დანიშნულება გაურკვეველი იყო. როგორც ჩანს, ეს ფრაგმენტები დანგრეულ სამარხებს ეკუთვნოდა.

არავითარი ნიშნები ხის სარკოფაგის არსებობისა სამარხში არ შეინიშნება, არც ლურსმნები აღმოჩენილა. როგორც ჩანს, სარკოფაგის დანიშნულებას შელესილი ხის წნული ასრულებდა, რომელთა ნაშთები მრავლადაა აღმოჩენილი სამარხის კიდეებთან. ასეთივე ტიხარით იყო გამოყოფილი ძირითადი სამარხი გვერდითი სათავსოსაგან, რომელშიც კოლხური ამფორა, თიხის ჰურჭელი და ცხოველთა დამწვარი ძვლებია გამოვლენილი (აღაპის ნაშთი?). სამარხი ორმოს ერთი მონაკვეთი ჩრდილოეთის მხრიდან ბრტყელი კრამიტებით იყო შემოსაზღვრული (იხ. სამარხის გეგმა. სურ. 73). შესაძლოა სამარხი ასეთივე შელესილი წნულით იყო გადახურული, მაგრამ, როგორც აღნიშნული იყო, სამარხის გადახურვა დაზიანებულია შემდგომი ხანის მშენებლობისას.

სამარხში ჩონჩხი არ შემონახულა (ეს ჩვეულებრივი მოვლენაა ამ რეგიონისათვის). აღმოჩნდა რამდენიმე კბილი და ძლიერ დაშლილი ძვლის მცირე ფრაგმენტები. ამ ნაშთებისა და ინვენტარის განლაგების მიხედვით მიცვალებული თავით ჩრდილო-დასავლეთისკენ უნდა ყოფილიყო დამხრობილი.

ნივთები სამარხში შემდეგნაირად იყო განლაგებული: სამარხის გარეთ ორმოს ჩრდილო კიდესთან აღმოჩნდა უხეშად ნაკეთები ორი ადგილობრივი დოქი (ორივე ძლიერ დაზიანებული, ახლა აღდგენილია); სამარხის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში მიყუდებული იყო კოლხური ამფორა ყელით დასავლეთისაკენ; სამარხის აღმოსავლეთი კედლის გასწვრივ ელაგა ბრინჯაოსგან დამზადებული სარკე, ორი სტრიგილი, ლანგარი და ოინოხოია, ორი იმპორტული სანელსაცხებლე და ორი პატარა ზომის ლეგად გამომწვარი ქოთანი. სამარხის ჩრდილოეთ კიდესთან აღმოჩნდა ვერცხლის კოვზი, რომლის ტარი ცხოველთა სკულპტურული გამოსახულებითაა შემკული (სურ. $65_{1-5}$). სამარხის ცენტრალურ ნაწილში მობნეული იყო ოქროსა და სარდიონის მძივები, ოქროს მინისთვალიანი საკიდი, პირამიდული ფორმის „საავგაროზე", ორი ოქროს მონეტა — ერთი ალექსანდრე მაკედონელის სტატერი (ძვ. წ. 356—323 წწ.), მეორე კი ფილიპე III მაკედონელისა (ძვ. წ. 323—316 წწ.), ორი ჩვეულებრივი ტიპის კოლხური ნახევარდრაქმა.

სამარხის მთელ ფართობზე მობნეული იყო ატიკური შავლაკიანი ფიალის უმცირესი ფარგმენტები. შესაძლოა იგი დაკრძალვის რიტუალის შესრულებისას იყო საგანგებოდ დალეწილი (ახლა თითქმის მთლიანად აღდგენილია).

სამარხი № 15 ძვ. წ. III ს. პირველი ნახევრისაა. დათარიღების საფუძველია შავლაკიანი ფიალა, რომელიც ათენის აგორის ანალოგიით ძვ. წ. III ს. დასაწყისს მიეკუთვნება[6], იმპორტული ამფორისკები, რომლებიც ანალოგიების მიხედვით ამავე დროით თარიღდებიან[7], და ნუმიზმატიკური მონაცემები.

სამარხეული ინვენტარი:

1. საკიდი ოქროსი (საავგაროზე?) (სავ. № 07:1—78/1033), პირამიდული, ექვსწახნაგა, ბურთულით დაბოლოებული. კიდეზე მავთული აქვს შემოვლებული, რომელზეც სამი პატარა ყუნწია დამაგრებული (სურ. $66_2$)[8].

სიმაღლე — 28.5 მმ

ინახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში (ინვ. № 59—978:4).

2. ყელსაბამი, შედგენილი ცისფერთვლიანი საკიდის, ოქროს, სარდიონისა და მინის მძივების მონაცვლეობით (სურ. $66_1$)[9]:

ა. საკიდი შედგენილია ოქროს დაღარული მილაკის (ყუნწი) და 8 ბურთულისაგან, რომლებიც დამაგრებულია ბუდეში ჩასმული ცისფერი გაუმჭვირვალე მინის თვლის გარშემო. მინის თვალი ფირუზის საკმაოდ კარგ იმიტაციას წარმოადგენს (სავ. № 07:1—78/1034)[10].

ბ. მძივები ოქროსი, სფეროსებური, სადა, 6 ც. (სავ. № 07:1—78/1035).

გ. მძივები ოქროსი, სფეროსებური, ნახვრეტთან სადა მავთული აქვთ შემოვლებული (სავ. № 07:1—78/1036).

დ. მძივები მოყავისფრო-ვარდისფერი სარდიონისა, კასრისებური ფორმის, ექვსწახნაგა, ოდნავ შებრტყელებული, 5 ც. (სავ. № 07:1—78/1037)[11].

ე. მძივი, გამჭვირვალე იისფერი მინისა (ამეთვისტოს იმიტაცია), წაგრძელებული კასრის ფორმის, ექვსწახნაგა (სავ. № 07—1:78/1038[12]).

ყელსაბამი ინახება საქ. სახ. მუზეუმში (ინვ. № 59—978:3).

3. ოქროს მონეტა (სავ. № 07:1—78/1040) — სტატერი ალექსანდრე მაკედონელისა (ძვ. წ. 336—323 წწ.).

მონეტის შუბლი: ქალღმერთ ათენას თავი მარჯვენა პროფილში. მას გრძელი თმები აქვს, ახურავს კორინთული მუზარადი, რომელზედაც გველია გამოსახული.

მონეტის ზურგი: მარცხნივ შემობრუნებული, გრძელ ქიტონში გამოწყობილი ფრთოსანი ნიკე, რომელსაც მარჯვენა ხელში გვირგვინი უჭირავს. ნიკეს უკან ბერძნული ზედწერილია (მეფის სახელი ΑΛΕΞΑΝΔ...)

ნიკეს წინ ფუტკარია გამოსახული, მის ქვემოთ მონოგრამა (სურ. $66_3$).

---

6 იხ. ნ. მათიაშვილი, ძვ. წ. III—II სს. მხატვრული კერამიკა, ვანი VII, 1983, გვ. 51, სურ. 184.

7 იხ. ვ. თოლორდავა, თიხის სანელსაცხებლეები ვანიდან, ვანი VII, გვ. 75, სურ. 358, 359.

8 ПАИ в 1978 г., табл. LIX, 2; ა. ჭყონია, ოქროს სამკაულები ვანის ნაქალაქარიდან, ვანი VI, 1981, გვ. 74, სურ. 48, 94.

9 ПАИ в 1978 г., табл. LIX; ა. ჭყონია, დასახ. ნაშრომი, გვ. 71, სურ. 45, 89.

10 ა. ჭყონია, დასახ. ნაშრომი, გვ. 71, 115, სურ. 49, 89.

11 ე. გოგოლაშვილი, მძივსამკაული ვანის ნაქალაქარიდან, ვანი VII, გვ. 106, კატ. № 431.

12 იქვე, გვ. 111, კატ. № 487.

4. ოქროს მონეტა (სავ. № 07—1:78/1039) — სტატერი ფილიპე III მაკედონელისა (ძვ. წ. 323—316 წწ.).

მონეტის შუბლი: ქალღმერთ ათენას თავი მარჯვენა პროფილში, ახურავს კორინთული მუზარადი, რომელზეც გველია გამოსახული.

მონეტის ზურგი: მარცხნივ შებრუნებული, გრძელი ქიტონში გამოწყობილი ფრთოსანი ნიკე, რომელსაც ხელში გვირგვინი უჭირავს. გამოსახულების უკან ბერძნული ზედწერილია (მეფის სახელი ΦΙΛΙΠΠΟΥ).

ნიკეს წინ მონოგრამაა გამოსახული, ქვემოთ სიუხვის ყანწი (სურ. $66_4$)[13].

მონეტები ინახება საქ. სახ. მუზეუმის ნუმიზმატიკის განყოფილებაში (ინვ. № 11801, 11802).

5, 6. ვერცხლის მონეტები (სავ. № 07—1:78/1041, 1042) — კოლხური თეთრი, ნახევარდრაქმები.

მონეტის შუბლი — ადამიანის თავის გამოსახულება მარჯვენა პროფილში, ხაზოვან რკალში.

მონეტის ზურგი — ხარის თავი, მარჯვნივ, ხაზოვან რკალში[14].

7. ბრინჯაოს ოინოხოია (№ 07—1:78/1044), ტანი მსხლისებური მოყვანილობისაა, პირი სამტუჩა. მასიური პროფილირებული ძირი ცალკეა დამზადებული და შემდეგ არის მირჩილული ტანზე. მრგვალგანივკვეთიანი მასიური ყურიც ცალკეა დამზადებული. მისი ზედა ნაწილი, რომელიც პირის გვირგვინზე უნდა ყოფილიყო მირჩილული (ახლა მომძვრალია), ლომის თავის სკულპტურული გამოსახულებითაა შემკული, ქვედა ნაწილი კი, რომელიც ტანზეა დარჩილული, წვეროსანი მამაკაცის თავის რელიეფური გამოსახულებით. მამაკაცის თმა, წვერი და ულვაში რელიეფური ჰდეებითაა მოდელირებული. ყურის რკალი შემკულია ლოტოსის ფოთლების სტილიზებული გამოსახულებებით. ჰურჭელი ძლიერ დაზიანებულია (სურ. $67_{1,2}$ $68_{1-3}$)[15].

სიმაღლე — 24,5 სმ, ძირის დმ — 8 სმ..

8. ბრინჯაოს ლანგარი (სავ. № 07—1:78/1043), პირგადაშლილი, ორყურა, დაბალქუსლიანი. ქუსლი პროფილირებულია, ცალკეა დამზადებული და მერე ლანგარზე მირჩილული. ყურები მოძრავია, მარყუჟისებური. ყურების მიმაგრების ადგილი შემკული იყო რელიეფური პალმეტებით, რომლებიც შემდეგ იყო მირჩილული ჰურჰელზე (ორნამენტირებული ფირფიტები ლანგრის აღებისას დაიშალა[16] (სურ. $67_{1,3}$).

პირის დმ — 38 სმ; ქუსლის დმ — 16 სმ; ყურის სიგრძე — 8,5 სმ.

9. ბრინჯაოს სარკე (სავ. № 07—1:78/1045)[17], წარმოადგენს ბრინჯაოს დისკოს, რომლის ზედაპირი საგანგებოდაა ნაპრიალები, უკანა მხარისკენ მისი კიდეები ირგვლივ ვერტიკალურადაა აკეცილი. სარკეს სახელური არა აქვს. შესაძლოა იგი ხეზე იყო დაკრული (ამის სასარგებლოდ ლაპარაკობს დისკოს აკეცილი კიდე) და ხისავე სახელური ჰქონდა (სურ. $65_{2,3}$).

---

13 მონეტების შესახებ დაწვრილებით იხ. Г. Ф. Дундуа, Г. А. Лордкипанидзе, Денежное обращение центральной Колхиды, Тбилиси, 1983, с. 11, 52, табл. II. 4,5.

14 იხ. იგივე ნაშრომი, გვ. 48.

15 ПАИ в 1978 г., с. 118, табл. LIX, I; ოთ. ლორთქიფანიძე, ტორევტიკა, ვანი VII, გვ. 91, კატ. № 412, სურ. 43, 412.

16 ПАИ в 1978 г., с. 118, табл. LIX, I; ოთ. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 91, კატ. № 413, სურ. 43,413.

17 ПАИ в 1978 г., с. 118; ოთ. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 91, კატ. № 414.

ანალოგიური უსახელურო სარკეები მრავლადაა გამოვლენილი მთელ ანტიკურ სამყაროში, ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში, ჩრდილო კავკასიის ელინისტური ხანის ყორღანებსა და ორმოსამარხებში და სხვ.[18]. ასეთი სარკე აღმოჩენილია კოლხეთშიც, კერძოდ დაბლაგომში[19].

სარკის დმ — 14,5 სმ.

10. ბრინჯაოს რომბული, აჟურული ფირფიტა (საგ. № 07—1:78/1045$_1$). მას ოთხივე კუთხეში თანაბარი, მრგვალი ნახვრეტი აქვს დატანებული (სურ. 65$_4$). სიგრძე — 6 სმ; სიგანე — 4 სმ.

11, 12. ბრინჯაოს სტრიგილები (საგ. № 07—1:78/1047, 1048). მათ საკმაოდ ღრმა კოვზი და გრძელი, სწორი კუთხით მოკეცილი ბრტყელი ტარი აქვთ, რომელიც ბოლოში თანდათან ვიწროვდება (სურ. 65$_{2,4}$).

სტრიგილები აღებისას დაიშალა.

ტარის სიგრძე — 14 სმ; კოვზის სიგრძე — 10 სმ; სიგანე — 3—4 სმ.

ბრინჯაოს სტრიგილები სამარხებში ძვ. წ. V საუკუნიდან ჩნდება. მათი აღმოჩენის შემთხვევები საკმაოდ ხშირია ანტიკურ სამყაროში[20]. ძვ. წ. III საუკუნის შემდგომ ხანებში რკინის სტრიგილებიც შემოდის ხმარებაში[21]. იხმარებოდა სხეულის გასასუფთავებლად და ზეთის წასასმელად, უპირატესად სპორტული თამაშების დროს.

მ. მაქსიმოვას ცნობით, ბოსფორის სამეფოში მრავალი შემთხვევაა აღნუსხული მამაკაცთა სამარხებში სტრიგილების აღმოჩენისა. აქ ბრინჯაოს და რკინის სტრიგილების გვერდით ვერცხლის სტრიგილებიც ყოფილა ხმარებაში[22].

დ. რობინზონის დაკვირვებით, ოლინთოს მაგალითზე, სტრიგილები ქალთა სამარხეულ ინვენტარშიც გვხვდება. როგორც წესი, ისინი თეძოს ძვლებთანაა ფიქსირებული, თითქოს მიცვალებულს ხელში უჭირავს. სტრიგილების აღმოჩენის შემთხვევები ოლინთოში იმდენად ხშირია, რომ დ. რობინზონი მათ დაკრძალვის რიტუალსაც კი უკავშირებს[23].

13. ვერცხლის კოვზი (საგ. № 07—1:78/1046$_1$). ტარი შემკულია ცხოველთა სკულპტურული გამოსახულებებით — მჯდომარე პოზაში გამოსახულ ხარს უკნიდან მტაცებელი ცხოველი (მგელი?) ეპარება. გამოსახულების დეტალები მკვეთრი ჭდეებითაა მოდელირებული. ხარს შუბლზე მოკლე, ირიბი ნაკაწრებით სამკუთხა ნიშანი აქვს გამოყვანილი. ტარი ოთხკუთხაგანივკვეთიანია, კოვზთან შედარებით თითქოს მოკლეა. თვით კოვზი დიდია და ღრმა (სურ. 69$_{2,3}$). ზუსტი ანალოგი ვერ მოიძებნა.

---

18 М. И. Максимова, Артюховский курган, Л., 1979, с. 92, рис. 33; С. И. Капошина, Некрополь в районе поселка им. Войкова, МИА, 69, с. 130, рис. 30; Н. В. Анфимов, Меото-сарматский могильник у станицы Усть-Лабинской, МИА, 23, с. 184, рис. 13.

19 ვ. თოლორდავა, მდიდრული სამარხი დაბლაგომიდან, ვანი II, გვ. 74, სურ. 116; მისივე, ანტიკური იმპორტი დაბლაგომში, ვანი VII, გვ. 134, კატ. № 564 და იქ მითითებული ლიტერატურა.

20 М. И. Максимова, Артюховский курган, с. 101, рис. 36; И. Венедиков, Металически и костени предмети от некропола на Аполония, в кн. Аполония, София, 1963, с. 315, табл. 170; D. Robinson, Excavations at Olynthus, vol. 10, p. 174, pl. XXXII, № 518, 519, 520, 520a 520b; pl. XXXIII, № 527; pl. XXXIV, № 539—544.

21 И. Венедиков, დასახ. ნაშრ. გვ. 315.

22 М. И. Максимова, დასახ. ნაშრ. გვ. 101.

23 D. Robinson, დასახ. ნაშრ. გვ. 174.

კოვზის საერთო სიგრძე — 15 სმ; ტარის სიგრძე — 8,5 სმ.

ინახება საქ. სახ. მუზეუმში.

14. ძვლის ცილინდრული მილაკები (სავ. № 07:1—78/1046). მილაკები რამდენიმე ზომისაა, გვერდზე თითო ნახვრეტი აქვთ დატანებული.

ანალოგიური ნივთების აღმოჩენის შემთხვევები საკმაოდ ხშირია ანტიკური ხანის როგორც სამაროვნებზე, ისე ნამოსახლარებზე. ისინი ხშირად მაგარი ხის ჯიშისგანაცაა ნაკეთები. მათი ფუნქცია კარგახანს გაურკვეველი იყო. ზოგი მას ფლეიტის შემადგენელ ნაწილად თვლიდა, ზოგი საქსოვ დაზგას უკავშირებდა. აღმოჩენის პირობების გათვალისწინებით მკვლევართა უმრავლესობა დღეს იმ აზრისაა, რომ ეს მილაკები მოძრავი სახსრის (ე. წ. შარნირის) დანიშნულებას ასრულებდა, პატარა კოლოფის ან კარადის მოძრავი სახურავისთვის თუ კარისათვის[24].

ჩვენს სამარხში ეს მილაკები ბრინჯაოს აჟურულ ფირფიტასთან და ბრინჯაოს პატარა სპირალებთან ერთად აღმოჩნდა, სარკის ქვეშ. შესაძლოა ისინი მართლაც ტუალეტთან დაკავშირებული რაიმე ნივთებისათვის განკუთვნილი თავდახურული ყუთის დეტალები იყოს (სურ. $65_{2,4}$).

15. შავლაკიანი ფიალა (სავ. № 07—1:78/1049), ატიკური, ე. წ. „გნათიის" სტილისა, მაღალყელიანი, პირგადაშლილი, ძირმომრგვალებული. მომრგვალებულ ძირზე ლაკით დაუფარავ სარტყლით მინიატურული ქუსლია გამოყვანილი. ყელს ირგვლივ შეთხელებული თიხით დატანილი სუროს გირლანდი შემოუყვება. ფიალას ქვედა ნაწილი ჰორიზონტალურად განლაგებული, საკმაოდ ღრმა, ფართო კანელურებით აქვს შემკული. კეცი მოვარდისფროა, ლაკი მოელვარე.

თანმხლები და პარალელური მასალით ძვ. წ. III ს. დასაწყისით თარიღდება[25].

ფიალა აღდგენილია. აკლია პირის და კედლის მცირე ნაწილი (სურ. $69_1$).

სიმაღლე — 9 სმ; პირის დმ — 9.2 სმ; ძირის დმ — 2 სმ.

16. სანელსაცხებლე ვარდისფრად გამომწვარი თიხისა (სავ. № 07—1:78/1052). მას ვიწრო ყელი, ოვალური, კვერცხისებური კორპუსი და დაბალი პროფილირებული ქუსლი აქვს. ყელს ქვევით, მხარს ირგვლივ მოწითალო საღებავის პარალელური ხაზები შემოუყვება (სურ. $70_1$). დაზიანებულია. აკლია პირი და ყელის ნაწილი. სიმაღლე — 10 სმ; ძირის დმ — 2,5 სმ.

17. სანელსაცხებლე ვარდისფრად გამომწვარი თიხისა (სავ. № 07—1:78/1053), ანალოგიური ზემოაღწერილისა. მისგან განსხვავებით მხრებში უფრო ფართოა, წითელი ზოლების კვალი ოდნავ შეინიშნება (სურ. $70_2$[26]).

სიმაღლე — 10 სმ; ძირის დმ — 2,5 სმ.

ათენის აგორის ანალოგიების მიხედვით ეს სანელსაცხებლეები ძვ. წ. III ს. პირველ ნახევარს განეკუთვნება (ჰ. ტომპსონის „B" კომპლექსი[27]). ასევე ათარიღებს ამ ჭურჭელს ლ. ფორტიც[28].

---

[24] ამის შესახებ დაწვრილებით იხ. М. М. Максимова, Артюховский курган, გვ. 101, სურ. 35 და იქ დასახელებული ლიტერატურა.

[25] დაწვრილებით ამ ფიალის შესახებ იხ. ნ. მათიაშვილი, ძვ. წ. III—II სს. მხატვრული კერამიკა ვანიდან. ვანი VII, გვ. 51, 53, კატ. № 184, სურ. 22, 184.

[26] დაწვრ. იხ. ე. თოლორდავა, თიხის სანელსაცხებლეები ვანის ნაქალაქარიდან. ვანი VII, გვ. 76, კატ. № 358, 359, სურ. 34, 358, 359.

[27] H. Thompson, Two centuries of Hellenistic pottery, Hesperia, v. III, 1934, p. 472.

[28] L. Forti, Gli ungventari del primo periodo Ellenistico-Rendiconti dell'Academia di archeol., let. e bel. arti, di Napoli, vol. XXXVII, pp. 9—10, pl. VI.

ჩვენი სანელსაცხებლებიც, როგორც ანალოგიებით, ისე თანმხლები მასალით ძვ. წ. III ს. დასაწყისით თარიღდება.

18. ქოთანი, ლეგად გამომწვარი თიხისა (სავ. № 07—1:78/1050), შავზედაპირიანი, ვიწროყელიანი, პირგადაშლილი და ძირმომრგვალებული (სურ. $70_3$).

სიმაღლე — 7 სმ; პირის დმ — 5,5 სმ.

19. ქოთანი, ლეგად გამომწვარი თიხისა (სავ. № 07—1:78/1051), პირგადაშლილი, ვიწროყელიანი და ძირბრტყელი (სურ. $70_4$).

სიმაღლე — 7 სმ; პირის დმ — 6 სმ; ძირის დმ — 3,5 სმ.

20. ამფორა, კოლხური (სავ. № 07—1:78/1054), ყავისფერკეციანი. მას ცილინდრული ყელი, ლილვაკიანი პირი, კვერცხისებური ტანი, ოვალურგანივკვეთიანი ყურები და მომრგვალებული ქუსლი აქვს (სურ. $65_5$).

აღდგენილია.

სიმაღლე — 60 სმ; პირის დმ — 10 სმ; ყელის სიმაღლე — 15 სმ.

21. დოქი, მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა (სავ. № 07—1:78/10 51—ბ). ცალყურა, უხეშად ნაძერწი (სურ. $71_4$).

სიმაღლე — 20 სმ; პირის დმ — 8 სმ; ძირის დმ — 12 სმ.

22. დოქი, მონაცრისფრო-ვარდისფრად გამომწვარი თიხისა (სავ. № 07—78/10 51-ბ), ცალყურა, უხეშად ნაძერწი (სურ. $71_5$).

სიმაღლე — 18 სმ; პირის დმ — 8 სმ; ძირის დმ — 8 სმ.

სამარხი № 15-ის სამხრეთ კიდესთან ჭრილში სამარხის პრეპარაციისას გამოჩნდა კოლხური ქვევრის გვერდი. როგორც შემდგომმა გათხრებმა დაადასტურა, ცენტრალური ტერასის ამ მონაკვეთზე (ნაკ. 67, კვ. $e_{3-4}$—$f_{3-4}$) ქვევრებიანი ნაგებობა მდგარა[29]. გამოვლინდა 6 სხვადასხვა ტევადობის ადრეელინისტური ხანის კოლხური ქვევრი (ერთი ძალიან დაზიანებული). ქვევრები ერთმანეთთან მჭიდროდ იყვნენ ჩაფლული საკმაოდ მცირე ფართობზე—3 მ×3 მ-ზე. ეს ფართობი შემოსაზღვრული ყოფილა ხის ძელებით. მის ოთხივე მხარეს ფიქსირებულია დანახშირებული ძელის ფრაგმენტები და ბათქაშები (სურ. $72_{1-5}$). ბათქაშებით იყო დაფარული ქვევრებიც და ნაგებობის შიდა ფართობიც. ბათქაშებში და ქვევრებში აღმოჩნდა ქვევრების თანადროული, ე. ი. ადრეელინისტური ხანის კერამიკული ფრაგმენტები — კოლხური ამფორების ნატეხები (სურ. $74_{1-4}$), ყავისფერკეციანი ქვაბ-ქოთნების ჰორიზონტალური სახელურები, ყავისფერკეციანი, გაპრიალებული დოქის გოფრირებული ყელი და სხვა.

სტრატიგრაფიულად ქვევრებიანი ნაგებობა სამარხის თანადროულია და შესაძლოა ეს ქვევრები დაკრძალვის გარკვეულ რიტუალთან იყოს დაკავშირებული მით უმეტეს, რომ ნაქალაქარის ამ მონაკვეთზე დაახლოებით ერთი პერიოდის (ძვ. წ. IV ს. მესამე მეოთხედი — ძვ. წ. III ს. პირველი ნახევარი) სამი სამარხია აღმოჩენილი — № 9, 10, 15 (სურ. 73). ამ ფართობზე რომ სხვა სამარხებიც ყოფილა, რომლებიც შემდეგდროინდელ მშენებლობისასაა დანგრეული, მიუთითებს ფენებიდან მომდინარე ძვ. წ. IV—III საუკუნეების მასალა: შავლაკიანი კილიკის და კანთაროსის ფრაგმენტები (სავ. № 07—1:78/1055, 1064), თეთრანგობიანი, წითლად მოხატული ჭურჭლის ფრაგმენტები (სავ. № 07—1:78/1056, 1057, 1058, 1059), რუხად გამომწვარი თიხის ირიბკალთიანი ჯამი (სავ. № 07—1:78/1063), № 15 სამარხში ფიქსირებული ტიხრის ანალოგიური ფრაგმენტები, სამარხი ორმოს ჩრდილოეთ კედლის გარეთ აღმოჩენილი თავის ქალა და მრავალი სხვა.

---

[29] ПАИ в 1979 г., с. 82.

49 ნაკვეთის გ7-10 კვადრატებში გასუფთავდა თირში ამოჭრილი არხი, რომელიც ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ მიემართება, ნაკ. 67 გ2 კვადრატამდე აღწევს და აქ წყდება, ხოლო ჩრდილოეთისკენ გაუთხრელ ფართობში შედის. არხი № 15 სამარხს აქვს დაზიანებული. არხის სიგანე 0,8—0,9 მ-ია, სიღრმე — 0,4—0,5 მ.

ცენტრალური ტერასის ამ მონაკვეთზე ცხოვრების შემდეგი ეტაპებია ფიქსირებული: 1. ძვ. წ. I საუკუნე — თიხატკეპნილი იატაკის დონე; 2. ძვ. წ. II საუკუნე — № 1, 2 კედლები, რომლებზეც გადადის თიხატკეპნილი იატაკი; 3. ძვ. წ. III—II საუკუნეები — 17 მ-იანი კედელი; 4. ძვ. წ. III საუკუნის დასაწყისი — სამარხი № 15; 5. ძვ. წ. IV—III საუკუნეები — „თეთრი საკურთხეველი" და ქვევრებიანი ნაგებობა; 6. წინარეელინისტური ხანა — თირში ამოჭრილი არხები და აქედან მომდინარე ადრეანტიკური ხანის კერამიკა; 7. წინარეანტიკური ხანა — თირის ქვით ნაგები საკურთხეველი, მასთან აღმოჩენილი კერამიკა და 67 ნაკ. Í2 კვადრატში ფიქსირებული ბათქაშიანი ფენა, რომელიც უშუალოდ თირზე დევს და შეიცავს წინარეანტიკური ხანის კერამიკულ ნაშთებს.

სამარხი № 10. ცენტრალური ტერასა, ნაკ. 68[30]. სამარხი წარმოადგენს თირში ამოკვეთილ პატარა ზომის ოვალურ ორმოს (1,4×0,9 მ). ზომის მიხედვით სამარხი ბავშვის უნდა იყოს. ჩონჩხი არ შემონახულა. ინვენტარი განლაგებული იყო ორმოს კიდეების გასწვრივ, მათ შორის მცირე ფართობზე მხოლოდ ბავშვი დაეტეოდა (სურ. 75$_{1,2}$).

სამარხეული ინვენტარი:

1. საყურე რგოლები ოქროსი (სავ. № 07—1:69/373), წყვილი, თითოეული წარმოადგენს ერთმანეთზე შეკიდულ ორ სხვადასხვა ზომის რგოლს, რომელთაც ბოლოები გახსნილი აქვთ და ერთმანეთზე გადასული. რგოლები მასიური, მრგვალგანივკვეთიანი მავთულისგანაა დამზადებული. (სურ. 76$_2$)[31].

დიდი რგოლის დმ 2,3 სმ, მცირე რგოლის — 1,9 სმ.

ინახება საქ. სახ. მუზეუმის სეიფში (ინვ. № 10—975—37).

2. სამაჯური ოქროსი (№ 07—1:69/374), ზურგსწორი, გახსნილი, ბოლოები შემსხვილებულია, ერთმანეთზეა გადასული და ირგვლივ ჭდეებითაა შემკული. (სურ. 76$_1$)[32].

სამაჯურის უდიდესი დმ — 4,8 სმ.

ინახება საქ. სახ. მუზეუმის სეიფში (ინვ. № 10—975:38).

---

30 სამარხი № 10 გაითხარა 1969 წელს და იმავე წლის ანგარიშშია გამოქვეყნებული (იხ. ოთ. ლორთქიფანიძე, რ. ფუთურიძე, ვ. თოლორდავა, ა. ჭყონია, არქეოლოგიური გათხრები ვანში 1969 წელს, ვანი I, გვ. 211—213), თითქმის საილუსტრაციო მასალის გარეშე. რადგან ეს სამარხი ნაქალაქარის იგივე უბანზეა აღმოჩენილი, რომელსაც წინამდებარე ანგარიში ეძღვნება, მიზანშეწონილად ვცანით მისი მეორედ გამოქვეყნება მასალის სრული ილუსტრაციის თანდართვით.

31 ვანი I, გვ. 211; ა. ჭყონია, ოქროს სამკაულები ვანის ნაქალაქარიდან, ვანი VI, გვ. 114, კატ. № 86, სურ. 42, 86.

32 ვანი I, გვ. 211; ა. ჭყონია, დასახ. ნაშრ., გვ. 124, კატ. № 178, სურ. 56, 178.

3. სამაჯური ვერცხლისა (სავ. № 07—1:69/375), გახსნილია, ზურგბრტყელი, მრგვალგანივკვეთიანი, ბოლოები ირგვლივ ღარებითაა შემკული და ერთმანეთზეა გადასული (სურ. $76_3$)[33].

სამაჯურის უდიდესი დმ — 4,5 სმ.

ინახება საქ. სახ. მუზეუმის სეიფში (ინვ. № 10—975:39).

4. სამაჯური ბრინჯაოსი (სავ. № 07—1:69/337), ოთხკუთხაგანივკვეთიანი, მთლიანად სხმული, ზურგსწორი, გახსნილი. რკალის შუა ნაწილი და ბოლოები დრაკონის თავის სტილიზებული გამოსახულებებით აქვს შემკული, მათ შუა არე კი ღარების რიგით და ჰდეული წერტილების მონაცვლეობით (სურ. $76_5$)[34].

უდ. დმ — 6,6 სმ.

5. სამაჯური ბრინჯაოსი (სავ. № 07—1:69/376), მრგვალგანივკვეთიანი, ზურგსწორი. რკალი და ბოლოები შემკულია კასრისებური შვერილებით (სურ. $76_5$[35]).

უდ. დმ — 4,8 სმ.

6. ბეჭედი ვერცხლისა (სავ. № 07—1:69/378), მრგვალფარაკიანი, ინტალიო, რკალი ქვედა ნაწილში გახსნილია და პირი პირზე აქვს მისული. ფარაკზე ამოკვეთილია მჯდომარე ადამიანის ფიგურა, რომელსაც მარჯვენა ხელში ტოტი უჭირავს, ხოლო მარცხენაში რგოლი. ასეთივე პატარა ზომის სამი რგოლი ამოკვეთილია გამოსახულების წინ (სურ. $76_4$).

მ. ლორთქიფანიძე ამ ბეჭედს ძვ. წ. V—IV სს. ათარიღებს და მის ფარაკზე ამოკვეთილ გამოსახულებას ხეთურ გავლენას უკავშირებს[36].

ინახება საქ. სახ. მუზეუმის გლიპტიკის კაბინეტში (ინვ. № 1216).

7. ბეჭედი ბრინჯაოსი (სავ. № 07—1:69/379), მრგვალფარაკიანი. ფარაკი სადა (სურ. $76_6$[37]).

8. კოლხური თეთრი 3 ც. (სავ. № 07—1:69/380), ნახევარდრაქმები. ორი მონეტის შუბლზე გამოსახულია მარჯვნივ მიმართული ქალის თავი ხაზოვან რკალში, ხოლო მესამეზე იგივე გამოსახულება შერწყმული წერტილებისგან შედგენილ რკალში. სამივე მონეტის ზურგზე — მარჯვნივ მიმართული ხარის თავის გამოსახულება, ხაზოვან რკალში (სურ. $66_{3, 4}$[38]).

9. მძივები გიშრისა და გაუმჭვირვალე მინისა (სავ. № 07—1:69/381). მათგან 20 გიშრის ცილინდრული მძივია; 22 გიშრის საკიდი, ბრტყელი. მათი ზედა ნაწილი პირამიდული ფორმისაა, თავმომრგვალებული, ქვედა კი მართკუთხა, ზედა ნაწილში გახვრეტილია; გაუმჭვირვალე მინის მძივები მრგვალი და მსხლისებური ფორმისა — 49 ლურჯი, 27 ყვითელი და 62 მწვანე (სურ. $76_7$[39]).

10. სანელსაცხებლე, ვარდისფრად გამომწვარი თიხისა (სავ. № 07—1:69/384), სფერულმუცლიანი, დაბალქუსლიანი. ძირი ოდნავ შედრეკილი აქვს. პირი

---

33 ვანი I, გვ. 211, 212.

34 ვანი I, გვ. 212.

35 ვანი I, გვ. 212.

36 ვანი I, გვ. 212; დაწერილებით ამ ბეჭდის შესახებ იხ. მ. ლორთქიფანიძე, არქაული და „არქაიზირებული" საბეჭდავი-ბეჭდები ვანიდან, ვანი II, გვ. 155—159, სურ. 132,6; 133,6 (განხილულია ბრინჯაოს ბეჭდებთან ერთად).

37 ვანი I, გვ. 212.

38 ვანი I, გვ. 212; გ. დუნდუა, გ. ლორთქიფანიძე, მონეტები ვანიდან, ვანი III, გვ. 130, 131.

39 ვანი I, გვ. 212; ე. გიგოლაშვილი, მძივსამკაული ვანიდან, ვანი VII, გვ. 107, 108, 111, კატ. № 444, 446, 448.

პროფილირებული. ზედაპირი მოყავისფრო-წითელი განივი ზოლებით აქვს მოხატული (სურ. $77_1$)[40].

სიმაღლე — 11,5 სმ, პირის დმ — 3 სმ, ძირის დმ — 3 სმ.

11. დოქი, ღია ვარდისფრად გამომწვარი თიხისა (საც. № 07—1:69/385), პირგადაშლილი, დაბალმუცლიანი, ძირბრტყელი. მშვილდისებური, მრგვალგანივკვეთიანი ყური პირის კიდეზე და მხარეზეა დაძერწილი. დოქი მოხატულია — ღია ფერის ანგობზე წითელი საღებავით გეომეტრიული ორნამენტია დატანილი (სურ. $77_1$)[41].

სიმაღლე — 16 სმ, პირის დმ — 6,5 სმ, ძირის დმ — 6 სმ.

12. დოქი, რუხ-მოწითალოდ გამომწვარი თიხისა (საც. № 07—1:69/382), პირგადაშლილია, ყელი ვიწრო აქვს და დაბალი, მუცელი, ბიკონუსური, ძირი ბრტყელი, ყური ოვალურგანივკვეთიანია. მუცელს ირგვლივ ტალღოვანი ორნამენტის სარტყელი შემოუყვება (სურ. $78_1$)[42].

სიმაღლე — 18,5 სმ, პირის დმ — 8,5 სმ, ძირის დმ — 7 სმ.

13. დოქი, რუხ-მოწითალოდ გამომწვარი თიხისა (საც. № 07—1:69/387), პირგადაშლილია, ვიწროყელიანი, მხრებდაქანებული და ძირბრტყელი. ყური მრგვალგანივკვეთიანია. მუცლის ირგვლივ ტალღოვანი ორნამენტის სარტყელი შემოუყვება (სურ. $77_2$, $78_2$)[43].

სიმაღლე — 16 სმ, პირის დმ — 6.5 სმ, ძირის დმ — 5.5 სმ.

14. დოქი, ლეგად გამომწვარი თიხისა (საც. № 07—1:69/386), ყელმაღალი, პირგადაშლილი, მრგვალმუცლიანი და ძირბრტყელი. მრგვალგანივკვეთიანი მშვილდისებური ყური მხართან იწყება და პირს ქვემოთ, თითქმის ყელის შუა ნაწილს უერთდება. დოქის ზედაპირი გაპრიალებულია, ყელი გოფრირებული. მხარი შემკულია ძირისკენ წვეტებით მიმართული ამოკაწრული სამკუთხედებით, სამკუთხედების შიდა არე დაშტრიხულია. მუცელს გარშემო სამი, საკმაოდ ღრმა ღარი შემოუყვება (სურ. 77)[44].

სიმაღლე — 16 სმ, ყელის სიმაღლე — 8 სმ, პირის დმ — 5 სმ, ძირის დმ — 6 სმ.

15. ქოთანი, რუხ-მოწითალოდ გამომწვარი თიხისა (საც. № 07—1:69/383), ცალყურა, მრგვალმუცლიანი, ძირბრტყელი (სურ. $77_5$; $78_3$)[45].

ქოთანი აღდგენილია, ნაკლულია, აკლია პირი და კედლის ნაწილი.

შერჩენილი სიმაღლე — 10,5 სმ, ძირის დმ — 7 სმ.

16. სასმისი, ლეგად გამომწვარი თიხისა (საც. № 07—1:69/388)[46], ზედაპირგაპრიალებული; პირი თეფშისებურად აქვს გადაშლილი, თითქმის ცილინდრული ტანი ძირისკენ მკვეთრადაა დაქანებული და ქუსლში გადადის (ქუსლი

---

[40] ვანი I, გვ. 212, სურ. 179; ე. თ ო ლ ო რ დ ა ვ ა, თიხის სანელსაცხებლეები ვანიდან, ვანი VII, გვ. 75, 76, კატ. № 357, სურ. 34, 357.

[41] ვანი I, გვ. 212.

[42] ვანი I, გვ. 212.

[43] ვანი I, გვ. 213, სურ. 180.

[44] ვანი I, გვ. 212, სურ. 180.

[45] ვანი I, გვ. 212.

[46] ვანი I, გვ. 213, სურ. 281.

მოტეხილი აქვს). სასმისი შემკულია სიგრძივ ამოკაწრული წიწვოვანი ორნამენტით (სურ. $78_4$)[47].

ნაკლულია, მოტეხილი აქვს ქუსლი, ყური და პირის ნაწილი.

შერჩენილი სიმაღლე — 21 სმ, მუცლის დმ — 9 სმ.

სამარხი № 10 ძვ. წ. IV ს. მიწურულს განეკუთვნება. დათარიღების საფუძველია მასში აღმოჩენილი თიხის სანელსაცხებლე, ბრინჯაოს სამაჯური და ვერცხლის საბეჭდავი-ბეჭედი, რომელთა გავრცელების თარიღი ძვ. წ. IV ს. მეორე ნახევარია. ასეთ თარიღს მხარს უჭერს კომპლექსიდან მომდინარე სხვა ნივთებიც.

47 აღსანიშნავია, რომ ანალოგიური სასმისი აღმოჩენილია სამადლოში, ძვ. წ. IV ს. ფენაში და სრულიად მართებულად კოლხურ იმპორტადაა მიჩნეული (Ю. М. Гагошидзе, Самадло, Тбилиси, 1979, с. 74, таб. XII, 375). ე. თოლორდავა. ვანი VII, გვ. 75, 76, სურ. 34, 357; გ. ლორთქიფანიძე, ვანი II, გვ. 155—159, სურ. 132,6; ე. თოლორდავა, დაკრძალვის წესები ელინისტური ხანის საქართველოში, თბ., 1980, გვ. 12, ტაბ. II, 1, 2.

ა. ჭყონია

# არქეოლოგიური გათხრები ვანის ნაქალაქარის ცენტრალურ ტერასაზე

(ნაკვეთები 102—103, 117—119)

ვანის ნაქალაქრის ცენტრალურ ტერასაზე, 102—103, 117—119 ნაკვეთებში (ადგილობრივი მოსახლის მ. თვალაბეიშვილის ყოფილი საკარმიდამო ფართობი) არქეოლოგიური გათხრები 1976 წლიდან მიმდინარეობს[1]. ამ ხნის განმავლობაში აღმოჩნდა არაერთი მნიშვნელოვანი ძეგლი, რომლებიც საკმაოდ ვრცელ ქრონოლოგიურ საზღვრებში ექცევა — ძვ. წ. VI—I სს. და შუა საუკუნეები. გათხრილია 1000 $მ^2$-მდე ფართობი და მისი უმეტესი ნაწილი ხუროთმოძღვრულ ძეგლებს უკავია; გარდა ამისა, გასუფთავებულია შუასაუკუნეების ეკლესიის ნანგრევები (ადგილობრივი მოსახლის ვ. გაბუნიას საკარმიდამო ნაკვეთი)[2]. წინამდებარე ანგარიში, სამწუხაროდ, მთელი სისრულით ვერ წარმოადგენს ყველა მონაპოვარს. აქ ყურადღება გამახვილებულია მხოლოდ ძვ. წ. IV—III სს. კომპლექსზე, რომელიც მეტად საინტერესო მასალას იძლევა ხუროთმოძღვრების, კოლხური და შემოტანილი თიხის ნაწარმის, ლითონისა და ძვლის ნივთების, იარაღის, სამკაულის, გლიპტიკური და ნუმიზმატიკური ძეგლების, ხელოსნური წარმოების ნაშთების სახით. მასალის მრავალრიცხოვნების გამო (ინვენტარიზებულია სამი ათასამდე ნიმუში), შეუძლებელია აგრეთვე მისი სრულად აღწერა, დაწვრილებითი ანალიზი და ილუსტრირება. ნაშრომი მიზნად ისახავს არსებული ძეგლების აღნუსხვას, ზოგად დახასიათებას და მათ სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანას, როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროსი ძვ. წ. IV—III სს. ვანის ნაქალაქარისა და საერთოდ, კოლხეთის ისტორიისა და მატერიალური კულტურის კვლევისთვის. ძვ. წ. IV—III სს. კომპლექსის გათხრები, ხუროთმოძღვრული ძეგლების ჩათვლით, ჯერჯერობით არ არის დასრულებული. ამდენად, მისი მონოგრაფიული შესწავლა მომავლის საქმეა.

102—103, 117—119 ნაკვეთებში კულტურული ფენების აღების შემდეგ ამჟამად სახეზეა: მონუმენტური კედელი — შემორჩენილია თირის ქვათლილებით ნაგები ფასადის ნაწილი და „ხურდად" გამოყენებული ნახანძრალი რიყის

---

[1] მცირე მოცულობის სამუშაოები განხორციელდა 1972 და 1975 წლებშიც — ნაკვ. 119-ში გაითხარა ძვ. წ. IV—III სს. კულტურული ფენა. იხ. საქძ 1972 წ., თბ., 1973, გვ. 67; ПАИ в 1975 г., Тбилиси. 1979, с. 67, табл. VIII.

[2] ყოველწლიური გათხრების მოკლე ანგარიშები გამოქვეყნებულია: ПАИ в 1976, Тбилиси, 1979; с. 138—140, табл. VI, 2—3; ПАИ в 1977 г., Тбилиси, 1980, с. 150—152, табл. XXII, 6—10; ПАИ в 1978 г., Тбилиси, 1981, с. 114—115, табл. IV, 3—4; ПАИ в 1979 г., Тбилиси, 1982, с. 80—81, табл. I; ПАИ в 1980 г., Тбилиси, 1984, с. 51, табл. XV, 1; ПАИ в 1982 г., Тбилиси, 1985, с. 47, табл. XX—XXI: ПАИ в 1983 г.

ქვები. მის აღმოსავლეთით მიმდებარე ფართობზე — პირობითად „არხი“ — თირში ნაკვეთი ქვაბული, აგრეთვე თირში ნაკვეთი ბუდეები, ფოსოები და სხვა; საკირე ქურა; „არხში“ — კირქვის ქვათლილებისგან ნაგები კედლის ნაშთები. დასავლეთით მიმდებარე მონაკვეთზე — ქვაფენილი და მისი შემომსაზღვრელი რიყის ქვების კედლები; ნაკვეთი 103-ში კედლის ნაშთები (სურ. 79)[3].

მონუმენტური კედელი (საველე დოკუმენტაციის მიხედვით — გადამწვარი კედელი) გამოვლინდა 22 მ სიგრძეზე (ნაკვ. 103, კვ. $e_{10}$, $f_{7-10}$, $g_{8-10}$, $h_{6-7}$; ნაკვ. 118, კვ. $d_{3-8}$, $e_{1-8}$, $f_{1-8}$. სურ. $80_{1-5}$). კედელი მიმართულია ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთისაკენ; მისი საზღვრები დადგინდა, ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეს — სხვა კედელი, კუთხით მიმართული, აქ არ ჩანს. სამხრეთ-დასავლეთით კედელი შედის ადგილობრივი მოსახლის ვენახში. შემორჩენილია ნაწილობრივ აღმოსავლეთი საფასადო მხარე, 11 მ სიგრძეზე, და „ხურდად“ გამოყენებული რიყის ქვები, ძლიერი ცეცხლის შედეგად — დამსკდარი, ან გამლღვარი. კედლის სისქე 3 მ-ს აღწევს, დასავლეთი საფასადო მხარის გათვალისწინების გარეშე. კედელი დედაქანზე — თირზეა ამოყვანილი. სამხრეთ-დასავლეთ მონაკვეთზე[4] გადარჩენილია მხოლოდ ფასადის ქვათლილებისთვის განკუთვნილი თირში ნაკვეთი ბუდეები. ჩრდილო-აღმოსავლეთ მონაკვეთზე კედლის სიმაღლე 5 მ-ს აღემატება, ხოლო ქვათლილების წყობა 3, 10 მ (17 რიგი) შემორჩა (ნაკვ. 118, კვ. $g_1$; ნაკვ. 103, კვ. $g_{9-10}$) — აქ თირი-კლდე არხისებურადაა ჩაჭრილი (იხ. ქვემოთ). ქვათლილები შედარებით მაგარი ჯიშის თირისაა; ისინი ერთმანეთთან მჭიდროდაა მორგებული (მშრალი წყობა). მათი სიგრძე 40—80 სმ-ს შორის მერყეობს, სიმაღლე 11—20 სმ-ს შორის; წყობის ქვედა რიგები შედგენილია შედარებით დიდი ზომის ქვათლილებისგან. საფასადო მხარე ამოყვანილი იყო ქვათლილების ორი ან მეტი წყებით, რაც ნათლად ჩანს ზედა დაზიანებული ნაწილის მიხედვით. კედლის „ხურდაში“ გამოირჩევა რიყის ქვების ჯგუფები, რომლებიც, მართალია, ძლიერი ცეცხლის კვალს ატარებს — მოწითალო ელფერი აქვს, დამსკდარია, მაგრამ ერთმანეთთან შედუღებული არ არის. ისინი მოქცეულია გამლღვარი ქვების მასებს შორის გარკვეული კანონზომიერებით. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ნაღვენთებად ქცეულ გამლღვარ ქვებზე შემორჩენილია ხის — ფიცრის მსგავსი ანაბეჭდები. ყოველივე ეს რთულ კონსტრუქციული ელემენტების არსებობაზე მიუთითებს, სადაც მონაწილეობას იღებდა ხის მასალაც[5]. ამის დოკუმენტურ დასაბუთებას იძლევა კედელთან, დასავლეთი საფასადო მხარის ძიების მიზნით გაკეთებულ თხრილში (ნაკვ. 103, კვ. $e_{3-9}$), კედლის არსებული ზედაპირიდან 1,40—1,60 მ სიღრმეზე დანახშირებული ძელების თუ ფიცრების ფრაგმენტების აღმოჩენა. ძლიერი დაზიანების გამო მათი ამოღება ვერ მოხერხდა. ადგილზე დაფიქსირდა ზოგიერთი ნიმუშის სისქე (3—5 სმ); რამდენიმე ფრაგმენტზე შემორჩენილი იყო მცირე ზომის ნახვრეტები.

---

3 ნაკვ. 103, კვ. $a_{3-6}$ — $l_{4-6}$-ში გამოვლენილი კედლის ნაშთები ძლიერ ფრაგმენტულია. ჯერჯერობით ვერ ხერხდება მათი დათარიღებაც (გვიანელინისტური ხანა? შუასაუკუნეები?). ამიტომ გათხრების დასრულებამდე ამ ძეგლზე საგანგებოდ აღარ შევჩერდებით.

4 სამხრეთ-დასავლეთი და ჩრდილო-აღმოსავლეთი, ზოგჯერ მოკლედ — სამხრეთი და ჩრდილო-მონაკვეთები იხმარება უღელთან (საველე დოკუმენტაციის მიხედვით WO უღელი) მიმართებით (სურ. 79). ამჟამად უღელი მოხსნილია.

5 „გადამწვარი კედლიდან“ აღებულია ნიმუშები სსრკ მეცნიერებათა აკადემიის დედამიწის ფიზიკის ინსტიტუტის მთავარი გეომაგნიტური ველის განყოფილების თანამშრომელთა მიერ. გამოკვლევის შედეგები ჯერ ცნობილი არ არის.

მონუმენტური კედლის სამხრეთ-აღმოსავლეთით მიმდებარე ფართობზე დაფიქსირდა ძვ. წ. II—I სს. კულტურული ფენა (საველე დოკუმენტაციის მიხედვით — ქვაყრილი, კრამიტების ნაყარის შემცველი ფენა, ალიზის ნაშალის შემცველი ფენა), რომელიც ზემოდან გადადიოდა კედლის ნანგრევებზე — ქვათლილების ზედა შემორჩენილ რიგსა და ქვათლილებისთვის განკუთვნილ ბუდეებზე. ხოლო კედლის გადამწვარი მასები არსებული მიწის ზედაპირიდან ახლოს (10—25 სმ სიღრმეზე) იყო განლაგებული, რამდენიმე შემთხვევაში გაშიშვლებულიც[6]. გადამწვარი ქვების ზემოთ აღებული შავ ჰუმუსნარევ ფენაში მასალა არ აღმოჩენილა.

ძვ. წ. II—I სს. კულტურული ფენა, რომლის სისქე 0,30—1,80 მ შორის მერყეობდა, სამხრეთ მონაკვეთზე უშუალოდ თირი-კლდის ზედაპირზე იყო დაფენილი. ის დაზიანებულია შუასაუკუნეების ხანაში: კედლის გაწვრივ აღმოჩნდა ქრისტიანული წესით გამართული 7 უინვენტარო სამარხი (სურ. 81$_1$)[7], რომლებიც იქვე არსებულ (ნაკვ. 118, ადგილობრივი მცხოვრების ე. გაბუნიას კარმიდამო) ეკლესიას უკავშირდება; გადა ამისა, ფენაში და ნაწილობრივ, თირკლდეში ჩადგმული იყო საკირე ქურა (სურ. 81$_2$)[8], როგორც ჩანს, ეკლესიის მშენებლობის ხანისა (ეკლესიის კედლების წყობაში გამოყენებულია კირხსნარი). ქურის მოქმედების დროს მიეკუთვნება აგრეთვე მის მახლობლად ფიქსირებული კირქვის ანატკეცებისა და ქვების გროვები, რომელთა სრულად გამოყენება თავის დროზე ვერ მოხერხდა, მსგავსად ქურაში მოთავსებული მასალისა. ერთ-ერთ ასეთ გროვაში აღმოჩნდა ელინისტური ხანის შეღებილი რელიეფის ფრაგმენტი მეეტლეს გამოსახულებით[9].

ძვ. წ. II—I სს. კულტურულ ფენაში დიდი რაოდენობითაა მოპოვებული სამშენებლო კერამიკა და ამ ხანის თიხის ნაწარმის სხვა დამახასიათებელი ნიმუშები — ყავისფერკეციანი (კოლხური) და შემოტანილი ამფორების ფრაგმენტები, წითელლაკიანი სუფრის ჭურჭელი, საწაფები და ა. შ. განსაკუთრებული

---

6 მაგალითად, კედლის ჩრდილო-აღმოსავლეთი კიდე (ნაკ. 103, კვ. გ$_6$) გათხრების დაწყებამდე ხავსით იყო დაფარული. აქ, გადამწვარი ქვების ნაპრალებში, ფესვები გაედგათ ბროწეულისა და აკაციის ხეებს.

7 ორი სამარხი ქვის ფილებითაა შემოსაზღვრული, ოთხი სამარხი თირ-კლდეში ნაკვეთ ორმოებშია გამართული, ერთი — პირდაპირ ფენაშია ჩაშვებული. №№ 1 და 2 სამარხებში ორ-ორი ჩონჩხი აღმოჩნდა (№ 1 სამარხში ერთი მიცვალებულის ჩონჩხი მიხვეტილი იყო, მეორე ჩონჩხი გაშოტილ მდგომარეობაში; ორივე ჩონჩხი მამაკაცისაა. № 2 სამარხში ერთად იყო დაკრძალული 35—40 წლის დედაკაცი და 13—15 წლის მოზარდი). ყველა სამარხში, ზემოაღნიშნული ერთი შემთხვევის გარდა, ჩონჩხი გაშოტილ მდგომარეობაში დაფიქსირდა, თავით დასავლეთისკენ (ე. ი. მიცვალებული სახით აღმოსავლეთისკენ იყო მიპყრობილი), ზედა კიდურები გულმკერდზე დაკრეფილი. ამ სამარხების ძვლოვანი მასალა შეისწავლა ანთროპოლოგმა ლ. ასლანიშვილმა.

8 ქურა წრიულია, შეერილის სახით გამოყოფილია საცეცხლე არხი, მიმართული აღმოსავლეთისკენ (ნაკვ. 118, კვ. f$_{6-6}$, გ$_{5-6}$). დმ გარე მხრიდან (NS) — 1,90 მ, საცეცხლე არხის სიგრძე 1,30 მ, სიგანე — 0,42 მ. ქურის ქვედა ნაწილი (ქვედა სართული?) თირ-კლდეში ჩაჭრილ ორმოშია გამართული, ზედა ნაწილის კედლები კი ბათქაშის სახითაა წარმოდგენილი, რომელიც შესაძლებელია გამაგრებული იყო კრამიტების ფრაგმენტებით. საცეცხლე არხი გვერდებიდან შემოსაზღვრულია დიდი ზომის თითო ფილით. არხში შემორჩა, ამჟამად გაქვავებული, ნაცრის ნაშთები. ქურის შიდა ფართობი კირქვებისა და კირის ერთიან მასას წარმოადგენს — ქურა დანგრეულ-გაუქმებულია ისე, რომ ამ მასალის ბოლომდე გამოყენება ვერ მოესწრო. აღსანიშნავია, რომ ქურის საცეცხლე არხთან მცირე ფართობზე—70 (NS) × 50 (WO) მ2 — დაფიქსირდა 30—60 სმ სისქის ძვ. წ. IV—III სს. კულტურული ფენა.

9 ПАИ в 1978 г., табл. IV, 4.

აღნიშნის ღირსია კირქვის აკროტერიუმი, შემკული მცენარეული ორნამენტითა და ფრინველების გამოსახულებებით[10]; ოქროს მონეტა — ლისიმაქეს სტატერის ტიპის მინაბაძი[11]; ერთ გროვად აღმოჩენილი ვერცხლის მცირე ზომის ლურსმნები[12].

სამხრეთ მონაკვეთზე ძვ. წ. II—I სს. კულტურული ფენის აღების შემდეგ გაშიშვლდა თირი-კლდის ზედაპირი, დაქანებული აღმოსავლეთისკენ. აღმოჩნდა თირში ნაკვეთი სხვადასხვა სახის ბუდეების, ორმოების (სამარხის ორმოების გარდა) მთელი წყება, რომელთაგან ერთი ნაწილი, „გადამწვარი კედლის" გასწვრივ, საფიქრებელია, სამშენებლო ხარაჩოების კონსტრუქციებისთვის იყო განკუთვნილი (სურ. 81)[3].

ჩრდილოეთ მონაკვეთზე ძვ. წ. II—I სს. ფენის ქვეშ დაფიქსირდა ძვ. წ. IV—III სს. კულტურული ფენა (საველე დოკუმენტაციის მიხედვით — ნაცრისფერი ყვითელნარევი ფენა, ნაცრისფერი ფენა), რომლის სისქე 1,40—3,20 მ შორის მერყეობდა. ფენა განსაკუთრებით მძლავრი იყო იქ, სადაც თირი-კლდის ზედაპირი ორი მხრიდან — ჩრდილოეთით და სამხრეთით — მკვეთრ დაქანებას ქმნის—არხისებურადაა ჩაჭრილი (ნაკვ. 103, კვ. $g_{10}$, $h_{10}$, $i_{10}$; ნაკვ. 118, კვ. $g_{1-2}$, $h_{1-2}$, $i_{1-2}$, $k_{1-2}$). აღმოსავლეთისაკენ მისი სისქე თანდათანობით კლებულობდა.

ძვ. წ. IV—III სს. კულტურული ფენა გარე მხრიდან ფარავდა „გადამწვარ კედელს" 2,5—3 მ სიმაღლეზე (რაც თითქმის ემთხვევა ქვათლილების ზედა შემორჩენილ რიგს). ძლიერი ხანძრისა და ნგრევის დროს კედელი ქვემოთ, ამ დონემდე, არ დაზიანებულა — ცეცხლის კვალი ქვათლილებს არ ეტყობათ. ფენის ზედა დონეზე დაფიქსირდა კედლიდან გადმოვარდნილი თირის ქვათლილები (სურ. $81_4$) — ე. ი. კედლის ნგრევა მომხდარა აქ ფენის უკვე არსებობის დროს.

ფენა, მიუხედავად სიმძლავრისა, ერთგვაროვანია[13]; წარმოადგენს თიხნარს, მკვრივია; შეიცავს ნაშალ თირს (ზოგჯერ დიდი რაოდენობით მისი შემცველობა განაპირობებს ფენის მოყვითალო ელფერს). ფენაში აღინიშნა ნახშირის მცირე ზომის ფრაგმენტების სიმრავლე, აგრეთვე, თირის ქვის ანატკეცების არსებობა. რამდენიმე შემთხვევაში დაფიქსირდა ნაცროვანი შრეები (განსაკუთრებით მძლავრად ნაკვ. 119-ში). ქვედა დონეზე, თირი- კლდის ზედაპირთან ახლოს (მონუმენტური კედლის ქვათლილების შემორჩენილი ზედა რიგიდან 3,05 მ სიღრმეზე—იგულისხმება ნაკვ. 118, კვ. $g_1$-ის შუა ხაზი) აღმოჩნდა მოლესილობის მსგავსი მკვრივი თიხნარი, წარმოდგენილი დიდი მასების (4×2,5 მ² ფართობზე — ნაკვ. 103, კვ. $g_{10}$, $h_{10}$; ნაკვ. 118, კვ. $g_1$, $h_1$) ან შედარებით მცირე ფრაგმენტების სახით (ნაკვ. 118, კვ. $i_{1-2}$). „მოლესილობის" ზედაპირი არათანაბარი იყო. ხშირად ამ თიხნარ მასაში (სისქე 3—8 სმ) მკვრივად იყო ჩამჯდარი თიხის პურჭლის ფრაგმენტები. აღინიშნა ნაშალი თირისა და მცირე

---

10 № 07:1—79:104. ПАИ в 1979 г., табл. I.

11 № 07:1—79:104. მონეტა ძვ. წ. II ს.-ის მიწურულით თარიღდება (შეისწავლა გ. დუნდუამ). ამ ნიმუშის გარდა ვანის ნაქალაქარზე ლისიმაქეს სტატერის ტიპის მინაბაძის მხოლოდ ერთი ცალია შემთხვევით აღმოჩენილი (გ. დ უ ნ დ უ ა, გ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, მონეტები ვანიდან. ვანი III, თბ., 1977, გვ. 122).

12 №№ 07:1—79:62—69, 72—75, 80—85, 87, 125—126 (შდრ. ვანი VI, თბ., 1981, გვ. 88).

13 ფენის ერთგვაროვნებას ადასტურებს მასალის შესწავლა სხვადასხვა დონეების (ჰორიზონტების) მიხედვით. იხ. გათხრების ყოველწლიური დოკუმენტური ანგარიშები (ინახება პალეოურბანისტული კვლევის ლაბორატორიაში).

ზომის ანატკეცების შემცველობაც (სურ. $81_{5-6}$). მოლესილობის დანიშნულების გარკვევა ვერ მოხერხდა. აღსანიშნავია, რომ აქ დაფიქსირებული მასალა მსგავსია მთელ ფენაში აღმოჩენილი ნიმუშებისა. ამ მხრივ განსხვავებას არ იძლევა მის ქვეშ თირი-კლდის ზედაპირამდე გათხრილი 20—30 სმ სისქის ფენა.

ძვ. წ. IV—III სს. კულტურული ფენა, ნაწილობრივ, „მოლესილობაც", ზემოდან გადადიოდა კედლის ნანგრევებზე (საველე დოკუმენტაციის მიხედვით — თეთრი კედელი), რომელიც აღმოჩნდა ნაკვ. 118, $k_{1-2}$, $i_2$ კვადრატებში. კედელი ამოყვანილია თირ-კლდეზე, პარალელურია მონუმენტური კედლისა (NO—SW), მაგრამ მშენებლობის ტექნიკით მისგან განსხვავდება: ნაგებია კირქვის უსწორო ფორმის ქვებისგან (სიგრძე 28—50 სმ, სიმაღლე 9—15 სმ), რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულია თიხა-მიწით; რამდენიმე შემთხვევაში ქვებს შორის ჩადგმულია 20—30 სმ სიგრძის ფილები. კედლის სიგრძე— 4,5 მ, სიმაღლე — 0,6 მ (შემორჩა წყობის 3—4 რიგი). კედელი ორივე მხარეს — ჩრდილო-აღმოსავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით — მოქცეულია თირში ნაკვეთ ბუდეებში (ჩრდილო-აღმოსავლეთ ბუდეში, თეთრი ქვების ნაცვლად, დიდი ზომის რიყის ქვებია ჩაწყობილი). თეთრ კედელს ჩრდილო-დასავლეთი მხრიდან ებჯინება რიყის ქვები, რომლებიც წყობის „ხურდას" უნდა წარმოადგენდეს (სურ. $82_{1-2}$)[14].

კედლის ნანგრევებთან კულტურულ ფენაში დიდი რაოდენობით აღმოჩნდა ნახშირის მცირე ფრაგმენტები, ნაცარი, მცირე ზომის წიდები. წყობის მესამე რიგის დონეზე დაფიქსირდა ნახშირის უხვად შემცველი თიხნარი მასები და ბათქაშების ფრაგმენტები (ხელოსნური წარმოების ნაშთები?—იხ. ქვემოთ).

ჩრდილოეთ მონაკვეთზე ძვ. წ. IV—III სს. კულტურული ფენის აღების შემდეგ გამოიკვეთა თირ-კლდეში ჩაჭრილი „არხი", მიმართული სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ჩრდილო-დასავლეთისკენ. „არხი" გამოვლენილია 20 მ სიგრძეზე, „გადამწვარ კედელთან" მისი სიგანე 1,9 მ-ია, თეთრ კედელთან — 2,2 მ (იგულისხმება ქვედა დონე); უდ. სიღრმე — 2,7 მ. „არხის" კიდეები არამკვეთრადაა ჩაჭრილი — ზოგჯერ თირის ბუნებრივ დაქანებაში გადადის. „არხში", კიდეების გასწვრივ, აღმოჩნდა ბუდეები და საფეხურების მსგავსი დადაბლება, რაც აქ არსებული ნაგებობის ნაშთები უნდა იყოს (ბუდეების ერთი ნაწილი თეთრ კედელს უკავშირდება). ზოგჯერ ბუდეების ზედაპირი მოწითალო ელფერისაა (ცეცხლის კვალი).

„არხის" დანიშნულებისა და თარიღის გარკვევა ვერ მოხერხდა. აშკარაა მხოლოდ, რომ „არხი" გაუქმებულია მონუმენტური კედლითა და ძვ. წ. IV—III სს. კულტურული ფენით. „არხის" გაგრძელება დაფიქსირდა აგრეთვე მონუმენტური კედლის ჩრდილო-დასავლეთით (სურ. $82_3$).

მონუმენტური კედლის ჩრდილო-დასავლეთით მიმდებარე ფართობზე (ნაკვ. 102—103, 117—118) გაითხარა რიყის ქვებით ნაგები კომპლექსი — ქვაფენილი, შემოსაზღვრული რიყის ქვების მძლავრი კედლებით (სურ. 79: $82_{4-6}$).

ქვაფენილი სხვადასხვა ზომის (უდ. დმ 12—25 სმ) რიყის ქვებითაა გამართული; მცირე რაოდენობით გამოყენებულია კირქვისა და თირის ქვებიც. მისი ფართობი 40 $მ^2$ აღწევს (სიგრძე 8 მ-ია). ქვაფენილზე გამოყვანილია ძლევე

---

[14] კედლის თავისი წყობის ხასიათით დიდ მსგავსებას ამჟღავნებს ცენტრალურ ტერასაზე (ნაკვ. 86) გამოვლენილ ე. წ. თეთრ ნაგებობასთან (ვანი II, თბ., 1976, გვ. 26—28, სურ. 41—44). შესწავლის პირველ ეტაპზე ნაგებობა ზოგადად ძვ. წ. V—IV სს-ით დათარიღდა. 1973 წელს ჩატარებული გათხრების შედეგად თარიღი დაზუსტდა — ძვ. წ. IV—ს-ის მეორე ნახევარი (1973 წლის არქეოლოგიური გათხრების ანგარიში ინახება პალეოურბანისტული კვლევის ლაბორატორიაში).

ძირითადად რიყის ქვებით ოთხი მრგვალი ორმო (ნაკვ. 103, კვ. $c_{6-7}$, $b_8$), სხვადასხვა დიამეტრისა და სიღრმისა (დმ 60—85 სმ-ს შორის მერყეობს, სიღრმე 8—20 სმ-ს შორის).

ქვაფენილი სამი მხრიდან შემოსაზღვრულია რიყის ქვებით ნაგები კედლებით. უფრო ზუსტად, უშუალოდ ქვაფენილთან რიყის კედლები ამოყვანილია სამხრეთ-აღმოსავლეთი (პირობითად — აღმოსავლეთი კედელი) და სამხრეთ-დასავლეთი მხრიდან (პირობითად — სამხრეთი კედელი). ჩრდილო-დასავლეთი მხრიდან ქვაფენილსა და კედელს (პირობითად — დასავლეთი კედელი) შორის აღმოჩნდა 40 $მ^2$-მდე თავისუფალი ფართობი, რიყის ქვების გარეშე. აქ გაითხარა მხოლოდ რიყის ქვების ნახევარწრიული წყობა (ნაკვ. 103 კვ. $a_7$), აგრეთვე დასავლეთი კედლის გასწვრივ ქვაფენილის ფრაგმენტი (თუ დასავლეთი კედლის საფეხურისებური შვერილი? სიგანე 50—80 სმ). (სურ. $83_{1-2}$). ჩრდილო-აღმოსავლეთი მხრიდან ქვაფენილი, როგორც ჩანს, ღია იყო.

აღმოსავლეთი კედელი, ქვაფენილთან შედარებით, მსხვილი რიყის ქვებითაა ნაგები (განსაკუთრებით ფასადი). მისი სიგრძე 8 მ-ია, შემორჩენილი სიმაღლე 0,70—0,80 მ, სიგანე — 5 მ. რიყის კედელი უშუალოდ ებჯინება „გადამწვარ კედელს". აღმოსავლეთი კედლის შიდა ფართობის ნაწილობრივ შესწავლამ (ნაკვ. 103, კვ. $e_{8-9}$) დაადასტურა, რომ რიყის კომპლექსი, კერძოდ, აღმოსავლეთი კედელი, გამართულია „გადამწვარი კედლის" ნანგრევებზე[15].

სამხრეთი კედელი შიდა მხარეს შემორჩენილია 2,80—3,10 მ სიმაღლეზე (ქვაფენილის გარეთ კედელი ჩადის სიღრმეში და ამოყვანილია კულტურულ ფენაზე)[16], სიგრძე 9 მ-ია; სიგანე — 4,30—4,40 მ (სურ. $83_3$). გარე მხრიდან კედლის სიგრძე 16,70 მ-ზეა გამოვლენილი (კედელი ჯერჯერობით ბოლომდე— დასავლეთ კედლამდე არ არის გათხრილი), ხოლო გარე ფასადი — 1 მ სიმაღლეზე. გარე მხრიდან კედელი თირი-კლდის ზედაპირამდე გაითხარა მხოლოდ „გადამწვარ კედელთან" (შემორჩენილი სიმაღლე — 1,40 მ)[17], სადაც დაფიქსირდა მონუმენტური კედლის დასავლეთი საფასადო მხარის შეკეთება რიყის ქვებით (სურ. $83_4$). საფიქრებელია, გადამწვარი ქვები მოპირკეთდა რიყის კედლის მშენებლობის დროს. ეს დეტალი არის კიდევ ერთი მეტყველი საბუთი იმისა, რომ ქვაფენილი და მისი შემომსაზღვრელი კედლები აგებულია მონუმენტური კედლის ნგრევის შემდეგ.

სამხრეთ კედლის ნანგრევებზე, ზემოთ, და კედლის გარეთ აღმოჩნდა ძლიერ დაზიანებული 30 სამარხი, უინვენტარო (რამდენიმე მძივი იყო მხოლოდ ორ სამარხში), უმეტესად პირდაპირ რიყის ქვებზე გაწყობილი. მიცვალებული, როგორც წესი, ესვენა ზურგზე, თავით დასავლეთისკენ. რამდენიმე შემთხვევაში თავთან ქვის ფილა იყო შემორჩენილი. ეს სამარხებიც ეკლესიის არსებობის ხანას უკავშირდებიან (სურ. $83_5$).

დასავლეთი კედელი ძლიერ დაზიანებულია გვიანდელი ნაგებობებით[18]. მისი სიგრძე 9 მ-ს აღწევს (შედარებით კარგად შემორჩა 5,20 მ სიგრძეზე),

---

15 ПАИ в 1981 г., с. 51.

16 ფასადი წარმოდგენილია შვერილების — სამი საფეხურის სახით (ფასადი დაზიანებულია — ჩამონგრეულია აღმოსავლეთ კედელთან). ქვემოდან პირველი საფეხურის სიმაღლე 0,95 მ-ია, მეორესი — 0,70—0,75 მ, მესამეს შემორჩენილი სიმაღლე — 1,20 მ. როგორც ჩანს, სამშენებლო ტექნიკის ეს თავისებურება განაპირობა მასალის (რიყის ქვა) ხასიათმა.

17 ნაკვ. 118, კვ. $d_{2-4}$, $c_{3-5}$.

18 კედლის შიდა ფართობზე დაფიქსირდა გვიანდელი წყობის ნაშთები. მათი თარიღის დადგენა სტრატიგრაფიული მონაცემებით ვერ მოხერხდა (ზემოთ იდო 20—60 სმ სისქის შავი ჰუმუსნარევი ფენა, რომელიც დამათარიღებელ მასალას არ იძლევა). აშკარაა მხოლოდ წყობაში ქვათლილების მეორადი გამოყენება.

უდ. სიმაღლე — 1,20 მ. ფასადი მსხვილი რიყის ქვებითაა ამოყვანილი. აღმოსავლეთი კედლის მსგავსად, გარე მხრიდან მას ებჯინება გადამწვარი ქვების მასები — „გადამწვარი კედელი"? (სურ. 83$_6$). ეს მონაკვეთი ბოლომდე არ არის შესწავლილი; გასათხრელია აგრეთვე, როგორც ზემოთ უკვე იყო მითითებული, სამხრეთ კედელთან შეერთების ადგილი. ამიტომ საბოლოო დასკვნების გაკეთებაც ჯერჯერობით ნაადრევია.

რიყის კედლებით შემოსაზღვრული ფართობი, საფიქრებელია, თავის დროზე გადახურული არ ყოფილა — გადახურვის ელემენტები გათხრების დროს არ დაფიქსირებულა. მთელი ფართობის დაახლოებით ნახევარი უკავია ქვაფენილს თავისი ორმოებით (სარიტუალო მოედანი?). მეორე ნაწილი, ქვაფენილის ჩრდილო-დასავლეთით, მოკირწყლული არ არის. ამ შემთხვევაში უნდა გამოირიცხოს დაზიანება — გათხრების პროცესში მისი კვალი არ დადასტურდა (საერთოდ, მთელ მონაკვეთზე — გათხრილია თირი-კლდის ზედაპირამდე — რიყის ქვები აღმოჩნდა მცირე რაოდენობით).

რიყის ქვებით ნაგებ ამ მეტად საინტერესო კომპლექსს პარალელები ჯერჯერობით არ დაეძებნა. როგორც ჩანს, ის მიეკუთვნება საკულტო ნაგებობათა რიცხვს, დაკავშირებულია ძველი ვანის მოსახლეობის რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებთან და, ამდენად, გარკვეული თავისებურებებისა და ჩვენთვის ამოუცნობი ელემენტების მატარებელია.

კულტურული ფენების მიმართება რიყის ქვებით ნაგებ კომპლექსთან ასეთია:

რიყის კედლების ზემოთ გადადიოდა 0,20—0,90 სმ სისქის შავი ჰუმუსნარევი ფენა, რომელიც შეიცავდა ძვ. წ. IV—I სს. და შუასაუკუნეების მასალას.

შიდა ნაწილში — ქვაფენილზე ზემოთ და კედლებთან — გაითხარა ძვ. წ. IV—III სს. კულტურული ფენა (საველე დოკუმენტაციის მიხედვით — ყვითელი თირნარევი ფენა), რომლის უდ. სისქე სამხრეთ კედელთან 2,30—2,40 მ-ს აღწევდა, ხოლო ჩრდილოეთისკენ მისი სიმძლავრე თანდათან კლებულობდა, ფენა უხვად შეიცავდა ნაშალ თირს. არქეოლოგიური მასალა შედარებით მცირე რაოდენობით იყო ფიქსირებული. მან თავი იჩინა უფრო ქვაფენილის ზედაპირთან ახლოს ძვ. წ. IV—III სს.-ის დამახასიათებელი ნიმუშების სახით (მაგალითად, კოლხური კერამიკა, ყვითელ ანგობზე წითელი ზოლებით მოხატული ჰურჭლის ფრაგმენტები, მსხლისებური მძივები და სხვ. — დაწვრილებით იხ. ქვემოთ).

ქვაფენილის გარეთ, ქვაფენილის დონეზე და ქვემოთ, თირი-კლდის ზედაპირამდე, გაითხარა ასევე ზოგადად ძვ. წ. IV—III სს-ით დათარიღებული კულტურული ფენა (საველე დოკუმენტაციის მიხედვით — ნაცრისფერი თირნარევი ფენა, ყვითელი შავშრეებიანი ფენა). მისი სისქე 0,95—1,60 მ-ს შორის მერყეობდა. ფენაში, ქვაფენილის დონეზე ქვემოთ, გამოიყო ნახშირის ფრაგმენტების უხვად შემცველი, 2—3 სმ სისქის, შავი შრე, რომელიც, შესაძლებელია, მონუმენტური კედლის ნგრევას უკავშირდება.

ძვ. წ. IV—III სს. კულტურული ფენა დაფიქსირდა სამხრეთ კედელთან გარე მხრიდანაც (ნაკვ. 118, კვ. $d_{2-4}$, $c_{2-3}$).

არქეოლოგიური მონაპოვარი ძვ. წ. IV—III სს. კულტურული ფენიდან შესწავლილი იყო ბარისპირებისა ან გარკვეული დონეების მიხედვით[19]. ამ შემთხვევაშიც დადასტურდა მისი ერთგვაროვნება.

---

19 მაგალითად, სამხრეთ კედელთან (ნაკვ. 102, კვ. $i_9$, $k_9$: ნაკვ. 103, კვ. მ$_9$) მასალა შესწავლილია შემდეგი დონეების მიხედვით: 1. ქვაფენილის ზემოთ, 2. ქვაფენილის დონეზე, 3.

ამგვარად, ზემოთითებული სტრატიგრაფიული მონაცემების გათვალისწინებით ნაკვ. 102—103, 117—119-ში აღმოჩენილი ძეგლების ქრონოლოგია შემდეგნაირად წარმოგვიდგება:

1. უძველესია თირში ნაკვეთი „არხი“, რომლის თარიღის დაზუსტება ვერ მოხერხდა.

2. ძვ. წ. IV ს-ის მეორე ნახევარსა და ძვ. წ. III ს. განეკუთვნება „თეთრი კედელი, მონუმენტური („გადამწვარი“) კედელი და რიყის ქვებით ნაგები კომპლექსი ასეთი თანამიმდევრობით: პირველი ნაგებობის გაუქმების შემდეგ აღმართულია მონუმენტური კედელი, ხოლო მის ნანგრევებზე — რიყის კომპლექსი.

3. კულტურული ფენა თარიღდება ძვ. წ. IV—III სს. მართალია, ზოგჯერ შესაძლებელი ხდება ცალკეული ნიმუშის თარიღის დაკონკრეტება — ძვ. წ. IV ს. შუახანები, ძვ. წ. IV ს. დასასრული ან ძვ. წ. III ს., მაგრამ საერთო მონაცემები (მასალის უმეტესი ნაწილი ზოგადად — ძვ. წ. IV—III სს. განეკუთვნება) ეწინააღმდეგება ქრონოლოგიური საზღვრების დავიწროებას. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ კულტურული ფენისა და ხუროთმოძღვრული ძეგლების ურთიერთმიმართება ადასტურებს ამ ფენის წარმოქმნას რამდენიმე ეტაპად (როგორც უკვე იყო მითითებული ძვ. წ. IV—III სს. კულტურული ფენა დაფიქსირდა „თეთრი ნაგებობის“ ნაშთების ზემოთ, მონუმენტური კედლის ნანგრევებში, ქვაფენილის დონეზე და, აგრეთვე, მის ქვემოთ — თირი-კლდის ზედაპირამდე). მაგრამ მასალის შესწავლის დღევანდელ დონეზე შეუძლებელია ვიწრო ქრონოლოგიური ჯგუფების გამოყოფა.

ძვ. წ. IV—III სს. კულტურული ფენის მონაპოვარი მრავალფეროვნებით ხასიათდება. ის წარმოდგენილია კოლხური კერამიკის ნიმუშებით, შემოტანილი თიხის ნაწარმით (ამფორების, წითელფიგურული და სადა შავლაკიანი ჭურჭლის; ყვითელანგობიანი, წითელი ზოლებით მოხატული დოქების, ლუთერიების, ამფორისკების, ტერაკოტების ფრაგმენტების სახით), სამშენებლო კერამიკით, იარაღით, სამკაულით, გლიპტიკური და ნუმიზმატიკური ძეგლებით, ძვლის, ბრინჯაოს და რკინის სხვადასხვა ნივთებით, აგრეთვე, ხელოსნური წარმოების ნაშთებით.

ძვ. წ. IV—III სს. კულტურულ ფენაში ფიქსირებულია დიდი რაოდენობით ცხოველისა და ფრინველის ძვლები, ნიჟარები (ეს მასალა ჯერჯერობით შესწავლილი არ არის). გარდა ამისა, საკმაოდ ხშირი იყო ბათქაშების ცალკეული ფრაგმენტების აღმოჩენის შემთხვევებიც.

განსაკუთრებით მრავალრიცხოვანია კოლხური თიხის ნაწარმი[20]. გამოიყოფა სხვადასხვა დანიშნულების — სამეურნეო (ქვევრები, დერგები), სამზარეულო (ქოთნები, ქვაბები, საწურები, ხუფები, ბადიები), სუფრის (დოქები, სასმისები, ჯამები), სამგზავრო (მათარები) ჭურჭლის ფრაგმენტები; აგრეთვე საოჯახო წარმოებასთან დაკავშირებული ნივთები (კვირისტავები)[21].

---

ქვაფენილსა და წყობის ქვედა რიგამდე, 4. წყობის ქვედა რიგიდან თირი-კლდის ზედაპირამდე.

20 რაოდენობაზე მეტყველებს შემდეგი სტატისტიკური მონაცემიც: აღნუსხულია სხვადასხვა დახურული ჭურჭლის პირ-ყელის 1240 ფრაგმენტი, ყურის 663 ფრაგმენტი, ბრტყელი ძირის 972 ფრაგმენტი.

21 კეცი, ჩვეულებრივ, რუხია ან რუხი-მოყავისფრო; დამახასიათებელია პიროქსენის, კირქვისა და ქარსის მინარევები. კოლხური კერამიკის აღწერისა და ტიპოლოგიური კლასიფიკაციის ძირითადი პრინციპები დაწვრილებით იხ. ვანი V, თბ., 1981, გვ. 12—14.

ქვევრების ფრაგმენტების უმეტესი ნაწილი ზედმიწევნით მსგავსია ძვ. წ. IV—IV ს. პირველი ნახევრის ნიმუშებისა. მაგრამ უკვე ნაცნობ ელემენტებთან ერთად ჩნდება ახალი მორფოლოგიური ნიშნები, რაც ძვ. წ. IV—III სს-ის სიახლედ უნდა იქნას მიჩნეული. ასე მაგალითად, ქვევრის ოთხკუთხა განივკვეთიანი პირის გვირგვინების ერთი ჯგუფი (დამახასიათებელი ნიშნები: ზედა გვერდის სიგანე ყოველთვის მეტია გარეთაზე ან მისი ტოლია; გვერდების ერთმანეთთან შეერთება მკვეთრია და უმეტეს შემთხვევაში მახვილი კუთხით ხდება; ზედა და გარეთა გვერდების პროფილი სწორხაზოვანია, ქვედასი — შეზნექილი; ზედა და გარეთა გვერდები შემკულია დაკბილული იარაღით გამოყვანილი ორნამენტით)[22] ზუსტად ემთხვევა ძვ. წ. VI—IV ს. პირველი ნახევრის ნიმუშების I, 1B ტიპს (სურ. $84_2$, $86_1$)[23]. ამასთან ერთად ოთხკუთხა განივკვეთიანი პირის გვირგვინებში გამოიყოფა ერთი ვარიანტი (დამახასიათებელი ნიშნები: ყველა გვერდი ერთმანეთთან მართი კუთხითაა შეერთებული, სწორხაზოვანპროფილიანია; სადაა ან შემკულია მხოლოდ გარე გვერდი)[24], რომელიც, მართალია, გარკვეულ სიახლოვეს ამჟღავნებს I, 1A ტიპთან[25], მაგრამ განსხვავებული მორფოლოგიური ნიშნები (გვერდების თანაფარდობის შეცვლა) უნდა მიუთითებდეს განვითარების ახალ საფეხურს (სურ. 85, $86_{3-4}$). სამკუთხა განივკვეთიანი პირის გვირგვინები (დამახასიათებელი ნიშნები: სწორხაზოვანპროფილიანი ზედა გვერდი გარეთა გვერდს უერთდება ყოველთვის მახვილი კუთხით; გარეთა გვერდი ყელისგან გამოყოფილი არ არის; ზედა გვერდის სიგანე აღემატება კეცის სისქეს; გარეთა გვერდი შემკულია ჯვარედინი ხაზებით, ზოგჯერ ზედა გვერდი — ტალღისებური ორნამენტით)[26] იმეორებენ I, 2A ტიპს (სურ. $84_3$, $86_2$)[27]. ასევე ქვევრის ძირებზეც, ადრეული ნიმუშების მსგავსად, ორი ვარიანტი დასტურდება: ტანთან შეერთების ადგილი არ არის გამოყოფილი (სურ. $86_5$)[28]. ან ძირი ტანისგან გამოყოფილია—გამოზიდულია (სურ. $86_6$)[29]. ასევე, ქვევრების კედლის (მხრის და ტანის) შემკულობაში[30] გავრცელებულია ყველა ის ელემენტი, რაც კარგადაა ცნობილი ძვ. წ. VI—IV სს-ის პირველ ნახევარში[31]. მაგრამ აქ თავს იჩენს ერთი სიახლე — მერიდიანულ ქედებს შორის ზედაპირი, ტრადიციული ღარების ნაცვლად, დაფარულია პრიალა ზოლებით[32].

დერგები, ისევე როგორც თიხის ჭურჭლის უმრავლესობა, ძვ. წ. IV—III სს. კულტურულ ფენაში მხოლოდ ფრაგმენტების სახითაა აღმოჩენილი. ამიტომ, რთულდება მასალის კლასიფიცირება; ხშირად ამა თუ იმ ნიმუშის დერგად განსაზღვრა პირობითია. დერგების მრავალრიცხოვან ფრაგმენ-

22 №№ 07:1—75:358, 390; 07:1—76:274, 682; 07:1—79:164, 316, 388, 563, 596, 1058, 1420, 1458, 1542, 1664, 1711; 07:1—80:505, 742; 07:1—82:279; 07:1—83:318.

23 ვანი V, გვ. 18.

24 №№ 07:1—79:197; 235, 471, 1394, 1580; 07:1—83:363.

25 ვანი V, გვ. 17.

26 №№ 07:1—79:460, 1520, 1527, 1671, 1688, 1739, 1918; 07:1—83:317, 372.

27 ვანი V, გვ. 18.

28 №№ 07:1—78:519; 07:1—79:890, 1408, 1522; 07:1—80:746; 07:1—83:401. შდრ. ვანი V, გვ. 25, (I, 8 A ტიპი).

29 №№ 07:1—75:394; 07:1—78:510, 07:1—79:200, 1634; 07:1—80:748; 07:1—83:414. შდრ. ვანი V, გვ. 25 (I, 8 B ტიპი).

30 ძვ. წ. IV—III სს. კულტურულ ფენაში ქვევრის კედლის ფრაგმენტები განსაკუთრებით მრავლადაა ფიქსირებული. ინვენტარიზებულია ასზე მეტი ნიმუში.

31 ვანი V, გვ. 20—25.

32 №№ 07:1—79:199, 529, 722, 1142, 1334.

ტებს შორის გამოირჩევა ერთი ტიპი (ე. წ. ცალყურა დერგი), რომლისთვისაც დამახასიათებელია სადა, გარეთ გადახრილი პირი; დაბალი, შეზნექილპროფილიანი, ზემოთკენ გაფართოებული ყელი; ყური ერთი ბოლოთი მიძერწილია უშუალოდ პირზე, მეორეთი — ტანის ზედა ნაწილზე (სურ. $87_1$)[33]. ვანის ნაქალაქარის მონაპოვრის მიხედვით, ამ ნიშნების მატარებელია № 12 სამარხის დერგები (კვერცხისებური ტანითა და ბრტყელი ძირით)[34]. განხილული ნიმუშები ტიპოლოგიურად დერგების ახალ სახეობას უნდა წარმოადგენდეს. გარკვეულ ინტერესს იმსახურებს ერთი დერგი (შემორჩენილია მხოლოდ კედლის 49 ფრაგმენტი), რომელიც ერთდროულადაა შემკული სხვადასხვა ორნამენტული სახეებით (ტალღური ღარები, ირიბი ჭდეები, წიწვისებური ორნამენტი, დაძერწილი კოპები)[35]. ალბათ დერგისაა პირ-ყელის ერთი ფრაგმენტი, შემკული ვარდულას მსგავსი დატვიფრული გამოსახულებებით (სურ. $87_2$)[36].

ქოთნების მრავალრიცხოვან ფრაგმენტებში (შემორჩენილია მხოლოდ პირ-ყელისა და ტანის ნაწილი)[37] ყელის პროფილისა და ყელის ტანთან შეერთების ხასიათის მიხედვით სამი ტიპი გამოიყო. სამივე ტიპის ქოთნებისთვის დამახასიათებელია სადა, გარეთ გადახრილი პირი. პირველ ტიპს განეკუთვნება ტანთან თანდათან შეერთებული, სწორხაზოვანპროფილიანი (ან შეზნექილი) ყელი[38]; მეორე ტიპს — ტანთან კუთხით შეერთებული, სწორხაზოვანპროფილიანი ყელი[39]; მესამე ტიპს — ტანთან თანდათან შეერთებული, გამობერილპროფილიანი ყელი[40]. უკანასკნელი ტიპი შედარებით იშვიათია. მსგავსი პროფილის ყელი ვანის ნაქალაქარის ძვ. წ. VI—IV სს. პირველი ნახევრის მონაპოვარში ცნობილი არ არის. როგორც ჩანს, ეს ახალი მორფოლოგიური ნიშანი ძვ. წ. IV—III სს-თვისაა დამახასიათებელი. ცალკე ჯგუფს წარმოადგენს ყურიანი ქოთნები. ყურის დამაგრების ხასიათის მიხედვით ორი ვარიანტი გამოირჩევა: ყური დაძერწილია ტანის ზედა ნაწილზე[41] ან ყურის ზედა ბოლო — უშუალოდ პირზე[42]. ყურიანი ქოთნების რამდენიმე ნიმუში შემკულია (ყურზე—წიწვისებური ორნამენტი, დაძერწილი კოპი; ყელზე—ირიბი ჭდეები, ღარები). თავისებურია ერთი ქოთანი (შემორჩენილია პირ-ყელის, კედლისა და ყურის ფრაგმენტები)[43], შემკული დაძერწილი კოპებით (კოპების რიგი შემო-

---

33 №№ 07:1—79:1031, 1554, 1613, 1720, 1721; 07:1—80:751.

34 ვანი IV, თბ., 1979, კატ. №№ 467—473; გვ. 26, სურ. 103—104.

35 №№ 07:1—79:732, 733, 756, 810, 1375, 1377, 1469, 1472, 1483, 1510, 1513, 1535 (ფრაგმენტები აღმოჩნდა გაფანტულად, ამიტომ მიცემული აქვთ სხვადასხვა საველე ნომერი).

36 № 07:1—79:1422. მსგავსი გამოსახულებები (შედარებით არამკვეთრი) დასტურდება ჭურჭლის (დერგის?) კედლის ფრაგმენტებზეც (№№ 07:1—79:1432; 07:1—83:381). სურ. $87_4$.

37 სულ 375 ფრაგმენტია; ინვენტარიზებულია 43 ნიმუში.

38 №№ 07:1—76:190; 07:1—78:429, 513; 07:1—79:842, 943, 957, 1245, 1265, 1449, 1476, 1586, 1616, 1666, 1682; 07:1—81:369, 370.

39 №№ 07:1—79:206, 319, 425, 426, 427, 428, 669, 793, 1057, 1246, 1247, 1263, 1264, 1266, 1267, 1268, 1286, 1287, 1289, 1448, 1559, 1695.

40 № 07:1—78:514; 07:1—79:330, 1992; 07:1—81:366.

41 №№ 07:1—79:667, 801, 903, 941, 1683, 1754.

42 №№ 07:1—79:685, 945, 950, 1169; 07:1—80:516; 07:1—81:341, 392. ყურის ზედა ბოლოს შეერთება უშუალოდ პირზე დამახასიათებელია დოქებისთვისაც (შდრ. ვ. თ ო ლ ო რ დ ა ვ ა, დაკრძალვის წესები ელინისტური ხანის საქართველოში. თბ., 1980, გვ. 27, 39. ვანი V, გვ. 37, სურ. 53, 55). მოცემული ნიმუშები ქოთნებად განისაზღვრა, პირველი, ტანთან შეფარდებით, პირის დიდი დიამეტრის გამო და, მეორე, ზედაპირზე შემორჩენილია ცეცხლის კვალი — რუხი და შავი ლაქები.

43 № 07:1—82:318.

ყოლებულია ყელისა და ტანის შეერთების ადგილას, ტანზე — ყურს ქვემოთ; ერთი კოპი დაძერწილია ყურზე).

სამზარეულო ჭურჭლის ერთი სახეობა — ე. წ. ქვაბები[44] წარმოდგენილია პირის, ტანის ზედა ნაწილისა და ყურის ფრაგმენტების სახით[45]. მათი დამახასიათებელი ნიშნებია: სწორი პირი, გამობერილპროფილიანი ტანი; ჰორიზონტალური, თანაბრად მორკალული და პირიდან ზეაწეული ყური. პირი ერთ შემთხვევაში შესქელებულია. ეს ნიმუშები ემსგავსება ვანის ნაქალაქარის ადრეანტიკური ხანის კულტურულ ფენებიდან[46], აგრეთვე, კოლხეთის ძვ. წ. V—IV სს. ძეგლებიდან (დაბლაგომი[47], ფიჭვნარი[48], ოჩამჩირე[49] და სხვ.) მომდინარე ანალოგიურ ჭურჭლის ფრაგმენტებს. აქ ჯერჯერობით არ შეიმჩნევა ის სიახლე (შიგნით გადახრილი პირი), რაც, ვანის ნაქალაქარის მონაპოვრის მიხედვით, ელინისტური ხანისთვისაა დამახასიათებელი[50].

ნახვრეტებიანი ჭურჭელი — საწურები (?)[51] — ასევე ფრაგმენტულია (სურ. $87_{3}$)[52]. ძირითადად შემორჩენილია კედლის ნატეხები, გამობერილპროფილიანი, რამდენიმე გამჭოლი ნახვრეტით, რომლებიც გამოწვამდეა გაკეთებული. ერთ ფრაგმენტზე (აშკარად ღია ტიპის ჭურჭლისაა)[53] მოცემულია პირი და ტანისგან გამოყოფილი სწორხაზოვანპროფილიანი დაბალი ყელი; ზედაპირი მკრთალადაა გაპრიალებული (სხვებისგან განსხვავებით). ამ ტიპის ჭურჭლის ფრაგმენტები ვანის ნაქალაქარზე აღმოჩენილია ზოგადად ძვ. წ. VI—IV სს-ით დათარიღებულ კულტურულ ფენებში; ისინი ცნობილია ამავე ხანის კოლხეთის სხვა ძეგლებზეც[54].

ძვ. წ. VI—IV სს. პირველი ნახევრის ნიმუშებთან დიდ მსგავსებას ამჟღავნებს სამზარეულო კერამიკის კიდევ ერთი სახეობა — ხუფები[55]. საკმაოდ მრავლადაა მოპოვებული ჯამისებური ფორმის ხუფები[56]; მათ შორისაა ორნამენტირებული ფრაგმენტებიც[57]. აღსანიშნავია აგრეთვე დისკოსებური ხუფის აღმოჩენის შემთხვევაც[58].

---

44 „ქვაბები" პირობითი სახელწოდებაა. იხ. ვანი V, გვ. 31, შენიშვნა 217.

45 №№ 07:1—76:674; 07:1—79:697, 1095, 1492, 1582, 1730, 2000, 2001; 07:1—80:523, 717, 760, 761; 07:1—82:249; 07:1—83:369.

46 ვანი V, გვ. 31.

47 Б. А. Куфтин. Материалы к археологии Колхиды, т. II, Тбилиси, 1950, с. 101, табл. $35_{10}$.

48 ა. კახიძე, საქართველოს ზღვისპირეთის ანტიკური ხანის ქალაქები. თბ., 1971, გვ. 50, ტაბ. $V_{7}$.

49 Д. Д. Качарава. Город Гиэнос в античную эпоху. Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата исторических наук. Тбилиси, 1972, с. 72. Ю. Н. Воронов. Гиенос. СА, 1976, № 4, 52, рис. 58.

50 ვანი V, გვ. 31, შენიშვნა 222.

51 ნახვრეტებიან ჭურჭელს ძირითადად საწურის დანიშნულება ჰქონდა (შდრ. თ. მიქელაძე, არქეოლოგიური კვლევა-ძიება რიონის ქვემო წელზე. თბ., 1978, გვ. 56), მაგრამ არ არის გამორიცხული მისი სხვაგვარი გამოყენებაც. მაგალითად, საგვიჩიოს დიხა-გუძუბაზე აღმოჩენილი ნახვრეტებიანი ჭურჭელი განისაზღვრა სასაკმევლედ (გ. გრიგოლია, გ. ფხაკაძე, მ. ბარამიძე, გ. ლორთქიფანიძე. დასავლეთ საქართველოს საძიებო-არქეოლოგიური ექსპედიციის 1966 წლის მუშაობის შედეგები. მსკა V, თბ., 1973, გვ. 35).

52 №№ 07:1—75:341; 07:1—79:157, 1326, 1417, 1452.

53 № 07:1—79:157. სურ. $87_{3}$ (ზემოთ მარჯვნივ).

54 ვანი V, გვ. 32. იქვე მითითებულია ლიტერატურა.

55 №№ 07:1—79:166, 216, 292, 315, 362, 533, 718, 1587 და სხვ.

56 შდრ. ვანი V, გვ. 32—33. VI, 1 ტიპი.

57 № 07:1—79:315.

58 № 07:1—79:166. შდრ. ვანი V, გვ. 33. VI, 2 ტიპი.

ძვ. წ. VI—IV სს. პირველი ნახევრისთვის დამახასიათებელი ტრადიციული კერამიკული ფორმების გვერდით, ძვ. წ. IV—III სს. კულტურულ ფენაში ფიქსირებულია ჰურჰლის ახალი სახეობა — ბადიები. მათი დამახასიათებელი ნიშნებია: ფართო (სიგანე 2,5—6 სმ შორის მერყეობს), თარაზული, გარეთ გადაშლილი პირი და გამობერილპროფილიანი კალთა (ბადიები პირ-კალთის მრავალრიცხოვანი ფრაგმენტების სახითაა წარმოდგენილი[59]; ძირის ნატეხების გამორჩევა კი ჯერჯერობით ვერ მოხერხდა). ერთი ნიმუშის მიხედვით ჩანს, რომ ბადიის პირის მოხაზულობა ყოველთვის წრიული არ არის (სურ. $88_1$)[60]. ერთი ფრაგმენტი შემკულია — დაკბილული იარაღით შესრულებული ირიბი ჰდეები პირის შიდა კიდეს შემოუყვება (სურ. $88_3$)[61].

ძვ. წ. IV—III სს. კოლხური მეთუნეობის მაღალმხატვრული ნიმუშია სუფრის ჰურჰლის ერთი სახეობა — დიდი ზომის ორნამენტირებული დოქი (სურ. 89)[62]. შემორჩენილია დოქის ზედა ნაწილი[63] და ძირის ფრაგმენტები (ამჟამად აღდგენილია). დოქის ყელი და მხარი (ტანის ზედა ნაწილი) ერთიანად ორნამენტირებულია — ტალღური ღარების ფართო სარტყელი ქვემოთ შემოსაზღვრულია ირიბი მოკლე ჰდეების სამი რიგით. სადა ზედაპირი შავადაა გაპრიალებული.

დოქების სხვა ტიპები მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტების სახითაა წარმოდგენილი (პირ-ყელის გარდა, უმეტეს შემთხვევაში დოქის დანარჩენი ნაწილების გამორჩევა რთულია). ძვ. წ. IV—III სს. კულტურულ ფენაში კვლავ დადასტურდა ყურმილიანი დოქების არსებობა (სურ. $88_2$)[64]. დოქების ეს ტიპი მრავლადაა ფიქსირებული ძვ. წ. VI—IV სს-ის კოლხეთის სხვადასხვა ძეგლებზე, მათ შორის, ვანის ნაქალაქარზე[65]. ყურმილიანი დოქები აღმოჩენილია ძვ წ. IV—III სს. სამაროვნებზე (ფიჰენარი[66], დაბლაგომი[67], დაფნარი[68] და სხვ.); ვანში — ძვ. წ. IV ს. მესამე მეოთხედით დათარიღებულ კომპლექსში (ნაქალაქარის ფარგლებს გარეთ, კარიბჭესთან ახლოს)[69].

კოლხური კერამიკის კიდევ ერთი წამყვანი სახეობა — სასმისები — ძვ. წ. IV—III სს. კულტურული ფენის მონაპოვარში საკმაო მრავალფეროვნებით ხასიათდება. აქ თავი იჩინა ძვ. წ. VI—IV სს. პირველ ნახევარში გავრცელე-

---

59 ინვენტარიზებულია 46 ნიმუში.

60 №0 7:1—79:110.

61 № 07:1—76:692.

62 №№ 07:1—79:749, 1032, 1563, 1564, 1607, 1725. ფრაგმენტები აღმოჩნდა გაბნეულად სხვადასხვა დროს, ამიტომ მათ რამდენიმე საველე ნომერი აქვთ მიცემული.

63 მსგავსი პირ-ყელის ფრაგმენტებია (შემკულობის გარეშე): №№ 07:1—80:737, 751.

64 ინვენტარიზებულია მხოლოდ ყურის ფრაგმენტები: №№ 07:1—79:255, 379, 385, 390, 484, 592, 1571; 07:1—82:290. სამი ნიმუში ორნამენტირებულია.

65 დაწვრილებით იხ. ვანი V, გვ. 33—36. იქვე მითითებულია ლიტერატურა.

66 ნ. ვაშაკიძე, ა. კახიძე, ფიჰენარის ელინისტური ხანის სამაროვანზე 1975 წელს ჩატარებული საველე კვლევა-ძიების შედეგები. სდსძ, VII, თბ., 1978, გვ. 43, 46—47, ტაბ. XVI, 2; XVIII, 5,7; XX, 6.

67 ვ. თოლორდავა, არქეოლოგიური გათხრები დაბლაგომში 1970—1971 წლებში. ვანი II, გვ. 56.

68 Н. Ш. Кигурадзе. Дапнарский могильник. Тбилиси, 1976, с. 33, табл. XI, 2.

69 ამ კომპლექსის შესახებ იხ. ოთ. ლორთქიფანიძე. არქეოლოგია და საქართველოს ძველი ისტორიის ზოგიერთი საკითხი. მაცნე, ისტორიის.... სერია, 1976, № 2, გვ. 116, შენიშვნა 36. აქ აღმოჩენილი კოლხური კერამიკის კრებითი ტიპოლოგიური ტაბულა იხ. ვანი V, სურ. 78.

ბულმა თითქმის ყველა ტიპმა, როგორებიცაა: ჭიქისებური (სურ. 90$_{1, 3}$)[70], კონუსურტანიანი (სურ. 90$_{4}$ — ზემოთ მარცხნივ)[71], ცილინდრულტანიანი სასმისები (სურ. 90$_{2, 4}$)[72]. მათ გვერდით, მართალია, ერთეული ნიმუშების სახით გვხვდება ახალი ტიპიც — კონუსური (განსხვავებით კონუსურტანიანისგან)[73] და ძვ. წ. IV—III სს-თვის დამახასიათებელი ე. წ. შედგენილტანიანი სასმისები[74].

ძვ. წ. IV—III სს. კულტურულ ფენაში მოპოვებული ჯამების მრავალრიცხოვანი ნიმუშების მიხედვით (სურ. 91$_{1}$)[75] კარგადაა ასახული ჭურჭლის ამ სახეობის განვითარების სურათი: დადასტურებულია ორი ტიპის — ბრტყელძირა და ქუსლიანი ჯამების თანაარსებობა. პირველი ტიპის ჯამების დამახასიათებელი ნიშნებია: სწორი ან შიგნით გადახრილი პირი, ქვემოთ დავიწროებული კალთა (სწორხაზოვანი ან გამობერილი პროფილით), ბრტყელი ძირი[76]. მეორე ტიპს უჩნდება ახალი მორფოლოგიური ნიშანი — გამოყოფილი ქუსლი[77]. განსაკუთრებულ ინტერესს იმსახურებს ერთი ნიმუში[78], გარდამავალ ტიპად განსაზღვრული. ესაა ბრტყელძირა ჯამის ფრაგმენტი, რომელზეც ქუსლი მინიშნებულია ძირის შესქელებისა და გამოზიდულობის საშუალებით.

ძვ. წ. IV—III სს. კულტურულ ფენაში აღმოჩნდა ე. წ. სამგზავრო ჭურჭლის — მათარების ფრაგმენტებიც (სურ. 88$_{4}$)[79]. ისინი ტანის ცენტრალურ ნაწილს განეკუთვნება; ორი სახისაა: ერთ შემთხვევაში გამობერილია, შემოსაზღვრულია ღარით (ან ღარებით), რომლის გარეთ მოცემულია ორნამენტული სახეები. მეორე ჯგუფის ფრაგმენტებზე ცენტრალური ნაწილი აღნიშნულია მრგვალი ჩაღრმავებით, ხოლო მის გარშემო განლაგებულია ასევე ორნამენტული სახეები (მაგალითად, დაკბილული იარაღით გამოყვანილი, სხივისებურად გაშლილი ღარები)[80]. კოლხეთში მათარების ფართოდ გავრცელება ძვ. წ. IV—

---

70 №№ 07:1—72:381, 430; 07:1—79:322, 618, 680, 778, 983, 997, 1086, 1255, 1509, 1977, 1930, 1931; 07:1—80:637; 07:1—81:327, 328, 348; 07:1—82:252, 411.

71 №№ 07:1—76:357; 07:1—83:292.

72 №№ 07:1—79:190, 589, 1543, 1755.

73 №№ 07:1—76:184; 07:1—83:329. ამ ტიპის სასმისის ფრაგმენტი აღმოჩნდა ვანში, კარიბჭის გარეთ, ძვ. წ. IV საუკუნის მესამე მეოთხედით დათარიღებულ კომპლექსში (ვანი V, სურ. 78).

74 № 07:1—81:329. შდრ. ვანი I, გვ. 213, № 16, სურ. 181; შედგენილტანიანი სასმისების შესახებ იხ. ვანი V, გვ. 41.

75 ინვენტარიზებულია 65 ნიმუში.

76 ბრტყელძირა ჯამები ფართოდაა ცნობილი მთელ კოლხეთში ძვ. წ. VI ს-ის დასაწყისიდან მოყოლებული (დაწვრილებით იხ. ვანი V, გვ. 42—43).

77 ვანის ნაქალაქარზე ქუსლიანი ჯამის ყველაზე ადრეული ნიმუში დაფიქსირდა ძვ. წ. IV ს. ს. მესამე მეოთხედით დათარიღებულ № 9 სამარხში (ვანი I, გვ. 208, სურ. 178). აღსანიშნავია, რომ ქუსლი ერთ-ერთი დამახასიათებელი ელემენტია ელინისტური ხანის კერამიკისთვის (ნ. მათიაშვილი. ელინისტური ხანის ადგილობრივი კერამიკა ვანიდან. მსკა, V, თბ., 1973, გვ. 61; ნ. ვ ა შ ა კ ი ძ ე, გურიანთის ანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები. სდსძ, II, თბ., 1971, გვ. 22).

78 № 07:1—79:692 (სურ. 91$_{1}$ — ქვემოდან მეორე, მარცხნივ).

79 №№ 07:1—79:165, 463, 633, 1915, 1925; 07:1—82:263.

80 ბორჯღალას მსგავსი გამოსახულება წამყვანია მათარების შემკულობაში. იხ. ნ. ვ ა შ ა კ ი ძ ე, ა. კ ა ხ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 50.

III სს. ემთხვევა (დაბლაგომი[81], ბუკისციხე[82], მაღლაკი[83], ფიჭვნარი[84]). მათა-რები გვხვდება ორგვარი სახის — ბრტყელძირიანი და მომრგვალებულძირიანი. ფრაგმენტულობის გამო ზემომითითებული ნიმუშების გარკვეული ტიპისადმი მიკუთვნება ვერ მოხერხდა.

სრულიად ახალი კერამიკული სახეობაა, პირობითად, დაფანჯრული ღია ჭურჭელი (სურ. $91_2$)[85]. შემორჩენილი ნიმუშების მიხედვით, „ჭურჭლის" პირი გარეთაა გადახრილი, სადაა ან ლილვაკისებურად შესქელებული; ტანი სწორხაზოვანპროფილიანია, „დაფანჯრული" (ამოჭრილია გამოწვამდე); „ძირი" — სადგარი — ღიაა; გარეთ გაზიდული და გაფართოებული, მისი ქვედა ნაწილი ბრტყელია. რამდენიმე ნიმუში ორნამენტირებულია (მაგალითად, ძირის გარეთ გაზიდულ კიდეს შემოუყვება დაკბილული იარაღით გამოყვანილი ირიბი ჭდეების რიგი). ზედაპირი უმეტეს შემთხვევაში გაპრიალებულია: ჩანს ცეცხლის კვალი — შავი ლაქები. „დაფანჯრული ჭურჭლის" სრული ფორმის აღდგენა და დანიშნულების განსაზღვრა ანალოგიური მასალის უქონლობისა და ნიმუშების ფრაგმენტულობის გამო ძნელდება (სარიტუალო დანიშნულებისაა?).

კოლხური თიხის ნაწარმში ცალკე ჯგუფად გამოიყო საოჯახო ხელოსნობასთან დაკავშირებული ნივთები — კვირისტავები (სურ. $91_{3-4}$)[86], კონუსური ან ნახევარსფერული მოყვანილობის. ერთი ნიმუში ორნამენტირებულია (მთელი გვერდი დაფარულია მრგვალი ღრმა ჭდეებით). განსაკუთრებულ ინტერესს იმსახურებს კვირისტავის ერთი ფრაგმენტი (სურ. $91_4$), რომლის გვერდზე გამოწვამდე ამოღარულია ნიშნები (?).

ამგვარად, ძვ. წ. IV—III სს. კულტურულ ფენაში მოპოვებული კოლხური კერამიკა ორგანულად დაკავშირებულია ძვ. წ. VI—IV სს. პირველი ნახევრის ძეგლებთან[87]: არსებობას განაგრძობს თითქმის ყველა კერამიკული ფორმა, აშკარაა აგრეთვე ძველი ტრადიციების გაგრძელება კეცის დამუშავებაში, ორნამენტაციაში. ამასთან ერთად, აღინიშნება მთელი რიგი სიახლეებისა — ახალი ფორმების და მორფოლოგიური ნიშნების გაჩენა, რაც დამახასიათებელია კოლხური თიხის ნაწარმის განვითარების ამ ეტაპისთვის.

ბოლოს, კულტურულ ფენაში ფიქსირებულია კოლხური თიხის ნაწარმის კიდევ ერთი ჯგუფი — ყავისფერკეციანი ამფორების ადრეული ნიმუშები, რომლებიც ზოგადად ძვ. წ. IV—III სს. განეკუთვნებიან[88].

კოლხურ ამფორებთან შედარებით მრავალრიცხოვანია შემოტანილი კერამიკული ტარა. რაოდენობის თვალსაზრისით პირველ ადგილზეა სინოპური ამ-

---

[81] ვ. თოლორდავა, არქეოლოგიური გათხრები დაბლაგომში 1970—1971 წლებში, გვ. 51, სურ. $73_1$, $81_{12}$.

[82] ნ. ვაშაკიძე, სუფსის აუზში შემთხვევით აღმოჩენილი ქვევრსამარხები. სდსძ, III, თბ., 1973, გვ. 85, ტაბ. IX, 2.

[83] ოთ. ლორთქიფანიძე. ძველი კოლხეთის კულტურა, თბ., 1972, გვ. 41.

[84] ნ. ვაშაკიძე, ა. კახიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 48—50, ტაბ. XI, 1; XV, 3; XX, 4.

[85] №№ 07:1—72:532; 07:1—76:773; 07:1—79:588, 838, 904, 1357, 1756; 07:1—80:512; 764, 765; 07:1—81:325; 07:1—82:259, 297; 07:1—83:293, 330, 377.

[86] №№ 07:1—79:328, 565, 901, 1705; 07:1—82:263, 295. თიხის ნიმუშების გარდა აღმოჩნდა ქვის ერთი კვირისტავი (№ 07:1—80:363).

[87] გამორიცხული არ არის ძვ. წ. IV—III სს. კულტურულ ფენაში ადრეული ნიმუშების ფიზიკურად არსებობაც. მაგალითად, დადასტურებულია წინარეანტიკური ხანით დათარიღებული ზოომორფულშვერილიანი ყურების, სადგრის (?) ფრაგმენტების, „ძირწვეტა" სასმისის აღმოჩენის ერთეული შემთხვევები.

[88] №№ 07:1—79:176, 260, 402, 1021, 1023, 1459, 1562, 1576, 1597; 07:1—82:248, 287.

ფორები[89]. მათ შორის გამოიყოფა დამღიანი ყურის ფრაგმენტები (სამი ნიმუშია). ერთზე იკითხება:

ἀστυνό[μου]
Ἡφαιστί[ου]
Ποσειδων]ίου]

ემბლემა — ყურძნის მტევანი და ამფორა (I ქრონოლოგიური ჯგუფი. ძვ. წ. 360—320 წწ.)[90].

მეორე ნიმუშზე:

[Π]οσιδωνίου
τοῦ Θευδώρου
κεραμέως

ემბლემა — ბროწეულის ყვავილი (III ქრონოლოგიური ჯგუფი. ძვ. წ. 270—220)[91].

მესამე ფრაგმენტზე:

Χαριξενίδου
ἀστυνό[μου]
Ποσειδω[νίου]

ემბლემა — კანთაროსი და გაურკვეველი გამოსახულება (II ქრონოლოგიური ჯგუფი, ძვ. წ. 320—270 წწ.)[92].

ძვ. წ. IV—III სს. კულტურულ ფენაში დადასტურდა ქიოსური ამფორების აღმოჩენის შემთხვევები[93], სახელდობრ, „ჩაჩისებურძირიანი" ამფორებისა (ძვ. წ. IV ს.)[94]; აგრეთვე ეგეოსის ზღვის აუზის უცნობი ცენტრის — პირობით სოლოხა I ტიპის[95], თასოსური[96] და თასოსური წრის (ე. წ. სირჩისებურძირიანი)[97], ჰერაკლეას[98], ატიკური (?)[99] ამფორების ფრაგმენტები. თასოსური ამფორის ყურის ერთ ფრაგმენტზე შემორჩენილია დამღა. იკითხება ეთნიკონის სახელი [Θ]ασίων და სახელოსნოს პატრონის სახელი Ἡρόδοτος; შუაში ემბლემაა — კნეხტი (სურ. $92_2$)[100]. ჰერაკლეას ამფორის პირ-ყელის ერთ ფრაგმენტ-

---

89 №№ 07:1—72:412, 457, 460, 557; 07:1—75:349, 377, 378; 07:1—76:342; 07:1—79:134, 456, 933, 1598, 1716; 07:1—81:309, 350; 07:1—82:285, 286, 301, 302; 07:1—83:342, 344, 345, 346 (ამფორის კედლის ფრაგმენტები ინვენტარიზებული არ არის).

90 № 07:1—75:377. ვანი VII, თბ., 1983, გვ. 11, 20—21, № 49, სურ. 4.

91 № 07:1—75:378. ვანი VII, გვ. 12, 21, № 54, სურ. 5.

92 № 07:1—83:346. ნიმუში განსაზღვრა რ. ფუთურიძემ. იხ. Е. Придик. Инвентарный каталог клейм на амфорных ручках и горлышках и на черепицах Эрмитажного собрания. Петроград, 1917, с. 99. №№ 777—779.

93 №№ 07:1—79:825, 1584, 1687.

94 №№ 07:1—72:401. რ. ფუთურიძე. იმპორტული ამფორები ვანის ნაქალაქარიდან. ვანი II, გვ. 81; ვანი VII, გვ. 17/№ 10/, სურ. $2_{10}$.

95 07:1—72:404, 459; 07:1—347, 381, 384; 07:1—76:113. ვანი VII, გვ. 20 (№№ 41 და 44).

96 №№ 07:1—72:402, 940. ვანი VII, გვ. 18/№ 31/, 19 /№ 33/, სურ. 2.

97 №№ 07:1—79:117, 714, 745; 07:1—80:738.

98 №№ 07:1—72:556; 07:1—79:513, 597, 759, 985, 1682. ვანი VII, გვ. 20.

99 № 07:1—79:1717. ვანი VII, გვ. 10, 18 (№ 28), სურ. $2_{28}$.

100 № 07:1—81:310. ნიმუში შეისწავლა რ. ფუთურიძემ; მისი განსაზღვრით დამღა ძვ. წ. III ს. განეკუთვნება. იხ. Е. М. Придик, Указ. соч., с. 43, № 153, табл. $VII_{13}$. Ю. Г. Виногоадов. Керамические клейма острова Фасос. Нумизматика и Эпиграфика. X, М., 1972, с. 39.

ზე ენგლიფური დამღაა — NI (სურ. $92_1$). ნიმუში ძვ. წ. IV ს. დასასრულითა და ძვ. წ. III ს. დასაწყისით თარიღდება[101].

შემოტანილ თიხის ნაწარმში ცალკე ჯგუფს წარმოადგენს ატიკური წითელფიგურული და სადა შავლაკიანი ჭურჭლის ფრაგმენტები. აღსანიშნავია გაკრული სტილის წითელფიგურული ლეკანების ნიმუშები. კედლის ფრაგმენტები შემკულია დაფნის ფოთლის გირლანდით[102]; სახურავების ნატეხებზე გამოსახულია სცენები გინეკეიონის ცხოვრებიდან—ფრთოსანი, შიშველი ეროტისა და ქალის, ტირსით ხელში, ფიგურების ზედატანი[103]; ქალის მარჯვენა მხრისა და მკლავის ნაწილი და სარკე (?)[104], ეროტის ფრთებისა და ტერფის ნაწილი[105], ეროტის ტანისა და ფეხების ნაწილი[106]. წითელფიგურული ლეკანების ეს ჯგუფი ძვ. წ. IV ს-ით თარიღდება[107], ზოგიერთი ნიმუში უფრო ზუსტადაც — ძვ. წ. IV ს-ის შუახანები — დასასრული[108].

ძვ. წ. IV ს-ის შუახანებს განეკუთვნება წითელფიგურული პელიკის კედლის ერთი ფრაგმენტი (ნახატიდან შემორჩენილია ლაბადაში გახვეული ჭაბუკის ტანის ზედა ნაწილი და თავი)[109], აგრეთვე ღია ტიპის წითელფიგურული ჭურჭლის ერთი ნიმუში — ნახატიდან გადარჩა ქალის სახე და ტალღისებური ორნამენტი (სურ. $92_3$)[110].

აღსანიშნავია ე. წ. ბადისებურორნამენტიანი ლეკითოსების აღმოჩენის შემთხვევები[111]. ლეკითოსები მცირე ფრაგმენტების სახითაა წარმოდგენილი და ამიტომაც ზოგადად — ძვ. წ. IV ს-ით თარიღდებიან[112].

აღმოჩენილია აგრეთვე წითელფიგურული სათევზე ლანგრების ფრაგმენტები, რომლებიც ძვ. წ. IV ს. პირველ ნახევარს განეკუთვნებიან[113]. ამასთან ერთად გვხვდება სადა შავლაკიანი იხთიის ნიმუშებიც, ძვ. წ. IV ს. და ძვ. წ. IV—III სს. მიჯნით დათარიღებული[114].

შავლაკიანი კერამიკა საკმაოდ დიდი რაოდენობითაა ფიქსირებული (ინვენტარიზებულია 100-ზე მეტი ნიმუში), მაგრამ მასალის ფრაგმენტულობა უმეტეს შემთხვევაში დათარიღებისა და ფორმის აღდგენის საშუალებას არ

---

101 ვანი VII, გვ. 11.

102 №№ 07:1—72:403; 07:1—76:104; 07:1—79:96, 1707; 07:1—81:354.

103 № 07:1—79:123.

104 № 07:1—79:194.

105 № 07:1—79:541.

106 № 07:1—80:629. ერთ ნიმუშზე ნახატი გაურკვეველია (№ 07:1—79:107).

107 ამ ტიპის ლეკანების შესახებ დაწვრილებით იხ. ვანი VII, გვ. 32—33.

108 ვანი VII, გვ. 46 (№№ 127—130).

109 № 07:1—72:418. ვანი VII, გვ. 33, 46 (№ 132), სურ. 16.

110 № 07:1—78:518. ვანი VII, გვ. 34, 46 (№ 134), სურ. 16.

111 №№ 07:1—76:52; 07:1—79:326, 468, 854; 07:1—80:628. ვანი VII, გვ. 47 (№№ 147—150).

112 ვანი VII, გვ. 34—35.

113 №№ 07:1—76:286; 07:1—79:222; 07:1—82:315. ვანი VII, გვ. 34, 46—47 (№ 136—137), სურ. 16.

114 №№ 07:1—75:337; 07:1—76:696; 07:1—79:160, 652, 856, 914 და სხვ. ვანი VII, გვ. 50 (№ 177), გვ. 63—64 (№ 257).

იძლევა[115]. ამ მრავალრიცხოვან ნიმუშებიდან გამოიყო სკიფოსის ძირის ფრაგმენტი (ძვ. წ. IV ს.)[116], აგრეთვე ჯამები (სურ. 92₅)[117] და სხვ.[118].

ძვ. წ. IV—III სს. კულტურული ფენის მონაპოვარში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ყვითელ ანგობზე წითელი ზოლებით მოხატული დახურული ჭურჭლის (ძირითადად დოქების) ფრაგმენტების სიმრავლე (მთელი ჭურჭლის აღდგენა ვერ მოხერხდა, სურ. 93)[119].

ვანის ნაქალაქარზე ყვითელანგობიანი წითელი ზოლებით მოხატული დოქები ძირითადად ცნობილი იყო ძვ. წ. IV ს. მეორე ნახევრის სამარხებიდან[120], კულტურულ ფენებში მათი აღმოჩენის მხოლოდ ერთეული შემთხვევები იყო აღნუსხული[121]. ამჟამად კი აშკარაა ვანის ძველ ქალაქში მათი ფართოდ გავრცელების ფაქტი ძვ. წ. IV—III სს-ში[122], რაც ამ ხანის ახალი კულტურული იმპულსების მოწმობადაა მიჩნეული[123].

ძვ. წ. IV—III სს. კულტურულ ფენაში დადასტურებულია რუხზედაპირიანი (გადანატეხში კეცი მუქი ვარდისფერია) წითელი ზოლებით შემკული ჭურჭლის ფრაგმენტები, რომლებიც შემოტანილი კერამიკის ერთ სახეობას — დიდი ზომის სანელსაცხებლებს განეკუთვნებიან[124]. სანელსაცხებლების ეს ტიპი ძვ. წ. IV—III სს. თარიღდება. ივარაუდება მათი იონური წარმომავლობა[125].

---

115 იგივე შეიძლება ითქვას წითელფიგურული ჭურჭლის რამდენიმე ფრაგმენტზეც. აქედან აღსანიშნავია ერთი (№ 07:1—79:1585), რომელზეც შემორჩენილია გრაფიტო ΠΑ (ვანი VII, გვ. 47, № 140, სურ. 16).

116 № 07:1—79:1784. ვანი VII, გვ. 48 (№ 154), სურ. 17.

117 №№ 07:1—75:344; 364; 07:1—79:102, 168, 172, 683, 761, 978, 1627; 07:1—80:582, 583, 634, 733. ვანი VII, გვ. 50 (№№ 171—172), გვ. 66 (№№ 274—275), სურ. 28.

118 ძვ. წ. IV—III სს. კულტურულ ფენაში მცირე რაოდენობით აღმოჩნდა ადრეული ხანის მასალაც: წერილფიგურული კილიკის (კასელის ტიპი. ძვ. წ. 530—510 წწ.) პირ-კედლის ფრაგმენტი (№ 07:1—79:136), შაელაკიანი სკიფოსების (A ტიპი, ძვ. წ. V ს.) ძირის ფრაგმენტები (№№ 07:1—80:543, 577), ე. წ. მარჯნისფერლაკიანი სკიფოსის (?)—ძვ. წ. V. — კედლის ფრაგმენტი (№ 07:1—79:899); შავფიგურული ლია ტიპის ჭურჭლის (ძვ. წ.VI ს). კედლის ფრაგმენტი (№ 07:1—79:662).

119 №№ 07:1—72:409, 421, 434, 444, 448, 454, 549, 550; 07:1—75:361, 362, 363, 365, 372, 373, 375, 376; 07:1—76:275, 700, 752, 753, 760; 07:1—79:150, 153, 186, 193, 223, 272, 375, 400, 465, 519, 520, 521, 554, 630, 640, 659, 678, 711, 742, 821, 828, 920, 931, 948, 949, 989, 992, 1402, 1455, 1554, 1618, 1619, 1620, 1621, 1647, 1750, 1757, 1788, 1803; 07:1—81:390; 07:1—82:261, 262, 304, 311; 07:1—83:296, 313, 314, 315, 352.

120 ვანი I, გვ. 208, 212, სურ. 176.

121 ვანი I, გვ. 172, 190; ვანი II, გვ. 25, 29.

122 მსგავსი (ე. წ. აღმოსავლური) კერამიკა აღმოჩენილია კოლხეთის სხვა ცენტრებშიც (ითხვისი), მრავლადაა ისინი ფიქსირებული აღმ. საქართველოს სინქრონულ ძეგლებზეც (სამადლო, ციხიაგორა, თბილისი, მცხეთა, თრიალეთი და სხვ.). მსგავსი კერამიკა ცნობილია სომხეთიდანაც Г. А. Тирацян. О расписной керамике древней Армении (VI в. до н. э. —III в. н. э.). Историко-филологический журнал, 1965. № 3 (30), с. 272 и сл.

123 ოთ. ლორთქიფანიძე, ვანის ნაქალაქარი (წერილი მეორე). ვანი III, თბ., 1977, გვ. 20.

124 №№ 07:1—76:340, 356, 660, 694; 07:1—79:156, 383, 570, 1403, 1404, 1718; 07:1—83:355. მსგავსი სანელსაცხებლები აღმოჩნდა დაბლაგომის ძვ. წ. III ს-ით დათარიღებულ მდიდრულ სამარხში (ე. თოლორდავა. მდიდრული სამარხი დაბლაგომიდან, ვანი II, გვ. 73, №№ 36—37, სურ. 113).

125 ვანი VII, გვ. 76 (სანელსაცხებლების III ჯგუფი).

საკმაოდ მრავალრიცხოვანია სინოპური ლუთერიების ნიმუშები (სურ. $92_4$)[126]. ისინი ერთი ტიპისაა და ძვ. წ. IV—III სს-ით თარიღდებიან[127]. სინოპური ლუთერიები აღნიშნულ პერიოდში ფართოდაა გავრცელებული აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში[128]. ამჟამად ეს ვანის ნაქალაქარის მონაპოვრითაც კარგად დასტურდება.

ძვ. წ. IV—III სს. კულტურულ ფენაში ტერაკოტული ფიგურების რამდენიმე ფრაგმენტული ნიმუშია აღმოჩენილი: გაურკვეველი გამოსახულების მცირე ფრაგმენტი, დაფარული თეთრი საღებავით და წითელი ზოლებით; მჯდომარე ფიგურა, მთლიანად გახვეული დანაოჭებულ წამოსასხამში (დამუშავებულია მხოლოდ წინა ნაწილი, ღრუა; აკლია თავი და მარცხენა ფეხი; შემორჩენილია თეთრი საღებავის მცირე ნაშთი. სურ. $94_3$); მდგომარე ფიგურის ფრაგმენტი (შემორჩენილია დრაპირების ნაწილი); ცალმხრივი ტერაკოტას ფრაგმენტი (ანტეფიქსის? უკანა მხარე დამუშავებულია) — ადამიანის(?) სახის ნაწილი; ქალის თავი (სურ. $94_4$), ცალმხრივი (თუ ჩამოტეხილია?), შეღებილი (ცეცხლშია მოხვედრილი? — საღებავი ჭიქურის მსგავსია)[129].

თიხის ნაწარმის გარდა, ფენაში დაფიქსირდა ბრინჯაოს ნივთების ფრაგმენტებიც, რომელთა ატრიბუცია მეტწილად შეუძლებელია. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ერთი ნიმუში (სურ. $94_1$)[130], რომელიც წარმოადგენს ბრინჯაოს სქელ ფირფიტაზე ქალის წელზედა გამოსახულებას, en face, მაღალ რელიეფში. ქალს ხელში (გულმკერდთან) ფრინველი — მტრედი უჭირავს. ეს მოტივი — ქალი (ქალღმერთი) ფრინველით ხელში — ფართოდაა გავრცელებული ანტიკური ხანის ხელოვნებაში (ქანდაკება, ტერაკოტა, თიხის ფიგურული ჭურჭელი და სხვა.)[131]. მტრედი ითვლება ქალღმერთ აფროდიტეს ერთ-ერთ ატრიბუტად[132]. ამჟამად თავს ვიკავებთ ვანის ნიმუშის გამოსახულების განსაზღვრებისგან, მით უფრო, რომ სტილისტურადაც ეს ძეგლი გარკვეულ თავისებურებებს ამჟღავნებს.

ბრინჯაოს ნივთებში გამოიყო ერთი ნიმუში[133], რომელიც მოგვაგონებს მოძრაობაში მყოფი (ჭენების პროცესში?) ცხენის გამოსახულებას[134]. საინტერესო ნიმუშს წარმოადგენს ბრინჯაოს ხარის თავის ქანდაკება (სურ. $94_2$)[135],

---

126 №№ 07:1—75:343, 346, 499; 07:1—76:46, 92, 98, 108, 705, 706; 07:1—79:1400; 07:1—80:383; 07:1—81:379; 07:182:265.

127 ვანი VII, გვ. 79. იქვე მითითებულია ლიტერატურა.

128 И. Б. Зеест, И. Д. Марченко. Некоторые типы толстостенной керамики из Пантикапея. МИА, 103, 1962, с. 158, 159, рис. II. Ю. Н. Воронов. Гиенос, с. 47, рис. 3.

129 ზემოდასახელებული ნიმუშების რიგის შესაბამისად: №№ 07:1—76:87; 07:1—79:1706, 1646; 07:1—81:318, 07:1—81:356.

130 № 07:1—75—354 (სიმაღლე — 35 მმ).

131 მაგალითად, იხ. R. A. Higgins. Catalogue of the Terracottas in the Department of Greek and Roman Antiquities. British Museum. v. I, London, 1954, p. 68, fig. 58.

132 ცნობილია კიბელას გამოსახულებაც ფრინველით ხელში: E. Akurgal. Die Kunst Anatoliens von Homer bis Alexander. Berlin, 1961, Fig. 62, a.

132 ცნობილია კიბელას გამოსახულებაც ფრინველით ხელში:

133 № 07:1—79:1753.

134 შდრ. დ. ქორიძე, მატერიალური კულტურის უძველესი ძეგლები (საჩხერის რაიონი), თბ., 1961, გვ. 116—117, 126, სურ. 31, ტაბ. XVIII.

135 № 07:1—82:293.

ალბათ ბუნიკი (კვერთხისთავი?)[136] — ხარის თავის გამოსახულება წამოცმული და მანჭვლებით დამაგრებული ყოფილა ხის ღეროზე (ამჟამად ხარის კისრის შიგნით შემორჩენილია ხის ნაშთები: ქვედა ნაწილში გაკეთებულია შვიდი ნახვრეტი). გამოსახულება სტილიზებულია — წინა ნაწილი წაგრძელებულია ნისკარტისებურად, ხაზგასმულად დიდი რქები ნახევარწრიულადაა გაშლილი. შუბლზე ჩადგმულია სხვა ფერის ლითონისგან (რკინისგან?) დამზადებული სამკუთხა ფორმას მიახლოებული (წვერით ქვემოთ) ამობურცული ნიშანი. ამით მითითებულია ხარის, როგორც საღვთო ცხოველის, ხასიათი[137].

ძვ. წ. IV—III სს. კულტურული ფენის მონაპოვრიდან აღსანიშნავია ბრინჯაოს ნახვრეტებიანი ფირფიტები[138], როგორც ჩანს, ე. წ. ქერცლისებური ბეგთარის შემადგენელი ნაწილები. ვანის ნაქალაქარზე საჯავშნე ბრინჯაოს ფირფიტები ცნობილია ძვ. წ. III ს.-ის №№ 2 და 13 სამარხებიდან[139], აგრეთვე კულტურული ფენებიდან[140]. დადასტურდა აგრეთვე ბრინჯაოს ისრისპირების აღმოჩენებიც[141]. ნიმუშების უმეტესობა სამწახნაგა ანუ პირამიდისებური მცირემასრიანი ისრისპირების ტიპს განეკუთვნება, რომელიც კარგადაა ცნობილი როგორც სკვითურ-სარმატული ძეგლებიდან, ისე ბერძნულ სამყაროში[142].

ფენაში ფიქსირებულია რკინის ნივთების ნიმუშებიც — დანები[143], მოკაუჭებული იარაღი (?)[144], შუბისპირის მასრის ფრაგმენტი[145], ლურსმნები[146] და სხვ.

საინტერესო ჯგუფს წარმოადგენს ძვლის ნაკეთობანი — ორნამენტირებული ფირფიტები და ღერაკი. ერთი ფირფიტა (სურ. 95$_1$)[147], შემკული ურთიერთსაწინააღმდეგოდ მიმართული ირიბი ღარების ოთხი რიგით, დაუმთავრებელია. მეორე ფირფიტაზე (სურ. 95$_2$)[148] მოცემულია მეტად დამახასიათებელი ორნამენტული სახე ყველა დროის ძვლის ნაკეთობებისათვის[149] — ირიბი ხაზებით შეერთებული წრეები, შიგნით ჩაჭდეული წერტილებით. სხვა ნიმუშებიდან აღსანიშნავია სამკუთხა ფირფიტა, ნახვრეტიანი (სურ. 94$_4$)[150], ფირ-

---

136 შდრ. М. И. Артамонов. Сокровища скифских курганов. Прага-Ленинград, 1966, с. 27, табл. 58, 59, 60.

137 საქართველოში ხარის კულტის შესახებ ეთნოგრაფიული და არქეოლოგიური მასალების მიხედვით იხ. მ. ხიდაშელი. ცენტრალური ამიერკავკასიის გრაფიკული ხელოვნება ადრეულ რკინის ხანაში. თბ., 1982, გვ. 82—83, 86, 92—94; დ. ხახუტაიშვილი. უფლისციხე I, თბ., 1964, გვ. 33—35; В. В. Бардавелидзе. Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен. Тбилиси, 1957, с. 198 и сл.

138 №№ 07:1—76:97; 07:1—79:196, 1010; 07:1—81:320; 07:1—82:277; 07:1—83:387.

139 ვანი IV, Из архива Н. В. Хоштариа, с. 117, рис. 189; იქვე, გვ. 79, № 501.

140 ვანი I, გვ. 140, დაწვრილებით იხ. გ. ლორთქიფანიძე. საბრძოლო და სამეურნეო იარაღი, ვანი II, გვ. 183—184. გ. ლორთქიფანიძის აზრით, ნახვრეტების განლაგებისა და ფირფიტების ფორმის მიხედვით, ვანური ბეგთარი (მხედველობაშია № 2 სამარხში აღმოჩენილი ფირფიტები) სპარსულ-სკვითურ ფირფიტებიან ჯავშანს უახლოვდება.

141 №№ 07:1—76:361; 07:1—79:178, 459, 696, 707, 860, 1550, 1631, 1632, 1693; 07:1—80:387, 552; 07:1—82:300; 07:1—83:359, 412.

142 გ. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 179.

143 №№ 07:1—79:179, 670, 737, 07:1—80:587, 588.

144 №№ 07:1—79:92, 109.

145 № 07:1—79:1541.

146 №№ 07:1—79:91, 407, 604, 979; 07:1—80:586, 624, 708, 709.

147 № 07:1—76:702.

148 № 07:1—79:595.

149 ამ ორნამენტული სახის შესახებ იხ. Б. А. Рыбаков. Ремесло древней Руси, М., 1948, с. 413.

150 № 07:1—79:289.

ფიტის ფრაგმენტი ტალღისებური ორნამენტის გამოსახულების სახით (სურ. $95_4$)[151], და ბოლოს, ძვლის დამუშავებული ღერაკი (სურ. $95_3$)[152].

ძვ. წ. IV—III სს. კულტურულ ფენაში 70-ზე მეტი მძივი და 7 მძივსაკიდი აღმოჩნდა. ძირითადად ესაა გაუმჭვირვალე მინის მძივები: სადა-ერთფერი და პოლიქრომიული, ყველაზე მრავალრიცხოვან ჯგუფს წარმოადგენს ე. წ. მსხლისებური ფორმის ერთფერი მძივები (ყვითელი, ცისფერი, ლურჯი, მწვანე)[153] — საკმაოდ გავრცელებული ტიპი ძვ. წ. IV—III სს. როგორც ვანსა და, საერთოდ, მთელ კოლხეთში, ისე ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში[154]. შედარებით იშვიათია ბიკონუსური[155], ცილინდრული[156], კასრისებური[157], ტანდალარული[158], კოპებიანი[159] მძივები. გარდა ამისა, გვხვდება პოლიქრომიული — თეთრლურჯთვალებიანი მძივები[160], ე. წ. ნიღაბი[161], აგრეთვე, სარდიონის სფერული, ბიკონუსური და ხუთწახნაგა მძივები[162], ქარვის მძივის ფრაგმენტები[163].

მინის მძივსაკიდები მრავალფეროვნებით გამოირჩევა. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ერთი საკიდი ნახევრადგამჭვირვალე ყავისფერი მინისა, რომელიც იმეორებს რიტონის ფორმას და ბოლოვდება ფრინველის თავის გამოსახულებით[164]. მსგავსი საკიდები ცნობილია ძვ. წ. IV—III სს. კომპლექსებიდან[165]. ამ ხანით თარიღდება ღია ცისფერი გამჭვირვალე მინის მრგვალქუსლიანი ამფორისკისებური საკიდები, რომლებიც სამი ეგზემპლარის სახითაა წარმოდგენილი[166]. ასევე ფართოდ გავრცელებულ ტიპს განეკუთვნება მუქი ცისფერი (მომწვანო-ცისფერი) გაუმჭვირვალე მინის პირამიდული ფორმის ერთი საკიდი[167]. გამოვლენილია მინის სამკაულის კიდევ ერთი სახეობა — გამჭვირვა-

---

151 № 07:1—79288.

152 № 07:1—79:649.

153 ვანი VII, გვ. 111, № 488, სურ. 48, აქ დასახელებულ ნიმუშებს უნდა დაემატოს: №№ 07:1—80:375, 376, 706; 07:1—81—319, 360, 362; 07:1—82:256.

154 ვანი VII, გვ. 104 (იქვე მითითებულია ლიტერატურა).

155 №№ 07:1—82:276; 07:1—83:362.

156 №№ 07:1—79:1041; 07:1—83:407.

157 № 07:1—79:995.

158 № 07:1—79:1760.

159 № 07:1—79:1020.

160 №№ 07:1—78:517, 07:1—79:631, 911; 07:1—83:361. ვანი VII, გვ. 99—100.

161 № 07:1—79:671. ვანი VII, გვ. 110, № 473, სურ. 49.

162 მითითებული რიგის შესაბამისად: №№ 07:1—79:556, 645 (ორივე სფერულია), 993, 1709.

163 № 07:1—72:466. ემსგავსება № 11 სამარხის სამკაულებს (შდრ. ვანი VII, გვ. 108, № 449, სურ. 48).

164 № 07:1—72:408. ვანი VII, გვ. 112, № 499, სურ. 49.

165 მაგალითად, ცისფერი გაუმჭვირვალე მინის ფრინველის გამოსახულებიანი საკიდი აღმოჩნდა აპოლონიაში ძვ. წ. IV ს.-ის შუა ხანების სამარხში. (Я. Младенова. Предмети от стъкло и алабастър от некропола на Аполония, [София], 1964, გვ. 310, № 998, ტაბ. 163, 164.) მსგავსი საკიდები ფიქსირებულია კოლხეთსა და ჩრდილო შავიზღვისპირეთშიც (ვანი VII, გვ. 105).

